

მ ა ტ ი ა ნ ე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის კრებული

ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора
Ванского района

Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore
Research Centre

3560
Вани
Vani
2018 წ.

№12

სარჩევი

1. ვანის განვითარების საყურადღებო მონახაზები XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში	4
2. ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტი) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და	
3. ფოლკლორის კვლევის ცენტრისაგან	19
4. ომარ კაპანაძე	32
სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და საკითხები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოების მიხედვით (დასასრული)	
5. საარქივო მასალები ვანის რაიონის ისტორიისათვის	56
6. თეიმურაზ ადგიშვილი	62
სტალინის მკვლელობის საიდუმლო	
7. ომარ გაგუნია	76
საქართველო ძველი მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი.	
8. მანანა ვაშაყმაძე	80
ზედა გორას „მაცხოვრის შობის“ სახელობის ეკლესია	
9. გულზაათ რცხილაძე	83
რამდენიმე მცდარი წარმოდგენის შესახებ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.	
10. გენერალი გიორგი კვინიტაძე	91
წინასიტყვაობა მოგონებებიდან	
11. გოგი ფაცაცია, სიმონ ზაქარაია	95
საერთაშორისო კონფერენცია კემბრიჯის უნივერსიტეტში და ქართველი მეცნიერის მორიგი წარმატება	
12. ლუკა დვალისხვილი	97
ქალის დანინდვის ტრადიცია ძველ საქართველოსა და ფერეიდნელ ქართველებში	
13. პალვა შარაშენიძე	103
ქალთა ემიგრაცია და დედის ინსტიტუტი	
14. აკაკი თევზაძე	110
ქალის ფენომენის გააზრება ვანელ ავტორმთქმელთა შემოქმედებაში	
15. ივანე სურციძე	122
სოფელი უხუთი	



პვიჰვასო თანამეგაგულენო!

„ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ გულთბილად გილოცავთ დედის დღეს, ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესა და უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს – ბწწყინვალე აღდგომას!

ერისა და ბერის სიძლიერეს გისურვებთ ერთიან საქართველოსთან ერთად!
მზავალს დავსწარბით!

მასუ ბამარჯვება...

თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიკ მიმღებ
და დაგუჩოქებ მიწას მუნლებით.
– მამ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დაგრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.

ვინ მისცა ფეხი მუნჩანის ღვინოს,
ვინ მისცა ფეხი არაგვის ველებს,
სანამღე უნდა, რომ მზეთ ეღინოს
გავარგარებულ თქმოს თაველებს!

სხვა რომ მოკვდება, მისთვის რა არი:
წავა, გაქრება, როგორც სიმძაბი,
მე კი რა ვუყვ ამ გოლიათ მთებს,
რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს.

ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.
სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

– სხვა საქართველო მაინც სად არი?
რომელი კუთხე, რომელ ქვეყნისა?
ვის თუთქავს ასე ცეცხლის ღაღარა,
ქვეყნად სამთხე სხვას ვის ელიზსა?

დაგბადებულვარ, რომ ვიყო მონა,
და საქართველოს მედვას უღელი:
– მამ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დაგრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!.

ვანის განვითარების საყოველთაო მონახაზები XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში

„ვანის რაიონის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრისათვის“ ეს პერიოდი საინტერესო გახდა რამდენიმე მომენტის გათვალისწინებით, მაგრამ აქედან მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ზოგიერთი კონკრეტული ძვრები, რომელიც უშუალოდ შეეხო აგრარულ სექტორს, ინფრასტრუქტურას, სოციალური ფენომენის სეგმენტებს და მივიჩნიეთ ხანგრძლივი სტაგნაციის შემდეგ სანყის ტრამპლინად, რამდენიმე მიმართულებიან გარღვევად.

მართალია ამ პროცესში ადგილობრივი ბიუჯეტი ჯერჯერობით მოკრძალებულად გამოიყურება, მაგრამ სახელმწიფოსა და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების დონორობა დასაფასებელია და ამიტომაც გადაწყდა ეს საკითხი უფრო ფართოდ გამოგვეტანა დღის სინათლეზე, იმ დროს, როდესაც ოპერატიული საინფორმაციო საშუალებების ნაკლებობა და აქედან მასების ინფორმირებულობაც მოჭარბებულად იგრძნობა ვანის სივრცეში.

„კვლევის ცენტრი“ ერთგული რჩება თავისი ფუნქციური დატვირთვისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების: შევისწავლოთ ვანთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მომენტები და დაფუტოვოთ ვანის ისტორიას.

ალბათ, ვანის ინტელექტუალური და ნებისმიერი სალადმოაზროვნე ადამიანებისათვის ახალი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ, სამწუხაროდ, ქვეყნის განვითარების ისტორიული ბორბალი როდესაც სვლას შეწყვეტს, ან სანინალმდეგო მიმართულებით ერთხელ მაინც დატრიალდება შემდგომ თაობათა უზარმაზარ ძალისხმევას საჭიროებს ვარდნის შესაჩერებლად და მისთვის სვლის ნორმალური მიმართულების მოსაძებნად. ჩვენი ქვეყანა დღეს ამ ბრძოლის ხაზზე დგას და ილუზია არავის აქვს და არც უნდა ჰქონდეს, რომ პროცესი რადიკალური ფორმით ელვისებურად შემოტრიალდება, მაგრამ ძალთა მობილიზება და სწორი მართვა ოპერატიულ დროს მაინც ითხოვს და მიანიშნებს ეროვნული ენერჯის კონსოლიდაციისაკენ. ქართველთა დიდმა კლასიკოსმა ჭაბუა ამირეჯიბმა ერთხელ უკვე შესძახა ერს „ჭკუით ქართველებო“, ამ ფრაზას გაშიფვრა არ სჭირდება, მასში ყველაფერია ნათქვამი მოკლედ და შინაარსობრივი დატვირთვით.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელისუფლება, რომელმაც ერი სამოქალაქო ომის ზღვარზე დააყენა და შეიყვანა ამ ფაზაში, ვინც არ უნდა იყოს ის, რომელ მოძრაობასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ვერ დაიკვებნის სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობით. ჩვენ ეს გზა გავიარეთ ათასი უბედურების თანდართვით, მაგრამ განსაცვიფრებელი ისაა, რომ მოვლენები კარგად ვერ გავაცნობიერეთ, ანალიზს გავუბივართ. როგორც ჩანს, ბევრს და მათ შორის მეცნიერ-მკვლევარებსაც, რომელთაც ხელენიფებათ ობიექტური კვლევა, ისტორიის ეს გრძელი არანარმატებული მონაკვეთი დუმილით სურთ ამოავსონ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს რა და როგორ ფენომენთან გვეკონდა საქმე ამ მოვლენათა სიგრძე-სიგანეზე და როგორია ამ ფენომენის გავლენა ქართველთა ცხოვრებაზე, რომ შემდეგი სვლის სანყისი წერტილი მოიძებნოს. ასევე არაერთხელ გვითქვამს, რომ მუდმივად ხელისგაშვერა, ვილაც ხელს გვიშლის და ა.შ. ფუჭ ლაყბობად იქცა, დამაჯერებლობა დაკარგა. ამდაგვარი წინააღმდეგობები სხვადასხვა დოზით ნებისმიერი ქვეყნის წინაშე შეიძლება წარმოექმნას, მაგრამ მისი დაძლევა ერისა და წინამძღოლთა გონიერებას ეყრდნობა.

კარგახანია ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც კარგად მოქნეული ხმლით წყდებოდა წამოჭრილ საკითხთა ბედი. დრო შეიცვალა... ურთულეს გამონვევებთან გვაქვს საქმე. არც ისაა მხედველობიდან გასაშვები, რომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფორმაციათა ცვლილებების ეპიცენტრში ვდგავართ, მაგრამ წინა ფორმაციამ, თაობებმა დატოვეს ის, რის შენარჩუნებას და დაცვას საჭიროება ითხოვდა. უბედურება ისაა პირწმინდად დავანგრიეთ და გა-

ვანადგურეთ ის რისი არდანგრევაც იყო საჭირო – სამრეწველო პოტენციალიც, აგრარული სექტორიც თავიანთი უზარმაზარი ფონდებით. მსოფლიო ისტორიის მაგალითებიც, ალბათ, იშვიათად იცნობს ფაქტებს, როდესაც საკუთარ ქვეყანას, მონაპოვარსა და სიმდიდრეს ასე ბარბაროსულად მისდგომოდნენ ადამიანები, როგორც ეს ჩვენთან მოხდა. ამის საერთო შედეგებიც ზედაპირზე ჩანს რაიონშიც, რომ სიღრმისეულად არ ვიკვლიოთ.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მთელ 20-წლიან ინტერვალში სირაქლემას როლი მოვირგეთ, დიდი დრო დავკარგეთ, ფანტაზიურობასა და გულარხეინობას ბევრი რამ შეენირა ადამიანთა კონკრეტული კასტის ზნეობრივ გადაგვარებამდე.

ადამიანთა გადაგვარების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა და შემზარავი იყო კადრების ხელ-ფეხ შებორკილი მძიმე მაგიდაზე გადაკრული პატიმარი მამაკაცების გაუპატიურების „სცენები“ (მაპატიოს მკითხველმა ამ პროცესის შეხსენებისათვის), თუმცა, როგორც ჩანს, ეს არ იყო ერთეული შემთვევა). უფრო მეტი უბედურება ერთმოდულების სახით გამჟღავნდა 2011 წლის 25 მაისის ღამეს რუსთაველის პროსპექტზე ქართველთა დარბევით, დასახიჩრებული ნაცემი, კონტუზირებული ასეულობით ადამიანის თქეში ნვიმის ქვეშ დაყრა, ჯიხურის სახურავზე შემოწყობილი დახოცილები და ა.შ. , ე.წ. „ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური სიბრძნისა და ერის ღირსების შემლახველი ვაჟკაცობის სიმბოლო“, რომელთაც თავიანთი ნახელავი დღეს ახალ აბრევიატურათა (ნეონაციზმის) მორგების ჩრდილქვეშ სურთ დამალონ, თუ არ გავიხსენებთ 2007 წლის მოვლენებსაც. მართალია ყოველივე ეს უკვე ისტორიაა, მაგრამ, როგორც ჩანს გზადაგზა შეხსენებაც საჭიროა. ეს პროცესები ერის მეხსიერებაში კარგახანს დარჩება.

ტრაბახად არ ჩამოგვერთმევა თუ ვიტყვი: საფუძვლიანად ვიცნობთ ვანის ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ ფენომენს, იმ სირთულეებს, რომლის წინაშედაც დადგა რაიონი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. გვიჭირდა ყველა მიმართულებით უმუშევრად დარჩენილი მასების სახელფასო, საპენსიო საკითხების მოუნესრიგებლობიდან, როდესაც რაიონის ეკონომიკური პოტენციალი (ყველა სფეროთა მიხედვით) 25-ჯერ შემცირდა. გავიარეთ უშუქობისა და უგაზობის 10-12-წლიანი პერიოდი, კარს მომდგარი შიმშილის განცდა, გაკვეთილებზე ნახევრად მშიერი მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჯდომა, ავადმყოფთა მკურნალობის სირთულე და ამის გამო სუიციდამდე მიყვანილი ადამიანების მცირე, მაგრამ კონკრეტული ნაწილი, კრიმინალთა თარეშები და ა.შ. საბოლოო შედეგით – ვანის მოსახლეობის დაახლოებით 15 000 კაცით შემცირება (მოსახლეობის რაიონიდან გადინების წყალობით), ეკონომიკური ფიასკო.

საზოგადოება ელოდა ზემოაღწერილ პროცესზე ნერტილის დასმას, რასაც მასების გააქტიურებაც დაემთხვა. ვერ ვიტყვი 2012 წლიდან სწრაფ და რადიკალურ ამოტრიალებას ვხედავთ, მაგრამ დამნახავი დაინახავს იმ ძვრებსა და ცვლილებებს რაც მოხდა, მთავარია, რომ პროცესები დაიძრა.

ერთხელ, მაშინდელ საქართველოში პატიოსნებითა და შრომით სახელმძღვანელო გლეხის ქალს ქალბატონ თამარ ყუფენიას ჰკითხეს თუ რა მიაჩნდა ადამიანში ყველაზე უღირს თვისებად, მან დაუფიქრებლად უპასუხა – „უმაღურობის გრძნობა“, ეს შეგონება მუდმივმოქმედი!

– ჩვენ მაინც ვანთან მიმართებაში მიგვყავს საუბარი და ამ არეალით შემოვიფარგლებით, თუმცა თავშივე ვალიარეთ იმ ურთულეს პრობლემათა წყება, რასაც წავანყდით და ვანყდებით, რომელიც ერთმანეთის კრიჭაში დგომით არ მოგვარდება. უნდა დავესხხოთ დიდ ილიას – „ქვეყანა ტაძარი კიარაა, სადაც უნდა იჯდე და ლოცულობდე, ასპარეზია, სადაც უნდა გაისარჯო“. საქართველოში ქართველობამ უნდა დაძლიოს წარმოქნილი სირთულეები, ვანში ძირითადად ვანელებმა სახელმწიფო ძალისხმევასთან ერთად.

ეკონომიკური ურთიერთობანი საფუძვლიანადაა შეცვლილი და ესეც კარგად გასაანალიზებ-

ბელია. ჩვენ უნდა როგორმე გავექცეთ ამ იდეოლოგიურ წნეხს, რომელთაც მავანნი და მავანნი ნერგავს, რომ ქართველებს არ შეგვიძლია ქვეყნის, რაიონების სრულყოფილი შენება, რომ ამისათვის უნდა დავეყრდნოთ აუცილებლად გარე ძალებს. ვინც საქართველოს ისტორიას შედარებით ნორმალურად იცნობს, კარგად იცის შეგვიძლია თუ არა აღმშენებლობით საქმეებზე შეჭიდება და ბოლომდე მიყვანა. მსოფლიო ისტორიის ფრაგმენტებიც ადასტურებენ ფაქტს, რომ ქართველებს არათუ აქ, ქართულ გარესამყაროშიც უშენებიათ და შეუქმნიათ, მიუყვანიათ სრულყოფილებამდე და ზენიტამდე, ამის ათეულობით მაგალითია. ურთიერთკრიჭაში დგომით, რაც სამწუხაროდ დღესაც შეინიშნება, პირველ რიგში სამშობლო ზარალდება.

ვსაუბრობთ რა ვანზე, გვინევს ციფრებსა და მონაცემებზე დაყრდნობა, ვეყრდნობით ფაქტებისა და არგუმენტების ძალას, რადგან მსჯელობის ასეთი ფორმა უფრო სერიოზულიცაა და ლოგიკურიც.

ბევრი უმსგავსობაა დღეს დაღეკილი, წინასწარ გაუთვლელი და ფორსირებული ექსპერიმენტების შედეგად, რომლის განმენდაც დროს ითხოვს.

მინის რეფორმა (აგრარული რეფორმა), რომელიც ჩვენთან 25-26 წლის წინათ გატარდა და პრივატიზება დავარქვით, აუნონელ-დაუნონელი გათვლებით და საბოლოო შედეგებითაც ანტირეფორმას უფრო დაემსგავსა. საკითხის გადაჭრის ფორსირებამ და შეუმონმებელ სიახლეთა ძიებამ დაბადა დაუშვებელი შეცდომები, რომელმაც აგრარულ სექტორს ფუძე გამოაცალა და პრაქტიკულად გაანადგურა თავისი უზარმაზარი ფონდებით, რომელიც მოქმედებაში მერკანტილურმა ინტერესებმაც გააძლიერა. გლეხებს მიზერული მიწების ნაწილი კი ერგოთ თავისი დამადასტურებელი აქტებით, რომელსაც მწერალმა ოტია იოსელიანმა „პალო“ უწოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელი დააბანინა ყველა იმ შეღავათებსა და დახმარებებზე, რასაც სახელმწიფო უნევედა იმ იმედით, რომ ჯერ კიდევ არ არსებული ბიზნესი პრობლემებს დაარეგულირებდა, რაც ასე არ მოხდა და არც მოხდება კონკრეტულ მიზეზთა გამო. ამიტომაცაა, რომ დღევანდელ მმართველობას თავიდან უნევს ამ საკითხების გავლა, რიგ პრობლემათა დაწესრიგება მაქსიმალური შეღავათებით.

ვამბობთ, რომ სისტემა შეიცვალა. სწორია რომ შეიცვალა, მაგრამ, სწორედ ფორმაციის ცვლას სჭირდებოდა მეტი დაფიქრება და იუველური გადანყვეტილებების მიღება. ჩვენი „კვლევის ცენტრის“ ზოგიერთ წარმომადგენელს ჰქონდა საშუალება ემოშავა 1865 წელს იმერეთის გუბერნიაში გატარებულ საგლეხო საკითხზე (საუბარია ბატონყმობის გაუქმებაზე), შეიძლება ითქვას იმ სისტემასთან მიმართებაში, რომელშიდაც ეს ღონისძიება გატარდა. რეფორმირების კომისიები, საკითხთა შესწავლა-გადაჭრას უფრო საფუძვლიანად მიუდგა ვიდრე 150 წლის შემდეგ შექმნილი კომისიები. თანამედროვეებს მხედველობიდან გამორჩათ ან უგულვებელყვეს, რომ ნებისმიერი აგრარული რეფორმა იმ სახით როგორითაც ჩვენთან გატარდა, წარმოადგენს „მინათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სისტემის მთლიან ცვლას“. იგი რევოლუციის ტოლფასი მოვლენაა და შეიძლება ერთ-ორ საუკუნის მანძილზე ერთხელაც არ გატარდეს, ამიტომაც იყო მეტი დაფიქრება საჭირო. ვანის სივრცეზე მრავალდარგოვანი აგროსექტორის მონგრევა ამითაც იყო განპირობებული და შეინირა არა მარტო აგროდარგები, არამედ ფიზიკურად გაანადგურა ასობით ჰექტარი ჩაისა და ხილის პლანტაციები, მებოსტნეობა, 1000 ჰა-ზე მეტი ვენახი, ადგილობრივ გადამამუშავებელ საწარმოებს, რომლებშიდაც ასობით ადამიანი იყო დასაქმებული გამოეცალა ბაზა და საბოლოო ჯამში ფიზიკურ ნგრევამდეც მიიყვანა, განადგურდა მეაბრეშუმეობა როგორც დარგი და ა.შ. აი, ამ ნაყოფს ვიპკით დღეს და მისი გასწორება შორდება ერთ-ორ კვირიან, ან ერთ-ორ წლიან მონაკვეთს, მითუმეტეს აქამდე საფუძვლიანად არავის უცდია საკითხთა დაწესრიგება და ამ საკითხზე გვინევს საუბარი, რომ ეს პროცესი დაიძრა. ეს ფენომენი ჯერჯერობით ეხება მხოლოდ აგრარულ სექტორს თავისი მინი საწარმოებით და არა სამრეწველო პოტენციალს, რომელიც ვანს ნამდვილად გააჩნდა და რომლის პროდუქციაც შესაბამის პერიოდებში ფულის მტიკე კურსით 37-40 მილიონი მანეთის

ფარგლებში თავსდებოდა. აქედან 9 სამრეწველო საწარმო, რომელშიდაც დასაქმებული იყო 2500-ზე მეტი ადამიანი, უკვე ფიზიკურადაც აღარ არსებობს. ამ დანაკარგის გასწორება ე.წ. ერთ-ორ დღეში შეუძლებელია, ეს ჩვენ საუბრის დასაწყისშიც მივუთითეთ, მაგრამ ახლა მომაგრებაა საჭირო, რომ პროცესები გლობალურად დაიძრას.

უზარმაზარი შეღავათი იყო 2013 წელს გატარებული მცირემნიშნო ფერმერთა (გლეხთა) დახმარების პროგრამა, რომლითაც ისარგებლა ვანის მუნიციპალიტეტის 13258 ბენეფიციარმა (მომხმარებელმა, გლეხურმა ოჯახმა), პროგრამა ითვალისწინებდა როგორც ნიადაგის ხვნის ბარათების უსასყიდლოდ გადაცემას, ასევე აგროინვენტარით უზრუნველყოფას, საერთოდ ორივე ბარათით ისარგებლა რაიონის 9549 ბენეფიციარმა. ამ პროცესზე სახელმწიფოსაგან გაიხარჯა (ერთდროულად) 605700 ლარი (ექვსასხუთიათას შვიდასი ლარი), სარგებელმა შეადგინა 791370 ლარი. ეს იყო მნიშვნელოვანი ბიძგი ვანის აგრარული სექტორის რეანიმაციისათვის, ამ თანხაში შედის აგრეთვე დახმარება გლეხურ მეურნეობაზე სასოფლო-სამეურნეო, მცირე (რა თქმა უნდა მრავალჯერადი გამოყენების) ტექნიკის შესაძენად, რის ბაზაზეც გაიზარდა ვანის აგრარული სექტორის ენერგოშეიარაღების დონე და შეამცირა უამრავ შესასრულებელ სამუშაოზე ხელით შრომის კოეფიციენტი. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაშველება გლეხებზეც და გლეხურ მეურნეობებზეც.

ცალკეული წლების მიხედვით: 2014 წლის პროგრამა ითვალისწინებდა ნიადაგის ხვნის ბარათების და აგრობარათების გაცემას იმ ბენეფიციარებისათვის, ვინც სახნავი მიწის ფართობსაც არ ფლობდა. პროექტში მონაწილეობა მიიღო 13261 ბენეფიციარმა, რომელთა შორის ნიადაგის ხვნის ბარათი მიიღო 9549, ხოლო აგრო ბარათი 3709 ბენეფიციარმა. 2015 წლის პროგრამით მოიხსნა 2965 ჰა ფართობი, ხოლო 2016 წელს 2411 ჰა.

ამდენად, პროგრამის მოქმედების მთელ პერიოდში 2013 წლიდან 2016 წლის ჩათვლით შეღავათებით ისარგებლა (რა თქმა უნდა უსასყიდლოდ) 13261 ბენეფიციარმა, ოთხწლიან მონაკვეთში ვანის რაიონში გლეხურ მეურნეობებზე დახმარების სახით გაიხარჯა 2,174,110 ლარი (ორიმილიონ ასსამოცდაათოთხმეტიათას ასათი ლარი) ესაა კოლოსალური თანხა, რომელიც სოფლის მეურნეობაზე ნაშველების სახით არ გაცემულა. სოციალისტური რეჟიმის შემდეგ 2013-2015 წლის პერიოდამდე თითქმის 20-ზე მეტი წლის მანძილზე, ეს იყო ქველმოქმედება. გვესმის, რომ ეკონომიკურ პროცესთა გადაჭრა მიზეზთა გამო, ქველმოქმედებით მუდმივად შეუძლებელია, მაგრამ ეს ნაშველება სიტუაციის რამდენადმე მოსაწესრიგებლად წარმოადგენდა აუცილებელ და მნიშვნელოვან ნაბიჯს გაღებულს სახელმწიფოსაგან და ეს გაკეთდა.

მნიშვნელოვანი იყო ბარის ზონაში (ჭალის ფართობებში) სამელიორაციო სამუშაოების ჩატარების სახით, სოფ. ციხესულორის, ამაღლების, ბზვანის, ზედავანის ფართობებში 25,5 კილომეტრის სიგრძის სადრენაჟო არხების სრული რეაბილიტაცია, ციხესულორის ტერიტორიაზე 16 კილომეტრიან სადრენაჟო არხზე გაკეთდა ორი გადასასვლელი ხიდი. პროცესი გრძელდება რიგ სოფლებში (ამაღლება და ა.შ.) მიმდინარეობს სადრენაჟო არხის რეაბილიტაციის სამუშაოები. ყველა ეს სამუშაოთა მოცულობა შესრულდა საქართველოს სამელიორაციო სამსახურის უშუალო ჩარევითა და სახსრებით.

თანადაფინანსების პროექტით ექსპლუატაციაშია გაშვებული გადამამუშავებელი საწარმო, საუბარია ქართულ დაფინანსებულ სოფელ ბზვანში (მფლობელი მამუკა ალფაიძე) საწარმოს წლიური წარმოება 350 ტონა. გააჩნია პროდუქციის გასაღების ბაზარი უკრაინასა და ბალტიისპირეთში, დასაქმებულია 50 კაცი.

შეიქმნა და მოქმედებაშია 10 სხვადასხვა დარგობრივი 33 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთაგან 10-ს საჭიროებიდან გამომდინარე თანადაფინანსებით გადაეცა (80 000 ლარის ღირებულების 25 მოტობლოკი, ამ თანხის 57 500 ლარი წარმოადგენდა გრანტს.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით, თანხით 2 936 631 ლარი ისარგებლა 62-მა ბენეფიციარმა. აქედან ფერეთას ჩაის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 46 000 ლარი, რომელშიდაც

გრანტის სახით მოიხმარება 32 235 ლარი.

„აგრონარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 589 895 ლარი, აქედან გრანტია (საჩუქარი) 235 958 ლარი.

ვანის მუნიციპალური გამგეობის (დღეს მერია) მიერ ნიადაგის ანალიზის გასაკეთებლად, მეცხოველეობაში ხელოვნური განაყოფიერების განსახორციელებლად გამოყოფილია 8 700 ლარი, ასევე 2017 წელს დამატებით გამოყოფილია 10 000 ლარი.

– დონორი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკინას“ მიერ დაფინანსდა სამი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, „Mercy Corps“-მიერ დაფინანსებულია რვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, აქედან სოფელ ძულუხში აშენდა თხილის მინი ქარხანა, სადაც ხდება თხილის გარჩევა, გაშრობა, შენახვა. 4 ჰექტარზე დაფინანსდა ჟოლოს პლანტაცია და ა.შ. კოოპერატივებს ემსახურებიან ამერიკიდან და თურქეთიდან მოწვეული სპეციალისტები. აქვე უნდა ითქვას, რომ დახმარებისა და საკონსულტაციო საქმეში სათანადო მოცულობით სამუშაოს ასრულებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვანის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური, (ვანო სანადირაძე, გია ხარაბაძე).

– განადგურების შემდეგ თითქმის არარაობიდან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკი. 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით, კერძო სექტორშია ბელორუსის მარკის 63 ტრაქტორი.

– ვეტერინალური აცრების მომსახურება უზრუნველყოფილია და ეს სახელმწიფო პროგრამა მთლიანად ფინანსდება უფასოდ, საერთო ჯამში რაიონის 6 სხვადასხვა სოფელში აცრილია 12 326 სული პირუტყვი. აქ საუბარი არ მოგვყავს კერძო მფლობელთა, კოოპერატორთა სწავლების ფორმებზე, ტრენინგებზე და ა.შ.

პრობლემაა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის თაობაზეც მუნიციპალიტეტის ყველა თემსა და სოფელში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია. 12 620 კომლს უფასოდ დაურიგდა შესაწამლი პრეპარატი.

შექმნილ სიტუაციაში ყურადღებას იქცევს მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა შესაბამისი კატეგორიისათვის სოციალურ საკითხთა დაწესრიგებისათვის გაღებული ძალისხმევა. საკითხი, რომელიც თავს იყრის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურში. ამ ყველაზე უფრო მგრძნობიარე სფეროზე სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის დახმარებამ 2013 წლიდან პროგრესირებადი ხასიათი შეიძინა, ამასთან 2010-2011-2012 წლებში წინა ხელისუფლების დროს საერთოდ არ იყო მოხვედრილი პროგრამულ დაფინანსებაში ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები როგორცაა: სამედიცინო დახმარება, დიალუზის პროგრამაში ჩართული დახმარება, საბრძოლო მოქმედებათა შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და ა.შ. 2010 წელს მთლიანად დახმარების სახით გამოყოფილი იყო 73; 2011 წელს 154-ათასი ლარი. 2013 წლიდან სიტუაცია იცვლება – იმავე წელს ამუშავდა 6 სხვადასხვა მიმართულების პროგრამა, 2014 წელს 7, დახმარების თანხა გაიზარდა 186 500 ლარამდე. აღნიშნულ წელს მარტო ახალშობილთა ოჯახების დახმარებაზე გაიცა თანხის ის მოცულობა, რომელიც გამოყოფილი იყო 2011 წელს პროგრამის ყველა მიმართულებაზე. 2015 წელს მოქმედი პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 430 000 ლარამდე. აქედან ახალშობილთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 114 ათასი ლარით. სამედიცინო ერთჯერადი დახმარების პროგრამის მიხედვით გაიცა 149798 ლარი, მრავალშვილიანთა დახმარებაზე 19600 ლარი და ა.შ. ამავე წელს მოქმედებდა პროგრამის თორმეტი სხვადასხვა მიმართულება და დაკმაყოფილდა თითქმის ყველა მთხოვნელი. 2016 წელს მოქმედებდა 14 პროგრამის სხვადასხვა მიმართულება, დაფინანსების ჭერმა მიაღწია 500000 (ნახევარმილიონიან) ზღვარს, ხოლო 2017 წელს 14 პროგრამის მიმართულებაზე წინა წელთან შედარებით დაფინანსება გაზარდეს 100-ათასი ლარით, თანხების მოცულობამ შეადგინა 600-ათასი ლარი, პროგრესირებადია 2018 წლის ასიგნებანიც საკითხებთან დაკავშირებით. პრაქტიკულად 2014-2017 წლებში დახმარება

გაენია 2996-ბენეფიციარს, მთხოვნელს. გაცემული თანხების რაოდენობამ შეადგინა 1,716500 ლარი. ეს იყო მნიშვნელოვანი განეული ფინანსური დახმარების სახით გვერდით დგომა ყველა იმ ოჯახსა და პირზე, რომლებიც გადაუდებელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ.

ისეთი ადმინისტრაციული რეგიონები, მათ შორის, როგორცაა ვანი, თავისი რელიეფური განლაგებიდან, კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულებებიდან, ყოველთვის დგანან უდიდესი რისკების წინაშე, ძირითად შემთხვევებში სტიქიური მოვლენებია ამის განმაპირობებელი, წყალმოვარდნებით დაწყებული, მენყერული მოვლენებითა და ხანგრძლივი გვალვებით დამთავრებული. მითუმეტეს მუნიციპალიტეტის სოფლები ადრეც და 2013-2017 წლებში არაერთხელ დამდგარა გამონვევათა წინაშე, სამწუხაროდ წლის მანძილზე ორ-სამჯერაც. ზარალიც დიდია და უზარმაზარ ფიზიკურ და ფინანსური ძალისხმევის წინაშე აყენებს ადამიანებსაც და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტსაც.

ვინაც გადახედავს სტიქიის სალიკვიდაციო პროგრამებსა და დახმარებებს, რეალურად გაკეთებულ საქმეს, იოლად დარწმუნდება იმ მოცულობითი სამუშაოების შესრულებაში, რომელთა დაფინანსება და აღდგენითი სამუშაოები განეულია ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ, გავყვეთ წლების მიხედვით:

1. – 2013 წელს ზარალი განიცადა და რეაბილიტაციას დაექვემდებარა 430 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი, რომლებმაც განიცადეს მნიშვნელოვანი ხარისხის დაზიანება მინიმალური მოშლილობიდან სრულ ნგრევამდე. სარეაბილიტაციოდ ღირებულებამ შეადგინა 1 439 087 ლარი.
2. – 2014 წელი – სტიქიის ქვეშ აღმოჩნდა 215 ობიექტი, რომელთა რეაბილიტაციაზე ან ახლით შეცვლაზე გაიხარჯა 1 102 208 ლარი.
3. – 2015 წელს სარეაბილიტაციო გახდა 95 ობიექტი, რეაბილიტაციას მოხმარდა 701 450 ლარი.
4. – 2016 წელს სტიქიით დაზარალდა 696 ობიექტი, რომლის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 4 985 000 ლარი.

აქვე შენიშვნის სახით უნდა ითქვას რომ ამ თანხებში შედის ცალკეულ ინდივიდებზე მიყენებული ზარალის შესაბამისი ანაზღაურებაც, ხოლო მიმდინარე 2018 წლის ბიუჯეტში, 2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში სტიქიით მიყენებული ზარალის, ობიექტების რეაბილიტაცია-განახლებაზე სახელმწიფოს მიერ კვლავ გამოყოფილი დამატებითი დაფინანსება 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის მოცულობისაა.

საერთო მონაცემებით მხოლოდ მითითებული ოთხი წლის მანძილზე დაზარალდა 1436 ობიექტი, რომელთა აღდგენით სამუშაოებს ან ახლის შექმნას მოხმარდა 8 227 745 ლარი.

აგრარულ სექტორზე სტატიის წინა ნაწილშიც ვისაუბრეთ, მაგრამ საკითხზე, რომელზედაც ახლა ვსაუბრობთ ცალკე თემაა და ითვალისწინებს სოფლის კეთილმოწყობიდან დაწყებული რიგ მიმდინარე და გადაუდებელი საკითხების წესრიგში მოყვანას. ამ საზით:

- 2013 წელს განხორციელდა 193 პროექტი, რომელზეც გაიხარჯა 707 704 ლარი.
 - 2014 წელს განხორციელდა 218 პროექტი, რომელზეც გაიხარჯა 694 638 ლარი.
 - 2015 წელს განხორციელდა 170 პროექტი, რომელზეც გაიხარჯა 691 558 ლარი.
 - 2016 წელს განხორციელდა 225 პროექტი, რომელზეც გაიხარჯა 661 272 ლარი.
- საერთო მონაცემით განხორციელდა 807 პროექტი, რომელზეც მთლიანად გაიხარჯა 2 735 871 ლარი.

– რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები:

ჩვენ ამ ფონდიდან ინვესტირებებს დიფერენცირებულადაც შევხებით, მაგრამ, ამჯერად ვნახოთ საერთო მონაცემები, რადგანაც ამ ფონდიდან ფინანსირებებს დაემყარა მუნიციპალიტეტის სამოქმედო სივრცეში ყველაზე მსხვილი ინვესტიციების გაღებაც და მასშტაბიან სამუშაოთა შესრულებაც, თუმცა ეს არ აკნინებს ზემოჩამოთვლილ შესრულებულ სამუშაოთა და გახარჯული თანხების მნიშვნელობას.

- მითითებული ფონდი მუნიციპალიტეტის სივრცეში ჩართული ჩანს 2013 წლიდან და იმავე წელს შეასრულა 8 პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა მიმართულების 1 188 553 ლარის სამუშაო.
 - 2014 წელს მათ მიერ შესრულდა 1 265 113 ლარის 11 პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა დანიშნულების სამუშაო.
 - 2015 წელს მათ მიერ 7 სხვადასხვა პროექტზე გაიხარჯა 1 756 846 ლარი.
 - 2016 წელს 8 სხვადასხვა პროექტზე გაიხარჯა 2 561 455 ლარი.
 - 2017 წელს 20 სხვადასხვა პროექტზე გაიხარჯა 4 589 826 ლარი.
- სულ მითითებულმა ფონდმა 5 წლის მანძილზე რაიონში განხორციელა 54 სხვადასხვა მოცულობის პროექტი და გახარჯა 11 361 793 ლარი.

– ადგილობრივი ბიუჯეტით:

- 2013 წელს განხორციელდა 39 პროექტი, ღირებულებით 354 870 ლარი.
- 2014 წელს განხორციელდა 31 პროექტი, ღირებულებით 1 592 115 ლარი.
- 2015 წელს განხორციელდა 53 პროექტი, ღირებულებით 664 098 ლარი.
- 2016 წელს განხორციელდა 53 პროექტი, ღირებულებით 854 375 ლარი.
- 2017 წელს განხორციელდა 5 პროექტი, ღირებულებით 215 667 ლარი.

საერთო მოცულობაში განხორციელდა 181 პროექტი, რომელზედაც გაიხარჯა 3 681 125 ლარი.

მკითხველს კვლავ ბოდიშს ვუხდით სტატისტიკური მონაცემების ჭარბად მოშველიებისათვის, მაგრამ მხედველობაში გვაქვს ის, რომ აღნიშნული პერიოდი ნარმოადგენს რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის მოკლე ხანში(4-5 წლიან ციკლში) განხორციელებულ მნიშვნელოვან ძალისხმევას და ჩვენი კრებულის (ჟურნალის) ხაისათიდან გამომდინარე საჭიროდ ჩავთვალეთ ვილაპარაკოთ ფაქტებით, რადგან ეს რჩება რაიონის ისტორიას.

ახლა მივუბრინდეთ ზემოდაპირებულ „რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდს“:

2013 წელი

N	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	სამუშაოს დასახელება	სულ	სამუშაო	პროექტირება
1	შუამთა	შუამთა	შუამთა-მუქედის გზის მშენებლობა	260,457	260,457	
2	ზეინდარი	ზეინდარი	ზეინდარი-ფერეთას გზის მშენებლობა	580,444	580,444	
3	ქვანი	ქვანი	ქ. ვანში სააკაძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია	21,907	21,907	

4	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ. ვანში თამარ მეფის ქუჩის პირველი ჩიხის გასწვრივ მდინარე სულორზე ნაპირსამაგრის მოწყობა	70,764	70,764	
5	შუამთა	შუამთა	შუამთის თემში მდინარე ყუმურზე ნაპირსამაგრის მოწყობა	71,803	71,803	
6	სალომინაო	სალომინაო	სალომინაოს თემში ჭალის ტერიტორიაზე სახნავ-სათესი მიწების საწრეტი არხის მოწყობა	17,000	17,000	
7	ამაღლება	ამაღლება	ამაღლების თემში მდინარე კვინწყალისა და კორწყალის შესართავთან ნაპირსამაგრის მოწყობა	22,790	22,790	
8	ტობანიერი	ტობანიერი	ტობანიერის თემში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა	107,288	107,288	
9	-	-	პროექტირება და ექსპერტიზა	36,100		36,100
			ჯამი	1,188,553	1,152,453	36,100

2014 წელი

N	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	2014 წლის რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან	სულ	სამუშაო ღირებულება	პროექტირება
1	სალხინო	სალხინო	სალხინოს თემში ჯვარისერის გადასახვევიდან სალხინოს სკოლამდე 45 სანათის მოწყობა	22,320	21,970	350
2	ქ. ვანი	ქ. ვანი	ვანი-გაღმავანის გზაზე 40 სანათის მოწყობა	20,740	20,290	450
3	ქ. ვანი	ქ. ვანი	ქ.ვანში მშვიდობის გორაზე დასასვენებელი პარკის მოწყობა	85,001	80,001	5,000
4	ქ. ვანი	ქ. ვანი	ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია	181,518	170,518	11,000
5	ქ. ვანი	ქ. ვანი	ბარათაშვილის ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის შავი საფარის მოწყობა	166,841	163,841	3,000
6	ზედავანი	ზედავანი	ზედავანი-მერესგზაზე ასფალტო-ბეტონის შავი საფარის მოწყობა	272,510	267,710	4,800
7	დიხაშხო	ისრითი	ისრითის სულორის ცენტრალური საავტომობილო გზიდან მულუხის თემის (მაშხაპი) მიმართულებით ასფალტობეტონის შავი საფარის მოწყობა	264,183	259,383	4,800

8	ქ. ვანი	ქ. ვანი	ქ. ვანის N2 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი	55,695	53,195	2,500
9	ზედავანი	ზედავანი	ზედა ვანის საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი	84,179	81,679	2,500
10	სალხინო	სალხინო	სალხინოს საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი	57,320	54,820	2,500
11	ამალღება	ამალღება	ამალღების საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი	54,805	52,305	2,500
	სულ		ჯამი	1,265,113	1,225,713	39,400

2015 წელი

N	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	2015 წლის რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან	სულ	სამუშაო ღირებულება	პროექტირება
1			საპროექტო სახარტოლრიცვო დოკუმენტაციის ღირებულება	41,140		41,140
2	სალხინო	სალხინო	სალხინოს თემში, ჯვარისერის გადასახვევიდან სალხინოს მიმართულებით, (ვანი სულორის საავტომობილო გზამდე) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	442,702	442,702	
3	ამალღება	ამალღება	ამალღება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია კოპიტნარის მიმართულებით	235,600	235,600	
4	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ.ვანში თავისუფლების ქუჩაზე სპორტკომპლექსის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)	323,366	323,366	
5	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ.ვანი კულტურის სახლის რეაბილიტაცია	271,000	271,000	
6	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ.ვანში,ტაბიძე-ბაგრატის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია	165,618	165,618	
7	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ.ვანის N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	277,420	277,420	
			ჯამი	1,756,846	1,715,706	

2016 წელი

N	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	2016 წლის რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან	სულ	სამუშაო ღირებულება	პროექტირება
1	ქ. ვანი	ქ.ვანი	ვანი-ზედავანის გზის რეაბილიტაცია	184,606	184,606	
2	დიხაშხო	დიხაშხო	დიხაშხოს თემის ცენტრიდან ჭალის მიმართულებით (ბაღდათი-ვანი-დაფნარის საავტომობილო მაგისტრალამდე) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	398,881	398,881	
3	დიხაშხო	დიხაშხო	ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს და ბზვანის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის	396,158	396,158	
4	ტობანიერი	ტობანიერი	ტობანიერი-ყუმურის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	549,250	549,250	

5	ამაღლება	ამაღლება	ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ინჰაჟურის მიმართულებით	323,771	323,771	
6	დიხაშხო	დიხაშხო	ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს თემის ცენტრიდან დედათა მონასტრის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	298,542	298,542	
7	ზეინდარი	ზეინდარი	ვანის მუნიციპალიტეტის ზეინდარისა და სალომინას თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	339,517	339,517	
8	დიხაშხო	დიხაშხო	ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს თემის ცენტრიდან დედათა მონასტრის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	70,730	70,730	
			ჯამი	2,561,455	2,561,455	

2017 წელი

N	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	პროექტის დასახელება	გაფორმებული ხელშეკრულება	მათ შორის		საკასო შესრულება
					სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საკუთარი სახსრები	
			სულ	4,589,826	3,311,965	1,277,861	3,596,048
1	ქ. ვანი	ქ. ვანი	ქ. ვანში 26 მაისის და სოლომონ მეორის ქუჩების კვეთაზე სკვერის რეკონსტრუქცია	200,020	181,382	18,638	მიმდინარე ხელშეკრულება
2	ქ. ვანი	ქ. ვანი	ქ. ვანში ცენტრალური მოედნის ჩრდილოეთით სკვერის რეაბილიტაცია	95,065	90,195	4,870	მიმდინარე ხელშეკრულება
3	ქ. ვანი	ქ. ვანი	ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე ეპარქიის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია	213,026	193,176	19,850	მიმდინარე ხელშეკრულება
4	უხუთი	უხუთი	უხუთის საბავშვო ბაღის მშენებლობა	179,316	169,326	9,990	176,862
5	ტობანიერი	ტობანიერი	ტობანიერი-ყუმურის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზა	522,500	344,328	178,173	520,718
6	დიხაშხო	დიხაშხო	დიხაშხო-ზვანის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზა	285,000	187,815	97,185	284,976
7	გორა	გორა	გორა-უხუთის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზა	540,000	355,860	184,140	538,502

8	სულორი	სულორი	სულორი-ძულუხის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზა	514,272	338,905	175,367	512,984
9	ქ. ვანი	ქ. ვანი	ქ. ვანში ჩახუნაშვილის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	345,893	227,944	117,949	295,972
10	მუქედი	მუქედი	მუქედის თემში სოფლის ცენტრიდან სკოლამდე საავტომობილო გზა	272,923	179,856	93,067	244,361
11	ქ. ვანი	ქ. ვანი	ქ. ვანში თავისუფლების ქუჩის ტურბაზის ჩიხის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	40,906	26,957	13,949	37,131
12	დიხაშხო	დიხაშხო	დიხაშხო თემიდან ჭალის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია	183,910	121,648	62,262	183,326
13	სალხინო	სალხინო	სალხინო-ზენობნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	90,090	59,369	30,721	89,078
14	სულორი	სულორი	სულორის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	164,991	108,729	56,262	161,776
15	ციხესულორი	ციხესულორი	ციხესულორის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	195,000	128,505	66,495	191,932
16	ზზვანი	ზზვანი	ზზვანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	140,000	92,260	47,740	138,534
17	შუამთა	შუამთა	შუამთის საბავშვო ბაღის მშენებლობა	143,500	94,567	48,933	137,268
18	ტობანიერი	ტობანიერი	კალისტრატე ცინცაძის სახლ-მუზეუმის მშენებლობა	100,000	65,900	34,100	82,628
19	-	-	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა	234,177	222,468	11,709	მიმდინარე ხელშეკრულება
20	ქ. ვანი	ქ. ვანი	სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა	129,237	122,775	6,462	მიმდინარე ხელშეკრულება

სამწუხროდ, ჩვენ არც სტატიის და არც კრებულის ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას აქ დეტალურად ვისაუბროთ ყველა განხორციელებულ პროგრამაზე... მაგრამ თავს უფლებას მივცემთ ასევე გამოკვეთილად შევხვით საგანმანათლებლო პროცესებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბაზების ფუნქციონირების საკითხებისადმი განეულ ძალისხმევას.

ვანში ამჟამად (მუნიციპალიტეტში) სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი, რომლებმაც 2015-2017 წლების პერიოდში განიცადეს მასშტაბური რეაბილიტაცია და იგი შეეხო გამონაკლისის გარდა ოცდაოთხივე დაწესებულებას, არაფერს ვამბობთ კვებისა და მოვლის ფენომენზე. „კვლევის ცენტრი“ არ ცდილობს იდეალური სურათის დახატვას, მაგრამ ფაქტები სახეზეა. ამავე პერიოდში აშენდა ორი ახალი, ხოლო მიმდინარე წელს ექსპლუატაციაში გაეშვა უხუთის ახლადაგებული საბავშვო ბაღი. ვინც გადახედავს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის შესახებ განხორციელებულ სამუშაოთა ნუსხას (გეგმას თავისი შესრულებით) დარწმუნდება გაკეთებული საქმის მოცულობაში. 1 910 275 ლარი გაიხარჯა შენობების, ეზო-კარმიდამოს და ინვენტარით უზრუნველყოფის საქმე-

ში. აქვე აღვნიშნეთ, რომ საქმეთა მონესრიგებაში სოლიდურია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანამონაწილეობაც.

ვანის მუნიციპალიტეტის სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის კუთხით გაიხარჯა 1 777 278 ლარი, შეეხო იგი უშუალოდ 14 საჯარო სკოლას, რითაც მონესრიგდა სასწავლო მატერიალური ბაზა, ყველა ეს სამუშაო განხორციელდა 2013-2014 წლებში ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ.

დამატებით – სოფელ ზედა ვანში 2015 წელს აშენდა ახალი ორსართულიანი თანამედროვე სტანდარტის სკოლა, გათვლილი 192 მოსწავლეზე, ღირებულებამ შეადგინა 1 279 459 ლარი, იმავე სკოლაში მოეწყო სამედიცინო კაბინეტი, აღიჭურვა სასკოლო ინვენტარით, ასე, რომ ამ სკოლაზე განეულმა ყველა ხარჯმა შეადგინა 1 459 000 ლარი.

– სოფელ რომანეთში აშენდა ახალი მცირე კონტინგენტიანი საჯარო სკოლა, რომელზედაც დაიხარჯა 300 000 ლარი.

– სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლას ჩაერიცხა 701 000 ლარი, სადაც 2018 წელს განხორციელდება სკოლის სრული რეაბილიტაცია.

უდიდესი შენაძენია რაიონისათვის სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის წმინდანად შერაცხული, ვანელი კაცის კალისტრატე ცინცაძის სახლ-მუზეუმის აგება სოფელ ტობანიერში, რომელიც სახელმწიფოსაგან გამოყოფილ თანხებთან ერთად (65,900 ლარი) ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით (34,100 ლარი) განხორციელდა.

მოუნესრიგებელი იყო და ქალაქ ვანში მოხდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის რეაბილიტაცია, რომელსაც მოხმარდა 129 237 ლარი, რომელშიდაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონაწილეობამ შეადგინა 6 462 ლარი. რაც შეეხება კულტურულ-სპორტულ ობიექტებს, საინტერესო პროექტით განხორციელდა ვანის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციის საკითხი ღირებულებამ შეადგინა 632 284 ლარი; ვანის კომპლექსური სპორტდარბაზის რეაბილიტაცია 504 884 ლარი; ცენტრალური სტადიონის აღდგენითი სამუშაოები 282 515 ლარი.

ჯეროვანი პირობები შეექმნა მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარებას, მისთვის აგებული იქნა საწვრთნელი და სათამაშო მოედანი, გაიხარჯა 114 698 ლარი, ხოლო თვით სახეობა გამოიყო და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ა(ა)იპად, დამოუკიდებელი ფინანსებით, თუ მხედველობაში მივიღებთ ცალკეულ ღონისძიებათა ჩატარებაზე 2013-2017 წლებში გამოყოფილ დაფინანსებასაც საკმაოდ სოლიდური თანხის ჯამს ვიღებთ, ასე, რომ ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ამ მოკლე მონაკვეთის მანძილზე ძვრები მნიშვნელოვანია. **საბოლოო მონაცემებით შეხება მოხდა 2479 ობიექტზე (ვიმეორებთ, მცირე სარესტავრაციო სამუშაოებიდან დამთავრებული მსხვილი პროექტების ჩათვლით) შესრულებულია 26 006 534 ლარის სამუშაო** (ამ მონაცემში არ შედის დანახარჯები საჯარო სკოლების აგება-რეაბილიტაციაზე). „კვლევის ცენტრი“ ენდობა ამ მოცულობებს, საქმე გაკეთებულია და ჩანს ვიზუალურადაც.

რაც შეეხება სამომავლო პერსპექტიულ ხედვებს, მნიშვნელოვანია, რომ განახლდა ქართველთათვის უდიდესი ისტორიული და კულტურული ცენტრის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც წლების წინ პოლიტიკაში გადატანილ დაპირისპირებებს ემსხვერპლა. დღეს იგი შენდება თავიდან და იქნება ერთ-ერთი კულტურული შენაძენი ვანისათვის და რა თქმა უნდა, ქვეყნისათვის.

იმ დროს როდესაც ეს სტრიქონები იწერება დასრულებულია არქეოლოგიური გათხრების სარესტავრაციო სამუშაოები გადახურვებით, ობიექტებზე გზების მიყვანით და ა.შ. ხოლო რაც შეეხება მუზეუმს იგი დასრულდება 2019 წლის დასაწყისისათვის. მიმდინარეობს ზრუნვა „ვანი“ არამარტო ნაკრძალ, არამედ ტურისტულ ქალაქადაც ჩამოყალიბდეს, საამისო პოტენციალი მას ნამდვილად გააჩნია და იგი გაჟღერდა მაშინდელი დეპუტატობის კანდიდატის (შემდეგ პარლამენტის წევრის) ბატონ გრიგოლ ლილუაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ეს პროცესი

შემდეგში ნაბიჯ-ნაბიჯ იკრებს ძალას და ყოველგვარი ფამილარების გარეშე იგრძნობოდა კიდევაც მისი მხარდაჭერა. გამიზნულია ქალაქის იერსახის მნიშვნელოვანი ცვლა სკვერების, ქუჩების კეთილმოწყობით, არსებული ობიექტების განახლებითი პროცესებიდან, ახლის შექმნით. აქცენტი გადადის კულტურულ-საგანმანათლებლო-სპორტულ-სახელოვნებო პოზიციების გამყარებაზე, რითაც ვანის რაიონი გამოირჩეოდა და შემდეგში დროთა სვლამ იმსხვერპლა. ამიტომაც „კვლევის ცენტრი“ მიესალმება ყველა ახალ ნამოწყებას, რომელიც პრაქტიკულ საფუძველს დაუდებს ვანის ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ მომძლავრებას. ვანელებმა უნდა თქვან პირველი სიტყვა ამ სამქეში, გავიმეორებთ დასაწყისში ნათქვამს — სახელმწიფო ძალისხმევასთან ერთად, რომელიც ჩვენი საუბრისას (თუმცა არასრულყოფილად) გამოიკვეთა, ვანელებმა უნდა მივხედოთ ვანს, ამიტომაც ურთულესი გამოწვევის წინაშეა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაც და მათი ხელმძღვანელები, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი და მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გოგორიშვილი. გვინდა ვირწმუნოთ, რომ შეძლებენ ხალხის გაყოლიებას და ნამოწყებულ და ნამოსაწყებ საქმეებს ბოლომდე მიიტანენ იმ პოზიციებთან ერთად, რომელიც დაგეგმილია 2018 წელს და რომელთა ზოგიერთ მონაცემებზე საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას და საქმეს მხარს უჭერს გაზრდილი ბიუჯეტიც, რომელიც **13 558 000** ლარით განისაზღვრა, საიდანაც **7 168 300** ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის წილია, რეგიონალურ განვითარების ფონდიდან დამტკიცდა **3 600 784** ლარი და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბრის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ დამატებით ჩაშვებულია 2 მილიონი ლარი, საერთო მოცულობაში პრიორიტეტი ენიჭება არასასაკოლო ასაკამდელ ბავშვებზე მზრუნველობას, რის საფუძველზეც საბავშვო ბაღების გაერთიანება ფინანსდება **980 000** ლარით, სპორტული, კულტურული და მუსიკალური ა(ა)იპების განვითარებასა და სრულქმნას მოხმარდება **1 050 000** ლარი, წინა წლებთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა სოციალურ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, ამ მხრივ რამდენადმე სრულყოფილი და გაუმჯობესებულია პროგრამებიც, დახმარება გაენევით სოციალურად დაუცველ სტუდენტებსაც.

ბიუჯეტის დანარჩენი თანხები ძირითადად მიმართულია ვანის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, ამ მიმართულებით რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილ **3600784** ლარს დამატება თანადაფინანსება **198 516** ლარი, ამ მოცულობაში განხორციელდება უკვე დაგეგმილი და გათვალისწინებული პროექტები:

1. ტობანიერი-ყუმურის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომლის სამუშაო ღირებულებაა **300 000** ლარი.
2. ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომლის სამუშაო ღირებულებაა **676 350** ლარი.
3. ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, (კოპიტანრის მიმართულებით – **250 000** ლარი).
4. ქალაქ ვანში 26 მაისის ქუჩის პირველი შესახვევის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით **136 610** ლარი.
5. ქალაქ ვანში წერეთლის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – **256 220** ლარი.
6. ქალაქ ვანში გიორგაძის ქუჩის რეაბილიტაცია – **180 000** ლარი.
7. ქალაქ ვანში წმინდა ნინოს ქუჩის რეაბილიტაცია — **398 620** ლარი.
8. გორა-უხუთის თემების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია **316 800** ლარი.
9. ზედა ვანი-გადიდის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია **300 000** ლარი.
10. ბზვანის თემის, დაფნარი-ვანი-ბაღდადის მაგისტრალთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია **500 000** ლარი.

11. ქალაქ ვანში ერისთავის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 325 700 ლარი.

12. შუამთის საბავშვო ბაღის მშენებლობა 150 000 ლარი.

გათვალისწინებულია სპორტული ინფრასტრუქტურის, გარეგანათების, სკოლამდელი დაწესებულებების, კომუნალური მეურნეობის (რომელზედაც გამოყოფილია სოლიდური ხარჯები) და ა.შ. მოვლა-შენახვისა და აღდგენითი სამუშაოების ხარჯები. ამასთან, ჩამოთვლილ ობიექტებზე სამუშაო პროცესები იწყება 2018 წლის მარტის შუა რიცხვებიდან.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ეხება იგი სამიმოსვლო გზებს, როგორც კომუნიკაციის მნიშვნელოვან ფაქტორს, ამ საკითხზე მითითებულ ცხრილებშიც კარგად ჩანს ცალკეული დეტალები, მაგრამ მუნიციპალიტეტის სოფელთა და საქალაქთაშორისო საგზაო კომუნიკაციების პრობლემები აშკარა გახდა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ მოშლილობას დაემთხვა და ხანგრძლივი პერიოდით მასზე ზრუნვა (პერიფერიებში მაინც) თითქმის გამოირიცხა დღის წესრიგიდან. XXI საუკუნის საწყის ეტაპზე ზოგიერთი მცდელობის მიუხედავად საკითხი ვერ დაწესრიგდა. ეს იყო არა მარტო ადამიანთა, არამედ ეკონომიკური ურთიერთობის ხელშემშლელი ფაქტორიც. ამჟამად, ეს პროცესი დაიძრა და საკმაოდ საფუძვლიანადაც. ის რომ რამდენადმე მონესრიგდა შიგასაუბნო, სოფელთა შორის დამაკავშირებელი გზები, 4 წლიან ციკლში დაგებულ იქნა 58 კმ-იანი (საერთო მოცულობით) ასფალტ-ბეტონირებული გზა ვანი-ჭყვიშის, ვანი-მუქედის, ვანი-ტობანიერის, სულორი-ძულუხის, ვანი-ზედავანის, ვანი-ამალლების მონაკვეთს, შუაგორასა და უხუთის კონკრეტულ მიმართულებებზე, დიხაშხო-ბზვანის და ა.შ.¹ აღდგენილი იქნა ცენტრალური ტრასის ის მიმართულებები, რომლებიც საჭიროებდა გადაუდებელ შეკეთებას. აგებულ იქნა, ან შეკეთდა არაერთი ხიდი და ბოგირი. 2018 წლისათვის კი დაგეგმილია 20 კმ-იანი ასფალტ-ბეტონირებული გზების დაგება იმ მონაკვეთებზე, სადაც ამის აუცილებლობაა.

და თუ ძალიან არ გაგვიგრძელდა საუბარი, ათეული კილომეტრებით ტრასაა გაყვანილი გაზომარაგების კომპანიის მიერ. ბუნებრივი აირი შეყვანილია მაღალმთიან სოფლებშიც ახლახან დამთავრდა სოფელ ძულუხის მიმართულებით 5 კმ-იანი ტრასის მშენებლობაც. ინტენსიურად მიმდინარეობდა წყალმომარაგების კომპანიის საქმიანობაც. საგრძნობია მოსახლეობაზე მუნიციპალიტეტის მერიის ნაშველებაც ცალკეული უბნების მიხედვით წყალსადინარი საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში. ყველაფერი ეს ღამის განათებების ინტენსიურ მონტაჟთან ერთად მიმართულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ორიოდე სიტყვით ცალკე უნდა ვთქვათ ბიზნესმენებზე **ბეჟან ნაქაძესა და ზაურ თათვიძეზე**. მათ არაერთი ღირსეული საქმე განახორციელეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ეს საქმიანობა გააქტიურებული ჩანს 2013-2017 წლებშიც იმასთან ერთად, რომ ეს პიროვნებები, უშურველი ქველმოქმედები არიან, ცდილობენ სანარმოო პოტენციალის შექმნაზეც.

ბეჟან ნაქაძემ – უკვე დაასრულა თანამედროვე ტიპის, სამშენებლო, კომპოზიციური არმატურების გამოშვებისათვის კორპუსების მშენებლობა, სანარმოს ყოველდღიური წარმადობა იქნება 26 გრძივი კილომეტრი და ექსპლუატაციაში გაეშვება მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისში, სადაც დასაქმდება 15-20 კაცი. მასვე განზრახული აქვს მუნიციპალიტეტის 4 სოფელში ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე მინი სანარმოების შექმნა. უახლოეს დღეებში დაიწყებს ქალაქის ტერიტორიაზე ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას და ა.შ.

ზაურ თათვიძემ – რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია ჩაუტარა რაიონის ბაზარს, ქალაქის ცენტრში ექსპლუატაციაში გაუშვა პურ-ფუნთოშუშეულის სანარმო, უკვე შეუდგა ხილ-კენკროვანთა სანერგე მეურნეობის გაშენებას 4 ჰა-ზე, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებით, ხოლო სოფელ შუამთაში აშენებს ხეხილის ბაღს 8 ჰა-ზე, სა-

¹ საკითხზე იხილეთ სტატიაში მოცემული ცხრილები 2014-2017 წლებში განცორციელებული სამუშაოების მიხედვით

დაც ადგილობრივ ჯიშებთან ერთად იქნება მაღალნაყოფიერი უცხოური ჯიშებიც. უკვე დაწყებული აქვს მუშაობა საკონდიტრო საამქროს ამოქმედებისათვის, რომლისთვისაც შემოტანილია უცხოური დანადგარები. პრინციპში მისი ექსპლოატაციაში გაშვებით მთლიანობაში შესძლებს დაასაქმოს 100-მდე კაცი.

„კვლევის ცენტრი“ არ ცდილობს იდეალიზება მოახდინოს იმ პროცესებისა, რომელიც გადაჭრილ და გადასაჭრელ წრეშია მოხვედრილი, იდეალიზებისგან ჯერ კიდევ საკმაო მანძილი გვაშორებს. სირთულეებია დასაქმების საკითხებში, რომელიც ახალი საწარმოების შექმნას უკავშირდება, რაც ღონისძიებათა კომპლექსურ გააზრებასა და პრაქტიკულ ქმედებებზე გადასვლას ითხოვს მიგრაციული პროცესებიდან გამომდინარე. მოსალოდნელია მწარმოებლური ძალების დეფიციტიც, მიგრაცია, რომელიც შიმშილის შიშს უკავშირდება უნდა შეწყდეს, მაქსიმალურადაა მისახედი სოფლურ დასახლებებს, რადგანაც ჩვენი მონაცემებით უკვე დგას ნასახლარების „ჩამოყალიბების“ პროცესიც, ჯერ კიდევ სოლიდურია გაჭირვებული ოჯახებისა და მცხოვრებთა რაოდენობა. მართალია სახელმწიფოსაგან ეს კატეგორია იღებს დახმარებებს და ნამდვილად გამოკვეთილია სოციალური დახმარებების ზრდის ტენდენციაც, მაგრამ ამ მხრივ საჭირო იქნება დამუშავებული კომპლექსური მიდგომაც სათანადო პრაქტიკით. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვანის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის მიერ „კვლევის ცენტრისადმი“ მონოდებული ინფორმაციით ჩანს ჯერ კიდევ პრობლემებია კოოპერატივებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების ხელმიუწვდომლობაში, არასაკმარისია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სამაცივრე და შემნახველი საწარმოები, გასათვალისწინებელია აგროდაზღვევის პროგრამაში სტიქიური მოვლენებიც. მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, გადასაწყვეტია ქალის ფართობებში სადრენაჟე არხების გაყვანის საკითხი და ა.შ. აგრარულ რაიონებში პრობლემები მუდმივად დგას და იქნება კიდევაც, ამაში ახალი არაფერია, მაგრამ მთავარია მიდგომის სიზუსტე და კოორდინაცია. ვთვლით, რომ გადადგმულმა ნაბიჯებმა, შესრულებულმა სამუშაოებმა, რომლებიც სიტუაციის გაჯანსაღებისკენაა მიმართული, ხანგრძლივი სტაგნაციის შემდეგ იმედი ჩასახა. სწორედ, ამას სჭირდება მოფრთხილება და მოქმედებაში გაშლაც.

დაახლოებით ასეთია მოკლე მონახაზი იმ შესრულებული და პერსპექტიული სამუშაოებიდან, რომელიც ვანს, მის მოსახლეობასა და ხელმძღვანელობას ელოდება წინ და რომელ გზაზედაც დალლა არ შეიძლება, რადგანაც თითოეული მათგანი წარმოადგენს გონიერ ადამიანთათვის სასიამოვნო პროცედურას, რადგანაც ცხოვრების ხიბლი აღმშენებლობასა და გონივრული სიახლის ძიებაშია.

„კვლევის ცენტრი“ თავის მხრივ მზადაა გვერდით დგომისათვის და წარმატებებს უსურვებს ვანსა და ვანელებს, მათ ხელმძღვანელებს განახლებული ვანისათვის ბრძოლაში.

„კვლევის ცენტრი“ მაღლობას უხდის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ვანის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურს (ვ. სანადირაძეს, გ. ხარაბაძეს).

ვანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურს (მ. ნამიჭვიშვილს).

ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურს (ვ. მამფორიას).

მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (ვ. კორძაძე).

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების (ბალების) გაერთიანების სამსახურს (გ. სიგუას).

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს (მ. სვანაძე), რომ „კვლევის ცენტრის“ თხოვნით ნაიმუშავეს და მოგვანოდეს ღირებული მასალები, რომლებიც გამოყენებული იქნა „კვლევის ცენტრის“ მიერ წინამდებარე სტატიის მომზადებისათვის.

ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისაგან

„ისე, როგორც „არ არსებობს უსიტყვო აზროვნება“, ასევე ნორმალურ, გონიერ ადამიანთა მიერ გადადგმულ ნაბიჯებში არ არსებობს უმიზნო მოქმედება. „ვანის რაიონის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“, რომელიც 2014 წლის იანვარში იქნა დაფუძნებული ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) გამგეობასთან, ხანგრძლივი ფიქრის, შესაბამისი დონისა და ინტელექტუალური მონაცემების მქონე ადამიანებთან აზრთა შეჯერებისა და განსჯის შედეგია, იმ კეთილშობილური მიზნით, რომ ვიკვლიოთ, შევისწავლოთ, გავაანალიზოთ ის ყურადსაღები მოვლენები, რომლებიც განვითარდა დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიულ სივრცეში, როგორც ძველ, ასევე ახალი და უახლესი ისტორიის მონაკვეთზე. მატინანის ფორმით შემოვიწინაოთ ისინი, შეძლებისდაგვარად გავასაჯაროოთ, გადავცეთ მომავალ თაობას, შევუქმნათ მათ შესაძლებლობა მშობლიური რაიონის ისტორიაში უფრო ღრმა ნიაღვრებისათვის, მოვიზიდოთ ამ საქმით დაინტერესებული ახალგაზრდები, ჩავერთოთ კვლევებში და გადავცეთ მათ ესტაფეტა“.

ამ სიტყვებით დავიწყეთ კრებულ „მატიანეს“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია, რომელიც „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ დაფუძნების მიზნებსა და ამოცანებს ეხებოდა და რომელსაც ოდნავ შემოკლებული ფორმით კვლავ ვთავაზობთ ჩვენს ერთგულ მკითხველსა და მეგობრებს. თუმცა, დღიდან ცენტრის დაარსებისა გავიდა კონკრეტული დრო და ალბთ დადგა უამი ვილაპარაკოთ შესრულებულ, განხორციელებულ საქმეებზეც, რომლის მოკლე ანოტაციაც განეული საქმიანობის შესახებ კრებულ „მატიანეს“ მე-6 ნომრის მეშვეობით უკვე მივანოდეთ საზოგადოებას.

...„ცხადია, ეს საქმიანობა სამუშაო პროცესში მოითხოვს მოპოვებული მასალების არაერთ-განზომილებიან, მშვიდ გააზრებას, ფართოთვალსაწიერიდან გაკეთებულ საფუძვლიან შეფასებებს, ინტენსიურ ძიებას, ჯეროვან ხელშეწყობას, ბაზასაც და რაც მთავარია ჩვენი ერის ისტორიის კარგ ცოდნასაც, რადგანაც „ვანი“ ვერც საუკუნეთა მიღმა და ვერც დღევანდელობაში ვერ იქნება შესწავლილი და განხილული ცალკე, სრულიად ქართულ სივრცეში განვითარებული მოვლენებისაგან დისტანცირებულად.

ვანი ერთ-ერთი ხიბლიანი რაიონია საქართველოსა და იმერეთის რეგიონში, თავისი უბრწყინვალესი ანტიკურ-ისტორიული წარსულით, ნაკლებად შესწავლილი ადრეული და გვიანი ფეოდალური ხანის ისტორიით, მეოცე საუკუნის ზიგზაგობრივი პერიოდებით, საკმაოდ დამძიმებული დღევანდელიობითა და უკეთესი მომავლის რწმენით. ვანი ლამაზია არა მარტო თავისი მომხიბლავი კოლორიტით, არამედ იმ ადამიანების პლეადით, რომლებიც, ასევე ისტორიის სიგრძე-სიგანეზე, განსაკუთრებულად მე-20 საუკუნის მთელს მონაკვეთზე, ქართველობასთან ერთად ქმნიდა ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების, ქვეყნის ინდუსტრიული სოფლისა და სამრეწველო პოტენციალის სახეს. როგორც ჩანს, ამიტომაც ვანი წარსულიდან და დღევანდელიობიდან მოქცეულია მკვეთრი თვალთახედვის არეში. ვფიქრობ, ალბათ, არცერთი რაიონი ისეთი განებივრებული არაა მისადმი მიძღვნილი სპეციალური კვლევებითა და გამოცემებით, როგორც ვანი. ფუნდამენტური ნაშრომებია შექმნილი ანტიკურ ვანზე და მერე როგორი მეცნიერების მიერ. ეს სამუშაო დღესაც გრძელდება და, ჩანს ბევრ სიახლესაც უნდა ველოდოთ. მითუმეტეს, აქამდე შესწავლილმაც შექმნა საფუძველი სულ სხვა რაკურსით დანახულიყო ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესაბამისი პერიოდი და პრაქტიკულად სხვა ასპექტში წარმოჩენილიყო საქართველოსა და ქართველი ერის ისტორია. ამ მხრივ, ჩვენ, ვანელებს ნამდვილად გვაქვს საამაყო და მადლობაც უნდა ვთქვათ ყველა იმ თაობის მეცნიერთა მისამართით, რომლებმაც თავიანთი შრომები მიუძღვნეს, წარმოაჩინეს ვანიც და სრულიად საქართველო. რომ არაფერი ვთქვათ ამ საქმეში საზღვარგარეთის ქვეყნების ცნობილ მეცნიერ-არქეოლოგთა ჩართულობაზე და იმ ტრადიციულ სამეცნიერო სიმპოზიუმებზე, რომლებიც აქ, ვანის გათხრების ბაზაზე იმართებოდა და წარმოადგენს ქართველი ერის ძირძველი კულტურისა და მსოფლიო ცივილიზაციაში მისი წვლილის მეცნიერულ დასაბუთებას, მის მკვეთრ

პროპაგანდას, რომელიც ახალ სიმაღლეზე იქნა აყვანილი ბატონ ოთარ ლორთქიფანიძისა და მისი გუნდის მეცნიერთა მიერ.

მორიდებულად უნდა ვთქვა: „კვლევის ცენტრის“ საქმიანობაც ორგანულად უკავშირდება ვანს და ვცდილობთ შესაძლებლობათა დიაპაზონში ვიკვლიოთ დღემდე შეუსწავლელი, ვანთან დაკავშირებული ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხთა წრე, რომლებიც ბოლო დრომდე ყურადღების ქვეშ არ მოქცეულა. ეს კეთდება რამდენადმე ენთუზიაზმის ხარჯზეც, თუმცა, საბედნიეროდ ამ გზაზე მარტონი არა ვართ და გვერდით გვიდგანან ცნობილი მეცნიერები.

„კვლევის ცენტრი“ დაკავებულია არქივებში, კერძო კოლექციებში, მუზეუმებში, ცალკეულ ოჯახებში და ა. შ. არსებული მასალების მოძიებით, მათი თავმოყრით, დაცვითა და შესწავლით, გასაჯაროებითაც. არსებულ პირობებში ეს სამსახური თავის თავზე იღებს დამატებით ფუნქციასაც, რადგან ამ საქმიანობისათვის 1951 წელს შექმნილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი პრაქტიკულად გაუქმებულია. ეს მაშინ, როცა იმ რაიონებში, სადაც ანალოგიური მუზეუმები არ იყო, ან მოუვლელი ჩანდა, დღეს აფუძნებენ და უკეთეს სამუშაო პირობებს უქმნიან მას. მუშაობის შეწყვეტამდე ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რაიონის ყოფისა და ისტორიის მნიშვნელოვანი მასალები იყო მოძიებული და 4000-ზე მეტ ექსპონატს ითვლიდა, მათ შორის 3000-მდე წერილობითს. ყოველივე ამას დღეისათვის თავშესაფარი არ გააჩნია, ნაწილი დაკარგულია.

საინტერესო ამბების, მოვლენათა განვითარების თავისებურებების მომსწრენი გახდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენი თაობაც და პარადოქსების სიმცირეს არც მე-20 საუკუნის მიწურული და არც XXI საუკუნის საწყისი წლები განიცდიდა. საქმე ისაა, რომ რაიონმა დღიდან მისი შექმნისა, 1930 წლიდან, გაიარა (და გადის) ორი უკიდურესად საპირისპირო ეტაპი, იგი აღმოცენდა სოციალისტურ სისტემაში და თანამიმდევრულად განვლო გზა, მემკვიდრეობით მიღებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულად საგრძნობი და მტკივნეული ჩამორჩენილობიდან, წერა-კითხვის საფუძვლიანი უცოდინარობიდან, მონესრიგებულ აგრარულ-ინდუსტრიულ, კულტურულ რაიონად ჩამოყალიბებამდე, რასაც პერმანენტულად ახლდა მასების მდგომარეობის თანამიმდევრული გაუმჯობესება. ხოლო 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც 1963 წელს გაუქმებული რაიონი 1964 წლის ბოლოს აღადგინეს, იგი გავიდა აღმშენებლობის თვისობრივად ახალ ეტაპზე, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს აღმავლობითი (თუ არ ვიხმართ სიტყვა რენესანსულს).

ცხადია, რაიონის განვითარების ისტორიის კონკრეტულ პერიოდს (1930-90წწ) ახლდა მტკივნეული გაკვეთილებიც, ადამიანურ რესურსებში მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული დანაკარგებიც, მაგრამ ამ დროის არცერთი მონაკვეთი არ მიანიშნებს აღმშენებლობისა და მასების მდგომარეობის გაუმჯობესების შეწყვეტაზე, მასობრივ დეგრადირებით-ნგრევით პროცესებზე, რისი უტყუარი დასტურიც იყო რაიონის წარმოჩინება საქართველოს მასშტაბით, რომელიც ეყრდნობოდა ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ და აქედან ყოფითი პირობების გაუმჯობესების შედარებით მონესრიგებულ ბაზას. ამის დასტურია რეალურად ასახული ცხოვრების მაგალითებიც.

1990-იანი წლების დასაწყისს ემთხვევა საბჭოთა კავშირის სივრცეში, მათ შორის საქართველოშიც არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმაციის ცვლა, კვლავ კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლის ეტაპები, ქართველთა მიერ „საკავშირო“ სივრციდან გასვლაც და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება, რომლითაც რაიონის ისტორიაშიც იწყება მეორე, შინაარსობრივი დატვირთვის მიხედვით, უმშვენიერესი, მაგრამ განვითარებულ პროცესთა გამო უმტკივნეულესი პერიოდი. ნგრევისა და უპასუხისმგებლობის ფაქტორმა რამდენადმე გააფერმკრთალა ეროვნული დამოუკიდებლობის, ამ უპირველესი ოცნების, ხიბლი.

გარდა ზემოთქმულისა, XX საუკუნის მთელი მონაკვეთი რაიონის ისტორიისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მან სრულიად საქართველოსთან ერთად განვლო ყველა ეტაპი, გადაიტანა 1905-1907 წლების რევოლუციის სიმძიმეც და ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო რაზმების სისასტიკენი, სტოლიპინის რეფორმებიც, შემდეგ 1917 წლის რევოლუციის შედეგად აღმოცენებული პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხიბლიც და ჩა-

ვარდნებიც, 1921 წელიც, 1924 წლის აჯანყებაც, რომელშიც, კონკრეტულ სიტუაციათა გამო, ვანში მოქმედ აჯანყებულთა არც თუ მრავალრიცხოვან ჯგუფს დაკისრებული ჰქონდა განსაკუთრებული მისია, შემდეგ ქუთაისის ოლქიდან გამოყოფა და რაიონულ, ადმინისტრაციულ ერთეულად ფორმირება, 1963 წელს რაიონის გაუქმება და 1965 წელს კვლავ აღდგენა. 1990 წლის ბოლოდან, როგორც ითქვა, კვლავ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ცვლა თავისი დამახასიათებელი ნიუანსებითა და შედეგებით და ა.შ. ასე რომ, მარტო მეოცე საუკუნე იძლევა არაერთ თემას, რომლის შესწავლა-დამუშავება, ობიექტური გაანალიზება და მომავალი თაობისათვის გადაცემა საჭირო და საშურ საქმედ ჩავთვალეთ.

„კვლევის ცენტრისათვის“ ძალზე საინტერესოა XIX საუკუნის მთელი მონაკვეთიც მნიშვნელოვან სიახლეთა, მოვლენების განვითარებათა ზოგიერთი ფაქტორებით, ქართულ-ფეოდალური სამყაროს კონსერვატიზმით, სამწუხარო, დისკრიმინაციული პოლიტიკის გამოვლინებითაც. ინტერესს იწვევს 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში განხორციელებული რეფორმები – ბატონყმობის გაუქმება, გლეხთა თვითმმართველი ორგანოების (თემსაზოგადოებების) ჩამოყალიბება, ეკონომიკური პოზიციების ცვლა, ყოფილი თავადაზნაურული სამყაროს ფუნქციების დაქვეითება, ლოკალურ სივრცეში სავაჭრო ურთიერთობათა ახლებური ფორმით წარმოჩინება და ა. შ. ყველა ეს პროცესი განვლო ვანმა, ამაზე მასალებიც არსებობს, ბევრიც კიდევ მოსაძიებელია, ოღონდ სჭირდება საფუძვლიანი არატენდენციური შესწავლა. დიდი ილია თავის დროზე ბრძანებდა: „აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლება და გამომხსნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან.“

მინდა დავაზუსტო რომ: მეცნიერ-მკვლევართა ის კორპუსი, რომელიც იკვლევს ანტიკურ ვანს, აქცენტებს აკეთებენ გლობალურად, შესაბამის ეპოქასა და მასში განვითარებულ პროცესებზე, ანტიკური ვანის ადგილზე, მაშინდელ სამყაროსა და მის ცივილიზაციაში. იმაზე, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური-პოლიტიკური გარემო და ურთიერთობანი ედო საფუძვლად ისეთი მაღალგანვითარებული კულტურის შექმნას, რომლითაც ანტიკური ვანი გამოირჩევა.

რაც შეეხება „კვლევის ცენტრს“, ვცდილობთ მოპოვებული მასალების შესწავლა-ანალიზი დაეფუძნოს სანდო, დოკუმენტურ წყაროებს. ყველა კვლევა, როგორც წესი, უნდა იყოს მაქსიმალურად ობიექტურ სანყისებზე აგებული და თავისუფალი ხელოვნურად შეთხზული ფანტაზიებისაგან, რაც არასაფუძვლიანი, დაუზუსტებელი ცნობების შემცველია და ასეთ მაგალითებს წავეყდომივართ ზოგიერთთა მიერ ვანთან დაკავშირებული არაერთი ფაქტის გაშუქებისას. ზუსტად ამან გვიბიძგა ნებისმიერ მოპოვებულ მასალას მოვეკიდოთ სიფრთხილით. აქედან: „კვლევის ცენტრის“ საქმიანობაში მთავარია სიმართლის ძიება, განვითარებული მოვლენების ეპოქასთან შეჯერება, პროცესთა წარმოქმნის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა, შედეგის ანალიზი.

ჩვენ არა მარტო მოვიძიებთ და შევისწავლით მასალებს, არამედ საყურადღებო საკითხებზე მომზადდება ნარკვევები, სტატიები და ა.შ. და როგორც ითქვა, შევეცდებით მათ გასაჯაროებას. ამ მხრივ ადგილობრივი ხელისუფლებაც გვთავაზობს ურთიერთანამშრომლობას, პარალელურად გვერდით დაგვიდგნენ ნიჭიერი ბიზნესმენები, ბატონები ბეჟან ნაქაძე და ზაურ თათვიძე. ამ პიროვნებებს არა ერთი სიკეთე აქვს გაკეთებული ვანისათვის. მათთან მეგობრობამ და პიროვნულმა დამოკიდებულებამაც გაგვიხსნა გზა გადაგვედგა ნაბიჯები „კვლევის ცენტრის“ საგამომცემლო საკითხის გადაჭრაში.

საქმიანობის მთავარ, პერსპექტიულ ღერძად მიგვაჩნია: კვლევებში მოვიწვიოთ და ჩავრთოთ ახალგაზრდობა, საჯარო სკოლების მაღალი საფეხურების პერსპექტიული მოსწავლეებიც, ვანელი სტუდენტებიც. გავუღვივოთ მათ ინტერესი რაიონის ისტორიის კვლევა-შესწავლისათვის, აქედან უფრო ღრმად ჩასწვდნენ და გააცნობიერონ საკუთარი ერისა და რაიონის ისტორია.

ეს იყო თეორიული ნაწილი, უფრო სწორად საპროგრამო ხედვა „კვლევის ცენტრის“ მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც ბოლო ოთხნობიანი ციკლში თანდათან შეყვანილი იქნა მოქმედებაში და საქმიანობა გრძელდება დღესაც.

საბედნიეროდ, კვლევებსა და საკითხთა შესწავლაში მოხერხდა უმაღლესი დონისა და მონაცემების მქონე ადამიანების ჩართვა, რომელთაც ხელეწიფებათ და აქვთ გამოცდილება იკვლიონ საკითხთა, პრობლემათა წყება, გაანალიზონ და როგორც მაღალი რანგის პროფესიონალებმა მისცენ მათ ობიექტური შეფასება. თითოეული მათგანი გახმაურებული შრომების,

არა ერთი მონოგრაფიის ავტორია და ცნობილი არიან ქვეყანაში თავისი სამეცნიერო პოტენციალით. კვლევებში ჩართულ მეცნიერთა და ცალკეულ მკვლევართა 80% ვანელია, რითაც ხაზგასმა კუთხურობაზე კი არ კეთდება, არამედ მათ დაინტერესებასა და ენთუზიაზმზე. გვერდით დაუდგენენ მშობლიურ რაიონს ამ უაღრესად კულტურულ-საგანმანათლებლო განზომილების სამსახურის სრულყოფასა და ქმედუნარიანობაში, რისთვისაც უდიდეს მადლიერების გრძნობას გამოვხატავთ მათ და იმ არავანელი სწავლულების მიმართ, რომლებიც დღიდან „კვლევის ცენტრის“ დაფუძნებისა ჩვენს გვერდით დგანან და დახმარების ხელს გვინვდიან.

უაღრესად ვაფასებთ ცნობილი ბიზნესმენების, ბატონების ბეჟან ნაქაძისა და ზაურ თათვიძის თანადგომას, რომ არა მათი ჩართულობა და შეიძლება ითქვას პირადული მეგობრობაც, შესაძლებელია უდიდესი პრობლემები შეგვექმნოდა მასალათა მოძიების, კვლევების, სტატიების გასაჯაროების საკითხებში, მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული რასაც აკეთებენ და თავიდანვე პროგრამის გაცნობისა და პირველი თხოვნისთანავე დაგვიდგენენ გვერდით.

ამჟამად მოძიებულია, შესწავლილია და გასაჯაროებულია 170 სხვადასხვა მიმართულების საკითხი. აქედან 122 უშუალოდ ეხება ვანის რაიონის ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ ცხოვრებას, რომელთაც კალამი ამ პროცესამდე არ შეხებია, კონკრეტულ პიროვნებებს, რომელთა ღვაწლიც მნიშვნელოვანია ქვეყნისა და რაიონის წინაშე, 48 საკითხი ზოგადქართულია, მაგრამ მასთან შემხებლობა გააჩნია ვანს, როგორც ძველი ანტიკური, ასევე სხვა მომდევნო პერიოდებიდან.

უდიდესი საქმე გაკეთდა საგამომცემლო საკითხის მოგვარებით, კრებული „მატიანე“ კვლევის ცენტრის ორგანო, რომლის სარედაქციო კოლეგიასაც ამჟამად წარმოადგენენ „კვლევის ცენტრის“ დამფუძნებლები:

თეიმურაზ სურგულაძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

ომარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

უჩა დვალისძე – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ლუკა დვალისძე – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

ომარ კაპანაძე – ამ სტრიქონების ავტორი... „კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი, ცდილობენ კოორდინირება გაუკეთონ კვლევების ინტენსიურობას და თანამიმდევრულად აამაღლონ გამოქვეყნებული მასალების აკადემიური დონე.

ამ დროისათვის კრებული შედის მეცნიერებათა აკადემიისა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში, უსასყიდლოდ ურიგდებათ სამეცნიერო წრეებს, ვანის რაიონის საჯარო სკოლებსა და ცენტრალურ ბიბლიოთეკას, მუზეუმებს. დღემდე გამოქვეყნებულია 73 ავტორის მიერ მომზადებული შრომა, სტატია, წერილი. ავტორთაგან 36 – მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორია, 37 – სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი, ისტორიკოსი, გეოგრაფი, დაინტერესებული პირი, სერთიფიცირებული პედაგოგი, ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალისა და გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმების მეცნიერ-მუშაკები, მაგისტრები და ა.შ. „კრებულის“ (ყურნალი) მე-10 ნომერში 11 გვერდი დაეთმო თანამდეროვე ვანელ პოეტებსა და მათ პოეზიას, ბევრი მათგანი დამწყებია და კვლევის ცენტრი ცდილობს ამ გზით ხელი შეუწყოს მათ შემოქმედებით ჩამოყალიბებას და დაოსტატებას, შესწავლილია რაიონის 16 და უკვე გასაჯაროებულია 10 სოფლის ისტორია, მოძიებულია 1200-ზე მეტი ტოპონიმი და ა.შ.

მადლიერების გრძნობა უნდა გამოვხატო ყველა იმ მეცნიერისა და ავტორთა მისამართით, რომლებიც დღიდან დაფუძნებისა გვერდით უდგნენ და უდგანან „კვლევის ცენტრს“ და თავიანთი საქმიანობით და რაიონის პირობებში ამ უდიდესი კულტურული ისტორიული განზომილების საქმის წარმართვას უწყობენ ხელს. ვიტყვით ერთს, რომ ამდგავარი „კვლევის ცენტრი“ რაიონთა შორის თავისი მოქმედებისა და საქმიანობის შინაარსობრივი დატვირთვით ალბათ თითზე ჩამოსათვლელია, რაც გარკვეულად ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას.

მადლიერების გრძნობა უნდა გამოვხატო ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ყოფილ და დღევანდელ ხელმძღვანელთა, ცალკეული სამსახურების მისამართით, რომელთაც კარგად ესმოდათ და ესმით იმ საქმიანობის განზომილება, რომელსაც „კვლევის ცენტრი“ შეეჭიდა და მათგან შექმნილია თითქმის ყოველგვარი პირობა, რომ „კვლევის ცენტრმა“ შეუფერხებლად გააგრძელოს საქმიანობა – უდიდეს მადლობას მოვასხსენებთ ჩვენს მეგობრებს, ბიზნესმენებს ბეჟან ნაქაძესა და ზაურ თათვიძეს, რომელთაც უდიდესი როლი მიუძღვით კრებულ „მატიანეს“ საგამომცემლო საქმეში.

მადლიერებას გამოვხატავთ შპს „მბმ“ პოლიგრაფის მისამართით, რომელთანაც ძალიან გვიადვილდება თანამშრომლობა.

პატივისცემით: /ომარ კაპანაძე – „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი/

გთავაზობთ, „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში“ მოკვლევული, შესწავლილი და გამოქვეყნებული ნაშრომების, სტატიების, ნარკვევების სრულ ნუსხას (ჩამონათვალს).

მატიანე №1

- 1. ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი ზოგი რამ „ვანის რაიონის ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ (შემდეგში „კვლევის ცენტრის“) მიზნებისა და ამოცანების შესახებ.“
- 2. გურამ ყიფიანი** – ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.
„ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიცია“
- 3. სოსო ჩაჩუა** – გაზეთ „საჩინოს“ რედაქტორი.
„ინტერვიუ ბეჟან ნაქაძესთან“
- 4. თინა ტყეშელაშვილი**
„ვანის რაიონის ფიზიკურ გეოგრაფიული დახასიათებისათვის.“
- 5. სერგო ვარდოსანიძე** – პროფესორი
„უნმიდესი კალისტრატე და ქართული საზოგადოება, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა“
- 6. ამირან ნიკოლეიშვილი** – პროფესორი
„ნუ მოვწყდებით ფესვებს“
- 7. ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი
„ვანის არქეოლოგიური გათხრებისა და მუზეუმ-ნაკრძალის ისტორიიდან“.
- 8. ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – პროფესორი
„ძველი ორპირი დანგრეული სანაოები“.
- 9. მალხაზ ერქვანიძე** – ეთნომუსიკოლოგი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი.
„ვანის მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები ზოგად ჭრილში“.
- 10. აკაკი თევზაძე** – „კვლევის ცენტრის“ თანამშრომელი, პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი
„ხალხური პოეზიის ნიმუშები. ხალხური და ავტორმთქმელები ვანის რაიონის სოფლებიდან“

11. სოფო რამიშვილი – ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი. ვანი – „ახალი არგონავტების“ მასპინძელი (30-წელი ახალი არგონავტების“ კოლხეთში მოგზაურობიდან)

12. თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი
„ვანის ობსერვატორიის მოკლე ისტორია“.

13. თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი
„სოფელ ყუმურის ისტორიული მიმოხილვა“

14. ნონა ადეიშვილი
„ვინ იყო სერგო ამალღობელი“

15. თორნიკე ეფრემიძე – პროფესორი
„უკანასკნელი შეხვედრა ბუჭუ ბატონთან“

მატიანე №2

1. თამაზ ბერაძე – პროფესორი
„ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან“

2. ამირან ნიკოლეიშვილი – პროფესორი
„ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“

3. გურამ ყიფიანი – პროფესორი, **მადონა მშვილდაძე**
„ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიცია“

4. დიმიტრი ახვლედიანი – პროფესორი, **დარეჯან კაჭარავა** – პროფესორი
„განძი ვანის ნაქალაქარიდან“

5. ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი
„ვაზის უძველესი ფესვები ვანის ნაქალაქარიდან“

6. რამინ ქობალია – ექიმი
„ზოგიერთი საყურადღებო შტრიხები აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას წიგნიდან „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“ „ქრისტეს ბოლო სიტყვები“ – „ლაზარეს აღდგენა“

7. ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი
„ვანელი (საჩინოელი) თავადები 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი“.

8. ელენე მამფორია – გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი
„გალაკტიონ ტაბიძისა და ტიცვიან ტაბიძის სახლ-მუზეუმები, როგორც კულტურულ-საგან-მანათლებლო კერები“.

9. ქეთევან ძაგნიძე – ფილოლოგი, პოეტი, სერთიფიცირებული პედაგოგი
„კირილე ლორთქიფანიძე“

10. თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი
„რჩეული მამულიშვილი – კორნელი კეკელიძე-135“

11. აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი
„ყოფნა არყოფნის დილემის ასახვა ვანელ ხალხურ და ავტორმთქმელთა შემოქმედებაში (გაგრძელება)“.

12. ომარ ძაგნიძე – პროფესორი
„სანადირო თოფის ისტორიიდან“.

13. დოდო ჩახუნაშვილი, ავთანდილ დვალიშვილი, დავით გაბუნია, ლევან დვალიშვილი
„ვანის მუნიციპალიტეტის სულორის თემი“

14. მურთაზ ივანიაძე – ექიმი
„ხალხური მედიცინა“

მატიანე №3

1. ამირან ნიკოლეიშვილი – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
„ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“

2. **კრებულ „მატიანის“ რედაქციისგან**
3. **მერაბ კვაჩიძე** – ჟურნალისტი, ჟურნალისტთა კავშირის წევრი
„ვანელები დიდ სამამულო ომში“
4. **მურთაზ ივანიძე** – ექიმი
„ვანელი ექიმები „სამამულო ომის“ ფრონტებზე“
5. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი
„გერმანიის „ვერმახტის“ გენერალი ვანიდან – შალვა მალლაკელიძე“
6. **როზა დევდარიანი** – ფილოლოგიის დოქტორი
„თვის სიმცირეში უზარმაზარი პოეტი“
7. **აკაკი თევზაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“
პ/მ მდივანი
„დიდი სამამულო ომის ექო ვანელ ხალხურ მეღექსეთა პოეზიაში“.
8. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი
„ზოგი რამ დიდი ომის ორ კონკრეტულ საკითხზე“
9. **უჩა დვალისვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
„ვანის არქეოლოგია, როკვით განფენილი ქართული გენი“
10. **რამინ ქობალია** – ექიმი
„ქრისტეს ქართველური წარმოშობა აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას მიხედვით“
11. **ქეთევან ძაგნიძე** – ფილოლოგი, პოეტი, სერთიფიცირებული პედაგოგი
„ვირჩევთ ნიგნს, „ვისაც არ დაუნყია კითხვა, დღეიდან დაიწყეთ“
12. **ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი
„საბეჭდავი ბეჭდები ვანის ქვეყნიდან“
13. **ოლეგ მიქელთაძე, გიგა ქიმუცაძე**
„სოფელი გადიდი“

მატიანე №4

1. **ამირან ნიკოლეიშვილი** – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
„ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“.
2. **მანანა ვაშაყმაძე** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი
„ბრინჯაოს პლასტიკა ვანში“.
3. **გურამ ყიფიანი** – პროფესორი
„ლაბაჯაურის (ვანი სოფელი დიხაშხო) წმინდა გიორგი“
4. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – პროფესორი
„თურქეთელ ქართველთა ქართულენოვანი პოეზია“.
5. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი
„საგანმანათლებლო და სასკოლო მშენებლობის ტენდენციები ვანის სოფლების მიხედვით“.
6. **ქრისტინე მეძველია** – პროფესორი
„წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები ვანის რაიონში“.
7. **უჩა დვალისვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
„ექსპედიცია თურქეთში“.
8. **შალვა შარაშენიძე** – ისტორიის მაგისტრი
„ვანელი ებრაელები“.
9. **რამაზ კილაძე, მზია კვიციანი, ეთერ ბენიძე**
„კლიმატის გლობალური ცვლილებების ნიშნები იმერეთის რეგიონში“.
10. **აკაკი თევზაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“
პ/მ მდივანი
„ვანის ხალხური საყოფაცხოვრებო პოეზია“.
11. **ქეთევან ძაგნიძე** – ფილოლოგი, პოეტი, სერთიფიცირებული პედაგოგი
„ფიქრები კვლევის შემდეგ“.

12. ომარ ძაგნიძე – პროფესორი

„ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიური მუშაობის ისტორიისთვის...“

13. თამილა მჟავანაძე – კვლევის ცენტრის სპეციალისტი

„სადღესასწაულო და ხალხური რიტუალები ვანის რაიონის ზოგიერთი სოფლის მიხედვით“.

14. იური კორძაძე – მუსიკოსი

„მუსიკალური შეხვედრები ლენინგრადში“.

15. ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი

„ამ კაცზე ლეგენდები დადიოდა ვანის რაიონში“.

16. ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი

„დიდი არქეოლოგი – ოთარ ლორთქიფანიძე“.

17. სოსო ჩაჩუა – გაზეთ „საჩინოს“ რედაქტორი

„წრფელი გულითა და დიდი სიყვარულით – ვანის საპატიო მოქალაქე ნოდარ ანდრიაძე“.

18. სოსო ჩაჩუა

„საქმითა და წლებით დატვირთული კაცი, საქართველოს დამსახურებული აგრონომი — დუშიკო მებურიშვილი“.

19. რამინ ქობალია – ექიმი

„ცოტა რამ, ვანელ, ცნობილ ქირურგზე, ვიშნევსკის პრემიის ლაურეატ – შოთა თოდუაზე“.

20. მერაბ კვაჩიძე – ჟურნალისტი, ჟურნალისტთა კავშირის წევრი

„სოფელი ამაღლება“.

21. თამაზ ჩიტორელიძე – ისტორიკოსი

„სოფელი ზედა ვანი (ზოგადი მიმოხილვა)“.

მატიანე №5

1. ამირან ნიკოლეიშვილი – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

„ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“.

2. მანანა ვაშაყმაძე – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი

„კოლხური თეთრი“ და ძველი ვანი

3. თორნიკე ეფრემიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

„ისტორიული ცნობები ქვაბულიძეთა შესახებ“.

4. გურამ ყიფიანი – პროფესორი, **შოთა მამულაძე, მადონა მშვილდაძე**

„აღმოსავლეთ ჭანეთის რამდენიმე ქართული ეკლესია“.

5. ინტერვიუ ქველმოქმედთან – ბატონი ზაურ თათვიძე

6. ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი

„1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში და ვანელთა მონაწილეობა რევოლუციურ პროცესებში“.

7. ინდირა გოგოძე – ჟურნალისტი, კვლევის ცენტრის სპეციალისტი

„შოთა რუსთაველი მსოფლიო რენესანსული აზროვნების მესაძირკვლე“.

8. ნანა გონჯილაშვილი – პროფესორი

„გალიაში მომღერალი შაშვი თუ მოგისმენია“

9. აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი

„ვანის საყოფაცხოვრებო პოეზია“.

10. კობა არაბული – მწერალი, პუბლიცისტი, ფილოლოგი, პროფესორი, ეროვნული აკადემიის წევრი, მწერალთა გაერთიანება „ბახტრიონის“ თავმჯდომარე

„ტაძართა ტრაგედია და ქვეყნის ბედისწერა გადაჯაჭვულია“

11. შალვა შარაშენიძე – ისტორიის მაგისტრი

„სამედიცინო დარგის განვითარების ტენდენციები „ვანის“ სოფლების მიხედვით“

12. გურამ ბელთაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

„თამაშთა თეორია – მათემატიკის დარგი, რომელიც ყველას გვჭირდება ცხოვრებაში“.

13. ქრისტიანე მეძველია – ფილოლოგიის დოქტორი

„საარქივო საქმის ვითარება საქართველოში 1937-1939 წლებში“.

14. ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი

„ზოგი რამ ვანელ ახვლედიანთა წარმომავლობის შესახებ“.

მატიანე №6

1. „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისაგან“

2. თეიმურაზ ადგიშვილი – პროფესორი

„ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემები“

3. მანანა ვაშაყმაძე – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი
„ზოგიერთი საკითხები ანტიკური ვანის გარე სამყაროსთან სავაჭრო, ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების შესახებ“.

4. გურამ კვიციანი – პროფესორი, არქეოლოგი

„ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები“.

5. ჯანსუღ კეკელია – პროფესორი

„საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ზოგადისტორიული, გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცნობები“.

6. სოფო რამიშვილი – ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი
„წერილობითი არტეფაქტები ვანის არქეოლოგიური გათხრებიდან“.

7. აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“
პ/მ მდივანი

„უკვდავების ბინადარი“.

8. ინდირა გოგოძე – ჟურნალისტი, კვლევის ცენტრის სპეციალისტი

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს“

9. ამირან ნიკოლეიშვილი – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

„პრესა და პრესისადმი დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წ.წ.)“

10. ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი
„ზოგიერთი საკითხები 1924 წლის აჯანყებისა და აჯანყებაში ვანის მოსახლეობის კონკრეტული ნაწილის მონაწილეობის შესახებ“

11. თორნიკე ეფრემიძე – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

„ხონის მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე (საბეკელი ჩიჯავაძეები სოლომონ I და სოლომონ II მეფობაში)“

12. თეიმურაზ ადგიშვილი – პროფესორი

„აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე“

13. თეიმურაზ ადგიშვილი – პროფესორი

„ღვანლმოსილი მეცნიერი-ფიზიკოსი თორნიკე ეფრემიძე“

მატიანე №7

1. მაია ჭელიძე

„მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისაგან იშვა?“

2. ლუკა დვალისხილი – პროფესორი

„შოთა რუსთაველი – 850“

3. შალვა შარაშენიძე – ისტორიის მაგისტრი

„ოდში-იმერეთის ურთიერთობათა ისტორიიდან (XVI–XVIII სს.)“

4. თამილა მჟავანაძე – ფილოლოგი, კვლევის ცენტრის სპეციალისტი

„ინტერვიუ ქალბატონ დარეჯან კაჭარავასთან“

5. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი „ვანის რაიონის ეკონომიკა XX საუკუნის 80-იანი წლების II ნახევრიდან 2010 წლის ჩათვლით“
6. **ზოია ცხადაია** – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი
„ტიციან ტაბიძის პოეტური გარდასახვები“
7. **აკაკი თევზაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი
„ერთი ოცნების ტყუპისცალი“
8. **ქრისტინე მეძველია** – ფილოლოგიის დოქტორი, **გივი დევიძე** – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
„ქართველ ებრაელთა ისტორიის ამსახველი ფონდები ქუთაისის ცენტრალურ არქივში“.
9. **ინდირა გოგოძე** – ჟურნალისტი, კვლევის ცენტრის სპეციალისტი
„ინტერვიუ ბატონ უჩა დვალიშვილთან“.
10. **რენიკო საკანდელიძე** – პროფესორი
„ღირსეული მამულიშვილნი“
11. **თეიმურაზ ადვიშვილი** – პროფესორი
„გენერალი ბიქტორ სულაქველიძე – გამოჩენილი მეცნიერი და სამხედრო მოღვაწე“
12. **ომარ ძაგნიძე** – პროფესორი
„ექსპედიცია იალბუზზე“

მატიანე №8

1. **ბადრი ბუხაიძე** – მკვლევარი
„უძველესი ადამიანები და წინარე ქართული ტომები“.
2. **გია კვაშილავა** – პროფესორი
„პროტოქართველების, საერთო ქართველური ენისა და წარწერების შესახებ“.
3. **ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი
„რაზე საუბრობენ საყანჩიას გათხრები“
4. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი
„დემოგრაფიული პრობლემები ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სოფლების მიხედვით“.
5. **ამირან ნიკოლეიშვილი** – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.
6. **ომარ ძაგნიძე** – პროფესორი
„სწავლა-განათლების ზოგიერთი საკითხი XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში“
7. **შალვა შარაშენიძე** – ისტორიის მაგისტრი
„ვანელი“ ფეოდალის ნიკოლოზ ჩიჯავაძის სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი ახლად მიკვლეული მასალების მიხედვით“.
8. **გურამ ყიფიანი** – პროფესორი
„განაცხადი“
9. **აკაკი თევზაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი
„ერთი ოცნების ტყუპისცალი“
10. **ინდირა გოგოძე** – ჟურნალისტი, კვლევის ცენტრის სპეციალისტი
„უნწინდესი კალისტრატე ცინცაძე – სულიერი მისია.
უზადო სულიერი აღმაფრენა – ვანის რაიონმა, მართლმადიდებელ საქრისტიანოს, წმინდანი აღუზარდა“
11. **ლუკა დვალიშვილი** – პროფესორი
„სოფელ სულორის ტოპონიმები“
12. **გალაქტიონ სვანიძე** – ისტორიისა და ფილოსოფიის მაგისტრი
„დიდგორის ბრძოლა – საბრძოლო ხელოვნების ნიმუში“

13. თეიმურაზ ადგიშვილი – პროფესორი

„ვასილ ლომინაძე – მეცნიერების უდიდესი ორგანიზატორი“

მატიანე №9

1. ირაკლი ჯორჯაძე – აკადემიკოსი

„სამხედრო ხელოვნების განვითარება საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში“.

2. შორენა პირველი

„ჩვენ შუმერები ვიყავით და ამის დამადასტურებელი ნიშნები სვანურ და სხვა ქართველურ ენებში მრავლადაა შემორჩენილი“

3. ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი

„სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და საკითხები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოების მიხედვით“

4. ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი

„რაზე საუბრობენ სოფელ მთისძირის არქეოლოგიური გათხრების მასალები (წერილი მეორე)“.

5. შალვა შარაშენიძე – ისტორიის მაგისტრი

„ვანელი ფეოდალის ნიკოლოზ ჩიჯავაძის სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი ახლადმიკვლეული მასალების მიხედვით“.

6. ავთანდილ ნიკოლეიშვილი – პროფესორი

„სალალობო ფორმით გამოხატული გულისთქმა (გალაკტიონის სალალობო ლექსები)“

7. ომარ ძაგნიძე – პროფესორი

„ორი დიდი მეცნიერის ერთი ფრონტული წერილის შესახებ“

8. ლუკა დვალისხელი – პროფესორი

„ფერეიდნელ ქართველთა ჩამოსახლება XX საუკუნის 70-იან წლების საქართველოში“.

9. გურამ ბელთაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

„ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრების არსის სისტემური ანალიზი“

10. თეიმურაზ ადგიშვილი – პროფესორი

„აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი“.

11. ლადო სულაბერიძე (უმცროსი)

„შუილი შორეულ ტალღათა“

12. აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი

„უკვდავ პოეტთა უანგარო ჭირისუფალი – გიორგი ახოზაძე“

13. მურთაზ ივანიაძე – ექიმი

„ქართული ქირურგიის მეტრი – აკადემიკოსი კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი“

14. მურად თვალაბეიშვილი – საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

„გაზეთი „საჩინო“ 85 წლისაა...“

15. ოთარ ჭოხონელიძე

„სოფელი დიხაშხო“

მატიანე №10

1. სოსო მარგიშვილი – მკვლევარი

„მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ“

2. ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი

„სამეურნეო საქმიანობა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოებების მიხედვით (გაგრძელება „მატიანე“ №9)“

3. ამირან ნიკოლეიშვილი – პროფესორი

„რელიგია და მენშევიკების ხელისუფლებისდროინდელი პრესა“.

4. **გია კვაშილავა** – პროფესორი
„4000 წლის წინანდელი პროტოქართული საგალობელი...“
5. **ოლეგ ალავიძე** – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე პედაგოგიკის დოქტორი
„ყველაფერი არის ძლიერ კარგად...“
6. **ალეკო ცინცაძე** – პროფესორი
„ქართული ამბანი თანამედროვე სახით (სახელდებით, რიცხვმნიშვნელობითა და დალაგებით) ძველი ნელთალრიცხვის 2200-1000 წლების პერიოდშია შექმნილი“.
7. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – პროფესორი
„თურქეთში – ჩვენებურებთან“
8. **ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი
„საუკუნის მშენებლობა ვანში“
9. **ალექსანდრე ხურციძე, ტრისტან კალაძე, ომარ კაპანაძე**
„ვანის სასწავლებლები“
10. **აკაკი თევზაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“
პ/მ მდივანი
„თანამედროვე ვანელი პოეტები“
11. **შალვა შარაშენიძე** – ისტორიის მაგისტრი
„საჯავახოს საკითხი ოდიშ-იმერეთის პოლიტიკურ ურთიერთობებში და მისი გავლენა საჩინოელ (ვანელ) ჩიჯავაძეთა სათავადოზე“.
12. **როზა დევდარიანი** – ფილოლოგიის დოქტორი
„გრიგოლ ხურციძის უცნობი რომანი“
13. **მარიამ ნიქარიშვილი** – სტუდენტი
„სოფელი ბზვანი“.
14. **მარინე ჟლენტი, ინდირა გოგოძე**
„სოფელი შუამთა“

მატიანე №11

1. **სახალწლო მილოცვა**
2. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – პროფესორი
„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ავტონომიის იდეა.“
3. **რამაზ ნამიჭიშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, სამეცნიერო საზოგადოება „ნიკო ნიკოლაძის“ პრეზიდენტი
„ეკონომიკური გენოციდი საქართველოში და მისი დაძლევის რესურსები“.
4. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი
„სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და საკითხები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოებების მიხედვით (გაგრძელება)“.
5. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი
„ვანელები ქვეყნის სულიერი და ფიზიკური აღმშენებლობის ასპარეზზე“.
6. **თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი
„ვანელი ბერძენი, მეცნიერი და მოღვაწე“
7. **სიმონ არველაძე** – პროფესორი
„გალაკტიონი და კლასიკოსები“.
8. **დოდო ჭუმბურიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
„გრიგოლ ლორთქიფანიძე“
9. **ინეზა ხურციძე, რაფიელ ქართველიშვილი**
„ვანის რაიონის ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ციხე-სიმაგრეები.“
10. **ბადრი ბუხაიძე**
„ბიბლიის შემქმნელი ეთნოსი, ქართულ-შუმერული ენები“.
11. **ავთანდილ სილაგაძე** – პროფესორი, ანზორ თოთაძე – პროფესორი
„ქართული გვარ-სახელები“

12. აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“
პ/მ მდივანი

„მაჭანკლობის თემის ასახვა ქართულ მწერლობაში, ქართულ ხალხურ პოეზიასა და ვანელ ავტორმთქმელთა შემოქმედებაში“

13. ბადრი ხურციძე, ტარიელ ოქროპილაშვილი, ვარლამ გიორგაძე

„სოფელი საპრასია“.

14. ციციწო გაბუნია, თემურ გეგიძე

„სოფელი ტობანიერი“.

მატიანე №12

1. ვანის განვითარების საყურადღებო მონახაზები XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში

2. ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტი) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისგან

3. ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი „სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და საკითხები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოების მიხედვით“ (დასასრული).

4. საარქივო მასალები ვანის რაიონის ისტორიისათვის

5. თეიმურაზ ადგიშვილი – პროფესორი

„სტალინის მკვლევლობის საიდუმლო“.

6. ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი

„საქართველო ძველი მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი“.

7. მანანა ვაშაყმაძე – ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი

„ზედა გორას „მაცხოვრის შობის“ სახელობის ეკლესია“

8. გულბათ რცხილაძე – პოლიტოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

„რამდენიმე მცდარი წარმოდგენის შესახებ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“.

9. მწერალი გიორგი კვინიტაძე

„წინასიტყვაობა მოგონებებიდან“.

10. გოგი ფაცაცია, სიმონ ზაქარაია

„საერთაშორისო კონფერენცია კემბრიჯის უნივერსიტეტში და ქართველი მეცნიერის მორიგი წარმატება“.

11. ლუკა დვალისხვილი – ასოცირებული პროფესორი

„ქალის დანინდვის ტრადიცია ძველ საქართველოსა და ფერეიდნელ ქართველებში“.

12. შალვა შარაშენიძე – ისტორიის მაგისტრი

„ქალთა ემიგრაცია და დედის ინსტიტუტი“

13. აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

„ქალის ფენომენის გააზრება ვანელ ავტორმთქმელთა შემოქმედებაში“.

14. ივანე ხურციძე

„სოფელი უხუთი“.

აი, დაახლოებით ასეთია „კვლევის ცენტრის“ არასრულყოფილი ჩამონათვალი განხორციელებული სამუშაოებისა, რომლებიც ამ მოკლე პერიოდისათვის მოვასწარით. რაიონის ისტორიას დარჩება ყველა იმ პიროვნების, პერსონის გვარი და სახელი, რომლებმაც გადამწყვიტეს ან გადამწყვიტენ, რომ ამ რთულ საკითხთა სრულყოფასა და გადაჭრაში დაგვიდგინენ გვერდით.

ჩვენ გვჭირდება მხარდაჭერა რაიონზე შეყვარებულ, შეგნებული ადამიანებისაგან და ამას ველოდებით!

ომარ კაპანაძე

„კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი

**სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა
ფორმები და საკითხები ზატონეზომის გაუქმების შემდეგ
ვანის თემსაზოგადოების მიხედვით**

ტყის ათვისებისა და ხის მასალათა შედარებით ორგანიზებულ რენვასთან ჩვენ, უკვე საქმე გვაქვს XX საუკუნის 10-იანი წლებიდან, როდესაც ნესტორ ერისთავის მფლობელობაში არსებულ ტყის მასივში (დაახლოებით ალპური ზონის სიახლოვეს) კომერციულ სახეს იღებს ყავრის, ხის სუკების გათლა და აქედან საამშენებლო მასალის, ღვინის შესანახი კასრებისათვის მუხის მერქნისაგან სპეციალურ ნაკეთობათა დამზადება და ა. შ. აქ, უკვე ჩანს, რომ საქმე გვაქვს დაქირავებულ შრომასთან, რაც ბურჟუაზიულ სანარმოო პროცესების თანმდევი ნიშანია. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ფორმად გამოყენებული ჰქონიათ ფულიც და მუშებზე დამზადებული ხის მასალის გაცემაც. ...„ვაძლევიტ მუშებსაც, მაგრამ დიდი ნაწილი რჩებოდა ტყის მეპატრონესო... ამას გარდა ...„ვიშოვეთ მუშტარი (საუბარია ვინმე ცეცხლაძეზე, როგორც ჩანს კომერციაში განაფულ და დაინტერესებულ პიროვნებაზე) მუხის, ხე-ტყის... ერთი ღერი ბოჭკის მასალისათვის უნდა მოეცა ჩვენთვის 10 კაპიკი. ბეც მოგვცა 4000 მანეთი... მოჭრა მუხის მასალა. ამ ცეცხლაძეს 2 წლის განმავლობაში საურმე გზა უნდა მიეყვანა ბაღდათიდან „მჟავე“ წყლამდის (დღევანდელი საირმე)... მოჭრა მუხის ხეები და დაამზადა მასალა. შეუდგა ნაბლარის წყლის განმენდას, რომლის საშუალებითაც გამოუშვა დამზადებული მასალა ბაღდათში¹, წლიურად მას ასეთი მასალა უნდა დაემუშავებინა არანაკლებ 12000 მანეთისა... ამ ხანებში მოხდა გადატრიალება... შეცვივდნენ მენშევიკების ბრბო, დანვეს დამზადებული მასალაო“ – იგონებს ნესტორ ერისთავი.

ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე დამატებით საარსებო საშუალებების წყაროდ ქვეყნულია დროებით, სხვა შესაფერის ადგილას და დროებით სამუშაოზე გასვლა – ფიზიკური საქმიანობა. ამდგვარ შრომაზე, როგორც ითქვა, მოთხოვნილებაც არსებობდა სავაჭრო-სამრეწველო უბნებსა და ზოგიერთ კერძო პირისაგანაც, მათ შორის აგრარულ სფეროშიც. ცხადია, ეს არ იქნებოდა დიდ სურვილთან დაკავშირებული, თავისა და ოჯახის შენახვის აუცილებლობა განაპირობებდა ამას.

რამდენიმე წინადადებით ყოფით პირობებზე, რომელსაც განაპირობებდა გლეხის ეკონომიკური მდგომარეობა.

გლეხის განკარგულებაში არსებული წარმოების ძირითადი საშუალება – მიწა, შრომითი იარაღები და საშუალებანი არცერთი ვარიანტით არ იყო იმის გარანტორი, რომ ამ ფენათა აბსოლუტურ უმრავლესობას ყოფითი სოციალური მხარე ნორმალურ დონეზე მოენსერიგებინა. ხოლო ზუსტად გლეხობა, მათი ოჯახები „ვანში“ წარმოადგენდნენ აბსოლუტურ უმრავლესობას. პირობები კიდევ უფრო მძიმდებოდა, კომლის გამრავლების და გაყოფის შემდეგ თუ ერთ ფუძეზე აღმოჩნდებოდა ორი ან ორ ოჯახზე მეტი, თუ მხედველობაში მივიღებთ დაკანონებულ გადასახადებს და ბეგარას. საერთო ჯამში ყოველივე ეს ერთად თავმოყრილი ცხადად არ უწყობდა ხელს გლეხის ეკონომიკურ მომძლავრებას, ცხოვრების ნორმალურ პირობათა ჩამოყალიბებას. ამიტომაც „ვანის“ გლეხთა უმრავლესობა ფლობდა ისლით ან უკეთეს შემთხვევაში ყავრით გადახურულ, ხშირად უფანჯრო, ზოგჯერ ცხიმით გაპოხილი ქალაღდის „მინებიან“, ხის ფიცრებისაგან შეჭედნილ ბინებს. შუა ცეცხლით, შინ ნაკეთი ავეჯით და ხისგან დამზადებული სიგრძეზე გამწვდომი სანოლი ტახტით. „სახლი, სადაც მე დავიბადე ჩვეულებრივი ისლით დახურული, მინური სახლი იყო. სახლის შუა ადგილას კერა იყო მოწყობილი, საკვამლე მილი არ ჰქონდა, ამიტომ, როცა ჰაერის წნევა დაბლა იწევდა კვამლი სხვენიდან და ოყოფირე-

1. როგორც ჩანს, ხის მასალის დანიშნულების ადგილამდე მიტანა ხდებოდა წყალზე დაცურებით. ხოლო გამზადებული პროდუქტის მომხმარებელი იყო ანანოვის ღვინის ქარხანა. შეიძლება რომელიმე სხვა მსგავსი ორგანიზაციაც.

ბიდან, საიდანაც იგი გადიოდა უკანვე ბრუნდებოდა სახლში და მაშინ უნდა გენახათ ჩვენი თვალების წვა... სალამოს სახლს ქრაქის ლამფა ანათებდა. თუ კარგი ცეცხლი იყო ლამფას ჩააქრობდნენ, ეს ნავთის ეკონომიისათვის იყო საჭიროო“ (აღნიშნავს ალ. მაღლაკელიძე თავის მემუარებში – „კვალდაკვალ“). ასეთი სურათი ერთეული სახის არ არის, მითუმეტეს სოფელი დიხაშხო, სადაც ის დაიბადა დანარჩენი დასახლებებისაგან რამდენადმე გამორჩეულიც იყო. აღწერილი პროცესი დადასტურებული ფაქტია და კარგა ხანს ახსოვდათ ადამიანებს ამის შემდეგაც, როდესაც საბინაო ყოფითი პირობები რაიონში რადიკალურად შეიცვალა, კეთილმონყობილი, კაპიტალურად ნაგები ორსართულიანი ოდებისა და აივნიანი სახლების ხარჯზე. მაგრამ პროცესთა გაუმჯობესება ემთხვევა სხვა დროს და სოციალურ სისტემას კარდინალურად განსხვავებულს მეფის ხელისუფლებისაგან და თუ გნებავთ, მენშევიკური საზოგადოებრივი სისტემისაგანაც. ანალოგიური ყოფის საილუსტრაციოდ ქართველთა ბუმბერაზი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის მემორიალიც საკმარისია. მითუმეტეს, პოეტის მამა ვასილი, პედაგოგიური ინტელიგენციის წრეს მიეკუთვნებოდა.

იმავეს ადასტურებს ივ. ხურციძეც თავის მიერ შედგენილ სოფელ უხუთის ისტორიაშიც და აღნიშნავს, რომ მთიან ზონაში განათების საშუალებას ძირითადად წარმოადგენდა „კვარი“ – (ნაძვის ხის განსაკუთრებული ნაწილი, ხანგრძლივად მინაში ჩარჩენილი და ბუნებრივი ზინთით გაჟღენთილი, რომელიც კარგად იწვის, გამოყოფს სინათლეს, მაგრამ საშინელ ქვარტლსაც) რომ აქაც სახელდახელოდ შექმნილი ბინები, შუა ცეცხლით, ცხიმით გაპოხილი ქალაღით და ა. შ. დამახასიათებელი მოვლენა იყო.

გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით: აღწერილ პერიოდში რთულად იდგა საკითხი კვების რაციონისა და კვების კალორიულობის მხრივაც. ამისა და სანიტარული ნორმების შედარებით მოუწესრიგებლობა იყო ძირითადი მიზეზი გადამდებ დაავადებათა გავრცელებისა, ხოლო მაღარია, რომლის პირობებიც ნამდვილად არსებობდა, ვერაგ დაავადებად იქცა. მკურნალობა კი იყო უაღრესად პრიმიტიული, ხშირად ექიმბაშებსა და შემლოცველებზე დამოკიდებული.

ნათქვამი არ უნდა იქნას მიჩნეული გაზვიადებულ შეფასებად. ვეყრდნობი წარსულის რეალურ ფაქტებს და ხაზგასმით ვამატებ: აღნიშნულ მდგომარეობაში არ ცხოვრობდნენ თავადაზნაურთა წარმომადგენლები და გლეხთა უკვე შეძლებული ფენები კულაკობის სახით. ე. წ. ახლადწარმოქმნილი სოფლის ბურჟუაზია, რომლებიც მცხოვრებთა უმრავლესობაში არ მოიაზრებიან, არც სოფლის საზოგადოებათა ხელმძღვანელები, მამასახლისები და კანცელარიის აპარატის თანამშრომლები. ადგილზე დაცული არაერთი მასალა მიუთითებს იმაზეც, რომ მამასახლისთა ინსტიტუტის ზოგიერთი წარმომადგენელი „გვარიანადაა ჩართული“ მინის ყიდვა-გაყიდვაშიც, იმაშიც, რომ, როდესაც გასესხებულ ვალს ვერ უბრუნებენ სამაგიეროდ მოვალისაგან უდრტვინველად იღებენ მინის ნაკვეთებს და ჩანს არც მევახშეობისაგან დგანან შორს, მაგრამ ეს მაშინდელი ცხოვრება და ჩვენ ისლა დაგვრჩენია შევხედოთ ისეთად, როგორადაც იყო. თუმცა შეფასება შეიძლება გაკეთდეს მომავლის დაზღვევისათვის.

და, არ მინდა ყურადღებიდან გაუშვა იმერელი, „ვანელი“ გლეხის დამოკიდებულება ეზო-კარმიდამოსადმი, კონკრეტულად ეზოსადმი. კ. კახიანი თავის ნაშრომში „გლეხის კარმიდამო იმერეთში“ (გვ.85-87) მიუთითებს – „ეზოს იმ ნაწილს, რომელიც სახლის წინ მდებარეობს ქვემო იმერეთში (ჩამოთვლილია: სამტრედიის, ხონის, ვანის, ქუთაისის, ბაღდათის) იწოდება წინა ეზო და „სუფთა ეზო“. წინა ეზოში თავსდება სასიმინდე, ჭა და წყარო. სახლის მარჯვნივ და მარცხნივ უწოდებენ გვერდით ეზოს... აქ დგას სამეურნეო ნაგებობები... სახლის უკან, უკანა ეზოა, რომელსაც ესაზღვრება გარემო ანუ მიდამო. აქ არის ბოსელი, სალორე, საქათმე, ზოგჯერ ფეხის ალაგიც.“ ეს აღწერილობა პრაქტიკულ ასპექტში უცხო არ არის არცერთი „ვანელი“ მაცხოვრებლისათვის, ცხადია არც გლეხებისათვის. ეზოს განლაგებითა და დალაგებით ის, რომ სუფთა ეზო (იგივე წინა ეზო) მუდმივად არაგადატვირთულია და დაცულია, მიანიშნებს იმერელი – „ვანელი“ გლეხის, ყველა მცხოვრების, შინაგან, ტრადიციულ პეუნზე, მის მზაობაზე ნებისმიერი უცხო პირის მისაღებად, რომ ოჯახი არავინ დაძრახოს მოუწესრიგებლობაზე, რომელსაც შეძლებისდაგვარად ასევე ლამაზი სტუმართმოყვარეობაც ერთვოდა და მიუხედავად ხელვიწროობისა გლეხთა უმრავლესობა ამ პროცესისათვის თავისი მოწესრიგებულობითა და სისუფთავით მუდმივ მზადყოფნას ამჟღავნებდა.

XIX საუკუნის ბოლოსათვის გლახთა ფენების გაღრმავებულ დიფერენციაციას თან გაჰყვა დროის შესაბამისი შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სასაქონლო პროდუქტწარმოებაზე დაფუძნებული, შედარებითი დარგობრივი სპეციალიზაცია, აქედან კი სავაჭრო ურთიერთობათა გააქტიურება. შიგა და გარე ფაქტორებიდან გამომდინარე პირობები მომნიშვნელოვანად ამისათვის, ეს პროცესები შესამჩნევია „ვანშიც“.

აგრარულ სფეროში სამეურნეო საქმიანობისა და ურთიერთობათა ფორმების ცვლამ გამოიწვია დამოკიდებულების ცვლა ვაჭრობის, საქონელ-გაცვლის სფეროში და მასვე მიემატა კომუნიკაციურ ურთიერთობათა და საკომუნიკაციო საშუალებათა დანერგვის მოთხოვნაც. გამომდინარე აქედან, სიტუაციებმა მიმართულებები „ვანისთვისაც“ განსხვავებულ სიბრტყეზე დასვა. ამ განსხვავებულობაში მოვიაზრებთ ახალ სოციალურ-ეკონომიკური გარემოებებიდან გამომდინარე, მინის სარეალიზაციო „საქონლად“ ქცევასაც, თავისი თანმდევი პროცესებითა და მინათმფლობელობაში რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული ბალანსის რღვევის დასაწყისით.

ფეოდალური პარტიკულარიზმის მოშლა – გვსურს თუ არა ამის აღიარება, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს მიერთებას მოჰყვა, ხოლო შეერთებიდან 64-65 წლის შემდეგ ბატონყმობის გაუქმება და ამით მწარმოებლური ფენებისათვის შემზღვეველი გარემოს შედარებითმა შემსუბუქებამ ხელი შეუწყო განსხვავებულ სამეურნეო მიმართულებათა მიხედვით ასევე ახალი ურთიერთობების არასწრაფ, მაგრამ საწყის ეტაპზე ჩამოყალიბებას. „ვანისათვის“ ერთ-ერთ ასეთ ფენომენად შეიძლება იქნეს მიჩნეული ვაჭრობის სფეროს მრავალპროფილიანი გაცოცხლება. მისი სამოქმედო სივრცის გაფართოება, როგორც ითქვა, აუცილებელ საკომუნიკაციო საშუალებათა მონერგვის დანახვით, შეფასებით და რაც ასევე მნიშვნელოვანია, მანამდე ნაკლებად ცნობილი, უძრავი ქონების, მინის, ვაჭრობის პროცესში მასიური ჩართვით. ბურჟუაზიული ცვლილებების საწყისი ეტაპებიც რამდენადმე გამოკვეთილად ამ სფეროშია მიმანიშნებელი. აქედან, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან „ვანის“ ტერიტორია მოსახლეობის კონკრეტული ნაწილით ვაჭრობა, ალბ-მიცემობის საქმეში აქტიურად ჩანს ჩართული. თუმცა ნათქვამი არ ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ აქ შეიქმნა სუპერვაჭართა ფენა, გაერთიანებები და ა. შ. ამის გამოც ვაჭრობას, მის საყრდენ ბაზას, ჩვენ, აქ ვერ განვიხილავთ გლობალური გაგებით. მხედველობაში გვაქვს ვაჭრობა, როგორც სამეურნეო ალბ-მიცემობითი საქმიანობის, ადამიანთა ყოფისათვის აუცილებელი ურთიერთობების დამახასიათებელი ფორმა იმ მასშტაბში, რომლის საშუალებასაც იძლეოდა „ვანში“ განვითარების ჯერ კიდევ არც თუ მონერგვებულ დონეზე არსებული პრაქტიკული მოქმედების სივრცე. ამიტომაც, აქ მხედველობაშია ის მცდელობები და შესაძლებლობანი, რომელიც ამ საქმით დაკავებულ პირთა მოქმედებას მოჰყვებოდა. რის საშუალებასაც იძლეოდა აქაური მწარმოებელი მასის მიერ შექმნილი ჭარბი პროდუქცია, ან ზოგჯერ არაჭარბი პროდუქცია, რომელიც მწარმოებელი დაბალი ფენების ოჯახური ყოფისა და მოხმარებისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე იძულებული იყო მისთვის მიეცა სასაქონლო სახე, მოექცია გაყიდვაში.

ვაჭრობა, ალბ-მიცემობითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, მიუხედავად სოფელთაშორისი საკომუნიკაციო არახელსაყრელი პირობებისა, მიუხედავად იმისაც, რომ „ვანი“ წარმოადგენდა იმერეთის სამხრეთის ჩიხურ განლაგებას, მას ტერიტორიალური თვალსაზრისით არც თუ ურიგო მდებარეობა ეჭირა. „ვანის“ ბარის ზონასთან დამოკიდებულებაში და (საერთოდაც) რიონის არტერია ასრულებდა აქ წამყვან როლს. 1857 წლიდან მდინარე რიონი კვლავ აღმოჩნდა ჩართული აქტიურ სანაოსნო პოზიციაში, რომლის მსგავსიც მას ადრეანტიკურ ან ანტიკურ ეპოქაშიც გააჩნდა. მაგრამ, ამჟამად, მხედველობაში გვაქვს მდინარის სატრანსპორტო ათვისების ტექნიკური სრულყოფა, მდინარეზე გადაადგილების საშუალებათა გაუმჯობესებული დონე, რასაც მოჰყვა ტვირთბრუნვის გაზრდა-გააქტიურებაც.

ისტორიული ლიტერატურა იმონებს, რომ პროცესი შედიოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებშიც, ამას მონიშნავს კავკასიის მეფისნაცვლის ბარიატინსკის მიერ გადადგმული ნაბიჯებიც, რომელსაც სპეციალურად შექმნილმა კომისიამ მიაწოდა დასკვნა, რომ მდინარე რიონზე, მაშინდელი ფართოგაბარტიანი ორთქლის გემებისათვის შესაძლებელი იყო ნაოსნობა ფოთი-

ან მდინარე გუბისწყლამდე – დაახლოებით 102 კილომეტრის მანძილზე. თუმცა, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის ფონდში დაცული მასალების მიხედვით თანამედროვენი მიუთითებენ, ანალოგიური სამდინარო გემები ამოდინდნენ „ნიქვადის ფონში“ – დღევანდელ ჭყვიშშიც.

როგორც ჩანს, ეს ის პერიოდაა, როდესაც რუსეთის იმპერიის წინაშე ასევე აქტიურად დადგა საკითხი კავკასიის ერთიანი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე. დაინტერესება განპირობებული იყო მრავალმხრივი მოტივით, მაგრამ საკითხზე ყურადღებას ვამახვილებით ერთი გარემოების გამო: პროფესორი მიხეილ ნიკოლეიშვილი თავის ნაშრომში – „დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან“ მიუთითებს, რომ 1858 წელს სამხედრო ინჟინერი ფოლკენგაგენი კავკასიის მეფის ნაცვალს ბარიატინსკის სთავაზობს რიონის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ რკინიგზის ხაზის გაყვანის პროექტს, ფოთიდან ყვირილამდე. მარშრუტით – ფოთი-მუხალრუა (დღევანდელი გომი) ამაღლება – (სოფელი ვანის რაიონში) ვარციხე ყვირილა (ყვირილა – დღევანდელი ზესტაფონის რაიონი), იმპერიის ხელისუფლებამ პროექტი მოიწონა, მაგრამ სიძვირის გამო ვერ განხორციელდა. როგორც ჩანს რკინიგზის მშენებლობა შემდეგში დაიგეგმა რიონის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე და განხორციელდა კიდევაც.

ამდენად, მიუხედავად იმისა, „ვანის“ დასახლებანი ასცდა მათ ტერიტორიებზე სარკინიგზო ხაზის გაყვანას. ფაქტია, ახლადგაყვანილი სარკინიგზო ხაზი, რომელიც ვანის ცენტრალური დასახლებებიდან არც ისე შორსაა, უნდა ჩავთვალოთ ამავე დასახლებული პუნქტებისათვის საქონელგაცვლის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად. ხოლო ორი არტერია – მდინარე რიონისა და მის გასწვრივ სარკინიგზო მიმოსვლისა, უნდა განვიხილოთ იმ დროისათვის, როგორც „ვანის“ სივრცეზე ვაჭრობა, ალბ-მიცემობის გააქტიურების წამყვან საშუალებად. თუმცა, XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მდინარე რიონი თანამიმდევრულად კარგავს ამ ფუნქციას.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან „ვანის“ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ან ყალიბდება და ფუნქციონირებას აფართოებს რამდენიმე სოფლის – ვიხმაროთ პირობითად გამოთქმა – „სავაჭრო ცენტრი“. აქედან უფრო აქტიური და შედარებით ადრეულიც ჩანს ე. წ. „ნიქვადის ფონი“, ციციხეები ან ციციხეების დასახლება, რომელიც პრაქტიკულად მიერთებულია რიონის სამდინარო არტერიაზე, ცნობილი იმ სახელით, რომლითაც ზემოდ მოვიხსენიეთ და 1900-იანი წლებამდე წარმოადგენდა მჭიდროდ დასახლებულ მრავალრიცხოვან სოფელს. მრევლი გაერთიანებული ყოფილა ჭყვიშში მოქმედ „წმინდა გიორგის“ ეკლესიაში. ესაა დაახლოებით დღევანდელი ჭყვიშის, შედარებით, დასავლეთის ტერიტორია, ჭაგანისა და დღევანდელი სოფელ მთისძირის ტერიტორიის ნაწილი, რომელთა ცხოვრების პრიმატი დაკავშირებული იყო როგორც სამიმოსვლო, ასევე სამეურნეო თვალსაზრისითაც მდ. რიონზე – მრავალმხრივი გამოყენების მდინარეზე და ალბათ, მოსახლეობის მრავალრიცხოვნებასაც ეს ხელსაყრელი ფაქტორი განაპირობებდა. თანამედროვის გადმოცემით XX საუკუნის მიჯნაზე ტერიტორიის ნაწილი დაუტბორავს მდინარეს, რის გამოც გარკვეული დროის მანძილზე მას დაუკარგავს სამეურნეო მნიშვნელობა. ამისა და მოსალოდნელი შიშის ფაქტორითაც მოსახლეობის ნაწილი გადმოსახლებულა მდინარე ყუმურის მარჯვენა სანაპიროზე, ხოლო მეორე უფრო მძლავრ და მოცულობით დატბორვას 1920-იანი წლების დასაწყისში, როგორც შესაბამისი წყაროები მიუთითებენ, მოჰყოლია მოსახლეობის ასევე დიდი ნაწილის განსახლება სამტრედიის ტერიტორიაზე. „ჭყვიშიო – წერს თანამედროვე, სოფელს ეწოდაო ნესტორის მამასახლისობის დროსო“. თუმცა არ აკონკრეტებს წლებს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ პროცესით აღმდგარა სოფლის ძველი ტოპონიმი (სახელწოდება), რომელმაც შეცვალა დასახლება „ნიქვადის ფონი“.

გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის ფონდში დაცული იგივე მასალები, რომელიც თანამედროვეთა მიერ წერილობით ინფორმაციაზეა დაფუძნებული, იძლევა იმის საშუალებას, რომ ამ კუთხესთან და სოფელთან მიმართებაში სამეურნეო და სავაჭრო საქმიანობასა და ურთიერთობებიდან გაკეთდეს რამდენიმე მიმართულებიანი დასკვნა. ასევე, სათანადო წყაროებთან მათი შეჯერება სარწმუნოს ხდის გადმოცემულ ფაქტთა სანდოობასაც. შეფასება შეიძლება გაკეთდეს ასეთი: პირველი – როგორც ითქვა რიონის არტერია, რომელიც ჯერ კიდევ ადრეული საუკუნეებიდან ჰქმნიდა პირობებს როგორც საკომუნიკაციო-სანავიგაციო საშუალება და თავისუფლად შეიძლება ვამტკიცოთ ისეთი ძლიერი წარმატებული და კულტურული ანტი-

კური ქალაქის მოსახლეობა, როგორცაც „ვანი“ წარმოადგენდა, აქტიურად იქნებოდა ჩართული მდინარე რიონის საშუალებით სავაჭრო საქონელმომოქცევაში. გარე ძალების შემოსევას, რასაც ქალაქის განადგურება მოჰყვა, ამ პროცესს თუ მთლიანად არ წაშლიდა საგრძნობლად შეასუსტებდა. მაგრამ, როგორც ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალება ფუნქციას მთლიანობაში არ დაჰკარგავდა. თუმცა, ჩვენს მიერ აღწერილი პერიოდისათვისაც მდინარე რიონს აღდგენილი აქვს და ინარჩუნებს შედარებით აქტიურ პოზიციას, თანაც გარკვეული დროით, რამდენადმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დონეზეც, როდესაც 1860-იანი წლებიდან აქ იწყება რეგულარული ნაოსნობა, რომლითაც გაადვილდა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანაც და სანაცვლოდ ადგილზე სარეალიზაციოდ მზაპროდუქციის შემოტანაც.

თვით რუსეთის იმპერია იყო დაინტერესებული კავკასიის შიგა და საზღვარგარეთულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობათა გააქტიურებით. ასეთი იყო რუსეთის სავაჭრო წრეების მოთხოვნაც და ამ საქმეში დადებით ინიციატივას იჩენდა კავკასიის მეფის ნაცვალის ბარიანტისკიც. მდინარე რიონს ამ საქმეში უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი. ამის გამოც ინტენსიურად იწყება მდინარის სანაოსნო თვისებების შესწავლა და განმენდითი სამუშაოებიც, ხოლო ის, რომ პროცესში ჩართული იყო და შესაბამის ფირმებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი მილიუტინი, მიანიშნებს იმაზე, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მდინარე რიონის სანაოსნო არტერია იღებდა გარკვეულ სამხედრო მნიშვნელობასაც. საბოლოოდ, რუსეთის იმპერიის უმაღლესი წრეების ჩარევითა და ნებართვით, სავაჭრო ტვირთგადაზიდვის თვალსაზრისით, მდინარე რიონზე იწყება აქტიური სანაოსნო მიმოსვლა. ამ პროცესიდან საჭირო ლიცენზიის მიღების შედეგად XIX საუკუნის 60-იანი წლების მიჯნიდან აქ საქმიანობას იწყებს რუსული საზოგადოება „როპიტ“ (Русское общество пороходства и торговли – ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოება) ამ პერიოდიდან გარკვეულ დრომდე ნაოსნობის ინტენსივობა უკვე სახეზეა. ეს პოზიცია რამდენადმე შენარჩუნებული ჩანს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რკინიგზის გაყვანის შემდეგაც, მინიმუმ 20-25 წლის მანძილზე. თანამედროვენი გვამცნობენ, „ნიქვადის ფონში“ (ჭყვიშში) ამოდიოდა ასეთი დიდი ნავები, რომელთაც თავსა და ბოლოში ცეცხლი ენთო და კვამლი ამოდიოდა.“ ცხადია საუბარია ორთქლის ნავებზე ან სამდინარო საშუალო ზომიან გემებზე. მითითებულია, რომ მათ მისაყენებლად რიონის ყველა ნაპირი ვერ გამოდგებოდა და იგი აქ რამდენიმე ადგილზე სპეციალურად იყო ჩაჭრილი, ჩაღრმავებული წყლის სიღრმის შესანარჩუნებლად და მოსახერხებელი ნავმისადგომის მოსაწყობად. აქედან, შედარებით, გაზარტიანი სამდინარო გემებისათვის ნაოსნობა განისაზღვრა ჯერ ორპირამდე (ეს არაა ჭყვიშის ორპირი. არამედ დასახლებული პუნქტია რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან). შემდეგ, როგორც ითქვა გუბისწყლამდე, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ნაოსნობის ნიქვადის ფონამდე (ჭყვიშამდე) განხორციელებისათვის. უფრო მეტიც, ამ დროისათვის გააქტიურებულია და დასტურდება თვით ადგილობრივ ერთეულ პირთა კერძო, ბრტყელძირიანი ნავებით საქონელ გადაზიდვები და სარეალიზაციო საქონლის შემოტანის ფაქტებიც. მითითებულია, რომ ასეთი ნავების ტვირთამწეობა განისაზღვრებოდა 200–300–500–900 ფუთამდე. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაოსნობა რისკებთანაც ყოფილა დაკავშირებული, რომ ადიდებულ რიონს დატვირთული ნავი გაუტაცნია კიდევაც. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იყო გამონაკლისი შემთხვევები, რომელსაც ნაოსნობის აქტიურობის შეწყვეტა გარკვეულ დრომდე არ მოჰყოლია.

მეორე – როგორც ირკვევა რიონზე სავაჭრო ტვირთგადაადგილების ინტენსიურად გამოყენებამ მოახდინა მიმდებარე ტერიტორიის და კონკრეტულად „ნიქვადის ფონის“ ინფრასტრუქტურის შედარებითი ცვლაც, რადგან იგი ჩამოყალიბდა, როგორც სარეალიზაციოდ გასატანი საქონლის შემკრები პუნქტი, საიდანაც, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გაჰქონდათ შავიზღვისპირეთის (ფოთი-ყირიმი-ბათუმი) მიმართულებით, ხოლო რკინიგზის გაყვანის შემდეგ აქ არსებული ბორნის საშუალებით სამტრედიის სადგურის მიმართულებით. აქედანვე სარეალიზაციო საქონელი შეჰქონდათ სამეგრელოს შიგა რაიონებშიც. დადასტურებულია, რომ აქვე გადიოდა (რიონის მარცხენა სანაპიროსთან) საჭაპანო ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გზაც. ჩვენს ხელთ არსებული წყარო მას მოიხსენიებს „საქარავნო გზად.“ მაგრამ აქ საქმე მარტო ამაში არ უნდა იყოს.

ჩვენ ვახსენეთ, რომ ჭყვიშიდან მდინარე რიონის საშუალებით ტვირთები გადაადგილდებო-

და ორპირის ბაზრობისაკენ, რომელიც მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა. გაზეთი „კვალი“ მასზე აღნიშნავდა – „ორპირი თავქალაქად ითვლებოდა 60-70 წლებში და უმთავრეს სავაჭრო ცენტრს შეადგენდა იმერეთ-გურია-სამეგრელოსას, სადაც შემოდოდა ფოთიდან რიონით საზღვარგარეთის გემები და მასთან მრავალი ათასობით ქარავნები... საქონლით დატვირთული... ახალი რკინიგზის გაყვანამ ორპირი მიწასთან გაასწორა. მისი ვაჭრობა აქეთ-იქეთ მიაბნ-მოაბნია, ერთი ნაწილი გადავიდა იქვე ახლო-მახლო სადგურებში – სამტრედია, საჯავახო, აბაშა. ამ დროს რიონიც გაურისხდა ორპირის მოვაჭრეებს. მისმა მჩქეფარე ტალღებმა აუნგრ-ჩაუნგრია დუქნები, „ქუჩები.“

აქ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა იმაზე, რომ რკინიგზის ხაზის ექსპლოატაციაში შეყვანამდე ორპირი აქტიურ სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა. ამ პოზიციას, როგორც ჩანს, იგი რკინიგზის გაყვანის შემდეგაც გარკვეული დროის მანძილზეც ინარჩუნებდა, ხოლო დაცული წყაროები მკაფიოდ ადასტურებენ წყვიშიდან ინტენსიურ და შესაძლებლობათა ფარგლებში აქ თავმოყრილი სარეალიზაციო ტვირთის გატანას ორპირის მიმართულებით და იქედან მზანანარმი საქონლის შემოტანასაც. თუმცა, ეს ხდებოდა სამდინარო ტრანსპორტით და შემდგომში, ზღვისპირა ქალაქებისაკენ რკინიგზის მეშვეობით, მაგრამ, რაც შეეხება საქარავნო გზას, რომ იგი გადიოდა წყვიში, წყაროს ავტორს იგი შემთხვევით არ უნდა ჰქონდეს მოხსენიებული და ალბათ, არ იქნება შეცდომა თუ დავეთანხმებით, რომ აქ საქარავნო გზაც გადიოდა.

ბუნებრივია, საქარავნო გზად ვერ მოიხსენიებ გზას, რომლის საშუალებითაც „ვანისა“ და ბაღდათის სოფლებიდან იმ დროისათვის აქ გადმოჰქონდათ სარეალიზაციო სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც აქედან ან ორპირიდან მდინარე რიონის, უფრო მოგვიანებით რკინიგზის საშუალებით გადაჰქონდათ შავი ზღვისპირეთის პორტებისაკენ. საქმე იმაშია, რომ საქარავნო გზა, ჯერ ერთი, ფართო და შედარებით განსხვავებული გაგებისაა, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კავკასიაზე, კონკრეტულად, თბილისი-ფოთამდე, სამიმოსვლო გზები იძენს სატრანზიტო მნიშვნელობას და აქაც მდინარე რიონი წარმოადგენს სანაოსნო საშუალებას. მისი გასწვრივი სანაპირო, სახმელეთო გზებიც გამოყენებულია ტვირთგადაზიდვისათვის. მეორეც – ამავე პერიოდიდან როგორც ჩანს, ახლო აღმოსავლეთიდან, ძვირადღირებული სარეალიზაციო ტვირთების ოსმალეთის (თურქეთის) ტერიტორიიდან გადაადგილება შავი ზღვის პორტებისაკენ, ყაჩაღობისა და მეკობრეთა თავდასხმების გამო განსაკუთრებით სარისკო ხდება. როგორც დასტურდება ამიერკავკასიის სატრანზიტო გზა შედარებით დაცული, უხიფათო და ბაჟის გადახდის თვალსაზრისითაც იაფია. როგორც ითქვა პროცესის რეგულაციას იმპერია და კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოც მხარს უჭერდა და ამაში განსაკუთრებული მოსაზრებაც ფიგურირებდა, ამიტომაც მოვაჭრეთა ინტერესი ამ მიმართულებით რომ გაზრდილიყო, საეჭვო არაფერია. ხოლო მას შემდეგ რაც 1864 წელს ერზრუმის გზაზე გაძარცვეს ქარავანი, ეს იყო საკმაოდ მასშტაბური და ზარალიანი ძარცვაც, ვაჭრები ახდენენ სატრანზიტო გზის შეცვლას და მარშრუტი გადმოადგილდა კავკასიისაკენ. აქედან საქართველოს გავლით შავი ზღვის პორტებისაკენ. – „რის მერმეც მრავალმა სავაჭრო სახლმა აბრეშუმის ყველაზე ძვირფასი საქონლის გაგზავნა ევროპაში დაიწყო ბაქო-თბილისი-ფოთის გზით“¹ და არა მარტო „ძვირფასი აბრეშუმისა“. აქ უნდა ვირწმუნოთ, რომ ეს გზა ტრადიციულად მიყვებოდა მდინარე რიონის არტერიას და გამოყენებული იყო სახმელეთო გზაც. მოცემულ შემთხვევაში მდინარის მარცხენა სანაპირო ჩაუვლის წყვიშს – „ნიქვადის ფონს“, რომელიც ასევე შედარებით აქტიურადაა ჩართული სააღმშენებლო საქმიანობაში, კონტაქტები აქვს „ორპირთან“, სადაც ხდებოდა ამ მიმართულებით გადმოადგილებული ტვირთების თავმოყრა და მიმართულების მიცემა ზღვისპირა პორტებისაკენ. ამიტომაც ეს სახმელეთო საქარავნო გზა, ვიდრე რკინიგზაც ჩაერთვებოდა საქმეში გვარიანად ათვისებული და გამოყენებული უნდა ყოფილიყო. როგორც აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი მიიჩნევს ტვირთები სპარსეთიდან და ა. შ. გადმოჰქონდათ აქლემებით, ცხენებით, ჩალვადრების მეშვეობით „რომ სპარსეთში ჰყავდათ აუარებელი სასაპალნე ცხენები, ხოლო ტვირთზიდვა ადრიდანვე იყო მათი განსაკუთრებული სარენი“². აქედან გამომდინარე

¹ აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.“ ტომი VI გვ.121

² იგივე ნაშრომი

მიმაჩნია, რომ რიონის მარცხენა სანაპიროდან ჭყვიშზე გავლით სახმელეთო გზა ორპირამდე შედარებით მოკლე მანძილიცაა და მოსახერხებელი ვაჭართა ტვირთიანად გადაადგილებისათვის. ამიტომ, ვფიქრობ, რომ წყაროს ადგილობრივი ავტორი, რომლის ინფორმაციასაც ვეყრდნობი საქარავნო გზასთან დაკავშირებით, მითითებას აკეთებს სწორად და ტერმინიც შესაბამისად ესმის. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის მიჯნაზეც ჭყვიში, „ნიქვადის ფონი“ როგორც საკომუნიკაციო პუნქტი გააქტიურებულია. ხოლო ის, რომ საქარავნო სატრანზიტო გზა აქაც გადიოდა ამ პუნქტის მნიშვნელობაზე აქცენტს თავისთავად აკეთებს. პოზიციათა გააქტიურებისა და სიტუაციათა ცვლის შესაბამისად ჭყვიშის ტერიტორიაზე აგებული იქნა სავაჭრო ობიექტები-ფარდულები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიმღები პუნქტები, სამიკიტნოები და ა. შ. რომლებშიდაც ვაჭრობას ეწევიან ადგილობრივი მცხოვრებნი. მნიშვნელოვანია, რომ ეს ადამიანები უკვე წარმოადგენენ შემსყიდველებსაც და გადამყიდველებსაც და გვევლინებიან შუალედურ რგოლებად პროდუქციის მწარმოებელ გლეხსა და რეალიზაციის ბაზარს შორის. ეს საერთოდ დამახასიათებელი ნიშანიცაა იმის გამოც, რომ „გლეხის მდგომარეობა სავალალოა ბაზრისა და ტრანსპორტის მოუნესრიგებლობის შედეგად“ და იძულებულია პროდუქცია მიიტანოს თავისი საშუალებებით ისეთ პუნქტებამდე, როგორსაც ამ შემთხვევაში „ნიქვადის ფონის“ ე. წ. სავაჭრო ობიექტები წარმოადგენდნენ. ან გაჰყიდოს თავისავე ეზოში გადამყიდველებზე. ამიტომ შეფასება ასეთი მოქმედებისა, რომელსაც იძლევა ჟურნალი მნათობი 1869 წლის მეორე ნომერში და რომელსაც იმონმებს აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი საერთოა და ვრცელდება „ვანზეც“. – „რა ჰქმნას გლეხმა კაცმა? გაჰყიდოს – ჯაფის ფასი არ უფდება, არ გაჰყიდოს და სახელმწიფო თავის ხარჯს ითხოვს, მოვალე თავის ვალს, მღვდელი თავის განაწესს, ბატონი თავისას... როგორ მოიქცეს? ის არჩევს გაყიდვას, მაგრამ ფასი გასყიდულისა მესამედ ფასს არ შეადგენს... ვაჭრების სასიხარულოდ იმას მოსავლის სხვაგან წაღების თავი არა აქვს, არც გზები არის, რომ მოსავალი სხვაგან გაიტანოს და გაჰყიდოს.

ამისათვის მან ყველაფერი შინ უნდა გაჰყიდოს და ისიც ძლიერ იაფად“ (აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი ტომი VI გვ.398). ცხადია, ამ ციტატით მყარად ხდება გასაგები მაშინდელი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, ურთიერთობათა ჩამოყალიბებული პირობები და ისიც, რომ სახეზეა „ახალი მატერიალური და სულიერი, წარმოებრივი ურთიერთობანი“, რომელიც უწინარესად მყარდება ბაზარზე „ვაჭრობისა და ნივთიერი დოვლათის გაცვლის ვითარებაში“, აქედან ე. წ. შემსყიდველ-გადამყიდველთა მოქმედება ყალიბდება, როგორც პროფესიული საქმიანობა, სულაც არაა აუცილებელი, რომ ამ საქმით დაკავებული იყოს მხოლოდ მოცემული სოფლის მცხოვრებნი. ეს შეიძლება იყოს გარე პიროვნებაც, რომელსაც შეუძლია ფულის დაბანდებაც, ადგილობრივ აგენტებზე დაყრდნობით მოახდინოს შესყიდული პროდუქციის თავმოყრა და აქედან დანიშნულების ადგილამდე საკუთარი საშუალებებით მიტანაც. პრაქტიკულად იბადება ახალი ფენა შედარებით აქტიური ადამიანებისა, რომლებიც ჩართულნი არიან ალებ-მიცემობის პროცესებში, ინტენსიური კონტაქტები აქვთ ბაზართან ან ვაჭრებთან, რომელთა საშუალებითა და დახმარებითაც ადგილზე შექმნილ პროდუქციას აძლევენ საჭირო მიმართულებებს.

დადასტურებულია, რომ „ნიქვადის ფონში“ დასაქმებულ მოვაჭრეთა ამ ფენას კონტაქტები აქვთ ფოთელ ვაჭრებთან, რომლებიც ხშირად ამოდიოდნენ „ნიქვადის ფონში“ პროდუქციის შესაძენად, ხოლო შემდეგში თავიანთი საშუალებებით გაჰქონდათ იგი დანიშნულების ადგილებამდე. ამდენად დასახელებული პუნქტიდან სარეალიზაციო საქონელი არამარტო გააქვთ, შემოაქვთ კიდევაც, მზა ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების სახით, ფოთიდან, ხონის „იარმარკიდან“¹ სამტრედიის, კულაშის, ჯიხაიშის, დვაბზუს (გურია) იარმარკებიდან და მაზრებიდან. როგორც ითქვა, ძირითადად, მზა ნაწარმი, ქსოვილები ტანსაცმლისათვის, სხვადასხვა საოჯახო ნივთები, მარილი, შაქარი, რკინის სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ა. შ. სხვათა შორის, ტერიტორიული სიახლოვის გამო ინტენსიური ურთიერთობა გამოკვეთილია ხონის ბა-

¹ იარმარკა-ბაზრობის ფორმა, რომელიც იმართებოდა დანიშნულ დროსა და ადგილზე. ვაჭრობა მიმდინარეობდა უწყვეტად რამდენიმე დღის მანძილზე და საშუალებას იძლეოდა, მოვაჭრე დარჩენილიყო შედარებით ხანგრძლივად. გასაყიდის ან შესასყიდი საქონლის ფასების სასურველი დონისათვის მიღწევამდე. ერთი სიტყვით, დალოდებოდა დროს.

ზართან, რომელიც სათავეს იღებს საკმაოდ შორი პერიოდიდან, რომელზედაც თავის დროზე ყურადღებას ამახვილებდა გიულდენშტედტიც და ჩანს ეს ტრადიცია დაცულია ამ დროისთვისაც. უფრო მეტიც, ხონელ ვაჭრებთან მიუღია საჭირო ცოდნა ჭყვიშელ ესტატიე კოპალეიშვილს, რომელიც შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, ჩამოყალიბდა საქმის გამართულ მცოდნედ და მრავალმხრივ ენერგიულად მოქმედ პიროვნებად, თუმცა არამარტო ეს პიროვნება.

მესამე – ჩამოთვლილმა ფაქტორებმა „ნიქვაძის ფონს“ – ჭყვიშს შეუქმნა აქტიური პრიმატი, მოეზიდა სარეალიზაციო პროდუქცია არც თუ ახლო დასახლებებიდან, რომელზედაც თანამედროვე მიუთითებს; მოდიოდა მოსახლეობა ბაღდათიდან, როხიდან, სადემეტრაოდან (დღევანდელი წითელი ხევი) ვანიდან, ამაღლებიდან, გორა-ზეინდრიდან, სულორიდან (დვალეიშვილებიდან), ციხესულორიდან, საპაიჭაოდან (ყუმური) და ა. შ. ურმებით, ცხენებით, ფეხით“... როგორც ჩანს აქამდე შემოტანილ საქონელს შესაბამისი ფასებით აბარებდნენ ადგილობრივ შემსყიდველებს, რომელთაც ეს საქონელი გადაჰქონდათ ორპირის ან სამტრედიის რკინიგზის სადგურის მიმართულებით. „...სოფლის გზაზე განლაგებული იყო სავაჭრო დუქნები, ამბაკო ქაჯაიას ქსოვილებისა და პირველადი მოთხოვნილების საგნების; სიმინდს იბარებდა გაბრიელ ლეჟავა, სტეფანე სტურუა, სიხარულიძე; კოზმან ანდრიაძეს სასადილო ჰქონდა; დიმიტრი ტაბიძე კერავდა და ვაჭრობდა ჩოხა-ახალუხით და ა. შ.“... „ასეთი მრავალი სავაჭრო იმიტომ იყო, რომ სოფლისა ხალხი არ მიდიოდა შორს პირველი მოთხოვნილების საქონლისათვის. მეორე, სოფელში გადიოდა „საქარავნო გზა“ და მესამეც – სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი ვაჭრობას ჰკიდებს ხელს... მოსახლეობასაც გასაყიდიც არ მიჰქონდა შორს, შემოსავლის წყაროც ნაკლებად ჰქონდათ და ხშირად ნისიითაც სარგებლობდნენ“-ო. აქვე მითითებულია 10-ზე მეტი პიროვნება, რომლებიც ინტენსიურ ვაჭრობაში არიან ჩართული და აფართოებენ სამოქმედო სფეროს. უნდა დავამატოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: თანამედროვე არ მიუთითებს, მაგრამ ცნობილია, რომ იმერეთის ზონა მაქსიმალურადაა ჩართული ღვინო-პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში და ამ მხრივ ქუთაისის მაზრის სოფლებს, რომელშიდაც „ვანის“ სოფლებიც შედიოდნენ ყოველწლიურად ბაზარზე გააქვთ რამდენიმე ათეულ ათასი ვედრო ღვინო ყირიმის გავლით, ძირითადად, რუსეთის ბაზრებისათვის და როდესაც მევენახეობის საკითხთა მიმოხილვისას მივუთითეთ საქართველოს დასავლეთ რაიონების შესახებ, „ვანი“ ბაღდათთან ერთად ღვინის ტრადიციული მწარმოებელია და შეიძლება ვამტკიცოთ, ეს პროდუქცია ჭყვიშის ამ სავაჭრო ობიექტებშიც იყრიდა თავს, აქედან გატანისა და შემდეგი რეალიზაციისათვის, ან ადგილებზე ბარტერული გაცვლისათვის. თანამედროვის მოგონებებში ეს ჩანს.

სოფელ რიონში რკინიგზის შუალედური სადგურის გახსნის შემდეგ სავარაუდოა, რომ ბაღდათელთა, როხელთა და სადემეტროს სოფლების მაცხოვრებელთა აქტიურობა ნიქვაძის ფონისაკენ – ჭყვიშისაკენ, მნიშვნელოვნად დაეცემოდა, თუმცა „ვანის“ სოფლებთან მიმართებაში იგი კვლავ ინარჩუნებს აქტიურ პოზიციას XX საუკუნის დასაწყისამდეც. იგივე შეიძლება ითქვას სიმინდის მარცვლის ექსპორტზე, რომელიც სარკინიგზო ხაზის გახსნის შემდეგაც და მანამდეც ქცეული იყო მნიშვნელოვან სარეალიზაციო საქონლად, რომ 1889-1912 წლებში დასავლეთ საქართველოდან გაუზიდათ 60 მილიონი მანეთის სიმინდი (ციფრი აღებულია ილია მირცხულავას ნაშრომიდან, „აგარაულ გლეხური საკითხი საქართველოში“ – 1900-1920 გვ.28) ცხადია, ამაში არის „ვანის“, განსაკუთრებულად ბარის ზონის მოსახლეობის წილიც, მაგრამ გამორჩეულად იმ სოციალური ფენისა, ვის განკარგულებასა და მფლობელობაშიც მოქცეული იყო სავარგული მიწების დიდი ნაწილი და იმ დროინდელი პერიოდიკითაც დამონმებულია, რომ ამ ზონის მაცხოვრებელთა გარკვეულ ნაწილს თითქმის ყოველწლიურად ჰქონდა გასასყიდლად გამზადებული 100-200 ფუთი სიმინდის მარცვალი.

მეოთხე – როგორც ითქვა, დღევანდელი ჭყვიშის ეს ტერიტორია წარმოადგენდა მნიშვნელოვნად აქტიურ ზონას, რადგანაც რიონის არტერიის პარალელურად დაფნარის მიმართულებით აქვე გადიოდა სახმელეთო, სამიმოსვლო საქარავნო გზაც, ფეხით მოსიარულეთა ცხენებით, ე. წ. „ჩალვადართა“ გადასაადგილებლად და საჭაპანო ტრანსპორტის სხვა სახეობებისათვის. ამდენად აქტიურობა სახეზეა, მაგრამ ჭყვიშის ამ ტერიტორიაზე, ასეთ გაფართოებულ ალებ-მიცემობას არ მოჰყოლია სავაჭრო დაბა-სოფლის აღმოცენება. უფრო

სწორად, ეს ტერიტორია მიუხედავად კომუნიკაციათა რამდენადმე გაშლისა და საქმიანობის პროგრესირებისა ვერ იქცა სავაჭრო დაბად, რომლის ფორმირებაც დამახასიათებელი იყო რეფორმის შემდგომი სამეურნეო განვითარებისათვის და რომელსაც განაპირობებდა ასეთი პუნქტების „ტერიტორიალური განლაგება მნიშვნელოვან გზაჯვარედინებსა თუ რკინიგზის მაგისტრალზე“, რადგანაც დროთა სვლითა და სარკინიგზო მიმოსვლათა შედარებით გააქტიურებით, ეს მისია შემდეგში დაეკისრა სამტრედიის მიმდებარე სარკინიგზო სადგურებს, რაც ასევე დამატებით, მრავალი ფაქტორით იქნა განპირობებული. უნდა ითქვას, სავაჭრო გზების ორიენტაციის ცვლა უფრო მოსახერხებელი ტრანსპორტის, მატარებლის სახით, მოქმედებაში ჩართვამ, ჯერ ფუნქცია შეუსუსტა, ხოლო შემდეგ თითქმის მთლიანად დააკარგინა „ნიქვაძის ფონს“. აქედან რიონის არტერია, რომელიც წლების მანძილზე ემსახურებოდა ვანისა და ბაღდათის სოფლებიდან სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქციის თავმოყრისა და ბაზრებზე შეტანის საქმეს თანამიმდევრულად თმობს პოზიციას.

ვაჭრობის გააქტიურება დასტურდება გორას საზოგადოების ამალლების უბანზეც. 1909 წლიდან, როგორც ამალლების სოფლის საზოგადოების ცენტრზე, სადაც ეს სოფელი ფლობდა ადგილობრივ ბაზარს შესაბამისი, მაგრამ არამრავალი ობიექტებით. იგივე ითქმის გორას საზოგადოების ზეინდრის სოფელზეც და უხუთის საზოგადოების სოფელ უხუთზე – საზოგადოების ცენტრზე, რომელშიც როგორც ისტორიკოსი ივ. ხურციძე მის მიერ შედგენილ სოფლის ისტორიაში გადმოგვცემს ფუნქციონირებდა სხვადასხვა დანიშნულების ხუთი სავაჭრო ობიექტი, რომელთაც გაყიდვაში გამოჰქონდათ საქონელი პირველ მოთხოვნილების საგნებიდან სატანსაცმლე ქსოვილებით დამთავრებული. აქვე მოქმედებდნენ ღვინო-პროდუქტების შემსყიდველ-გადამყიდველებიც, თუმცა აქ ბაზრის არსებობა დაფიქსირებული არაა. როგორც ირკვევა კონკრეტული ტიპის თითო სავაჭრო ობიექტი ფუნქციონირებდა თითქმის ყველა სოფლის საზოგადოებასა და მათ სოფელთა გარკვეულ ნაწილშიც. შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ყველა მითითებული სავაჭრო დაწესებულება და ბაზარი ქმნიდა სავაჭრო კონიუნქტურისა და ბაზრის თანამედროვე გაგების კლასიკურ სახეს, მაგრამ პროცესი უნდა განვიხილოთ გარდამავალი პერიოდისათვის სანყის ეტაპად, როდესაც ვაჭრობის ფორმები და მიმართულებანი ხდება უფრო კონცენტრირებული. მრავალფეროვანი ფორმითაც და შინაარსითაც მიჰყვება ამ დარგისადმი ბურჟუაზიული სისტემის მოთხოვნებს „ვანისათვის“ შედარებით მარტივ დონეზე, მაგრამ ამ სფეროში ცვლილება სახეზეა. იმ ფორმითაც, რომ კონკრეტულად ამალლების, ზეინდრის და ვანის საზოგადოების – სოფელ „ვანის“ ბაზრები, რომელზედაც შედარებით დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ ემსახურებიან არამარტო ადგილობრივ, არამედ მთლიანად ვანის სოფლებს იმ ფუნქციონალურ სავაჭრო დატვირთვითა და მრავალფეროვნებით, რომლის შესახებაც ჩვენ „ნიქვაძის ფონის“ სავაჭრო ობიექტების მოქმედების აღწერისას გავამახვილეთ ყურადღება და ოთხივე ამ სავაჭრო „კომპლექსის“ საქმიანობის და მათი მოქმედების გაძლიერებაზე პოზიციების რამდენადმე გააქტიურებას კარნახობდა მაზრის ცენტრის – ქუთაისის სიახლოვე და მისი მცხოვრებლების მოთხოვნა აგრარულ პროდუქციაზე. მეზობელი სამტრედიის მზარდი პოტენციალი და მისი მოსახლეობის მოთხოვნა ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაირსახეობაზე. ხოლო კონტაქტები ამ ორ წამყვან პუნქტთან მაშინდელ საკომუნიკაციო პირობებში ხორციელდებოდა მდინარე რიონზე მოწყობილი საბორნე გადასასვლელებით (ჭყვიშიდან, ციხესულორიდან, ამალლებიდან). ახლომდებარე სოფლების გავლით, საიდანაც მოკლდებოდა გზა ფეხით მოსიარულეთა და საჭაპანო ტრანსპორტისათვის და აიოლებდა „ვანის“ სოფლებისათვის მითითებული პუნქტებიდან სხვადასხვა საოჯახო, სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დანიშნულების საქონლის შემოტანასაც.

ამიტომაც, როდესაც ვეხებით „ვანის“ სოფლებში აღმოცენებული ბაზრების ფენომენის გააქტიურებას მხედველობაში ვიღებთ მათ უფრო სხვა დატვირთვასაც, რომ იგი წარმოადგენდა არა მარტო ეკონომიკის მნიშვნელოვან ფორმას, სადაც ხორციელდებოდა ადამიანთა მიერ შექმნილი შრომის შედეგების ფულის საშუალებით გაცვლა, არამედ „ბაზარი წარმოიშვა და იმთავითვე ვითარდებოდა, როგორც ინფორმაციის გაცვლის, მაშასადამე გართობისა და სანახაობის ადგილიც, სადაც მერმე, ცხადია სულ უფრო მეტ ადგილს იჭერს ნივთიერ დოვლათთა გაცვლა“ (პაატა გუგუშვილი ტომი VI გვ. 417), ამით ბევრი რამაა ნათქვამი და უჩვენებს იმასაც,

რომ იმ დასახლებებში სადაც ფუნქციონირებს ბაზარი, სოციალურ-კულტურული დატვირთვაც უფრო გააქტიურებული ჩანს. ამ პროცესს დღესაც აქვს შენარჩუნებული ასეთი მნიშვნელობა, თუმცა, ზემოთ თქმული ძირითადად მიესადაგება იმ დროსა და პერიოდს, რომელზედაც ჩვენ ამ თხრობაში გვაქვს საუბარი.

რაც შეეხება ვანის სოფლის საზოგადოების საერთო პოტენციალსა და აღებ-მიცემობის არსებულ მდგომარეობას: სოფელი ვანი აღწერილი პერიოდისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან, ხალხმრავალ დასახლებას. კავკასიის მთავარმმართველის გრიგორი გოლიცინის სახელზე გაგზავნილი ინფორმაციით დასტურდება, რომ აქ ბაზარი ფუნქციონირებს უხსოვარი დროიდან. ამასთან სოფელი „ვანი“ (დღევანდელი ქალაქი ვანი) წარმოადგენდა „ვანის“ სოფლის საზოგადოების ცენტრს, ამ სიტყვის შესაბამისი გაგებით, რომელშიდაც შედიოდა 7 მსხვილი დასახლებული სოფელი და პუნქტი – თვით „ვანი“, ციხესულორი, ზედავანის დასახლებანი, სალხინო, დიხაშხო, ტყელვანი, ისრითი. სხვებთან შედარებით ხასიათდება რელიეფურად და კომუნიკაციურად უკეთესი განლაგებით, რაც მას აძლევდა კონკრეტულ პოზიტიურ დატვირთვას. იგი თითქმის ცენტრალური პუნქტია გორას საზოგადოების ამალლების უბნიდან, ტობანიერის საზოგადოების რიგი სოფლებიდან და ნიქვადის ფონიდან, ჰქონდა დამოუკიდებელი საბორნე გადასასვლელი ციხესულორიდან საყულიის გავლით ქუთაისის მიმართულებით, შედარებით ახლოა ამალლების იმ ნაწილთან, საიდანაც ბორნით, მოკლე გზით გასვლა შეიძლებოდა გუბერნიისა და მაზრის ცენტრ ქუთაისისაკენ. იოლად დასანვდომი ადგილია დვალიშვილების (დღევანდელი სულორის) სოფლის საზოგადოებიდან (სოფლებიდან – ძულუხიდან, გადიდიდან, დვალიშვილებიდან). აქედან ჩანს, რომ ჩამოთვლილი ფაქტორები იძლევა შესაძლებლობას კომუნიკაციების აქტიური გამოყენებისათვის და იგი მაქსიმალურადაცაა გამოყენებული იმ დროისათვის შესატყვის პირობებში.

ადგილზე დაცული მასალებით თვისუფლად შეიძლება მსჯელობა სოფელ ვანში მოქმედი ბაზრისა და სავაჭრო ურთიერთობებზე, მოქმედ ობიექტთა სიმრავლეზე და ბაზრის ფუნქციონალური გამართულობისათვის წამოჭრილ დავაზე ან დავებზე, რომელიც შემდეგში გახდა ჯერ ქუთაისის გუბერნიის შესაბამის მოხელეთა მსჯელობის საგანი, ხოლო შემდეგში ოფიციალური წესით ეცნობა ამიერკავკასიის მთავარმმართველს გრიგორი გოლიცინს.

როგორც ითქვა, აქ სავაჭრო ურთიერთობანი და აქედან ბაზარიც ფუნქციონირებდა „უხსოვარი დროიდან“. სარწმუნოა, რომ სოფელი ვანი აქ განლაგებული სავაჭრო და სხვა ობიექტთა სიმრავლით დაწინაურებულია და გარკვეულ როლს თამაშობს ზემოთ მითითებული რეფორმის გატარების შემდეგ 1880-1920 წლებშიც, 1905-1907 და 1917 წლის რევოლუციების შემდეგაც.

1896 წელს ოქტომბრის შუა ხანებში ბაზარი დამწვარა. განადგურებულა ირგვლივ განლაგებული სავაჭრო ობიექტებიც. ამასთან ბაზრის, რომელსაც ურიების უბანთან არსებული ბაზრის სახელითაც მოიხსენიებენ, ახლომდებარე ტერიტორიებზე განლაგებული ყოფილა არასავაჭრო ობიექტებიც: „ვანის“ საზოგადოების ადმინისტრაციული შენობა, აფთიაქი, სამონასტრო სასწავლებელი, ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა და ა. შ. რომლებიც ხანძრისაგან გადარჩენილან. კარგად ჩანს, რომ ბაზარი განლაგებული იყო კონკრეტული პიროვნების კერძო ტერიტორიაზე, რომლის მფლობელისთვისაც დაზარალებულებს მიუმართავთ იმავე ტერიტორიაზე სავაჭრო ფარდულების ასაგებად ნებართვის გაცემის შესახებ, რომელზედაც უარი მიუღიათ, ხოლო მოგვიანებით, ბაზრის გახსნის საკითხზე ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელობისაგან ნებართვის მიღების შემდეგ, იმავე წელსვე განუახლებიათ სავაჭრო რიგების მშენებლობა, ოღონდ ამჯერად სხვა ადგილზე.

ჩვენ, რამდენადმე დეტალურად მიგვყავს საუბარი „ვანის“ სოფლის საზოგადოების მოქმედ ბაზართან დაკავშირებით, მაგრამ ამის საჭიროებას ითხოვს ამ ობიექტის სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვის გააზრება „ვანის“ სოფლის საზოგადოების, მისი მიმდებარე სოფლებისა და მოსახლეობის საქმიანობასთან მიმართებაში, რომელზედაც ვაკვრით ზემოდაც ვისაუბრეთ. ამჯერად, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ „ვანში“, „ურიების უბანში“ განლაგებული ეს ბაზარი თავისი ინფრასტრუქტურით, ფორმით და შინაარსით დღევანდელი რაიონის მაშინდელ ტერიტორიაზე ყველაზე მონესრიგებული, სრულყოფილი სახით წარმოგვიდგება და გამხ-

დარია ინტერესთა კონფლიქტის საგნადაც. რაც დამახასიათებელია სავაჭრო-სააღებ-მიცემო სფეროების დაუფლებისათვის ბრძოლისას, პარალელურად, შედარებით თავჩენილად მიჰყვება ბურჟუაზიული ცხოვრების წესსა და ვაჭრების სახით ასპარეზზე შემომავალ ფენის ან კლასის მოქმედებას, ამაში უცხო და სათაკილო არაფერია. ეს პროცესი თანამიმდევრულად მკვიდრდება, როგორც ცხოვრების წესი. აქედან გამომდინარე მოქმედებს ორი ჯგუფი: ერთნი თავადების მიქელაძისა და ლორთქიფანიძის სახით, მეორენი და გააქტიურებულნიც „ვანის“ სოფლის საზოგადოების დეპუტატთა სახელით, რომელზედაც მინიშნებები ამ თხრობაში გაკეთდა, როდესაც „ვანის“ სოფლის საზოგადოებათა თვითმმართველობების ფუნქციონირებას შეეხებთ. ორივე ჯგუფის მოქმედებაში ჩანს კერძო კონკრეტული ინტერესებიც, მაგრამ ორივე მხარის მტკიცებულებათა მიმართულებები ეყრდნობა სურვილს, რომ მიზნის მიღწევის შემთხვევაში განახორციელონ ვაჭრობის ინტენსივობის ზრდა, კომუნიკაციათა მონესრიგება, დახმარება სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა მოგვარებაზე იმ შესაძლებელ დონეზე, რომელზედაც ხელშეწყობა შეეძლო „ვანის“ ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას, რითაც კარგად ჩანს კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებაც.

საინტერესოა პირველი ჯგუფის მიერ ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელობის წინაშე ბაზრის გახსნის თაობაზე დასმული საკითხებით მსჯელობა და ეკონომიკური დასაბუთებანი:

1 – ბრძოლა მიდის „ვანის“ ცენტრში ბაზრის გახსნისა და ერთიანი საბაზრო დღის დანესებაზე ან „იარმარკებზე“, როგორც არის ჯიხაიში, ორპირში, კულაშში და ა. შ. ამასთან, აქურ მაცხოვრებლებს ლორთქიფანიძესა და მიქელაძეს წინადადება შეაქვთ, რომ ბაზრის მოსაწყობად თვითონვე უფასოდ, ნებაყოფილებით გადასცემენ სავაჭრო ტერიტორიას მდინარე სულორის მარცხენა სანაპიროსთან. ე. წ. „სებეკაზე“, რომ ეს ტერიტორიები თავისუფალია და გამოდგება ბაზრისა და დამხმარე კომუნიკაციათა გასამართავად.

2 – წინააღმდეგნი არიან ე. წ. „ურიების უბანში“ ბაზრის გახსნაზე, რადგანაც: ა) ეს ტერიტორია უშუალოდ ერთვის მდინარე სულორს, ხშირად იტბორება იგი და ხელს უშლის ინტენსიურ ვაჭრობას. ბ) „ურიების ბაზარი“ – გვერდზე მდებარეობს ბალდათი-ორპირის გზასთან (ამ შემთხვევაში ნაგულისხმევია არა ორპირის იარმარკა რიონისა და ცხენის წყლის შესართავთან, არამედ ორპირი — დღევანდელი ჭყვიშის ტერიტორიაზე, სადაც, როგორც ვისაუბრეთ ინტენსიური აღებ-მიცემობა იყო გამართული არა მარტო ადგილობრივ და „ვანის“ მაცხოვრებელთაგან, არამედ ბალდათი, როხისა და სადემეტროს მწარმოებელ გლეხთა და ვაჭართა მხრივაც).

3 – ამ ჯგუფს მიაჩნია, რომ „ურიების ბაზარი“, რომელიც ემსახურება „ვანის“ სოფლის საზოგადოებას (და არა მარტო მათ) განლაგების მიხედვით არაა მოსახერხებელი სავაჭრო-საწარმოო ძალების გასაშლელად. როგორც ჩანს საწარმოო ძალების გაშლაში გულისხმობენ ადგილობრივ რენვას, ჯერ კიდევ მანუფაქტურის დონეზე, მაგრამ ეს პროცესიც და ასეთი ობიექტების განლაგებაც ნიშადობლივია ბაზრებისა და ხალხის თავშეყრის ადგილებისათვის კლიენტურის მოზიდვის პრინციპებით.

4 – ამტკიცებენ, „ვანის“ სოფლის საზოგადოება 30-35 ვერსით დაშორებულია ქუთაისის, საჯავახოს, სამტრედიის, ბალდათის ბაზრებს, რომელშიდაც მოქმედებს ერთიანი საბაზრო დღე. ამასთან დასმულია საკითხი, რომ გზების უვარგისობის გამო (ტრანსპორტისაც) საზოგადოების მცხოვრებლებს არ შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო საქონელი გაიტანონ მითითებულ ბაზრებში და ვერ ერთვებიან ვაჭრობაში. ხოლო სისტემატურ ვაჭრობაში მოიაზრებენ არა მარტო ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ქარბი პროდუქციის გატანას, არამედ „ვანის“ „მოსახლეობისათვის აუცილებელი მოთხვნილების საქონლის შემოტანასაც, რაც ინტენსიური ხასიათის მატარებელი უნდა გამხდარიყო. დაკონკრეტებული აქვთ უმნიშვნელოვანესი პრობლემატური საკითხიც უგზოობის, საქონელგადატანის საშუალებათა არარსებობის, „ვანში“ ბაზრის არ ფუნქციონირების, გარებაზრებთან ნაკლებდასაწვდომობის და ა. შ. გამო ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გასაღების ბაზრებს ჩამოშორებულია და ფუჭდება. გადასაყრელი ხდება, ზარალსაც განიცდიან და შემდეგ კვლავწარმოებას აფერხებსო. ჩვენი აზრით მტკიცებულება არის პრაქტიკის შესაბამისიც და ნორმალურად გააზრებულიც.

ამდენად, მითითებული მიმართვით საგულისხმოდ დადასტურებულია „ვანის“ სოფლის საზოგადოების და საერთოდ „ვანის“ სოფლებისა და მოსახლეობის არაერთი ყოფითი პრობ-

ლება, საკომუნიკაციო ურთიერთობათა დაბალი დონე და ქვეშეცნეულად დანახულია მომგებიანი პოზიცია იმათთვის, რომელთა გავლენის ქვეშაც იქნებოდა მოქმედი ბაზარი და ჩანს საზოგადოების მაცხოვრებელთათვის ბაზრის ეკონომიკური სარგებლიანობის დასაბუთების მცდელობაც.

გუბერნიის ხელმძღვანელობას შეუსწავლია საკითხი წინასწარ, განუხილავს ოფიციალურ დონეზე, მიუცია დასკვნა, რომ პრობლემები შეფასებულია კარგად და მიუღია გადაწყვეტილება სებეკაზე (დღევანდელი საავადმყოფოს ტერიტორიაზე) ბაზრის გახსნის თაობაზე¹. დაუვალეობათ ქუთაისის მაზრის ხელმძღვანელობისათვის მითითებული ბაზრის გახსნის შესახებ გაეგრძელებინათ ცნობები და დაემყარებინათ კონტროლი, რომ მშენებლობა განხორციელებულიყო იმპერიის კანონშესაბამისობაში, ასევე დაცული ყოფილიყო სანიტარული ნორმებიც. შემხვედრი მასალებით ჩანს 1900 წლიდან ახალი ბაზარი ამოქმედებულა სებეკას ტერიტორიაზე და ამავე პერიოდიდან გამოკვეთა აქტიური წინააღმდეგობა მეორე ჯგუფმაც. „ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის „ვანის“ საზოგადოების დეპუტატთა მიერ მონიჭებული უფლებამოსილებით“ ვმოქმედებთო, აღნიშნავენ მესაკუთრე გლეხი ბერძენიშვილი, სიგუა და ვამეხ მალაკელიძე (ვანის საზოგადოების მამასახლისი) კავკასიის მთავარმმართველის თავად გრიგორი გოლიცინის სახელზე გაგზავნილ საკმაოდ ვრცელ საჩივარში. მოჰყავთ რა მტკიცებულება, რომ გუბერნიის ხელმძღვანელობა შეცდომაში შეიყვანა ბაღდათის საპოლიციო უბნის ჩინოვნიკმა მაჭავარიანმა, რის გამოც გუბერნიის შესაბამისი მოხელენი უკანონოდ უჭერენ მხარს თავადებს მიქელაძესა და ლორთქიფანიძეს, რომ სებეკას ბაზრისათვის გამოყოფილი ტერიტორია არ წარმოადგენს არც მიქელაძისა და არც ლორთქიფანიძის საკუთრებას. ამოძრავებთ ანგარებითი საფუძველი, რომ სებეკას ტერიტორია გაუდაბნობებული ადგილია, სადაც ხანდისხანდ თუ გაივლიან მხველ-მთესველნი (похар для посева) და რომ გუბერნიის ხელმძღვანელობამ იგნორირება გაუკეთა „ვანის“ საზოგადოების 1900 წლის 14 მაისის დადგენილებას. კატეგორიულად მოითხოვენ სებეკას ბაზრის დახურვას და ბაზრის ფუნქციონირების აღდგენას ურიების უბანში, სადაცო, როგორც ითქვა, უხსოვარი დროიდან მოქმედებდა ბაზარი და აქვეა განლაგებული „ვანის“ სოფლის საზოგადოების მმართველობა, სოფლის აფთიაქი, ქალთა სამონასტრო სასწავლებელი, 100-მდე ფარდული, ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა და არის მჭიდრო დასახლებაო.

მდგომარეობა იმ დონეზე ჩანს გართულებული, ხსენებულმა დეპუტატებმა პირველ ეტაპზე საკითხი გაასაჩივრეს პეტერბურგში – იმპერიის სენატში, რადგანაც 1881 წლის გადაწყვეტილებით გუბერნატორსაც და მთავარმმართველსაც უფლებები შედარებით შეუზღუდეს, რის გამოც თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სადაო პრობლემები განიხილებოდა იმპერიის უმაღლეს ინსტანციაში, რაც თავისთავად ნაირგვარ ბიუროკრატიასთან და საქმის გაჭიანურებასთან იყო დაკავშირებული. გოლიცინისადმი გაგზავნილი იმავე საჩივრით ირკვევა, რომ სენატს სწორად უცვნია დეპუტატებისაგან საკითხის დაყენება და გადაუგზავნია ქუთაისის გუბერნიაში. გუბერნიის ხელმძღვანელობას იგი მაინც არ შეუსრულებია. ამის გამოც გამხდარან იძულებულნი „ვანელები“, ისევ მიემართათ კავკასიის უმაღლესი ხელისუფლებისათვის, კონკრეტულად გოლიცინისათვის.

ინტერესს იწვევს განცხადებაში მოყვანილი მსჯელობის პათოსი, საკითხთა დალაგებულობა და მტკიცებულებანი, რომელიც აჩვენებს, რომ იგი შესრულებულია საქმეში კარგად ჩახედული პროფესიონალი და გამოცდილი იურისტის მიერ.

ვიმეორებ: მოყვანილი ფაქტები ადასტურებს „ვანის“ ტერიტორიაზე ვაჭრობის სფეროში გავლენისა და უპირატესობის მოპოვებისათვის ბრძოლას, ხოლო თუ მიაღწევდნენ სებეკაზე ბაზრის გაუქმებას, ეს იქნებოდა მომჩივანთა ჯგუფის უპირატესობაც, რითაც იშორებდნენ კონკურენტ მხარეს. ამ მოქმედებაშიც არაჩვეულებრივი არაფერია და გამომდინარეობს გაზრდილი კონკურენციის და საქმიდან მოგების მიღების პრინციპებიდან. რა თქმა უნდა, არ იზარალებდნენ „ვანის“ სოფლების საქონელმწარმოებლებიც.

განცხადებაში გვარიანად იკვეთება ისიც, რომ გუბერნიამ შეიძლება თვითნებურად არ შეა-

¹. ქუთაისის გუბერნიის შესაბამისი სამსახურის გადაწყვეტილების ასლი დაცულია ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

სრულოს მასზე მაღალი ინსტანციის გადაწყვეტილებაც, რომელიც მიმართებულია დაქვემდებარებითი სუბორდინაციის შესუსტებისაც.

ეს განცხადება გაუზვიადებლად მიმანიშნებელია და კარგად ასახავს, რომ „ვანის“ საზოგადოების ცენტრიც, სოფელი „ვანი“ მიუხედავად მჭიდრო დასახლებისა და იმ დროისათვის სხვებისაგან განსხვავებით, ამ ტერიტორიაზე მმართველობით და რიგ სხვა დაწესებულებათა კონცეტირებისა, მისი ტერიტორიის ახლო მდებარე ნაწილი გაუდაბნოებული და აუთვისებელია, „სადაც იშვიათად თუ გაივლიან მხოლოდ მხენელ-მთესველები“, ხოლო მიმოსვლის გზები აშკარად მოუწესრიგებელია და ხელისშემშლელია ადგილობრივ სავაჭრო ურთიერთობათა ინტენსივობისათვის.

განცხადება იძლევა ინფორმაციას, რომ ბაზართან არა მარტო მოქმედებაშია საკმაო რაოდენობის სავაჭრო ფარდულები, არამედ შესაბამის ფარგლებში ეწყობა „ვანის“ სოფლებსა და მის გარეთ შექმნილი სასოფლო-სამეურნეო, ასევე ოჯახური შიგა რენვით დამზადებული პროდუქციის რეალიზება. ყოველდღიური და შედარებით ხანგრძლივი მოხმარების საგნების და სხვა ბაზრებიდან შემოტანც. ამ მხრივ დანახულია გარე, ტრადიციულ ბაზრებთან კონტაქტების აუცილებლობაც.

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, ბაზრისა და სოფელ „ვანის“ ცენტრის კომუნიკაციათა აღწერილობით დასტურდება, რომ მოცემული პერიოდისათვის, საერთო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, სხვა სოფლის საზოგადოებების ცენტრებისაგან განსხვავებით სოფელი ვანი – როგორც „ვანის“ საზოგადოების ცენტრი ჯეროვნად დანინაურებული ჩანს.

როგორც ვნახეთ, რეფორმამ საფუძველი დაუდო სავაჭრო აღებ-მიცემობათა სახეცვლას, გააფართოვა მისი საზღვრები, გამოიყვანა ფეოდალური კარჩაკეტილობიდან, საწყისი მისცა შესატყვისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისაკენ. „ვანის“ მოსახლეობის ვაჭრობის ძირითადი სფერო კვლავ აგრარული ნაწარმია.

„ვანის“ თავადაზნაურთა და საერთოდ, ამ ფენის წარმომადგენლობის დამოკიდებულებაზე ვაჭრობასთან, ჩვენ ზემოთ გაკვრით ვისაუბრეთ და ითქვა იმაზეც, რომ ძალზე ნაკლებად დასტურდება, რომ ამ ფენის უმრავლესობა მოერგო ახალი, ბურჟუაზიული ცხოვრების რიტმს, განსაკუთრებულად მას შემდეგ რაც წოდებები, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად გაუქმდა. დაკარგეს მწარმოებელი ძალა და ნელ-ნელა, მაგრამ თანამიმდევრულად იწყება ცხოვრების ნეისის ცვლა. ჩანს მათ ან უარი თქვეს, ან არ ეყოთ მონდომება ახლადფეხადგმულ ბურჟუაზიულ ცხოვრების კანონებთან შეგუება-მორგებაზე და საბაზრო ურთიერთობათა წესები სამარცხვინოდ მიიჩნიეს. არ განირეს ტრადიციები, მისი ჰეროიკული მიმზიდველობა, ან არჩიეს იოლად გასვლა. ეს იოლად გასვლა კი მათ მფლობელობაში არსებული მიწების გაყიდვა-გაიჯარება-გასხვისებასა და აქედან იოლი შემოსავლებისაკენ იხრება. აი, აქედან კი, იგი აქტიურად ჩაება უძრავი ქონებით ვაჭრობის საქმეში, ჰყიდიან მიწებს, წარმოებისა და არსებობის ძირითად საშუალებებს. ამის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები უხვადაა მოპოვებული და დაცული „ვანის“ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რაც ცხადყოფს იმას, რომ „ვანშიც“ ფეოდალურ ურთიერთობათა საფუძვლები შეირყა, მათ თანამიმდევრულად გაჰყვა თავადაზნაურთა კუთვნილი მიწის ფონდის დაკარგვა და გადასვლა მიწის მყიდველი ვაჭრების, მევახშეთა, შეძლებული გლეხების, არაიშვიათად ადმინისტრაციულ მოხელეთა ხელში და მიიღო შეუქცევადი ინტენსიური ხასიათი.

იძულებითია ეს პროცესი. 1864-1865 წლებში გატარებულმა რეფორმამ მიუხედავად იმისა, რომ გლეხი გარკვეული დროით მიაბა ყოფილ მეპატრონეზე, გლეხს იურიდიული ფორმით მაინც განუსაზღვრა უფლება შესაძლებლობათა გაჩენის შემთხვევაში თავისი თავიც და ოჯახიც ემართა მეპატრონისაგან დისტანცირებულად. ეს პროცესი დროთა ვითარებაში მაინც ხდება საფუძველი, ფეოდალს დაეკარგა მწარმოებელი ძალა გლეხის სახით, ხოლო მიწათა ფლობა მწარმოებელი ძალის, მისი დამუშავებლის გარეშე იმ ეპოქისათვის წარმოუდგენელია. ასეთი მოსალოდნელობა მათ ჯერ კიდევ რეფორმათა მზადების პროცესში განსჭვრიტეს, როდესაც ამტკიცებენ, რომ არც გუთანზე დაჯდომა შეუძლიათ, არც თოხნა, არც ბარვა, რომ ამ ხელობისათვის ჩვენ უვიცნი და უცხონი ვართო. მთავარი მწარმოებელი ძალის დაკარგვა

ხდება მიზეზი მინის ფონდის დაუმუშავებლობისა. მითუმეტეს იმ დროისათვის გარდა გამწევი ძალისა შრომითი პროცესის ტექნიკურ პროგრესზე საუბარი ზედმეტია. არისტოკრატია შემოსავლების შემცირებისა და ცხოვრების საარსებო დონის დაწევის გამო იძულებულია იფიქროს მინის ფონდის გასხვისებაზე, ან გაზრდილი ქირის გადახდით მის დამუშავებაზე. ამას ემატება ფსიქოლოგიური ფაქტორი, ვილაცამ მისდა სასარგებლოდ უნდა იმუშაოს. ამის გამოც უჭირს სიტუაციებზე შეგუება და სიტუაციათა შეცვლაც. როდესაც ამ პროცესებზე ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი საუბრობდა, მთელი პირდაპირობით აღნიშნავდა: „თავადაზნაურობამ მოჭამა თავისი დრო. დროთა ვითარებამ ისინი მშრომელი ხალხის კისრიდან გადმოსაკუბა, დასვა ცარიელზე და უთხრა: ან შენი ოფლითა და მკლავით იცხოვრეო... დარჩა უნუგეშო მდგომარეობაში. შრომა მას არ შეუძლია, სწავლა მას არა აქვს, ღარიბდება და საშუალება ხელიდან ეცლება. ...ამ გარემოებაში მოგებული დარჩა ის უმთავრესი ნაწილი ხალხისა, რომელიც ძველთაგანვე გაჭირვებაში იყო და შრომაში განაფული... მომავალიც ამ ჯანით ღონიერ ხალხზე ტრიალებს“.

საერთოდ, „ვანის“ ტერიტორიაზე ვაჭრობა, ალებ-მიცემობის შედარებით გააქტიურებასთან დაკავშირებით, ასევე რამდენადმე განსხვავებული მომენტია ყურადსაღები:

1 – ადგილზე დაცული და ზოგიერთი სხვა მასალებიც არ იძლევა დასკვნით საშუალებას, რომ აქ, მთლიანობაში ან საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფართო სავაჭრო ურთიერთობანი.

2 – არ შექმნილა რაიმეგვარი მნიშვნელოვანი ორგანიზებული სავაჭრო სანარმო პოტენციალი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარდა ადგილობრივი ნაწარმით უზრუნველყოფდა ასევე ადგილობრივი ბაზრისა და მოსახლეობის საერთო მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. პირიქით, აუცილებელი მოთხოვნების დიდი ნაწილი, ასევე საოჯახო სამეურნეო სახის რკინის ნაკეთობათა დამზადებისათვის საჭირო ნივთები და მასალები ნახევარფაბრიკატების სახით შემოჰქონდათ სხვა შესაბამისი რაიონებიდან ან ქალაქებიდან.

3 – ადგილობრივი კუსტარული რენვა. მაგალითად: ცხვრის, მატყლის, თხის ბენვის, ბამბის და ზოგიერთ სხვა ნივთიერებებისაგან, რომლისთვისაც ნედლეული ადგილზე მოიპოვებოდა, მათგან აუცილებელი, მოხმარების საგნების ქსოვილების სახით დამზადება, იშვიათად შორდებოდა შიგა ოჯახურ, ზოგჯერ სოფლის ზოგიერთ მცხოვრებთა მოთხოვნილება-დაკმაყოფილებას. პროცესი ეყრდნობოდა ერთეულ ინდივიდებს, ეფუძნებოდა ტრადიციულ საფუძველზე მიღებული ცოდნისა და რენვის ფორმებს, ძნელი წარმოსადგენია, რომ მას კონკურენცია გაენია ამ დროისათვის უკვე გარედან შემოტანილი ქარხნული წესით დამზადებული მსგავსი საქონლისათვის. აქ გასაკვირი არაფერია, რადგანაც ფაქტორთა მთელი წყება, დაწყებული აკადემიურად მოუმზადებელი კადრებიდან დამთავრებული ტექნიკური აღჭურვილობის დაბალი დონით განაპირობებდა ამას. მაგრამ „ვანის“ მაცხოვრებელთა არაჯეროვანი ეკონომიკურ-მატერიალური პირობები განსაზღვრავდა ასეთი შიდა რენვის ნაწარმს ადგილზე კლიენტურა მაინც შეენარჩუნებინა.

4 – შედარებით განსხვავებული პირობებია დამახასიათებელი იმ ხელოსნებისათვის, რომლებიც ენეოდნენ ტყავის ხარშვას, გამოყვანას, მათგან მოხმარების აუცილებელი ნივთების შექმნას. ხისგან საოჯახო ნივთებისა და ავეჯის დამზადებას და ა. შ. მათ რეალიზაციაში მოქცევას. ყველა ეს პროცესი „ვანთან“ მიმართებაში დაფიქსირებულია დაცული მასალებით და ნივთმტკიცებებით. შეიძლება ითქვას რომ ასეთი პროდუქცია ადგილობრივი ნაწარმის სახით გარკვეულ დრომდე ჩართული იყო ადგილობრივ, ლოკალურ სავაჭრო ურთიერთობებში, რომლის ერთი მაგალითიც ჩვენ მოვიყვანეთ, როდესაც ადგილობრივ სამეურნეო საქმიანობასა და სამეურნეო ურთიერთობებს განვიხილავდით.

5 – ზემოთ მოყვანილი მსჯელობით შეიძლება იმ დასკვნამდე მისვლაც, რომ „ვანში“ შენარჩუნებული ასეთი საქმიანობისა და მოქმედების ფორმები, რომელიც მიჰყვებოდა შიგა რენვის პროცესებს, ან ვერ გადაიზარდა შრომის რამდენადმე დიფერენცირებულ, დარგობრივ ორგანიზებულ საქმიანობაში, რომელიც რენვის კვლავ ინდივიდუალურ განყენებულ კარჩაკეტილობაზეც აკეთებს მინიშნებას, ან პირობებია ჯერ კიდევ იმდენად უფერული და არასრულყოფილი, რომ პროცესთა განხორციელება, ამ მხრივ შრომის პროგრესირება შეუძლებელი გახდა. ამის გამოც „ვანის“ სავაჭრო, შიგა ალებ-მიცემობით ბრუნვაში ადგილობრივი ნაწარმი

გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა, იშვიათად ან მოჭარბებული საქონელგაცვლის სახით არ ჩანს. ჩვენს ხელთ არსებული მასალები და მათი შეჯერება რიგ ოფიციალურ ლიტერატურასთან იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას.

6 – როგორც იმ დროინდელი საქართველოსათვის წარმოდგენდა იშვიათობას, ასევე „ვანის“ ტერიტორიაზე გარდა ზემოთ მოყვანილი მაგალითისა, რომელიც მიქელაძე-ლორთქიფანიძის ვანის ბაზართან დამოკიდებულებას ეხება, ან გამონაკლისით ნესტორ ერისთავისა, რომელიც XX საუკუნის 20-იანი წლების მიჯნაზე ვინმე ცეცხლადის მეშვეობით იწყებს თავის საკუთრებაში არსებული ტყის სავაჭრო-კომერციული დანიშნულებით რენვას, ნაკლებად ან საერთოდ არ ფიქსირდება ადგილობრივ თავადაზნაურთა არათუ აქტიურობა, არამედ ერთეული შემთხვევებიც კი, რომ მათ გამოეჩინათ მიდრეკილება ორგანიზებული ვაჭრობა ალებ-მიცემობისათვის, ასევე არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნისა და რეალიზაციისათვის. (მხედველობაშია ამ მხრივ მათი საქმიანობა „ვანში“ და არა მის გარეთ). ობიექტურად უნდა ითქვას იმაზეც, რომ მათ მფლობელობაში ჯერ კიდევ დარჩენილი ძირითადი საშუალებებით (და არა მწარმოებლური ძალებით) იმ კომპენსაციებით, რომლებიც გლახთა განთავისუფლებისათვის სახელმწიფოსაგან ერთდროულად მიიღეს, ყოველივე ამის ნორმალურად და მიზანმიმართულად გამოყენების შემთხვევაში, მათ ნამდვილად ექნებოდათ საშუალება ადგილობრივი რენვა-ვაჭრობის ორგანიზებული წამოწყებისა და ამ პროცესში ჩართვისათვის. ცხადია, ეს ვერ მოხდებოდა მასიური ფორმით, მაგრამ მაგალითების სიმრავლე შეიძლება ყოფილიყო. თუმცა, როგორც აღინიშნა, ცხოვრების დინებამ ისინი საფუძვლიანად ჩართო უძრავი ქონებით ვაჭრობის საქმეში, რაც მათ სანინალმდეგოდ შეტრიალდა. აქვე უნდა ვიფიქროთ, რომ კონკრეტულად, ვაჭრობისადმი მათგან ნეგატიური მიდრეკილების ახსნა თავისუფლად შეიძლება აღზრდის ფაქტორებიდან გამომდინარეც, რომელიც ნამდვილად არაა სათაკილო და დასაძრახი და იგი ძირითადად (ან რამდენადმე) უკავშირდება ერის წინაშე ისტორიულ ვალდებულებებს.

საქართველოში თავადაზნაურობაც და გლახობაც, რომელთაც მკლავი უვარგოდათ, იზრდებოდნენ რაინდული სულისკვეთებით, (არაა საუბარი იმაზე ვინ როგორ იყენებდა ამას, მაგრამ ეს რეალობაა). და ქართველი რაინდისათვის და არა მარტო მათთვის, მეომარი კაცისათვის, ვაჭრობა და ჩარჩული ალებ-მიცემობა მიიჩნეოდა არასასახელო საქმედ, რომ არ ვიხმაროთ სიტყვა უღირს, დასაძრახ ქმედებად. შეიძლება ისინი პატივს სცემდნენ ამ „ხელობის“ წარმომადგენლობას, მაგრამ პიროვნულად ეს პროფესია ვაჟკაცის, რაინდის ღირსებად არ მიაჩნდათ. ჩანს, რომ ეს ფსიქოლოგიაც ამდაგვარად იყო მომართული – კარგი ქართველი კაცი, კარგი რაინდი, მებრძოლი, ხმლისა და იარაღის ყადრის მცოდნე (რომელსაც ხანდისხან, შეიძლება ხშირადაც, მიზანშეუწონლად რომ იყენებდა) სტუმართმოყვარე, ღირსების შემფასებელი, კარგი და ლაზათიანი მოქეიფე და აშიყიც.

როგორც ზემოთ დავინახეთ, „ჩვენ ამა საქმისაგან უცხონი და უცოდინარნი ვართო“ აცხადებდნენ ისინი და აქ ნაგულისხმევი არ იყო მარტო ის, რომ ისინი შესაძლებელია მართლაც უცხონი იყვნენ ფიზიკური შრომისაგან, როგორც ექსპლოატატორები, მაგრამ ის, რომ ბევრი მათგანი ინდივიდუალურ, ვაჟკაცურ სულს ატარებდა უარყოფა არ შეიძლება. ამდენად, ვაჭრობას ეს კასტა უფრო დაბალი ფენების საქმიანობად მიიჩნევდნენ. თუმცა, დროთა და სიტუაციათა ცვლამ მათგან ამდაგვარ „მიუღებელ“ საქციელს ლოგიკა გამოაცალა. არც მაინცა და მაინც უცდიათ და ჩანს ვერც დროით ნაკარნახევ პოცესებს მოერგნენ. ამიტომაც „ვანშიც“ ეს სფერო თანამიმდევრულად გადადის ახლადფეხადგმულ ვაჭართა, მევახშეთა ხელში, რომელთა დიდი ნაწილი წარმოიშა შედარებით აქტიური გლახებისაგან, ალლო აუღეს ცხოვრების ცვლას, აქედანვე მიიღეს ბიძგი ჩართულიყვენ და დაუფლებოდნენ ასეთ საქმიანობას. პროცესი მოერგოთ პიროვნული ინტერესებისათვის. ასე, რომ „ვანის“ თავადაზნაურთა წარმომადგენლები ჩართულიყვენ სავაჭრო ალებ-მიცემობით საქმიანობაში და ჰქონოდათ მიღწევები, ლოკალურად, „ვანის“ მთელ სივრცეზე არა ჩანს. ვაკონკრეტებთ: მხედველობაშია ამ საქმესთან დაკავშირებული მათი მოღვაწეობა „ვანის“ არეალში და არა სხვაგან.

7 – ვაჭრობის სფეროში შემოდის „ვანის გლახთა უმცირესი, საკმაოდ რისკიანი ნაწილი. რომლებიც, ძირითადად, დაკავებული სჩანან ადგილებზე შექმნილი პროდუქციის შესყიდვა-გაყიდვით, ხოლო მწარმოებელი გლახობა აქტიურად აღმოჩნდა ჩართული საკუთარი ნაწარმის,

როგორც ჭარბი ასევე, არაზედმეტი პროდუქციის რეალიზაციის საქმეში, რომელსაც ახერხებდა პიროვნულად ბაზარზე გატანით ან ადგილზე, „საკუთარ ეზოში“, გადამყიდველებზე გაყიდვით, ან ბარტერული გაცვლით. ამ მხრივ იგი მიბმული აღმოჩნდა ბაზართან, ჰყიდდა არსებობის აუცილებელ საშუალებას. ეს ატარებდა იძულებით ფორმასაც როგორმე დაეგროვებინა ფული, გამოესყიდა სანადელო მიწა, თავი დაეღწია მეზობლისაგან და მიეღო ოჯახური თავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კვლავ რჩებოდა დროებითვალდებულ გლეხთა კატეგორიაში. პრაქტიკულად მემამულისადმი იგივე ყმა-გლეხის დამოკიდებულებაში.

8 – 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში განხორციელებული რეფორმით განისაზღვრა ვაჭართა განთავისუფლების წესიც. ცხადია ეს კატეგორია მიწათმოქმედებას არ ეწეოდა, არ წარმოადგენდნენ არც მწარმოებლურ ძალას, მაგრამ ვაჭრობის შედეგად დაგროვილი ფინანსებით ცხოვრობდნენ უკეთესად, ვიდრე გლეხობა და თავისუფლად შეეძლოთ დაწესებული საფასურის გადახდით ნებისმიერ დროს დაეხსნათ თავი მეზობლისაგან. იურიდიულად ეს ფორმა ვრცელდებოდა არამარტო ქართველ, არამედ ადგილებზე მოქმედ სხვა ეროვნებათა წარმომადგენელ ვაჭრებზეც, სომხებსა და ებრაელებზე, რომლებიც ასევე ქართველ მეზობნეთა ყმებს წარმოადგენენ და „მეზობნენიც ამ მხრივ გარკვეულ მოგებასაც ნახულობდნენ“. თავის გამოსყიდვის შემდეგ მათ ეხსნებოდათ მოქმედების თავისუფალი არეალი და როგორც ჩანს ამ პერიოდიდან იწყება მათი შედარებითი, მასიური გადმოადგილება „ვანის“ ტერიტორიაზე. კონკრეტულად, XIX საუკუნის შუა ხანებიდან – კულაშიდან, ტყაჩირიდან, სამტრედიიდან და ა. შ. განმაპირობებელი ფაქტორი გახდა ის, რომ, როგორც იკვეთება ეს სივრცე ინდივიდუალური ვაჭრობის თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ იყო აქტიურად ათავისებული, თუმცა ეს არ ნიშნავს იმასაც „ვანში“ თითო-ოროლა სომეხთა და ებრაელთა ოჯახები, რომლებიც ალებ-მიცემობით იყვნენ დაკავებული მანამდეც არ არსებობდნენ. აქ გასათვალისწინებელია ზაქარია ჭიჭინაძის ერთი დამახასიათებელი შეფასებაც: – „იმ დროისათვის ებრაელებს არც მაინცა და მაინც დიდი ვაჭრობა უჭირავთ ხელში... XIX საუკუნის ნახევრამდე ქართველი ურიები საქართველოში ყმებად ირიცხებოდნენ... ის კი ჩანს, რომ საქართველოში არ ყოფილა სადმე ტაძარი და თავადიშვილი რომ მას ურია ყმად არ ჰყოლოდა.

„...ქართველ მეზობნეთა ძლიერ ხშირად იცოდნენ თავიანთი ყმათა ქალების მზითვებში გატანება. მზითვებში ატანდნენ არა ერთ და ორ პირს, არამედ მთელს ოჯახებით, ხუთს, ათს, ორმოცი ოჯახიც კი გაუტანებიათ... ყოველი მეზობნე ნამეტურ ეტრფოდა და ელტვოდა ურითა ყმობას... ებრაელს საცა კი გაატანდნენ ზითევში იქ ის უეჭველად ვაჭრობას დაიწყებდა“¹.

უნდა ვივარაუდოთ, რომ „ვანში“ შემოსახლებულ ებრაელებსაც სანყის ეტაპზე „დიდი ვაჭრობა არ ეჭირათ ხელთ“. დატარებითი ვაჭრობა წარმოადგენდა მათი მოქმედების განმსაზღვრელ მიმართულებას. ყიდულობდნენ ადგილზე, ჰყიდნენ, ბარტერით ცვლიდნენ ადგილზევე, შემოჰქონდათ მზა ნაწარმი და ასე აფართოვებდნენ მოქმედების არეალს. ფიქსირდება მათი სავაჭრო კონტაქტები იმპერიის რიგ ქალაქებთან. შემდეგ, ადგილზე თვითონვე ჰქმნიდნენ მარტივი მოხმარების სახის პროდუქციას და რთავდნენ ასევე დატარებით ვაჭრობაში, რომლის ფორმასაც ისინი იწარჩუნებდნენ XX საუკუნის 50-იან წლებამდეც.

სავარაუდოა, რომ დღევანდელი რაიონის მაშინდელი ექვსივე სოფლის საზოგადოებაში ასეთივე წესით საქმიანობდა სომეხ ვაჭართა მცირე მასაც, აქვე დასახლდნენ, შემდეგ შერჩნენ ამავე ადგილებს, განიცადეს ასიმილაცია და გადაიკეთეს გვარებიც.

ამდენად, მცირედი განმეორებით, შეჯამების სახით „ვანის“ საზოგადოების სოფელ „ვანთან“ დაკავშირებით განვითარებული პროცესებიდან შეიძლება ითქვას: სოფლის ცენტრში მჭიდრო დასახლებები, შედარებით მოხერხებული მდებარეობა და განლაგება, ადმინისტრაციული მმართველობითი სისტემის არსებობა, ჯერ კიდევ კუსტარული, მაგრამ ადგილობრივი რენვის ზოგიერთ სახეობათა ბაზრის სიახლოვეს განლაგება, ბრძოლა ბაზრისა და სავაჭრო ადგილების ამორჩევისა და დაუფლებისათვის, ბაზრის ფუნქციონირების გაზრდაზე ყურადღების გადატანა, ერთიანი სავაჭრო დღის შემოღება და ა. შ. იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ

1. ზაქარია ჭიჭინაძე (ქართველი ებრაელები საქართველოში გვ. 25-26)

სოფელი „ვანი“, „ვანის“ სოფლის საზოგადოების ცენტრი, ყველა ზემოთ აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე იმ დროისათვის სცილდება უბრალო სოფლის ფენომენის გაგებას და ყალიბდება იმ ადგილად, რომელიც უნდა გარდაიქმნას არამარტო მასში შემავალი, არამედ სხვა სოფლებისა და დასახლებების ადმინისტრაციულ ცენტრად – დაბად. ასეთი პროცესი უცხო არაა მაშინდელი განვითარებისათვის. ცხოვრების დინება და გარემოებანი უბიძგებს მას და ამზადებს სამეურნეო-სავაჭრო, სოციალური და ადმინისტრაციული ლიდერობისათვის.

როდესაც ჩვენ „ვანის“ მსხვილ და საშუალო მინათმფლობელებზე ვსაუბრობდით გამოგყავით ამ კატეგორიას მიკუთვნებული რამოდენიმე გვარი და მივანიშნეთ იმაზე, რომ დროთა და სიტუაციათა ცვლადობის შედეგად იგივე გვარები იქცნენ მინის აქტიურ გამყიდველებად. საკუთარი ნაკვეთები ჩართეს სავაჭრო ბრუნვაში და მისცეს მას სარეალიზაციო საქონლის სახე, რომ ეს პროცესი ინტენსიური სახით იწყება 1880-იანი წლებიდან და მოემართება 1913 წლამდე.

„ვანის“ ექვსივე საზოგადოებაში, საკუთრებაში არსებულ მინებს ჰყიდიან აბაშიძეები, ლორთქიფანიძეები, მიქელაძეები, ოზურგეთელი ჭილაძე, საჯავახოელი აზნაური არდიშვილი, სამტრედიასი, ჯიხაიშა და კულაშში მცხოვრები მიქელაძეები, რომლებიც ადგილებს ფლობდნენ „ვანის“ სოფლების ტერიტორიებზე. მინების გაყიდვით დაკავებულნი არიან – ჩიჯავაძეთა გვარიდან გათხოვილი ქალბატონებიც, აზნაური შარაშენიძე, ბარის ერისთავები, რომელთა მფლობელობაშიც უზარმაზარი ტერიტორიებია მოქცეული. შედარებით ინტენსიური მყიდველები სჩანან ბართლომე, მათე და ისიდორე კორძაძეები ციხესულორიდან, ძაგნიძე სალხინოდან, მესხები გორას სოფლის საზოგადოებიდან, იაგორ მესხი ვანის საზოგადოებიდან. პროცესში ძალზედ აქტიურად ჩანს ჩართული ამავე საზოგადოების მამასახლისი ვამეხ მალაკელიძე, რომელიც დაკავებულია ასევე ფულის გასესხებით, ხოლო, როდესაც მსესხებლები ვერ უხდიან ნასესხებს, საკუთრებაში გადააქვს გირაოში ჩადებული მინები. ეს პიროვნება ფულს ასესხებს, როგორც ზოგიერთ თავადაზნაურთა წარმომადგენელს, ასევე გლეხებსა და სოფელ „ვანში“ მცხოვრებ რამდენიმე ებრაელზე. როგორც მასალათა ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, ეს პიროვნება თანდათან ყალიბდება ადგილობრივ, საშუალოზე მაღალი დონის სოფლის ბურჟუაზი. როგორც ითქვა, ამაზე დასტურს იძლევა მისი გარდაცვალების შემდეგ მეუღლეს, ძმებსა და ძმისშვილებს შორის გაფორმებული ხელწერილიც დამადასტურებელი იმისა, რომ ის ფლობს საკმაო სიმდიდრეს და არა მარტო მინის სახით. მინის აქტიური მყიდველია ვინმე ტარიელ ლასხიშვილი. იგი თავის მოქმედების სივრცეს აფართოვებს ყველა სოფელში, ფლობს, ყიდულობს და ზოგ შემთხვევაში ჰყიდის სავარგულ მინებს, ტყეს, დანყებულ საპაიჭაოდან, დამთავრებული სალომინათი. წარმოადგენს ფულის გამსესხებელსაც. მინებს ჰყიდიან ცალკეული გლეხებიც გლეხებზე და ა.შ და ა.შ. ასე რომ იმ მასალების საშუალებით, რომლებიც ჩვენს ხელთაა, ირკვევა რომ მინის გამყიდველთა მინიმუმ 70 პროცენტი თავადაზნაურობაა. მყიდველთა მასა მცირეოდენი, მაგრამ შეძლებული გლეხოება, ახლად ჩამოყალიბებული კულაკური ფენა, ბანკები და უფრო გვიან ამ საქმეში ჩართულნი აღმოჩნდნენ საკრედიტო ამხანაგობებიც.

ყურადსაღები და ნიშანდობლივია რომ „ვანის“ მინების, უძრავი ქონების, ვაჭრობის საკითხებში აქტიურად არიან ჩართულნი მოქმედი კერძო და სახაზინო ბანკებიც. მათ გაყიდვასა და საჯარო ვაჭრობაში გამოაქვთ ყველა ის სავარგული მინები, რომლებიც, ძირითადად, ბანკებიდან სესხების გატანისას გირაოს სახით ჩადეს მსესხებელმა თავადაზნაურებმა. შემდეგში დროული გადახდა ვერ შეძლეს, მოექცნენ დავალიანებაში და იძულებულნი არიან დათანხმდნენ გირაოს სანაცვლოდ „საქონლად“ ქცეული საკუთარი მინების გაყიდვას. ეს პროცესი გააძლიერა იმანაც, რომ ბანკებს ძნელად გადამხდელ კლიენტთა მაგივრად უჩნდებათ უფრო საიმედო პარტნიორები ახლანარმოშვებულ ვაჭართა, მევახშეთა, მენარმეთა, მცირე მაგრამ, მაინც შეძლებულ პიროვნებათა, ან გლეხთა სახით. გასესხებული თანხების დროული დაბრუნების თვალსაზრისით ბანკები ამჯობინებენ მათთან ურთიერთობას. ქალაქ ქუთაისის მიხაილოვის თავადაზნაურთა ბანკმა ამ გზით გაჰყიდა ციხესულორის მინების გარკვეული ნაწილი, რომელიც თავად კირილე ლორთქიფანიძისა და ზიგიერთი გვარის წარმომადგენელთა გადაუხდელ ვალებსა და პროცენტებს შეენირა და საჯარო ვაჭრობით შეიძინა აქაურმა, რამ-

დენიმე მომძლავრებულმა გლეხმა.

ალექსანდრე მალლაკელიძის მოგონებებიდან „კვალდაკავალ“ ირკვევა, რომ ბანკში გირაოს სახით ჩადებული ყოფილა სოფელ დიხაშხოს ქალების ნაწილიც, რომელიც, ძირითადად, ჩიჯავაძეთა გვარს ეკუთვნოდა – „ბავშვები პირუტყვს ვაძოვებდით ბანკის მიწებზეო“. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო, დაკონკრეტებულ წარმოდგენას იძლევა ბარის ერისთავთა ოჯახის წარმომადგენლის, პროცესის უშუალო მომსწრისა და მონაწილის ნესტორ ერისთავის ჩანაწერები.

... „მიხაილ ლორთქიფანიძეს (ბიძად ეკუთვნოდა ნესტორ ერისთავს), ლუარსაბ ერისთავს და მამაჩემს დიდი მამულები ჰქონებიათ ამაღლების, ინაშაურის და უხუთის. თემი სულ ამათი ყოფილა თავისი მიწა-წყლით, აბანოთი (მხედველობაში აქვს ჭოკიანის აბანო) და მთებით. მამული გაყოფილი ქონებით გარდა აბანოსი და მთებისა მთები ჰქონიათ 6000 დესეტინა, სხვადასხვა ჯიშის ხე-ტყე. ერთი ნახევარი დაუსპორავს ხაზინას, მეორე ნახევარი მათ დარჩენიათ. თავადებს ყურადღება არ მიუქცევიათ და მეორე ნახევარიც ხაზინას ნაუღია. „უხუთის ტყე (ნაწილი ტყისა) უხუთელი გლეხებისათვის მიუყიდათ შინაური ნასყიდობით“, რომ ამ ერისთავთა მფლობელობაში ყოფილა და საზაფხულო რეზიდენციაც ჰქონიათ სოფელ ზეინდარში მდ. ფერეთას მარცხენა სანაპიროზე ამაღლებულ და ლამაზ სერზე (აქ დღეს ადგიშვილები და დვალიშვილები ცხოვრობენ). XIX საუკუნის ბოლოსათვის ეს ტერიტორიებიც ინტენსიურ გაყიდვაშია მოქცეული ე.წ. ზეინდრის დაჩების სახელწოდებით“.

„უფროსი შვილები – საუბრობს ნესტორ ერისთავი მამამისის ძმებზე – გულაგორებულნი ყოფილან ოჯახზე, უფრო დროსტარებას და ნადირობას აქცევდნენ ყურადღებას. ურჩიეს მამას მამულების დაგირავება ბანკში და კერძო მევალებების გასტუმრება... დააგირავეს ბანკში მთელი სახნავ-სათესი, ქალები და ვენახიანი მამულები 6000 მანეთათ, სხვა თავადების წამხედურობითო... ზოგი მევალეს მისცეს და ზოგიც თვითონ დახარჯეს... ბანკში სარგებლის (ე.წ. პროცენტის) დრო რომ მოაწევდა გაყიდდნენ რომელიმე ნაკვეთ ადგილს, წავიდოდნენ ქუთაისს მამა-შვილები, მოურავი, ადგილის მყიდველი და ცხენების მომვლელიო. დარჩებოდნენ ერთ კვირას, აიღებდნენ მყიდველიდან 400 ან 500 მანეთს ზოგს შეიტანდნენ ბანკში სარგებლად (ე.ი. პროცენტის დასაფარავად,) ზოგს დატოვებდნენ სასტუმროში, მოვიდოდნენ სახლში ცარიელი... ჭოკიანის აბანოც გაყიდეს ბანკის ვალის სარგებელში ამნაირი წესით“ საკმაოდ ვრცელი ციტირება მოგვინია, მაგრამ სამაგიეროდ ჩამოყალიბებულ პროცესსა და ფსიქოლოგიასაც საკმაოდ ნორმალურად აღწერს ეს ადამიანი და როგორც ჩანს ამდაგვარი შეფასების უფლებაც ჰქონდა, რადგანაც, როდესაც გარდა ბანკისა, ქუთაისელმა ვაჭარმა მარუაშვილმა „კანონიერად დაინარჩუნა თავის სახელზე ჩვენი ეზო-გარემო“ და ეს მოხდა ვალების გადაუხდელობის გამო, ხსენებულმა ნესტორ ერისთავმა თავისი გარჯითა და მოქმედებით შესძლო ამ დაკარგული მამულების საკმაო ნაწილის უკანვე დაბრუნება. მიწების გირაოში ჩადება სხვა თავადების რჩევითა და ნაბაძვით გავაკეთეთო – მიგვანიშნებს მოგონების ავტორი და არა მარტო ბანკისა და მევახშისაგან აღებული სესხები გამოეცალათ სწრაფად ხელიდან, არამედ იგივე ბედი ეწია გლეხთა განთავისუფლების გამო თავადაზნაურობისათვის იმპერიის მიერ საკომპენსაციოდ გადახდილ სოლიდურ თანხებს, რომელზედაც ჩვენ საჭირო ადგილზე გვქონდა საუბარი.

დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი თავის სტატიაში „ბანკის გამო“ (პუბლიცისტური წერილები ტომ. XII გვ.292) ამბობს: „იმერეთის თავადაზნაურობამ რაც ყმებში ფული აიღო ისე ოხრად ჩაიარა, რომ ამ ფულს ვნების მეტი ქვეყნისათვის არა მოუტანია რა... შესდგა დიდძალი ფული. ჩემი სურვილი იყო რომ იმთავითვე ის ფული შეეტანათ სასარგებლოდ სადმე და ის სარგებელი მოეხმარათ ღარიბების შვილების გამოსაზრდელად, მაგრამ უძლური სურვილი მხოლოდ სურვილადაც დარჩა. ის ფული რამდენიმე წლის განმავლობაში ისევ უმოძრაოდ იდგა, რომ თავნის ტოლი სარგებელი დაეკარგეთ და თავნსაც რამდენიმე ჩამოვაკელით. ჩვენმა ხალხმა ქართველებმა დღესაც არ იცის თუ როგორ უნდა მოიხმაროს ფული – ან უნდა შეჭამოს ან კიდობანში ჩადვას უმოძრაოდ, როგორც სამუშაო იარაღს, ანუ გასაცვლელ-გამოსაცვლელ შუამავალს ფულს ის ვერ წარმოიდგენს. ქართველ ვაჭრებსაც ვერ უსწავლიათ ჯეროვნად ფულის წინ ნაძლოლა. სხვისის მოტყუებით გამდიდრება კიდევ არ ნიშნავს ფულის მოხმარებას... ეს თარეშობაა მხოლოდ და უღირსი უკუღმართობა“.

„როდესაც ვალები გაჰქონდათ ცხადი იყო რომ ისინი ბანკიდან გამოტანილ ფულს იმავე დღეს დააყენებდნენ, რაც ყმებში აღებულს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეორე შემთხვევაში ფული ვალად ანგებოდათ და სარგებლის შეტანის დროს კი ხელცარიელნი რჩებოდნენ“. დიდი პოეტი, რომელიც თვითონვე ფულთან მწყრადად იყო, მაგრამ იმ საშუალებითაც რაც გააჩნდა სიკეთის კეთება არ ეშლებოდა. (არაა საუბარი მის გენეალურ ნიჭსა და დამსახურებაზე ერის წინაშე) საკმაოდ მძაფრად ამახვილებს ყურადღებას არასასურველ ქარაფშუტობასა და წინგაუხედაობაზე. სხვათა დახმარებისა და ქველმოქმედების, ღარიბთათვის ნაშველების უნარის მოდუნებაზე, იმ ფენომენის მხედველობიდან გამორჩენაზეც, რასაც ახლადჩამოყალიბებადი ეკონომიკური ურთიერთობანი ითხოვდა და რომელმაც ეს კასტა გვარიანად, შევიწროებულ მდგომარეობაში აღმოაჩინა. ამდენად, ბანკები, როგორც ითქვა, აქტიურად გვევლიანებიან „ვანის“ მინების შემსყიდველთა როლში და კიდევ უფრო აქტიურდებიან მას შემდეგ, რაც 1905 წელს ნება დართეს მათ საკუთარი სახსრებით შესყიდული მინები გაეყიდათ გლეხებზე. ამავე პერიოდიდან ფუნქციონირებას იწყებს საგლეხო ბანკიც. თუმცა, მაინცა და მაინც არა ჩანს, რომ ეს ბანკები დიდად უწყობდნენ ხელს სესხის აღებით დაინტერესებულ გლეხებს. საინტერესო სტატისტიკაა ამ მხრივ: საგლეხო საადგილმამულო ბანკისათვის სესხი უთხოვია 112 გლესს. აქედან 2 წლის მანძილზე დააკმაყოფილეს მხოლოდ 29 შეძლებული გლეხი. გლეხებს ბანკის სესხებით შეუძენიათ 8910 დესეტინა მინა, ხოლო ბანკებს თვითონვე შეუსყიდათ 44689 დესეტინა. საგლეხო ბანკის მოქმედების 8 წლის მანძილზე ამ ბანკის სესხებით მთელი ქუთაისის გუბერნიის მასშტაბით გლეხებს მხოლოდ 2068 დესეტინა მინა შეუძენიათ. საკმაოდ მიზერული მონაცემებია. მიწის კერძო მფლობელთა დავალიანებას ბანკის წინაშე გადაუჭარბებია 6 მილიონი მანეთისათვის. აქედან მხოლოდ თავადაზნაურობაზე მოდიოდა სამნახევარ მილიონზე მეტი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი V გვ.317) თუ დავამატებთ იმასაც, რომ 1912 წლიდან გატარებული ზოგიერთი სახის რეფორმის შედეგად თავადაზნაურობამ გლეხთა განთავისუფლებისათვის სახელმწიფოსაგან დამატებით კიდევ მიიღო 30 მილიონიანი კომპენსაცია, ამ ფულის უყაირათოდ გამოყენების ფაქტები სახეზეა, რადგანაც აგრარული სფერო პრაქტიკულად დარჩა იმავე დონეზე, როგორშიდაც იმყოფებოდა. მხედველობაშია კომპენსაციის მიმღებთა მფლობელობაში არსებული მინების აგრონომიული გამოყენებისა და დამუშავების ნაკლებპროგრესირებადი ფორმები, თითქმის არქაული დონის ტექნიკური აღჭურვილობანი, რომლებიც ვერ ზრდიან შრომის მწარმოებლურობას. „ვანთან“ მიმართებაში, ეს ასეა და წარმოების ძირითად საშუალებად კვლავ დარჩენილია ფიზიკური შრომა – კავი, უკეთეს შემთხვევაში გუთანი და გამწვევი ძალა.

შესწავლილი მასალებით ჩანს რომ, „ვანში“ XX საუკუნის 10-იანი წლებიდან მიწით ვაჭრობის ინტენსივობა საფუძვლიანად იკლებს, რაც იმას არ ნიშნავს, რომ მიუხედავად მცირე მიწიანობისა ფონდი ამოიწურა, ან გაყიდვათა აუცილებლობა მაქსიმალურად მოიხსნა. როგორც ჩანს, პროცესზე გავლენა მოახდინა პირველმა მსოფლიო ომმაც, რომელშიდაც ჩაება რუსეთის იმპერია. აქ კავკასია და უპირატესად საქართველო წარმოადგენდა თურქეთის წინააღმდეგ ავანგარდულ საბრძოლო ხაზს. იგივე პროცესები, როგორც წესი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა „ვანში“ ყველა სახის აღებ-მიცემობაზე, ვაჭარ იმპორტიორებზეც, რომლებიც შესაბამის მასშტაბებში ეზიდებოდნენ მზა ნაწარმს ადგილობრივ მოსახლეობაში გასასაღებლად იმპერიის ახლომდებარე ქალაქებიდან. მათ შორის, როგორც ირკვევა, თურქეთიდანაც და აუცილებლად მიიყვანდა ასეთ ურთიერთობებს სტაგნაციამდე. სიტუაციიდან გამომდინარე შესაძლებელია გაზრდილიყო დესეტინა მიწის ღირებულებაც.

ამდენად, საერთო ანალიზის შედეგად, მიწით ვაჭრობის საკითხებზე რეზიუმეს სახით შეიძლება ითქვას: – მიწის ყიდვა-გაყიდვის ინტენსივობა გამოკვეთილია 1880-იანი წლებიდან და გრძელდება იგი 1913 წლამდე, ამის შემდეგ მეტნაკლები ამპლიტუდით 1917 წლამდე. აქედან იმასთან დაკავშირებით, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა აკრძალა მენშევიკურმა ხელისუფლებამ, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, მიწით ვაჭრობის დამადასტურებელი მასალები იშვიათად გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ „ვანის“ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალები მთლიანად არ მოიცავს ყველა სოფლების მიხედვით ამ კუთხით განხორციელებული ინდივიდუალური ოპერა-

ციების სრულ დამადასტურებელ ცნობებს. მაგრამ რაც არსებობს იძლევა დასტურს, ყიდვა-გაყიდვაში მოქცეულია 3000 ათას დესეტინაზე მეტი ფართობი, ძირითადად საყანე, საეზოვე მიწები, ტყიანი ნაკვეთები, იშვიათად მრავალწლიანი ნარგავები და ძალზე მცირედ მიწები, რომლებზედაც გაშენებული იყო ვენახი. მაგრამ თუ ერთიანობაში ავიღებთ ყოფილ მემამულეთა ვალების გადაუხდელობათა გამო, ბანკის გირაოში ჩატოვებულ და ამ გზით გაყიდულ მიწებს, ხაზინის მიერ ასევე გადაუხდელობის გამო დაყადალებულ ნაკვეთებს, ტყის მასივებსა და ასე შემდეგ ცალკეულ ვაჭართა – მარუაშვილისა და ერთეულ მსგავსთა მიერ შესყიდულ მიწის ფართობებს, ზემოთ მითითებული ციფრები რამდენჯერმე გაიზრდება.

პროცესი ცალსახად აჩვენებს, რომ, მიუხედავად იმისა, მინა არ წარმოადგენს საქონელს, მას უკვე მიღებული აქვს სასაქონლო-სარეალიზაციო სახე, თანაც თითქმის მასიურადაც და მიანიშნებს მთავარ გამოკვეთილ მომენტზე – „ვანში“, როგორც ითქვა, ამ დროისათვის არ ან ვერ იქმნება სანაცვლო სხვა რაიმე სახეობის მნიშვნელოვანი პროდუქცია, რომელიც მიიპყრობდა ბაზრის ყურადღებას, რომლის შექმნაც დაკავშირებული იქნებოდა ორგანიზებულ-დარგობრივ-დიფერენცირებულ, ინტენსიურ შრომასთან, დაეყრდნობოდა გაუმჯობესებულ ტექნიკურ პოტანციალს, იქცეოდა შემოსავლის წყაროდ და მაქსიმალურად ჩაანაცვლებდა უძრავი ქონებით, მიწით ვაჭრობას. როგორც ჩანს ამაზე ვინმეს ინდივიდუალურად, არც კოლექტიური ფორმით და არც ინტელექტუალურად ჯეროვნად არ უზრუნვია. ამის გამოც მინათმფლობელ თავადაზნაურთაგან მიწის ყიდვა-გაყიდვა იქცა ვაჭრობის ყველაზე იოლ ფორმად, რომელიც მათ მიიღეს, როგორც უშრომელი მზა ნაწარმი და ღვთის საჩუქარი, რადგანაც მწარმოებელი ძალები ძველებურად აღარ ეკუთვნოდათ, ტექნიკური პროგრესი გამოირიცხა, მიწის დამუშავების ინტენსივობაც იკლებს, ასეთ შემთხვევაში მინა უკვე ზედმეტი ტვირთია და უნდა გაიყიდოს.

თხრობაში არაერთხელ ხაზგასმით აღინიშნა იმ რთული ცხოვრების პირობებზე, რომელშიც გლახობა იყო მოქცეული და გატარებული რეფორმის შემდეგაც დაახლოებით ჩარჩა იმავე პირობებში. ამ შეფასებაში არაა გაზვიადება და არც ხელალებით მტკიცება. მაგრამ, როდესაც ვსაუბრობთ რომ „ვანის“ სოფლების საზოგადოებების ტერიტორიაზე უძრავი ქონების გაყიდვის რიცხვი გაიზარდა, რომ მის შემსყიდველთა რიგებში ჩართულნი აღმოჩნდნენ ზოგიერთი გლეხებიც, ბუნებრივად ჩნდება კითხვა – საიდან გაუჩნდათ მათ საშუალება მიწით ვაჭრობაში ჩართვისა და შეძენისა, მითუმეტეს არა ერთი აქტით დაფიქსირებულია რომ „მოგყიდე მე... შინაურის ნასყიდობით (შემდეგ მითითებულია მიწის ფართის რაოდენობა) და მივიღე შენგან ფული 300 მანეთი ოქროთი“, ან იგივე პროცესები დამტკიცებული ნოტარიალურად, რომელიც აჩვენებს გადახდილია თანხა 400-500 მანეთი ვერცხლით, ან ანალოგიური ფაქტი სოფლის ადმინისტრაციის ბეჭდით დამტკიცებული. „ჩვენ (მითითებულია პიროვნებები) ვიკვრით ხელწერილით მასზედ, რომ შენგან ვიყიდე (მითითებულია რაც იყიდა) და გარდაგიხადე ფული 400 მანეთი ოქროთი“. ხოლო გამყიდველი უმომნებს რომ ეს თანხა მიიღო და აძლევს წერილობით პირობას, დღეიდან ამ ნაკვეთზე ვერავინ შეგედავოსო და ა. შ. თუმცა რიგ შემთხვევებში, ღირებულებათა ანგარიშსწორება მოხდენილია ჩვეულებრივი, მაშინდელი კუბიურებითაც და ფულის საკმაოდ მაღალი კურსითაც.

პასუხი ამაზე შეიძლება იყოს ასეთი: რადგანაც მაშინდელი საქართველოსთვის, მეტნაკლები ფორმით, პროცესი იყო იდენტური, ცხადია „ვანი“ გამონაკლისი ვერ იქნებოდა. უპირველესად გლეხი, როგორც მწარმოებელი ფულს შოულობდა ან შოულობს თავის ფიზიკურ ძალასა და შესაძლებლობებზე დაყრდნობით. მოცემულ შემთხვევაში იგი ჰყიდის თავის შესაძლებლობებს ფიზიკური ძალის სახით. სხვა საკითხია გაყიდული ფიზიკური ძალის ადეკვატურია თუ არა გადახდილი გასამრჯელო, მაგრამ იგი ყოველ შემთხვევაში იძულებულია ასე მოიქცეს. ამასთან მნიშვნელოვნად ყურადსაღებია შემდეგი: მიწის შემსყიდველები არიან არა მასიურად გლეხები, არამედ ცალკეული გამონაკლისები, ხოლო ვაჭირვების გამო მიწის გამყიდველი გლეხები ასევე არაიშვიათობაა.

– რეფორმის გატარებამდეც საბედნიეროდ საქართველოში ცხოვრობდნენ გლეხთა ერთეული გამონაკლისები, რომელთაც სხვებისაგან განსხვავებით გააჩნდათ ნორმალური მატერიალური მდგომარეობა. არაა გამორიცხული მდგომარეობის იდენტურება მივეუსადაგოთ „ვანსაც“

და ალბათ უპირველესად ასეთი კატეგორიის გლეხები (გამონაკლისები) უნდა მივიჩნოთ მიწის აქტიურად შემსყიდველების რიგებში.

გლეხთა გარკვეული კატეგორია, ჯანმრთელი და მცირე მასა, ცხოვრებამ გადართო დამატებით, დროებით სამუშაოთა მოძიება-შესრულებაზე. მსგავსი სამუშაოები ძირითადად წარმოშვა ახლომდებარე ტერიტორიებზე, ქუთაისში, სამტრედიაში, ბათუმში, თბილისშიც და ა.შ. ახალსაწარმოთა და ობოიექტების ამოქმედებამ, ან ცალკეულ კერძო მეურნეობათა საქმიანობის გააქტიურებამ, სადაც სამუშაოს მაძიებელი გლეხები საქმდება სეზონურად, ადგილის ფუძეზე ხანგრძლივად მონყვეტის გარეშე. აქედან გამომდინარეებული თანხების მრავალწლიანი დაგროვება აძლევდა მათ საშუალებას მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესში ჩართვისათვის.

სამუშაოს მაძიებელ გლეხთა გარკვეული ნაწილი საქმდებიან ადგილობრივ მეზატონეებთან, უფრო მოგვიანებით გამდიდრებულ გლეხებთან ან სხვა კატეგორიის პირებთან (ვაჭრებთან) და ა. შ. ეწევიან დაქირავებულ შრომას ან მოჯამაგირეობენ. იღებენ შრომის გასამრჯელოს, ან დამქირავებელს უკვე აღარ ძალუძს დაქირავებულს აუნაზღაუროს დახარჯული შრომის საფასური და ხდება პიროვნული გარიგება თანხობრივი ანაზღაურების მაგივრად მოვალისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემის ხარჯზე. დღევანდელი ვანის რაიონის სოფლებში XX საუკუნის 60-იან წლებამდეც არაერთი პიროვნება ცხოვრობდა, რომელიც იმავე საუკუნის 20-იან წლებამდე ეწეოდა მსგავსი ტიპის შრომას და გასამრჯელოც ზემოთ აღწერილი სახით მიუღია.

ერთეულთათვის სამოხელეო სამსახური და აქედან მიღებული ანაზღაურება იძლეოდა ფულის დაგროვების საშუალებას, ამავე გზით ერთეულებიან უძრავი ქონების ვაჭრობაში, წინამდებარე საკითხზე მუშაობისას არაერთი ასეთი მაგალითი იქნა დაფიქსირებული. თუმცა, ამ თხრობაში მათ გვარებსა და სახელებს შეგნებულად არ ვუთითებთ.

ფულის დაგროვების საშუალებას იძლეოდა ადგილობრივ და არაადგილობრივ მყიდველ-გადამყიდველთა, წვრილ ვაჭართა ან ვაჭართა საქმიანობა და განსაკუთრებულად მევახშეობა, რომელზედაც „ვანთან“ დაკავშირებით რამდენიმე სიტყვით უნდა ითქვას შემდეგი: ასეთი პროცესი დამახასიათებელია ნებისმიერი დროისა და მომენტისათვის, მაგრამ განსაკუთრებულად ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ფორმებისათვის და წარმოადგენს ფულის დაბანდებისა და საპროცენტო განაკვეთებით მოგების მიღების საშუალებას. ითქვას, რომ იმპერიის ხელისუფლება ებრძოდა მევახშეობას, როგორც ადამიანთა დაკაბალების ფორმას, მაგრამ ამ პროცესში იგი ამას აკეთებდა რამდენადმე ცხოვრებისეული ფაქტორის გათვალისწინებით და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეც. მიუხედავად ამისა, „ვანთან“ მიმართებაში შემორჩენილია ერთეული წერილობითი ფაქტები, მევახშეთა შედარებით წვრილ მასშტაბებში რამდენადმე დაფარულად მოქმედების შესახებ, მაგრამ მოგვიანებით, XX საუკუნის საწყისი წლებიდან სოფლად და საერთოდ ახლადწარმოქმნილი ბურჟუაზიის საქმიანობის გააქტიურებულ სახედ მევახშეობა კვლავ რჩება, ასეთი მოქმედება მიღებულ ფორმათაგან ჩანს. მასალათა ანალიზი იძლევა წარმოდგენას იმაზეც, რომ ეს ფორმა მოქმედებაშია არამარტო ახლადწარმოქმნილ კულაკურ სოფლის ბურჟუაზიულ წარმომადგენლებისაგან, არამედ სოფლის საზოგადოებათა ადმინისტრაციის ზოგიერთ მოხელეთაგანაც. ამ პროცესებთან დაკავშირებით კონკრეტული მაგალითის სახით, ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს „ვანის“ სოფლის საზოგადოებების ზოგიერთი მამასახლისის მოღვაწეობაც. მაგრამ იმას, რომ მევახშეობას უკვე გახსნილი ხასიათი აქვს მიცემული, ეს ამკარად დასტურდება ტობანიერის საკრედიტო ამხანაგობის მიერ გაცემული სესხის ანგარიშიდანაც, სადაც პირდაპირაა დაფიქსირებული, რომ ფულის მსესხებლებზე გაცემულია 3915 მანეთი გრიფით; – „მევახშეთა სესხის გასასტუმრებლად“... ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა იმ ფულის კურსით, მაგრამ აქედან ამკარად ჩანს ისიც, რომ ფულის გამსესხებელმა, საკრედიტო ამხანაგობამ იცის, თანაც გახსნილად, სოფლის საზოგადოებაში მოქმედებენ მევახშეები და როგორც ჩანს სახელებითაც და გვარებითაც იციან პიროვნებები, რომლებიც მევახშეთა დავალიანების ქვეშ იმყოფებიან. ე. ი. პროცესი დაფარული არაა. არა გვაქვს კონკრეტული მაგალითები იმაზე თუ „ვანის“ სოფლის საზოგადოებიდან საკრედიტო ამხანაგობის მიერ გაცემული 50000 მანეთიდან რა რაოდენობის თანხა გაიცა აღნიშნული მიმართულებით, მაგრამ მოყვანილი კონკრეტული ფაქტებიც საკმარისია რეალური მდგომარეობის წარმოსადგენად. ამის გამოც შეიძლება ითქვას, როგორც ჩანს, საკრედიტო ამხანაგობამ

ნორმალურად განსჭვრიტა ვახშით დაკაბალებული ადამიანების (ძირითადად გლეხები) მდგომარეობა და მათ არათუ წაეშველა, გადაარჩინა კიდევაც ერთ-ერთი უმძიმესი ტვირთისაგან, რომელსაც ამ გლეხთა სრული გაღატაკება მოყვებოდა.

ასევე ცხადია, მიწის შემსყიდველი პირები ახლად შეძენილი ნაკვეთებიდან მიღებულ ჭარბ პროდუქციას სახლში არ დაალპობდნენ. ამ პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა მათთვის ახალი, დამატებითი შემოსავლის წყარო.

მიწის მყიდველები აფართოებენ და საქმიანობას შლიან „ვანის“ მთელს ტერიტორიაზე. იგივე პროცესით დაკავებული პირები – ლასხიშვილი, ვ. მალლაკელიძე, როგორც ჩანს კორძაძეთა ერთი საახლობლო, ი. და გ. მესხები გორას საზოგადოებიდან, ი. მესხი „ვანიდან“, ძაგნიძე, ლომინაძე, არავანელი ვაჭარი მარუაშვილი და მათი სახით ზოგიერთი სხვაც მოქმედებენ წინასწარ გამიზნულად. მიწის შეძენით აფართოებენ ძირითად სანარმოო ბაზას, პარალელურად ზრდიან წარმოების პოტენციალს, ნელ-ნელა აგროვებენ მოგებას კვლავწარმოების გაფართოებისათვის. აღნიშნულ პროცესთა გარეშე ეს ადამიანები ვერ შეძლებდნენ „მიწის ბაზარზე საქმიანობის ასე გააქტიურებას“. თუმცა, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი იქცნენ მნიშვნელოვან მონიპოლისტებად, მაგრამ მათი საქმიანობა შეესაბამება იმ მასშტაბებს, როგორსაც „ვანის“ ასპარეზი იძლეოდა. მთავარია ის, რომ პროცესი უკვე დაიწყო. ამ ფორმით „ვანის“ ტერიტორიულ სივრცეზე 1880-1910-იან წლებში თანამიმდევრულად ყალიბდება საერთო მიწის ბაზრის ერთი სეგმენტი, მიბმული საქართველოს მიწის ბაზარზე, როგორც ითქვა, იმ მოცულობაში რის საშუალებასაც ადგილზე შესაბამის ფაქტორთა წყება იძლეოდა.

დამატებით ამ საკითხზე შეიძლება ითქვას: ადგილზე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გამომდინარეობენ მთლიანად საქართველოსა და ქუთაისის გუბერნიაში დაძრული პროცესებიდან მიუთითებენ, რომ ასპარეზზე შემოდის ცხოვრების ახალი პრინციპები განსხვავებული თავისებური წესით, გზადაგზა ანგრევს ფეოდალიზმის საყრდენებსა და კარჩაკეტილობასაც, მოქმედებაში შეჰყავს ექსპლუატაციის ახალი ფორმა, რომელიც დამკვიდრებადი კონკურენციის საფუძველზე აიძულებს მწარმოებელს იზრუნოს მწარმოებლური პროცესების სრულყოფიდან, მოგების მიღებამდე. „ვანშიც“, განსაკუთრებულად აგრარულ სფეროში, ანალოგიური დინება ნელ-ნელა დაძრული ჩანს, მოკრძალებულად ნაბიჯ-ნაბიჯ, აქედან ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ ეკონომიკურ-სოციალური შეტევა ფეოდალურ სისტემასა და ფენებზე უკვე აქაც სახეზეა.

რამდენიმე სიტყვით საგზაო კომუნიკაციებზე, ურთიერთობათა აუცილებელ საშუალებებზე, რომლის მოწესრიგებულობაც განსაზღვრავს ცხოვრების პროგრესირების დონესაც და სანარმოო-სავაჭრო ურთიერთობათა პერმანენტულობასაც.

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ რიონის არტერიაზე, იმ დროისათვის სავაჭრო ტვირთ-გადაადგილების, ტვირთგადაზიდვის წამყვან ფაქტორზე, რიონის მარჯვენა სანაპიროდან სარკინიგზო საშუალებათა ექსპლოატაციაში შეყვანაზე და მიუვითითეთ, რომ ე. წ. „საქარავნო გზა“ გადიოდა რიონის მარცხენა სანაპიროზე და ამ გზას იყენებდნენ ფეხითა და საჭაპანო ტრანსპორტით მოსარგებლენი. სამწუხაროდ, მიმოხილული პერიოდისათვის საგზაო სტრუქტურის შესახებ დეტალური აღწერილობა არა გვაქვს. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი არსებობდა ეპოქისა და განვითარების შესატყვის პირობებში და საერთოდ, პერიფერიულ გზათა მოწესრიგებაზე რეფორმათა და ზოგიერთი დამატებითი ნორმატიული აქტების საფუძველზე ზრუნვა ძირითადად ევალეობდათ სოფლების საზოგადოებების თვითმმართველობებს. დანესებული იყო საგზაო ბეგარაც, გადასახადითაც და ფიზიკური შრომითაც, რომელიც სავალდებულო ხასიათის მატარებელი იყო. სახელმწიფო სოფლურ დასახლებებში, ისე როგორც რიგ პრობლემატურ საკითხთა მოგვარებისაგან შორს იდგა. ამდენად, ფინანსების არასაკმარისობის, ტექნიკურ საშუალებათა უაღრესად დაბალი დონის გამო, „ვანის“ სოფელთა შორის დამაკავშირებელი გზები, საუბნო გზებთან ერთად არადაამაკმაყოფილებლად შეიძლება შეფასდეს. გვაქვს ერთეული დამადასტურებელი მასალები სასოფლო და საუბნო შემაერთებელი გზების მოგვარების თაობაზე უბანთაშორისი მოლაპარაკებების, უბნის წარმომადგენელთა კერძო პირთა ან პირებთან მოლაპარაკებათა შესახებაც. მათში ძირითადად წარმოდგენილია თხოვნები კერძო ნაკვეთზე ვინრო, საურმე გზის გატარების, ან რომელიმე კერძო ნაკვეთთან გამავალი გზის ამავე ნაკვეთის ხარჯზე რამდენადმე გაფართოვების შესახებ, რომელთა მიხედვითაც სოფლის,

უბნის წარმომადგენლები იღებენ პასუხისმგებლობას, რომ ნაკვეთის მფლობელს რაიმე ზიანს არ მიაყენებენ, ხოლო თუ (ლობეს) რაიმეგვარი ზიანი მიადგება, პირობას დებენ მის შეკეთებაზე, ან სრულიად ახლით შეცვლაზე. ერთი სიტყვით ასეთი მოლაპარაკებები ატარებენ მორიგებით ხასიათს და როგორც ჩანს აქ ბევრი რამ დამოკიდებული იყო მიწის მფლობელის კეთილ ნებაზე. პროცესს ართულებდა სოფელთა რელიეფური განლაგებაც. ამისა და რიგ მიზეზთა გამო „ვანის“ სოფლების სამიმოსავლო გზები ვიწრო და აშკარად კეთილმოუნყოფელი ჩანს. ხოლო, სამხრეთ საქართველოში „ვანიდან“ ალპურ ზონაზე გადამავალი ძველი ისტორიული გზები კიდევ უფრო ვიწრო და თითქმის ერთადერთი პირობის უზრუნველყოფელია, რომ მასზე გავლა შეიძლებოდა საცალფეხოდ „ან საპალნიანი ცხენით“. ასეთი გზის სიგანე ალბათ არ აღემატება ერთნახევარ-ორ მეტრს.

გზათა გამტარუნარიანობა რამდენადმე შეზღუდული იყო ცუდი კლიმატური პირობებისა: ტალახი, დიდთოვლობა, განმენდის საშუალებათა არარსებობა, გზის გრუნტის მოუნესრიგებლობა ცხადად აფერხებდა რეგულარულ ურთიერთობებს და ტვირთგადაზიდვის პროცესებსაც. პერიოდების მანძილზე იზოლირებულს ხდიდა მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობას. სხვათა შორის, რიონის არტერია, რამდენადაც ასრულებდა დადებით როლს, განსაკუთრებულ სიტუაციებში, წყალდიდობებისა და ნაპირდამცავი საშუალებების არარსებობის გამო, არამარტო ჰქმნიდა ბარიერს მიმოსვლისა და ტვირთგადაზიდვის სფეროში, არამედ მოსახლეობასაც და სასოფლო-სამეურნეო სავარგულსაც აყენებდა საფრთხის ქვეშ. ყოველივე ამის გამოც ადგილზე გამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ვაჭრობაში ჩართვის არაინტენსივობაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეს დადასტურებული ფაქტია და ცნობილია ისიც, რომ აღნიშნულ საკითხთა მოუნესრიგებლობასა და მის უარყოფით გავლენაზე ყურადღებას ამახვილებდა შესაბამისი პერიოდის ქართული პრესაც, კონკრეტულად „ვანთან“ მიმართებაში და ნუხილს გამოთქვამდა, რომ „ვანის“ „დიდალი სიმდიდრე“ დაწყებული აგრარული პროდუქციიდან, უნიკალური ჯიშის ხეების მერქნით დამთავრებული გასაღების ბაზარზე ვერ ხვდებოდა.

დადასტურებული ფაქტია „ვანისა“ და ტობანიერის სოფლების საზოგადოებაში შემავალი დასახლებებისა და მოსახლეობის კავშირი გურიის რაიონებთან საპაიჭაოს (ყუმურის) გავლით, რომელიც უმოკლესი გზა იყო სურებამდე. აქედან გურიის რაიონებისაკენ დვაბზუს ცნობილი იარმარკისაკენაც, მაგრამ ამის მოსახერხებლობა აუცილებლობის შემთხვევაში ყველაზე მეტად ექნებოდათ ტობანიერის საზოგადოების სოფლებს, თვით ტობანიერს, მიქელეფონს, მუქედს, კუშუბოურს, საპაიჭაოს, დუცხუნს, მაისოურსა და გაილოურს, ჩამოთვლილთაგან ბოლო ოთხს განსაკუთრებულად.

სოფლებზე-უხუთი, რომანეთი, საპრასია, (უხუთის საზოგადოებაში შემავალი სოფლებია) და ძულუხი-სულორზე (დვალიშვილების საზოგადოება) ასევე გადადიოდა უმოკლესი გზა სამხრეთ საქართველოს მიმართულებით, კონკრეტულად ახალციხისაკენ. როგორც ირკვევა ამ გზას მიუხედავად რთული რელიეფისა აქტიური დატვირთვა ჰქონდა სამხრეთ საქართველოსთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (სხვა საგნებისაც) ადგილზე შესყიდვა-გადმოტანისა და იმერეთის ამ ნაწილიდან ასევე გასასყიდი პროდუქციის სამხრეთ საქართველოს ბაზრობებზე ან მოსახლეობაში შეტანისათვის. „XIX საუკუნის მიწურულში „ვანის“ მხრიდან მეფისწყაროს გადასასვლელით ღვინო გადაჰქონდათ გასაყიდად ახალციხეში, ხოლო 1892 წელს, როდესაც ხოლერის ეპიდემიის გამო ზეკარის უღელტეხილზე მიმავალი გზა დროებით დაიკეტა გასაყიდი რძის პროდუქტები სამცხიდან ქუთაისში აქედან გადაჰქონდათ. ამავე გზით გადაჰყავდათ საკლავი საქონელიც... გზა მეფისწყაროს გადასასვლელით იყო ის გზა, რომელიც სამცხეს რიონის აუზთან აკავშირებდა... გზაბოძალიდან (ე. ი. გზათა შესაყარიდან) ერთი ბილიკი სოფელ რომანეთში ჩადის. ეს გზა მელოურის ზემოთ მელოურის ციხეს დასავლეთიდან ჩაუვლის. გზაბოძალიდან რამდენიმე ბილიკი ყუმურის ხეობაშიც ეშვება, ერთი უშუალოდ საპაიჭაოში. გზა გზაბოძალიდან ეშვებოდა ორი მიმართულებით სულორის ხეობაში... ხოლო დვალიშვილებიდან

გზის მიმართულება დღევანდელი ვანი-სულორის გზის მიმართულებას ემთხვეოდა და ძველ საჩინომდე აღწევდა... ჩვენი საუკუნის (საუბარია XX საუკუნეზე) 30-იან წლებამდე ახალციხეში მიმავალი ადგილობრივი მოსახლეობა ჩვეულებრივ ამ გზას არჩევდაო¹.

ამ გზასთან მიმართებაში ასევე ნიშანდობლივია ერთი მომენტიც, რომ, როგორც ჩანს, საჭიროების შემთხვევაში ამ გზით სარგებლობდა რუსეთის საჯარისი ნაწილებიც თავისუფალი გადაადგილების ან თურქთა წინააღმდეგ საომარი მოქმედების დროსაც და შემონახულია რუსულის შესატყვისი ზოგიერთი ტოპონიმიც.

ამდენად, „ვანის“ ალპური საძოვრებიდან შემაერთებული გზების გამოყენება შესაძლებელი იყო შუა გაზაფხულიდან ადრეულ შემოდგომამდე, ვიდრე მთებში თოვლი მოვიდოდა. რაც შეეხებათ კონკრეტულად სოფლებს-ძულუხს, რომანეთსა და საპრასიას, მათი მოსახლეობის ურთიერთობა ქუთაისთან (მაზრის ცენტრთან) მაშინდელი ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის შედარებით მოსახერხებელი იყო ინაშაურიდან-ამალლების ბორნისაკენ. გორასა და უხუთის საზოგადოებათა მაცხოვრებელთათვის გამოსაყენებელი იყო იგივე გზა, ან ვარციხიდან ასევე ბორნების საშუალებით ქუთაისისაკენ, ხოლო რიონის აუზში განლაგებული, მდინარე რიონთან ახლომდებარე სოფლებისათვის, დაწყებული ზეინდრიდან, დამთავრებული მაშინდელი ციციხეებით. ამ მხრივ მდგომარეობა შედარებით გამარტივებულად გამოიყურება, რიონზე მონყობილი გადაწყვანი ბორნების განლაგებისა და სიახლოვის გამო.

აქედან შეიძლება გავაკეთოდ დასკვნა: „ვანის“ სოფლებისათვის სამხრეთის მიმართულებით გაკვლეულ გზებს ჩვენს მიერ აღწერილ პერიოდში ფუნქცია ზოგიერთთა გამოკლებით, დაკარგული არა აქვთ და კვლავ წარმოადგენენ ვაჭრობა, ალებ-მიცემობისათვის ჯეროვან ხელშეწყობ ფაქტორს.

რაც შეეხება „ვანის“ ჩრდილოეთის მიმართულებებს, კომუნიკაციებს, მაზრისა და გუბერნიის ცენტრ ქუთაისისაკენ, ახლად აღმოცენებულ ქალაქ სამტრედიისაკენ და აქედან იმერეთის ცენტრალური რაიონებისა და დაბა სოფლებისაკენ, როგორც ითქვა მდინარე რიონის საშუალებით ამ გზებს შედარებით ინტენსიური დატვირთვა გააჩნდათ ვიდრე სამხრეთის მიმართულები-სას. გადაადგილებისა და ტვირთგადაზიდვის მთავარი საშუალებანია ცხენი, ურემი, „ვანის“ ბარის ზონისათვის მაღალთვლიანი საზიდრები, ხოლო მოგვიანებით ფაეტონი. „ამალლება ზეინდრის ბაზრებიდან ქუთაისისაკენ ფაეტონიც მოძრაობსო“ – გვამცნობს თანამედროვე. რა თქმა უნდა, უმეტეს შემთხვევებში მოძრაობა-გადაადგილება ორივე მიმართულებაზე ხდებოდა ფეხით და სამწუხაროდ ტვირთგადაზიდვაც ზურგით. (ადამიანის ზურგით) გადამზიდის შესაძლებლობის მიხედვით. შედარებით მოგვიანებით, როდესაც კონკრეტულ პირთა მიერ ადგილებზე ხდებოდა გლახთაგან პროდუქციის შექნა და შემდეგ ბაზარზე სარეალიზაციოდ გატანა, ეს საქმიანობა იძენს რამდენადმე მონესრიგებულ ხასიათს. ამ პირთა საკუთრებაში ჩნდება საჭაპანო ტრანსპორტით გადატანის საშუალებანი, ან ქირის გადახდით მათვე ემსახურებიან ე. წ. ადგილობრივი „ჩალვადრები“ საკუთარი გადამზიდი საშუალებებით. „ვანთან“ დაკავშირებით ეს ფაქტები დადასტურებულია და სარეალიზაციო ტვირთგადაზიდვა მათი დამატებითი საქმიანობისა და შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ იქცა.

1. თ. ბერაძე – ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფია. (რეფერატი)

კრეპულ „მატიანეს“ რედაქციისაგან

ჩვენ არაერთხელ მივუთითეთ, რომ ვანის სამოქმედო არეალში XIX საუკუნის 80-იან წლებამდე საერო სასწავლებლები თითქმის არ არსებობდა. ფუნქციონირებდა კარგად მოწყობილი 34 ეკლესია, მაგრამ არცერთი სკოლა. 80-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიის სპეციალური გადანყვეტილებიდან გამომდინარე იწყება მოქმედ ეკლესიებთან, (სადაც კი ამის საშუალება იყო) ერთ-ორ კლასიანი სამრევლო სკოლების დაფუძნება. წერა-კითხვას ახალგაზრდებს ასწავლიდნენ სასულერო პირები. მდგომარეობა ნაწილობრივ უცვლელი დარჩა, განსაკუთრებით პერიფერიულ დასახლებებთან მიმართებაში მენშევიკური ხელისუფლების დროსაც. 1920-იანი წლებიდან იწყება სასკოლო მშენებლობისა და კადრებით უზრუნველყოფის ახალი ეტაპი, როდესაც, თითქმის ყველა სოფელში იწყება ოთხნობიანი და შვიდნობიანი სკოლების გახსნა¹.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში“ მოპოვებული და დაცულია საარქივო მასალა ზემოთ მითითებული პროცესის შესახებ. მისი ავტორია ქუთაისის მაზრის ინსტრუქტორი ბატონი სერგო აბდალაძე. საკითხის შესწავლა მოუხდენიათ 1926-1927 წლებში არსებული მდგომარეობის მიხედვით.

ამჟამად, კრეპულ „მატიანეს“ მკითხველს ყოველგვარი ცვლილებების გარეშე ვთავაზობთ ბატონი სერგო აბდალაძის მიერ ქუთაისის მაზრაში წარდგენილ ინფორმაციას.

საარქივო მასალები რაიონის ისტორიის ფურცლებიდან

* * *

სამომხმარებლო კოოპერაცია „ეპო“

კოოპერაციას აქვს მთავარი მაღაზია თვით ვანში და ერთი განყოფილება დვალიშვილების თემში. მოსახლეობის რაოდენობა სამოქმედო რაიონში არის 3028. წასულ წელს ყავდა 1312 წევრი, ამჟამათ ყავს 1316 წევრი. ნავაჭრიდან შემოსულია საპაიო 699 მანეთი, მაღაზიებში რევიზია მოუხდენიათ ერთჯერ თებერვლის აქეთ, გაფლანგვას ადგილი არ ქონია. კოოპერატივში იშოვება გლეხობისათვის პირველ მოთხოვნილების სახის საქონელი, ფასების დაკლება გატარებულია. შენობა ვანის მაღაზიის არის საკუთარი, განყოფილების კი ნაქირავებია.

სასოფლო სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობა

საკრედიტო ამხანაგობის სამოქმედო რაიონში შედის 3562 კომლი, წასულ წელს ყავდა წევრი 663, წელს ყავს 754 წევრი. საპაიო გადასახადი 10 მანეთი, ერთი წევრი 1 მანანეთი. გაცემულია გრძელვადიანი სესხები 18002 მანეთი შენობა არის საკუთარი, საკრედიტო ამხანაგობას აქვს „ტრაქტორი“, რომელშიც ახდებიან 1 ქცევა მინის დამუშავებაში 5 მანეთს, აგრეთვე აქვს სათოხარი მანქანები 6 ვენახის სარწყავი (იგულისხმება ვერმოლერის აპარატი), ამხანაგობას შემოკლება შაბიბანი, რომლითაც შენუსხებულია საზოგადოება. ამხანაგობას ემსახურება 4 თანამშრომელი, რწმუნებულთა ყრილობა მომხდარა ერთხელ. რევიზია მოუხდენიათ ერთხელ გაფლანგვას ადგილი არ ქონია. თანამშრომელთა ზნეობრივი მხარე დამაკმაყოფილებელია.

გლეხკომი

გლეხკომი მოთავსებულია ნაქირავებ შენობაში და მოწყობილია პროფკავშირების ბინაზე. სალაროს შემონმების დროს აღმოჩნდა სალაროში 477 მან., რომელიც ემონმება შემოსავალგასავლის დავთარს. თემის სარევიზიო კომისიას დღიდან მისი არჩევისა მოუხდენია ორჯერ

¹ ამ საკითხზე მასალა შეგიძლიათ იხილოთ „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრეპულ „მატიანეს“ მეოთხე ნომერში (ო.კაპანაძე - საგანმანათლებლო სასკოლო მშენებლობის ტენდენციები ვანის სოფლების მიხედვით).

რევიზია და უარყოფითი არაფერი არ აღმოჩენილა. დღიდან არჩევისა აღმასკომს და საბჭოს უნარმოებია შემდეგი ნაკაზით გათვალისწინებული სამუშევრები: 1. მიმდინარეობს მუშაობა დაწყებულია აგურის სკოლის შენობის პირველი სართულის შვიდი ოთახის დასამთავრებლად (თვით დაბეგვრის სახით). 2. გაუკეთებია რემონტი აღმასკომის საექიმო პუნქტის და სკოლების ბინისათვის. 3. გაუკეთებია ჯებირი მდინარე ყუმურისთვის ბაზრის მოედნის წალეკვის გადასარჩენათ. 4. გაიჭრა ნაკაზით გათვალისწინებული გაზა საპაიჭაოს მიმართულებით, შეკეთებულია ბოგირები და იქა აქა გზებიც.

თემში წელს ყოფილა გახსნილი წერას-კითხვის უცოდინარობის ექვსი ლიკვიდ-შკოლა, რომლებშიდაც იყო 150 მსმენელი, დაამთავრა 120 მსენელმა.

სკოლები

ტობანიერის თემის შვიდწლედანი მოთავსებულია ს. შუამთაში აღმასკომის შენობის წინ ორი ხის შენობაში შენობებია თითო სართულიანი შესდგება 6 ოთახისგან დახურულია კრამიტით სწარმოებს ორმაგი მაცადინეობა¹ ბინების უქონლობის გამო შენობები არასაკმარისია თემის ეზო აქვს 450 კვ. საფ. შემოკავებული ხის რეშოტკით. შენობები სამაცადინოდ უარგისია როგორც დასილული წყალდიდობის დროს და სირისტიანია რის გამო ახალდაწყებულ სკოლის შენობის შენება მიმდინარეობს ჩქარი ტემპით. შვიდწლედს ემსახურება 10 მასწავლებელი გამგინათ. მასწავლებლობის უმრავლესობა ჩაბმულია სხვადასხვა საზოგადო საქმიანობაში. განწყობილება გამგესთან და ურთიერთ შორის დამაკმაყოფილებელია. სკოლებს ესაჭიროება კაპიტალური რემონტი რომ დაწყებული სკოლის დამთავრებამდე შესაძლებელი იქნეს შით მაცადინეობა.

თემში² არსებობს 5 ოთხწლედანი. 1. სოფელ ჭყვიშის. 2. სოფელ ჭყუშურის. 3. მიქელეფონის. 4. მუხქედის და 5. ენერ-ტობანიერის, მათ შორის საკუთარი შენობებია სამი. სოფელ ჭყვიშში – მუხქედში და მესამე სოფ. მიქელეფონში, ორი ოთხწლედანი მოთავსებულია დაქირავებულ ხის შენობებში, წელიწადში სულ 300 მანეთად. ყველა ოთხწლედს ემსახურება 9 მასწავლებელი. ყველა მასწავლებელი ჩაბმულია თემის საქმიანობაში. სკოლებიდან ზოგიერთ მათგანს ჭირდება რემონტი, აგრეთვე პარტებიც (მერხები) და დაფები. შკოლებში მოწაფეთა მიღებას უარი ეთქვა უადგილობის გამო. 4 წლედში მასწავლებლების განწყობილება ურთიერთშორის დამაკმაყოფილებელია.

ქობ-სამკითხველო

ტობანიერის თემის ქობ-სამკითხველო მოთავსებულია აღმასკომის შენობის მეორე ოთახში. შენობა არის ხის კრამიტით დახურული პოლ-თავნით და ბუხრით. ქართული წიგნები აქვს 215 ცალი, რუსული 100, გაზეთები მოდის შემდეგი — აღმასკომის მიერ გამონერილი: კომუნისტი 1 ცალი, მუშა 1, ახალი სოფელი 1 ცალი, წითელარმიელი 1 ცალი და აგრეთვე მოდის ჟურნალები სოფლის კომუნისტი 1 ცალი, საუნჯე 1 ცალი. დღეში მკითხველთა საშუალო რიცხვი უდრის 25, წიგნები მიაქვს ოჯახში წასაკითხავათ სხვადასხვა პირებს საშუალოთ 10-ს. აგრეთვე თემში სხვადასხვა პირებს გამონერილი აქვს სამკითხველოს საშუალებით 89 ცალი ახალი სოფელი, კომუნისტი 1 ცალი დაახლოებით თემის ფარგლებში გავრცელებულია სამკითხველოს, ფოსტის, მასწავლებლობის და აღმასკომის საშუალებით სხვადასხვა გაზეთები 2700 ცალი, მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ახალსოფელს, სამკითხველოსთან გამოდის ყოველთვიური კედლის გაზეთი სახელწოდების „ტობანიერის სიტყვა“, სამკითხველოსთან არსებობს სამკითხველოს საბჭო, მოწყობილია უბნებში 5 წითელი კუთხე რომლებიც ღებულობენ გაზეთ ახალსოფელს და კომუნისტს გაზეთები გამონერილი აქვთ ადგილობრივად და სწარმოებს გაზეთების კითხვა.

¹ ორ ცვლაზე. (რედ).

² თემსაზოგადოებაში (რედ).

აფთეჯა

ტობანიერის თემის საბჭოთა აფთეჯა არის სახმედვაჭრობის. აფთეჯა ემსახურება ორ თემს, ტობანიერს საპაიჭაოს და ნაწილს გომის და ვანის თემის მცხოვრებლებს აფთეჯის შენობა დაქირავებულია თვეში თუთხმეტ მანეთად უჭირავ 2 ოთახი. დღიური საშვალლოთ მზადდება 25 რეცეპტი აფთეჯას ემსახურება სამი თანამშრომელი. შენობა არის ხის კრამიტით დახურული. როგორც ადგილობრივ გამოირკვა აფთეჯას შემოღევია ქინაქინა¹ რომლის მოთხოვნილება თემში დიდია, თამშორმელთა ზნეობრივი მხარე ურთიერთ შორის დამაკმაყოფილებელია, გამგის ავტორიტეტი გლეხობაში კარგია.

შკოლა

საპაიჭაოს თემის 7 წლენი მოთავსებულია სოფელ შუა სოფელში აღმასკომის წინ. შენობა არის ორსართულიანი ხის ყავრით დახურული. შესდგება 12 ოთახისაგან. სკოლასთან არსებობს 9 ჯგუფი. 1ლ ჯგუფში მოცულობაში იყო 40 მოწაფე. უადგილობის გამო უარი ეყო 54 ბოვს შკოლაში მოწაფეთა რიცხვი უდრის 321. შკოლას აკლია 30-მდე პარტა. აგრეთვე ჩამტვრეულია 10 ცალი მინა. სხვა მხრივ შენობა დამაკმაყოფილებულია. ეზო აქვს შკოლას 100კვ. საყენი შემოუღობავი. შკოლას კაბინეტი არა აქვს. შკოლას ემსახურება 11 მასწავლებელი განყოფილება მათ შორის და გამგეს შორის დამაკმაყოფილებულია მასწავლებლობის უმეტესი ნაწილი ჩაბმულია საზოგადოებრივ შრომაში.

სოფლის აღმასკომი

აღმასკომში ოქმები იგზავნება თავის დროზე.

ვადაზე შეუსრულებელი დავალება და განკარგულება აღმასკომში არ აღმოჩნდა.

1926/27 წლების სას სამეუნეო გადასახადი სრულებით გასწორებულია 100%-ით.

სალაროს შემონმების დროს აღმოჩნდა სალაროში 40-30% რომელიც ემონმება შემოსავალ გასავლის დავთარს.

თემში წელს ყოფილა გახსნილი წერა-კითხვის უცოდინარობის სამი სალიკვიდაციოთ შკოლა რომელშიდაც სწავლობდა 90 კაცი, მათ შორის დაამთავრა 75-მა.

დვალიშვილების თემი

დღიდან ახალი საბჭოს არჩევისა შესრულებულია შემდეგი სამუშევრები ნაკაზში გათვალისწინებული: 1. შეკეთებულია აბანო და გაკეთებულია კაპიტალური რემონტი, 2. პუნკტი მოწყობილია სათანადოთ 3. შეკეთებულია ზოგიერთი აბანოს უბნები, 4. შეკეთებულია ზოგიერთი სათემო გზები, ნაწილობრივ შეკეთდა შკოლების შენობები 5. დაწყებულია ტელოფონის ხაზისათვის ბოძების შეგროვება.

შკოლები

თემში არის 4 წლენის სასწავლებელი 4. 1. გადიდში 1, დვალიშვილებში ორი (2) და 1 ძულუხში კი ერთი შენობები არის ყველა სათემო, თითო თითო სართულიანი, ხის, ყველა ყავრით დახურული, ყველა სასწავლებლები შეადგენენ ორ ორ თვალს, ნაწილობრივ დასჭირდებათ რემონტით შეკეთება, ზოგიერთებს აკლიათ პარტები, აღმასკომმა ნაწილობრივ შეაკეთა ყველა სასწავლებლები წვრიმალნი რემონტით. სასწავლებლებს ემსახურება შვიდი მასწავლებელი, მასწავლებელი უმრავლესობა არიან საბჭოს წევრები. ერთი-მეორეში განწყობილება დამაკმაყოფილებელია.

¹ მაშინ გავრცელებული დაავადების ციების (მალარიის) საწინააღმდეგო ნაწილი ფაქტით ჩანს, რომ მალარია ვერაგი დაავადება მეტად გავრცელებული იყო და უკავშირდება არსებულ დაჭაობებულ ტერიტორიებს განსაკუთრებულად დასავლეთ საქართველოში.

სამკითხველო

დვალიშვილების თემის სამკითხველო მოთავსებულია აღმასკომის ერთ თვალ შენობაში, შენობა არის ხის, დახურული ყავრით, სამკითხველოს აქვს ბუხარი, წიგნები აქვს ქართული 60 ც. რუსული 3 ც. გამოწერილი აქვს შემდეგი გაზეთები კომუნისტი 1 ცალი, მუშა 1 ც. ახალი სოფელი 1 ცალი.

უხუთის თემი

უხუთის თემის 7 წლელი მოთავსებულია საკუთარ შენობაში¹ შენობა არის ხის 7 თვალი, დახურულია ყავრით.

შკოლის შენობას ესაჭიროება ნაწილობრივ სახურავის შეკეთება აგრეთვე მინების ჩასმა ნაწილობრივ. შკოლას აკლია დაფა 2 ვინაიდან არსებული დაფები უვარგისია თემალმასკომას ორი თვალი ოთახი დაამთავრა და სახურავი ნაწილობრივ შეაკეთა. აგრეთვე შეძინა შკოლას ყუმბის ფეჩხი. შკოლას აქვს ეზო 240 კ საყენი შკოლას კაბინეტები არ აქვს, შკოლასთან არსებობს 5 ჯგუფი რომელშიდაც სწავლობს საერთოდ 81 მოწაფე, პირველ ჯგუფში მიღებული იქნა 18, უარი ეყო 17, გამოცდების ჩაუბარებლობის გამო.

სოფელს ემსახურებოდა 6 მასწავლებელი, მასწავლებლები არიან, როგორც საბჭოს წევრი აგრეთვე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციებში, განწყობილება ერთი მეორეში დამაკმაყოფილებელია.

რომანეთის 4 წლელი

4 წლელი მოთავსებულია საკუთარ შენობაში, შენობა არის 3 თვალი ხის ყავრით დახურული, შკოლის შენობას ესაჭიროება ნაწილობრივ სახურავის შეკეთება, ესაჭიროება ბოძების გამოცვლა და კედლების

გასწორება, შკოლას აკლია 2 სკამი, 2 დაფა უვარგისობის გამო, თემალმასკომმა შეიძინა ერთი საწიგნე შკაფი გააკეთა პარტები და კეთდება ეხლა ბოძები და კედლის რემონტები. შკოლას აქვს ეზო 1 ქცევამდე, სკოლის პირველ ჯგუფში მიღებული იქნა 39 მოწაფე უარი არავისთვის უთქვამენ, 4 წლედს ემსახურება 2 მასწავლებელი 1 მათგანი არის საბჭოს წევრი განწყობილება მასწავლებლებთა შორის კარგია.

უხუთის 4 წლელი

4 წლელი მოთავსებულია საკუთარ შენობაში შენობა არის 3 თვალი, დახურულია ყავრით, შკოლის შენობას ესაჭიროება ნაწილობრივ შეკეთება, თემალმასკომმა შეაკეთა ნაწილობრივ სახურავი და ჩააყინა მინები შეიძინა ერთი ყუმბის ფეჩხი, შკოლას აქვს ეზო ნახევარქცევამდე, სკოლას კაბინეტი არ აქვს, სკოლასთან არსებობს სამი ჯგუფი 4 წლედს ემსახურება 2 მასწავლებელი 1 მათგანი საბჭოს წევრია, განწყობილება მათ შორის კარგია.

ჭოკიანის აბანო

ჭოკიანის აბანო არის აღმასკომის ხელში. აღმასკომი მოთავსებულია სოფ. საპრასიაში, აქ მოწყობილია საბანაო ერთ თვალში, იქვე არის ღამის გასათევი ბინები მომსვლელთათვის 6 პატარა ოთახით, სეზონური ბანაობა იწყება მაისის თვიდან 15 ეკენის თვემდის, დაწესებულია თითო ბანაობაზე ბაჟი 15 კაპ. ღამის გასათევი თითო სულზე 30 კაპ. დაახლოებით წლიური შემოსავალი უდრის 1000 მანეთს. საჭიროა ბინების შეკეთება და ძველი ქვის შენობის დამთავრება რომელიც ერთი ორათ გაადიდებს აბანოს შემოსავალს. აბანოს გამგეს აქვს ჯამაგირი 6 თვის განმავლობაში თვეში 30 მ. და თანაშემწეს 3 თვის განმავლობაში თვეში 20 მანეთი.

¹ აქ საუბარი უნა იყოს სოფ. საპრასიის შვიდწლედზე. საპრასია, რომანეთთან ერთად შედიოდა უხუთის თემსაზოგადოებაში, რელიურად ამ თემიდან შვიდწლიანი სკოლა ფიქსირდება მხოლოდ საპრასიაში. (რედ).

დასკვნა

საერთოდ უხუთის თმის აღმასკომის და საბჭოს მუშაობა უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და ზოგიერთი დეფექტების აღმოჩენის დროს აღმასკომს მიეცა შემდეგი მითითებები შემდგომი ნაკლის გამოსასწორებლათ:

1. გადატანილი და მოთავსებული იქნეს საოჯახო მეკომურთა სიები მოკლე დროის განმავლობაში.
2. დაეწიოს აღმასკომს საბჭოსთან არსებულ სექციების გამოცოცხლება, ვინაიდან ზოგიერთ მათგანის მუშაობა არ სჩანს.
3. დაეწიოს აღმასკომის თემში არსებულ ყველა დაწესებულებების გამგეებს გააკეთების მოხსენებები თავიანთ მუშაობა საქმიანობაზე საბჭოს კრებაზე ვინაოთგან დღემდის მხოლოდ მარტო ერთს საექიმო პუნქტის გამგეს აქვს გაკეთებული მოხსენება და დანარჩენს კი არა.
4. დაეწიოს აღმასკომს რათა 2 თვეში ერთხელ მოხსენება გაუკეთოს საბჭოს თავის მუშაობა საქმიანობაზე

(ქუთაისის) სამაზრო აღმასკომის ინსტრუქტორი სერგო აბდალაძე

ბზვანი (აღმასკომი)

ახალი 7-ნლიანი შენობის ასაგებათ აქვს შედგენილი პლანი და ხარჯთაღრიცხვა, 13,777 — 98 კაპ. რომლის მუშაობის დაწყება განიზრახა ნაწილობრივ თვით დაბეგვრის სახით.

თემში სხვადასხვა უბნებში გახსნილია 3-მი ოთხნლელი შენობები ყველა სათემოა. შენობები აგებულია ხის მასალით, დახურულია ყავრით 1. სოფ. ქვედა ბზვანის ოთხნლელი შესდგება ორი ოთახისაგან მოედანი აქვს 700 კვად. საჟენი შემოკავებულია ნახევრად. 2. ზედა ბზვანის ოთხნლელი შესდგება ორი ოთახისაგან მოედანი აქვს 900 კვად. საჟენი შემოკავებულია ნახევარი მესრით და ნახევარი ცოცხალი ღობით, 3. სოფ. ინაშაურში შკოლა შესდგება ორი საკლასო ოთახებით და ორი პატრანი ოთახებით. ეზო შეკავებულია ნახევარი ცოცხალი ღობით და ნახევარი მესრით. ეზო აქვს 650 კვად. ყველა საწავლებელს ემსახურება 15 მასწავლებელი, განწყობილება ერთი მეორეში დამაკმაყოფილებელია. ზნეობრივი მხარე ზოგიერთი მასწავლებლების არადამაკმაყოფილებელია მაგალითად ინაშაურის ოთხნლელის მასწავლებელი (მითითებულია სახელი და გვარი) ეწევა ინტრიგანობას არ ღებულობს თემის აღმშენებლობით და კულტურულ მუშაობაში მონაწილეობას და პირიქით ხელს უშლის აგიტაციის საშუალებით. 2 7-ნლელის მასწავლებელი: (მითითებულია სახელი და გვარი) ეწევა ლოთობას, სამსახურს ასრულებს შეძლებისდაგვარად.

ამაღლების სამკითხველო

ამაღლების თემის ქობ. სამკითხველო მოთავსებულია აღმასკომის შენობაში არის ხის დახურული ყავრით. უჭირავს ერთი თვალი ოთახი. წიგნები აქვს სხვადასხვა, 320 ცალი ქართული, რუსული 2 ცალი გაზეთები აქვსთ გამონერილი აღმასკომის საშვალებით შემდეგი: 1. „კომუნისტი“ ერთი, 2. ახალგაზრდა კომუნისტი 1 ცალი, 3. მუშა 1 ცალი, 4. ახალი სოფელი 1 ცალი, 5. კომუნისტი 1 ცალი. დღიური მკითხველი საშვალოდ 25-თი, სამკითხველოსთან არსებობს საბჭო და სხვადასხვა წრეები. აგრეთვე გამოდის კედლის გაზეთი ორკვირეული – სახელწოდებით, ჩვენი ხმა. გამგის ზნეობრივი მხარე და ავტორიტეტი მასაში დამაკმაყოფილებელია.

საექიმო პუნქტი

ამაღლების თემის საექიმო პუნქტი არის ჯანინსპექციის¹. მოთავსებულია თემის შენობაში უჭირავს ორი ოთახი და ერთიდერეფანი. შენობა არის ხის დახურულია ყავრით, პუნქტს საკუთარი ინსტრუმენტები აქვს ნაწილი.

¹ ჯანმრთელობის დაცვის ინსპექციის განკარგულებაში (რედ).

ზეინდრის ოთხნლელი

ზეინდრის ოთხნლელი მოთავსებულია ს. ზეინდარზე. შენობა არის სათემო, არის ხის, დახურული ყავრით, შესდგება ხუთი თვალისაგან არის სამი ჯგუფი 84-ი მონაფით 1-ლ ჯგუფში წელს მიღებულია 51 მონაფე, უადგილობის გამო უარი ეყო 20 მონაფეს. შკოლის ეზო 4 ქცევაა, რომელშიდაც შკოლა იქნება მალე გადატანილი, შენობა ახალი ნაყიდა და მოთავსებულია კერძო პირის ეზოში შკოლას აკლია ოცი პარტა, შკოლას დაზიანებული აქვს ფანჯრები შკოლას ახალ ბინაზე გადატანის შემდეგ გაუკეთდება რემონტი თვით დაბეგვრის სახით. შკოლის შენობის გადატანა განზრახულია ასწავლის შეწყვეტის შემდეგ შკოლაში ასწავლის ორი მასწავლებელი ერთი მათგანი არის საბჭოს წევრი განწყობილება ერთი მეორეში კარგი აქვთ.

ქვედა გორას ოთხ-ნლელი

ქვედა გორას ოთხნლელი მოთავსებულია სოფ. ქვედა გორაში შენობა არის სათემო შენობა არის ხის დახურულია ყავრით უჭირავს ოთხი თვალი. არის ოთხი ჯგუფი. 1-ლ ჯგუფში წელს მიღებულია 50 მონაფე ვარი ეყოთ 40-ს ამ ჟამათ მონაფე არის სულ 160; შკოლას ეზო აქვს ნახევარი ქცევა შემოუკავებელი, შკოლაში ასწავლის 3-მი მასწავლებელი განწყობილება მათ შორის კარგია ორი მათგანი მუშაობს სხვა და სხვა ორგანიზაციებში შკოლის შენობა წელს შეაკეთა აღმასკომმა რომელზეც დაიხარჯა 183 მან.

ზედა გორას ოთხნლელი

ზედა გორას ოთხნლელი მოთავსებულია სოფ. ზედა გორაში, შენობა არის ნაქირავები ხის, დახურულია კრამიტით შენობის შეკეთება ევალება სახლის პატრონს. ერთ ოთახში არის ორი ჯგუფი 1-ლი და მე 3-მე სადაც მეცადინეობს 55 მონაფე წელს მიღებული იქნა 1-ლ ჯგუფში 35 მონაფე უარი არავის ეყო, სკოლის ეზო არის ერთი ქცევა. შემოკავებული სარით, არის ზიგიერთი ინვენტარის ნაკლულოვანება პარტა და სკამის. ამაცადინებს ერთი მასწავლებელი.

მე-2-რე სალომინაოს ოთხნლელი

მეორე სალომინაოს ოთხნლელი მოთავსებულია სოფ. მეორე სალომინაოში. შენობა არის სათემო. ხის დახურული ყავრით შესდგება ორი ოთახიდან, არის სამი ჯგუფი 1-ლ ჯგუფში წელს მიღებული იქნა 30- მონაფე უარი არავისთვის უთქვამთ, სულ 63 მონაფეა შკოლას აქვს ერთი ქცევა ეზო შეღობილი სარით. ასწავლის ორი მასწავლებელი ერთი მათგანი მუშაობს კომკავშირში. განწყობილება ურთიერთ შორის კარგია, წელს გაუკეთა აღმასკომმა რემონტი.

1-ლი სალომინაოს ოთხ-ნლელი

1-ლი სალომინაოს ოთხნლელი მოთავსებულია სოფ. 1-ლ სალომინაოში. შენობა არის ნაქირავები სახლი არის ხის დახურულია ყავრით, აქვს ერთი თვალი. მეცადინეობა არის დილას და საღამოს 1-ლ ჯგუფში წელს მიღებული იქნა 25 მონაფე უარი ეყოთ უადგილობის გამო 10 მონაფეს სულ ამ ჟამათ არის 58 მონაფე არის სამი ჯგუფი ასწავლის ორი მასწავლებელი, შკოლას აქვს ეზო ერთი ქცევა შემოკავებულია სარით. ერთი მასწავლებელი არის კომკავშირელი, მათ შორის განწყობილება კარგია.

სტალინის მკვლელობის საიდუმლო

ისტორიის გაანალიზება აუცილებელია სამართლიანობისა და ჭეშმარიტების დადგენისათვის. დიდი ადამიანი უნდა ჩაითვალოს დიდად, წესიერი-წესიერად, დამსახურებული – დამსახურებულად, ხოლო გაიძვერა – გაიძვერად. საბჭოთა კავშირის ისტორიაში ი. სტალინის როლის მხოლოდ ობიექტურად შეფასებით შეიძლება დაინყოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და მით უფრო რუსეთის აღორძინება. მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი ხალხი გაიგებს, რომ სტალინის დიადი საქმე და თვით მისი, როგორც უზარმაზარი პიროვნების სახე მუდმივად იყო დამახინჯებული სტალინის მომდევნო კომუნისტებისა და ე.წ. „დემოკრატების“ მიერ, რომ ბელადის მთელი ცხოვრება მიძღვნილი იყო უბრალო მშრომელი ხალხის ბედნიერებისადმი და არა გაიძვერებისა და სახელმწიფოს მძარცველებისადმი, რუსეთი და სხვა პოსტკომუნისტური დღევანდელი დამოუკიდებელი ქვეყნები მხოლოდ მაშინ შეიძლებენ მატერიალურ და სულიერ აღორძინებას. რუსეთმა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა ბოლოსდაბოლოს აუცილებლად უნდა შექმნან სამართლიანი, უფრო სწორად ჭეშმარიტი ისტორია. სანამ ჩვენ ვერ გავერკვევით საკუთარ წარსულში, მანამ არ გვექნება მომავალი, თუ დღეს არ ვიტყვით სიმართლეს, ე.ი. ხვალ გვექნება მხოლოდ მითებზე დაფუძნებული სიცრუე.

სტალინის სიკვდილი, უფრო ზუსტად მკვლელობა მიეკუთვნება არა მარტო XX საუკუნის, არამედ მთელი უახლესი ისტორიის მსოფლიო მასშტაბის საკვანძო მოვლენათა კატეგორიას. ამიტომ, მოცემული ისტორიული მოვლენის მითებისა და გამიზნული ტყუილისაგან გასუფთავება უკიდურესად აქტუალურია. ის, რომ სტალინი მოკლეს, საკვებით ცვლის საბჭოთა კავშირის მთელი ისტორიის სწორად გაგების პროცესს – მისი დაარსებიდან დაშლამდე. ზუსტად ამიტომ სიმართლე მთელი 65 წელი იყო დამალული ხალხისაგან. XX ყრილობაზე მსოფლიო დონის ხუმარისა და მოლაღატის ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ წარმოთქმული დაუგეგმავი სიტყვა და შემდგომი ანტისტალინური ისტორია სტალინის მკვლელობის მიჩუმათებისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის სახელმწიფო ღალატის ოპერაციებს წარმოადგენდა. ლაპარაკია მასზე, რომ 1953 წლის მარტში მოსკოვში მოლაღატეთა ჯგუფმა განახორციელა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის შედეგადაც მოკლული იქნა საბჭოთა კავშირის უცვლელი ხელმძღვანელი მთელი 30 წლის განმავლობაში, გენერალსიმუსი – იოსებ ბესარიონის ძე სტალინი (ჯუღაშვილი).

ღალატის მომდევნო ეტაპზე სტალინის საქმე კიდევ უფრო შეითითხნა და სიცრუის ბურუსში გაეხვია, ხოლო 1953 წლის გადატრიალებამ კანონზომიერ დაბოლოებამდე – საბჭოთა კავშირის დაშლამდე მიგვიყვანა, რაც საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ღალატით მოხდა ე.წ. გორბაჩოვისეული „გარდაქმნების“, თუ „გადაშენების“ ეპოქაში.

აქ ჩვენ არ შევხებით იმ ანგაჟირებულ ვერსიებს, რომლებიც მიღებულია ისეთი წინამძღვრებიდან, რომ სტალინი „ტირანი“, „სისხლისმსმელი“ და „პარანოიკა“. ისინი დანვრილებითაა ასახული საკმაოდ მოცულობით „ნარკვევებში“ და მათზე დიდი ხანია წარმატებით სპეკულირებენ ანტისტალინისტები. მსგავსი თვალსაზრისი ძალზე მოხერხებულია და ყოველგვარი სიძნელის გარეშე თავსდება ანტისტალინელთა პრიმიტიულ სქემაში. ამ ხალხს რასაკვირველია აქვთ უფლება გააჩნდეთ საკუთარი აზრი, მაგრამ მას არ ექნება არანაირი კავშირი მეცნიერულ კრიტერიუმებთან და ჭეშმარიტების დადგენასთან.

სახელდობრ რატომ მე, ფიზიკოს-ეკოლოგმა (თუმცა იტორია ყოველთვის იყო და არის ჩემი ჰობი) გადავწყვიტე ამ წერილის დანერა, ნუთუ ცოტაა ისტორიკოს-პროფესიონალები? გასაკვირია, მაგრამ ქართველი ისტორიკოსები ამ საკითხზე თითქმის არაფერს წერენ და ჰგონიათ, რომ ამ სამუშაოს სხვა (რუსი, სომეხი და ა.შ.) შეასრულებს. მე არ გამიკვირდება, რომ პროფესიონალები ჩემს კომენტარებში იპოვნინან შეცდომებს, მაგრამ ამის მხოლოდ მოხარული ვიქნები, რადგანაც საქმეში ჩაერთვებიან ისტორიკოსები, ექიმები, ბიოლოგები და სხვა მიმართულების სპეციალისტები და ამით საბოლოოდ ჭეშმარიტებაც დადგინდება. თუმცა მე

ისიც მამშვიდებს, რომ მათი კვლევებისას, ფიზიკის – ამ უზარმაზარი მეცნიერების რაღაც დონეზე გამოყენება აუცილებელია. ჩემი კომენტარები არ უნდა იყოს განხილული მკვლევლების მონაწილე კონკრეტული პირების მისამართით ბრალდება. ისინი ეხებიან კონკრეტულ ტექსტებს და არა იმ ექიმებს, რომლებმაც ისინი შეადგინეს. სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი ამ მკვლევლების მონაწილენია, მაგრამ მარტო ამით არ შეიძლება დადგინდეს. შესაძლოა ზოგიერთი მათგანი მართლაც დამნაშავეა, რადგანაც დაარღვია ჰიპოკრატეს ფიცი და სწორად და დროულად არ უმკურნალა მონამღულ, გონებადაკარგულ ბელადს. მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ისინი შესაბამის დასკვნებს წერდნენ მიშვერილი იარაღის ლულის ქვეშ? ყველაფერი ეს შემდგომი სერიოზული კვლევის საკითხია, რომლებიც სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებმა – კრიმინალისტებმა, ბიოლოგებმა, პათანატომისტებმა, ისტორიკოსებმა და სხვებმა (მათ შორის ფიზიკოსებმა) უნდა განახორციელონ.

ი. სტალინის მკვლელობის მრავალი ვერსია არსებობს. დავინყებ შედარებით სუსტი ვერსიით. არსებობს მრავალი ფანტაზიური მოსაზრება ე.წ. „თვითმკვლელობისა“. „სტალინის მოშორება სურდათ, ეს უდავოა“ – იხსენებდა მისი დაცვის უკანასკნელი უფროსი გენერალი რიასნოი. რატომ უდავო, საიდან ასეთი დამაჯერებლობა?

აი კიდევ რამდენიმე მაგალითი. გიორგი მალენკოვის მძლოლი, თითქოს მისი პატრონის ნათქვამიდან გამომდინარე ამბობდა: „როდესაც სტალინი ავად გახდა ექიმმა მას მოუმზადა წყალგარეული წამალი. სასმისი სტალინს მიუტანა ბერიამ და გზად მასში რაღაც ფხვნილი შეურია. სტალინის ოთახიდან დაბრუნებულმა ბერიამ თქვა, რომ ბელადი გარდაიცვალა“. ეს ხომ მონაჭორია, მაგრამ დღემდე ცირკულირებს ხალხში.

მწერალ ილია ერენბურგის ვერსიით: 1953 წლის 1 მარტს მიმდინარეობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ლაზარე კაგანოვიჩი. მან სტალინისაგან მოითხოვა განსაკუთრებული კომისიის შექმნა „ექიმთა საქმის“ ობიექტური გამოძიების შესახებ. ამის შემდეგ მან ბელადს კატეგორიულად მოსთხოვა მის მიერ გაცემული ბრძანების გაუქმება ყველა ებრაელის დეპორტაციის თაობაზე. კაგანოვიჩს მხარი დაუჭირა ძველი პოლიტიბუროს ყველა წევრმა ბერიას გარდა. ამ უჩვეულო ერთსულოვნებამ სტალინს უჩვენა, რომ მას საქმე აქვს ადრიდანვე მომზადებულ შეთქმულებასთან. სტალინმა წონასწორობა დაკარგა, ქუჩური გინებით დაემუქრა შეთქმულებს ყველაზე მკაცრი სასჯელით. მაგრამ ასეთ რეაქციას ელოდნენ შეთქმულები, მიიღეს შესაბამისი გამაფრთხილებელი ზომები. ანასტას მიქოიანმა განუცხადა განრისხებულ სტალინს: „თუ ნახევარ საათში ჩვენ ამ შენობიდან ვერ გავალთ თავისუფალი, მაშინ ჩვენი მომხრე არმია დაიკავებს კრემლს“. ამ განცხადების შემდეგ ბერიაც განუდგა სტალინს, რამაც ეს უკანასკნელი საბოლოოდ გამოიყვანა მწყობრიდან. კაგანოვიჩმა იქვე სტალინის თვალწინ დახია მისი პარტიული ბილეთი და სახეში მიაყარა ბელადს. სტალინმა ვერ მოასწრო დაცვის გამოძახება, როცა უკვე მოუვიდა გულის შეტევა. ის ჩაიკეცა გონდაკარგული. მხოლოდ 2 მარტს დილის 6 საათზე სტალინთან შეუშვეს ექიმები“. მიუხედავად იმისა, რომ ერენბურგი საკმაოდ გათვითცნობიერებული და პრინციპული მწერალი გახლდათ მაინც დანერა ასეთი მონაჩმახი.

სხვა ვერსიაში ლაპარაკია ნომენკლატურის შეთქმულებაზე. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის დოკუმენტების გახსნის კომისიის თავჯდომარის მიხეილ პოლტარანინის აზრით ი. სტალინი მონამღეს ციანიდით, რაზეც მეტყველებს მისი გვამის გაკვეთის შედეგები, რომლებმაც გამოავლინა ღვიძლის გადიდება, ქსოვილთა ფერის ცვლილება, ლაქები საყლაპავ მილზე. თითქოს ამ დასკვნის შემდგენი ბელადის სიკვდილიდან მალე დაიღუპა, ხოლო მის ბინაში ჩატარდა ჩხრეკა და შესაბამისი დოკუმენტები ამოიღეს.

პოლტარანინის სიტყვებით შეთქმულება ადრიდანვე იყო მომზადებული ლ. ბერიას მიერ, რომელმაც მოიშორა ბელადის ერთგული ა. პოსკრებიშევი, ნ. ვლასიკი და სხვები. მონამღეს ოპერაცია განხორციელდა ლ. კაგანოვიჩისა და მისი ძმისშვილის, მედიკოს ელა კაგონოვიჩის (ის თითქმის სტალინის საყვარელიც იყო) მონაწილეობით.

მ. პოლტარანინის მიხედვით ბ. ელცინის მმართველობის დროს ისრაელთან და ებრაელებთან დაკავშირებული უშიშროების მთელი არქივი ისრაელში გაზიდეს.

ანალოგიური აზრისაა მწერალი, საკმაოდ მოცულობითი და ობიექტური რომანის - „გენერა-

ლი სიმუხის“ ავტორი, არმიის გენერალი ვლადიმერ კარპოვი. მისი წიგნის მიხედვით ვიარქესლავ მოლოტოვი იგონებს: „1953 წლის 1 მაისს მავზოლეუმის ტრიბუნაზე ასეთი საუბარი წარიმართა. ლ. ბერია მაშინ ახლოს იყო თავისი ჩანაფიქრის, ხელისუფლების ხელში ჩაგდების, განხორციელებასთან. თვით ბერია, ყველა ჩვენთაგანი თვლიდა, რომ ის პოლიტიკურში ყველაზე გავლენიანი პირი იყო. ჩვენს ირგვლივ არსებული მთელი დაცვა ბერიას მომხრეები გახლდათ. მას შეეძლო ჩვენი ლიკვიდაცია ნებიემიერ დროს. მავზოლეუმზე დგომისას, ისე, რომ გვერდით მდგომ ნიკიტა ხრუშჩოვსა და გიორგი მალენკოვს გაეგონა ლავრენტიმ მრავალმნიშვნელოვნად მითხრა: მე ყველა თქვენთაგანი გადავარჩინე. ის მე დროულად მოვიშორე“. ვ. კარპოვის აზრით ვ. მოლოტოვს შეიძლება ენდო.

ახლა ძალზე ბევრს ლაპარაკობენ „სტალინის ორეულების“ შესახებ. ყველაზე სრულად ეს ვერსია დასაბუთებული აქვს მწერალ ნ. დობრიუხას, რომელიც ყურადღებას აქცევს ასეთ ფაქტს. სტალინის ცხედრის გაკვეთის აქტში არაა აღნიშნული, რომ მას ფეხის თითები შეზრდილი ჰქონდა, მაშინ როცა მისი სხეულის დათვალიერების ადრეულ დოკუმენტებში, ასეთი მონაცემები არსებობს.

მართლაც, ბელადის სხეულის გაკვეთის აქტში არაა აღნიშნული შეზრდილი თითების შესახებ. აქედან გამომდინარე, დობრიუხა ამტკიცებს, რომ სტალინის სახით მოკლეს მისი ორეული, ე.ი. ბელადი მოკლეს უფრო ადრე, ხოლო ბუნებრივი სიკვდილი ინსცენირებულია. უნდა აღინიშნოს, რომ დობრიუხა ერთადერთი, მაგრამ ამავდროულად ყველაზე თანმიმდევრული მომხრეა ორეულის ვერსიის თაობაზე.

ს. სლადკოვის ვერსიის მიხედვით ეს შეეძლო გაეკეთებინა სტალინთან დაახლოებულ ებრაელ ჰიპნოზისტს ვოლფ მესინგს. თითქოს სტალინის მოკვლით მესინგმა აღკვეთა ებრაელთა დაგეგმილი გადასახლება შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში და ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის კუნძულებზე, რომელიც უნდა დაწყებულიყო 1953 წლის მარტში. ამის შედეგად თითქმის საბჭოთა კავშირში მაშინ მდგარი პრობლემური „ებრაული საკითხი“ სრულად და საბოლოოდ გადაიჭრებოდა.

არსებობს ლეგენდა, რომ სტალინისავე თხოვნით მესინგი მის კაბინეტში შედიოდა დაცვის გვერდის ავლით, ყოველგვარი დოკუმენტის წარდგენის გარეშე. თითქოს მესინგმა დაწერა, რომ მან დაარწმუნა (ჰიპნოზის მეშვეობით) დაცვა, რომ ის ბერიაა. სლადკოვი თვლის, რომ მესინგს ჰქონდა დამაჯერებელი საბამი სტალინის მოკვდინებისათვის. მას უნდოდა საბჭოთა ებრაელების (თავისი თანატომელების) გადარჩენა, რომელთა გასახლებას თუ გაჟუჟყვას თითქოსდა გეგმავდა ბელადი.

რუსი მწერლების იური მუხინისა და ელენა პრუდნიკოვას ძალისხმევით პატრიოტულ წრეებში საერთოდ აღიარებული ვერსია იმის შესახებ, რომ სტალინი სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობით გარდაიცვალა. მუხინის მიხედვით სტალინს შეტევა 1953 წლის 1 მარტს, ღამით მოუვიდა, ხოლო ექიმებმა დახმარება მხოლოდ 2 მარტს აღმოუჩინეს. ე.ი. ბელადი 30 საათზე მეტი იმყოფებოდა აუცილებელი სამედიცინო დახმარების გარეშე. ამ ვერსიის მიხედვით ექიმები არ გამოიძახეს ნ. ხრუშჩოვმა, რომელიც მაშინ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს კურირებდა და ამ კომიტეტის მინისტრმა იგნატიევმა.

ნ. დობრიუხასა და ი. ჩიგირინის მიერ სტალინის ავადმყოფობის ისტორიის პუბლიკაციის შემდეგ სულ უფრო მეტ მომხრეებს იძენს მონამვლის ვერსია. ყველაზე სრულად და ლოგიკურად ეს ვერსია დაასაბუთა პ. კრასნოვმა. უკეთესად, ვიდრე კრასნოვმა დაწერა, ძალიან ძნელია. ამიტომ მოკლედ შევეხოთ მის ნაშრომს.

რატომაა კრასნოვი აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ სტალინი გარდაიცვალა არა სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გამო (ცხადია, რომ დახმარება მას ექიმებმა დიდი დაგვიანებით აღმოუჩინეს), არამედ ის მონამვლეს – მივყვეთ მოვლენათა თანმიმდევრობას.

ოფიციალური ვერსიით (თუმცა არსებობს ამ ქმედების მონაწილეთა საკმაოდ წინააღმდეგობრივი ჩვენება) სტალინს მოუვიდა ინსულტი (თავის ტვინში სისხლის ჩაქცევა), ის რამდენიმე საათი იწვა იატაკზე, დაცვას ეშინოდა? მასთან შესვლა და გამოიძახა თავისი უფროსი, რომლის შემდეგაც მან დაურეკა პოლიტიბუროს წევრებს, მათ კი ექიმებს და ა.შ.

ეს ძალიან უცნაურად ჟღერს – მკვლელთა შეთქმულებას ჰგავს და თეთრი ძაფითაა ნაკერი.

გვაოცებს მათი თავხედობა და მუხანათობა. ასეთ ნაბიჯს ქირდება დიდი მამაცობა და თავხედობა.

ოფიციალური ვერსიით დაცვის უფროსი, რომელსაც დაცვა დაუყონებლივ ახსენებს მომხდარი საგანგებო სიტუაციის შესახებ, არავის უშვებს სტალინთან. ამ წარმოუდგენელ შემთხვევას ადგილი უნდა ჰქონოდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში – მან ცალსახად (ერთმნიშვნელოვნად) იცოდა, რომ სტალინი ვერასოდეს ადგება. თუ მას არ ეცოდინებოდა იმის მიზეზი რატომ წევს სტალინი იატაკზე, მაშინ დაუყონებლივ გამოიძახებდა ექიმებს. ამისათვის ის სპეციალურად მომზადებულია – ადამიანის უსაფრთხოებისათვის (მერე როგორი ადამიანის) თავიდან ასაცლილებლად.

დავუშვათ სტალინს უბრალო ჰიპერტონიული კრიზი ან ტვინის სისხლძარღვების სპაზმი დაემართა. ის დაწვება განსაკუთრებული შედეგების გარეშე და შემდეგ დაცვის უფროსს მოუწევს სამხედრო ტრიბუნალზე ყოფნა. რისკი ძალიან დიდია და თვით ნახევრადდადამბლავებულ ბელადსაც კი ექნებოდა ყველა შესაძლებლობა სამაგალითოდ დაესაჯა გამყიდველი დაცვის უფროსი. მაგალითად, ფრანკლინ რუზველტი შესანიშნავად უძღვებოდა ქვეყანას ინვალიდის სავარძლიდან.

მსოფლიოში ნებისმიერ დაცვას გააჩნია სავსებით მკაფიო გამოკვეთილი მოვალეობები და შესაფერისი მომზადება, ხოლო საბჭოთა დაცვა ითვლებოდა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო (თუ არა ყველაზე უკეთესად) დაცვად. ასეთმა დაცვამ ბევრი რამ იცის. ის სპეციალურადაა ნაწარმოები იმოქმედოს კრიტიკულ სიტუაციაში, როცა დასაცველი ობიექტი დაჭრილია, მონამულულია და ა.შ. ამისათვის არსებობს სპეციალური ინსტრუქციები.

ერთი სიტყვით დაცვის უფროსი ნავიდოდა არსებული წესებისა და ინსტრუქციების დარღვევაზე მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, რომ სტალინი ვერასოდეს ადგება. რისთვის ქირდებოდა მას სტალინთან ექიმების არ შეშვება და სტალინის განმარტოებულად ყოფნა – სამედიცინო დახმარების გარეშე? იმისათვის, რომ ავადმყოფობის მიზეზს და თვით ავადმყოფობას მიეცეს შეუქცევადი ხასიათი. რა ძლიერდება თავის მოქმედებაში დროთა განმავლობაში და ღრმავდება?, რა მიზეზია ეს? შხამი. სწრაფად მოქმედი შხამი ეს კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც სტალინი ერთხანს უნდა დარჩენილიყო დახმარების გარეშე, რათა ნამლილიყო მონამვლის ნიშნები.

პ. კრასნოვი ამ საკითხზე ხვდება რამდენიმე გამოცდილ კრიმინალისტს სხვადასხვა ქვეყანაში – რუსეთში, კანადაში, გერმანიაში, უნგრეთში. ყველა მათგანს აცნობს მომხდარს. მათი დასკვნა ერთია – მკვლელობა.

მაინც რამ აიძულა უმაღლესი პარტიული მუშაკები წასულიყვნენ ასეთ რისკზე.

გავიხსენოთ, რა უძლოდა ნინ სტალინის უცნაურ გარდაცვალებას, როგორ შეეცადა ბელადი უმაღლესი პარტიული ელიტის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას, რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, ხოლო სტალინის სიკვდილის შემდეგ მყისვე გაუქმებული.

ის, რომ იოსებ სტალინი მოკლეს, ამაში დარწმუნებული იყო მისი შვილი ვასილ სტალინი, გენერალი, საბჭოთა კავშირის გმირი, რომელიც შემდეგში ნიკიტა ხრუშჩოვმა დააპატიმრა და ტალახში ამოსვარა მისი სახელი. ბოლოს უცნაურ ვითარებაში გარდაიცვალა. მაგრამ ეს სხვა ძალიან შავბნელი ისტორიაა.

მამის სიკვდილში, რომ გარეშე ხელი ერია, ამაში დარწმუნებულია ბელადის ქალიშვილი სვეტლანა და შვილობილი არტემიც. მონამვლით სიკვდილში დარწმუნებულია მთელი საბჭოთა სამხედრო ელიტა და უცხოელი ცნობილი მკვლევარები (მაგალითად ამერიკელი მწერალი საიმონ სებაგ მონტეფიორე და ინგლისელი ისააკ დოიჩერი), მთელი რიგი ქართველი პოლიტიკოსებისა და სწავლულებისა, რომელთა ჩამოთვლა, მათი ნააზრევის გადმოცემა ძალზე შორს წაგვიყვანდა.

ჰებელსისეული შეცხადება სტალინის პარანოიზმის, მისი უჩვეულო ბრაზიანობის, ეჭვიანობისა და მრისხანების შესახებ წარმოვლინდა მიზანმიმართულად და იმ განზრახვით, რომ როგორმე აეხსნათ თუ რატომ არ აღმოუჩინეს დროული სამედიცინო დახმარება. ეს იმ ქუდის სერიიდანაა, რომელიც „ინვის“ ქურდის თავზე, ან კიდევ იმის შესახებ „დაიჭირე ქურდი“ – ყველაზე უფრო ხმამაღლა ყვირის თვითონ ქურდი.

ეს სპეციალურად შექმნილი ხმაურიანი ფანდია, რათა ყურადღება გადაირთოს და გააზრებულად არ იყოს იმის შესახებ, თუ რამდენად აბსურდულია სტალინის სიკვდილის ოფიციალური ახსნა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სტალინთან ურთიერთობდნენ ათასობით სხვადასხვა სპეციალობის ადამიანი – პუბლიცისტები, პოლიტიკოსები, მწერლები, მთავრობათა მეთაურები, სამხედრო მოღვაწეები და ა.შ. ყველა ისინი ერთხმად ამტკიცებენ, რომ საქმე ჰქონდათ ძალზე თავშეკავებულ, ჩუმ და ღრმად მოწესრიგებულ ბრძენ ადამიანთან. მაგრამ, ადამიანთა გარკვეული ნაწილი მაშინ და დღეს გადაჩვეულია ანალიზის უნარს ან უბრალოდ არ უნდათ ამის გაკეთება, რადგანაც მის გარეშე უადვილდებათ კომარომისზე წასვლა და საკუთარი სინდისის ჩათელვა და ჩანჩხლვა.

სტალინის სიკვდილის სხვადასხვა ვერსიის შედარებითი ანალიზის ჩასატარებლად საჭიროა გაანალიზდეს მოვლენათა განვითარების ლოგიკა.

ოფიციალური ვერსიის თანახმად სტალინი გარდაიცვალა თავის ტვინში ჩვეულებრივი სისხლის ჩაქცევის შედეგად. თუ ეს ასეა მაშინ: 1) უნდა არსებობდეს ნორმალური ავადმყოფობის ისტორია; 2) ამ ისტორიიდან არ უნდა იყოს რაიმე დაკარგული; 3) მასში არ უნდა იყოს ჩანამატები და ელექტროკარდიოგრამები უნდა იყოს ნამდვილი; 4) მკურნალობა უნდა იყოს ნორმალური; 5) უნდა არსებობდეს ცხედრის ნორმალური კვეთის სურათი – ინსტრუქციის დაურღვევლად; 6) უნდა იყოს ნორმალური ბალზამირება ცხედრისა; 7) არ უნდა იყოს წინააღმდეგობები თვითმხილველთა მონათხრობში; 8) არ უნდა არსებობდეს წინააღმდეგობები სამედიცინო დოკუმენტებს შორის; 9) სტალინის ავადმყოფობის ისტორიაში უნდა მოიპოვებოდეს მონაცემები მისი ყოფილი ჰიპერტონიული მიდრეკილებების შესახებ.

ორეულის ვერსია. არ უნდა არსებობდეს წინააღმდეგობა სტალინის ადრეულ და მოგვიანო სამედიცინო გამოკვლევებს შორის. შემდეგ დაისმის კითხვები: როგორ მოკლეს ორეული და როგორ მოკლეს სტალინი?

სტალინის მკვლელობა ვ. მესინგის მიერ. უნდა არსებობდეს მონაცემები იმის შესახებ, რომ მესინგი მკვლელია. შემდეგ უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ სტალინს მართლაც უნდოდა ებრაელთა დეპორტაცია. რამდენადაც ცნობილია ვ. მესინგი სტალინისადმი ძალზე კეთილად იყო განწყობილი. მან სიკვდილს (თვითმფრინავის ავარიას) გადაარჩინა ვასილ სტალინი, როცა ის ჰოკეის გუნდთან ერთად სვერდლოვსკში მიფრინავდა.

მკვლელობის ვერსია მონამვლის გზით, რომელმაც გამოიწვია სისხლის ჩაქცევა თავის ტვინში. ამ ვერსიის დროს არაა აუცილებელი, რომ სტალინი დაავადებული იყო ჰიპერტონიით.

ყველა შემთხვევაში საკვანძოა სტალინის ავადმყოფობის ისტორიის დეტალური გამოკვლევა. დიახ, ძირითადი სამხილი მისი ავადმყოფობის ისტორიაა. გამოქვეყნებულმა ავადმყოფობის ისტორიამ ნათელი მოფინა ამ საიდუმლო საქმეს, მოკლედ შევეხოთ მას.

ჩვენი ანალიზი დავიწყოთ ძალადობრივი სიკვდილის არასამედიცინო ნიშნებიდან. აქ არქივული მასალები სტალინის ავადმყოფობის ისტორიიდან აღებულია ი. ჩიგერინის ნიგნიდან „ისტორიის თეთრი და შავი ლაქები“.

როდესაც უზარმაზარი სახელმწიფო ლიდერი კვდება უცნაურ გარემოებებში, მაშინ საზოგადოებაში მყისიერად ჩნდება ეჭვი იმის შესახებ, რომ ის მოკლეს. ბუნებრივი სიკვდილისას არ წარმოიშობა უცნაური გარემოებები. შეიძლება დავასახელოთ ლიდერის ბუნებრივი სიკვდილის შემდეგი ნიშნები.

ჩვეულებრივ ასეთი სიკვდილი არაა დაკავშირებული გარკვეულ პოლიტიკურ პროცესთან;

სიკვდილის მომენტის ყველა გარემოება მკაფიოდაა ასახული ლიტერატურაში და არ არსებობს წინააღმდეგობები.

სიკვდილს, როგორც წესი, აფიქსირებენ მკურნალი ექიმები, რომლებიც ხდომილების (მოვლენების) მთავარი მონაწილეებია;

ავადმყოფობის ისტორია ჩვეულებრივ არაა გასაიდუმლოებული ან რამდენიმე წლის შემდეგ ხდება მისი უპრობლემო განსაიდუმლოება.

სტალინის ავადმყოფობის ისტორიის შესწავლამ უჩვენა, რომ ყველა ეს ნიშანი არ არსებობს.

სტალინის ავადმყოფობის ისტორიის ირგვლივ ყოველთვის არსებობდა მოარული ხმები, რომელიც ჯერ კიდევ ნ. ხრუშჩოვის პერიოდიდან იყო გავრცელებული და მკვლევართა დეზორი-

ენტაციას იწვევდა. სტალინის ავადმყოფობის შემორჩენილი ისტორიის ან კიდევ დაკარგული ისტორიის შესახებ არსებული მითები ჭირდებოდათ ანტისტალინელებს და ლიბერალებს იმისათვის, რომ ვინმეს ეჭვის ქვეშ არ დაეყენებინა სტალინის გარდაცვალების მიზეზების ოფიციალური ვერსია.

ამ ისტორიის ერთ-ერთი მკვლევარი ა. ბუშკოვი რატომღაც თვლის, რომ ბელადის ავადმყოფობასთან და სიკვდილთან დაკავშირებული სამედიცინო დოკუმენტები დიდი ხანია ზედმინვენით ზუსტადაა გამოქვეყნებული შესაბამისი თარიღებითა და ექიმთა სახელებით. ესენია: ტრეტიაკოვი, ლუკომსკი, ტარეევი, კონოვალოვი, მიასნიკოვი, ფილიმონოვი, გლაზუნოვი, ტკაჩოვი და ივანოვი.

სინამდვილეში ეს ასე არაა. როგორც ცნობილი მწერალი ი. მუხინი წერს – ისტორიკოსმა ა. ფურსენკომ არქივში ვერ აღმოაჩინა სტალინის ავადმყოფობის სრული ისტორია. თვით ფურსენკო ასე აღწერს მის მიერ ნაპოვნ საარქივო დოკუმენტს. მანქანური ტექსტის 20 გვერდზე დაბეჭდილი და კონსილიუმის მთელი შემადგენლობის მიერ ხელმოწერილი დასკვნა განსხვავდება წინმსწრები ავადობების დეტალური ხელნაწერი ჩანაწერებისაგან. დოკუმენტი არაა დათარიღებული, მაგრამ მის შავ პირზე დასმულია თარიღი – 1953 წლის ივლისი, ე.ი. სტალინის სიკვდილიდან 4 თვის გასვლის შემდეგ, რაც თავისთავად ბადებს ეჭვს მის სინამდვილეში. როგორც დასკვნის ტექსტიდან გამომდინარეობს, ის შედგენილი იყო ხელნაწერი სამედიცინო ჟურნალის საფუძველზე, რომელიც შედგა 2-5 მარტის განმავლობაში, მაგრამ სტალინის ავადმყოფობის საქმეში ეს ჟურნალი არ ჩანს.

ა. ფურსენკოს დამონებებით საბარათო საქალაქის ამოჭრილ ნაწილზე, რომელიც დასათურებულია როგორც „შავი ჩანაწერები“, აღნიშნულია „X ტომი“, რაც მასზე მოწმობს, რომ ბელადის ავადმყოფობის ისტორიაში, როგორც მინიმუმ, კიდევ არსებობდა 9 ტომი. როგორია მათი ბედი – გაურკვეველია. თუმცა ეს უნდა აფრთხილებდეს მკვლევარებს, რადგანაც სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტების გაქრობა (უფრო ზუსტად-განადგურება) მიგვანიშნებს მასზე, რომ საქმე არაა სუფთა. თუ სიკვდილი, როგორც გვიმტკიცებდნენ, ბუნებრივი იყო, მაშინ რატომ განადგურდა დოკუმენტების, როგორც მინიმუმ, 90 პროცენტი?

სტალინის ავადმყოფობის ისტორია წარმოდგენილია რალაც გაუგებარი ხელნაწერებით, ცალკეული ფურცლებით ფორმიან ბლანკზე შედგენილი სტანდარტული ისტორია ანამნეზებითა და დღიურებით, რომლებიც აუცილებლად უნდა არსებობდეს, გამქრალია. არ არის ამბულატორიული რუქაც, რომელიც ასევე უნდა იყოს შედგენილი ფორმიან ბლანკზე და ასახავდეს სტალინის მთელი სიცოცხლის ავადობებს. მწერალი ი. ჩიგირინი დანვრილებით აღწერს იმ დოკუმენტთა ნაკრებს (ასხმას), რომლებსაც სტალინის ავადმყოფობის ისტორიას უწოდებენ. დოკუმენტები არეულია და ხშირად ისეთ ინფორმაციას შეიცავს, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს სტალინის ავადმყოფობასთან.

როგორც ირკვევა ჟურნალი გადანერეს 1953 წ 26 ივნისის შემდეგ, როდესაც ლ. ბერია უკვე მოკლულია. მაშინ როგორ დასვეს ხელმოწერები? ისინი ხომ ნამდვილია. ალბათ დააძალეს, დააშინეს, მოატყვილეს, რომ ყველაფერი გააკეთა ბერიამ – სტალინის მკვლელმა, მაგრამ ხალხისთვის ამის თქმა ჯერ არ შეიძლება.

ჩვენ არ შეუდგებით ავადმყოფობის ისტორიის სუსტი და შეუსაბამო მხარეების ანალიზს. ეს სპეციალისტების საქმეა. ერთი კი ცხადია, რომ ისტორია შედგენილია ან გიჟის ან კიდევ გამოცდილი და ვერაგი (შეიძლება დაშინებული) ფალსიფიკატორის მიერ.

სტალინის ცხედრის გაკვეთის აქტი დანვრილებითაა აღწერილი ი. ჩიგირინის მიერ. აქაც ძალიან ბევრ ლაფსუსსა და შეცდომებთან გვაქვს საქმე. აქტზე ხელის მომწერნი ხმარობენ ზოგად სიტყვებს, თუმცა საკმაოდ კეთილსინდისიერად აღწერენ მას, რაც ნახეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, ისინი თითქოს ვარაუდობდნენ, ოდესმე მათ აქტს დაუბრუნდებიან და მის საფუძველზე ვინმე გააკეთებს რეალურ დასკვნას სტალინის სიკვდილის ნამდვილი მიზეზების შესახებ.

მავზოლეუმის ლაბორატორიის ყოფილი დირექტორის აკადემიკოს ს. დებოვის მონათხრობის მიხედვით (ის პირადად მონაწილეობდა ბელადის ცხედრის ბალზამირებაში) გვამის გაკვეთის პროცესში არ შემონმბებულა ფარისებრი ჯირკვლები, ჰიპოფიზი, სასქესო ჯირკვლები,

პირის ღრუ, ენა, საყლაპავი მილი, გარტანი და ტრაქეა. ე.ი. ექიმებს არაფერი შეუძონმებით იმათგან, რასაც მყისვე შეეძლო სტალინის მონამვლის გამოაშკარავება. როგორც დებოვი ამბობს სტალინის ყველა ორგანო კრემირებული იყო. რატომ? მთავარი სამკურნალო სამმართველოს სპეციალური ბრძანების თანახმად პოლიტბიუროსა და ცეკას გარდაცვლილი წევრების შინაგანი ორგანოები ფორმალინში უნდა შენახულიყო სულ მცირე 7 წლის განმავლობაში.

ასევე სხვადასხვა წყაროები იტყობინებოდა, რომ სტალინის ტვინი გადაეცა ტვინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სადაც ის საიდუმლოდაა შენახული. სად არის ამჟამად ტვინი?, რატომ არ ხდება მისი გამოკვლევა? შეიძლება ისიც განადგურებულია.

სტალინის ორგანოები რომ ფორმალინში შეენახათ და მკვლელობას არ ჰქონოდა ადგილი დღესაც შეიძლებოდა მონამვლის ფაქტის დადგენა.

ბოლოს და ბოლოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს სრულებით არ გაუჭირდებოდა სტალინის მონამვლის ფაქტის დადგენა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ის გვამის გაკვეთამდე ახლოს არ მიაკარეს ცხედარს. რატომ უნდა გაერისკათ მკვლელებს.

გარდა ამისა, კიდევ ბევრი ფაქტის ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც დამაჯერებლად გვაფიქრებინებს, რომ სტალინი მოკლეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტების შემცველი ბევრი დოკუმენტი განადგურებულია, საკმაოდ მოიპოვება მისი მკვლელობის ამსახველი პირდაპირი და ირიბი გარემოებები.

მაინც ვინ მონამლა ბელადი? ვინ მოაწყო შეთქმულება? ბერია, ხრუშჩოვმა, მალენკოვმა თუ ბულგანინმა. ეს ოთხეული სიცოცხლის ბოლო წლებში ბელადთან ყველაზე მეტად იყო დაახლოებული.

ლოგიკის თვალსაზრისით ქვეყნის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის (პირველი პირის) ქმედითუნარიანობის შემთხვევაში მისი ძალაუფლება უნდა გადასულიყო პირველ მოადგილეზე. ეს იყო ნიკოლოზ ბულგანინი. ჟ. მედვედევის მიხედვით სტალინი ვარაუდობდა (მხოლოდ პირად საუბრებში), რომ მთავრობის ხელმძღვანელობისათვის თავის გართმევა შეეძლო ნ. ბულგანინს. მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

1953 წლის 1 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის პრეზიდიუმის (პოლიტბიურო გაუქმდა XIX ყრილობაზე სტალინის წინადადებით) სხდომა, რომლის დადგენილებაც გამოქვეყნდა გაზეთ პრავდაში სხდომის გამართვის თარიღის მიუთითებლად.

ამ სხდომაზე დასახელებული ოთხეულის გარდა მონაწილეობდნენ: ვ. მოლოტოვი, კ. ვოროშილოვი, ლ. კაგანოვიჩი, მ. სუსლოვი, ა. მიქოიანი, ვ. იგნატიევი, ნ. შეპილოვი, ა. პოსპელოვი. გამოიძახეს მარშალი ა. ვასილევსკიც. სახელდობრ ამ თათბირზე გადაწყდა სტალინის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ ნ. ხრუშჩოვის დანიშვნა. სუსლოვმა და პოსპელოვმა შეადგინეს საბჭოთა ხალხისადმი მიმართვის ტექსტი. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ამ სხდომაზე წარმოადგენდა რიასნოი, რომელიც დაინიშნა წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირად, რომელიც მან ვერ შეძლო და დაკრძალვის დღეს ათასობით ადამიანი დაიღუპა. თუმცა ეს ტრაგედია მაშინ არავის გამოუძიებია.

ამავე სხდომაზე, რომელსაც ნ. ხრუშჩოვი თავმჯდომარეობდა, სიტყვით გამოვიდა ლ. ბერია, რომელმაც სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე პრეზიდიუმის ბიუროს (იგივე პოლიტბიუროს) შესთავაზა გიორგი მალენკოვის კანდიდატურა, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული ადგილიდან შეძახილების – „სწორია“, „დავამტკიცოდ“ ფონზე. გ. მალენკოვის წინადადებით ცეკას პრეზიდიუმის წევრების რაოდენობა 17-დან 11-მდე შეამცირეს და მათ შორის სტალინიც ფიგურირებდა. მის პირველ მოადგილეებად დაინიშნენ ბერია, მოლოტოვი, ბულგანინი და კაგანოვიჩი. ვოროშილოვი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს შვერნიკის ნაცვლად. სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გააერთიანეს. რეორგანიზაციის ხასიათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ხელისუფლების ცენტრმა პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან მინისტრთა საბჭოში გადაინაცვლა. 1953 წ. ბოლომდე ცეკას პრეზიდიუმის სხდომებზეც გ. მალენკოვი თავმჯდომარეობდა, რომელმაც ცეკას მდივნის პოსტიც შეინარჩუნა. ბულგანი სამხედრო მინისტრად დაინიშნა, ხოლო ვასილევსკი და ჟუკოვი მისი პირველი მოადგილეები გახდნენ. ლ. ბერია ასევე სათავეში ჩაუდგა გაერთიანებულ ორ სამინისტროს, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო უწოდეს.

რა უნდა ყოფილიყო სტალინის მონამლისა და ხელისუფლებიდან ჩამოშორების მიზეზი? ამის მთავარი მოტივი იყო სტალინის ბრძოლა პრივილეგიებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სტალინის მიერ პარტიული და საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელი ამხანაგების ხელფასების შემცირება, პოლიტიბუროს წევრებისა და კანდიდატების, ცეკას მდივნებისა და სხვა ხელმძღვანელი მუშაკებისადმი სამრეწველო საქონლის გაყიდვის საიდუმლო ქსელის გაუქმება, კონვერტებისა და სხვა სახელმწიფო პრივილეგიების გაუქმება. თავიდანვე ბერია და მალენკოვი ამ საკითხების მოგვარებისას სტალინს მხარს უჭერდნენ. ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების შემდეგ საბჭოთა პარტიულ და სახელისუფლებო ნომენკლატურაში სტალინისადმი არაკეთილგანწყობა ცხადია გაიზარდა. ე.ი. საბჭოთა ნომენკლატურას სტალინის მოკვლის მოტივები ჰქონდა.

გარდა ამისა ბელადის მოკვლის მოტივები ცხადია ჰქონდა დასავლეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. რატომ? აქ საბაბი და მიზეზი ცხადია.

ჯერ ერთი საბჭოთა კავშირი ძალიან სწრაფად ვითარდებოდა და სულ მალე ტემპით გაასწრებდა თვით ამერიკის შეერთებულ შტატებს. კიდევ, რომ ათი წელი ეცოცხლა სტალინს მსოფლიო კაპიტალიზმს ბოლოს მოუღებდა.

მეორე, 1950-1952 წ.წ. სტალინმა განახორციელა საბჭოთა მანეთის ოქროთი უზრუნველყოფის ღონისძიებები და მოშალა ომის შემდეგ ჩამოყალიბებული დოლარის ოქროს სტანდარტის სისტემა. 1952 წლის აპრილში მოსკოვში შემოიღეს დოლარის ალტერნატიული ვაჭრობის ზონა. სტალინმა არა მარტო უარი თქვა დოლარის საერთაშორისო ვაჭრობაში გამოყენებაზე, არამედ, აკრძალა საქონლის დოლარებში შეფასებაც. რასაკვირველია, ამის შემდეგ კაპიტალისტური სამყაროსათვის ყველაზე საძულველი პირი შეიქნა. ამასთან მისდამი შიში და პატივისცემა მთელ სამყაროს მოიცავდა, ავტორიტეტით უმაღლეს საფეხურზე იდგა, გენერალსიმუსთან ხუმრობა და ფოკუსები მათ არ გაუდიოდათ, ბირთვული იარაღი სტალინსაც ჰქონდა არსენალში. სწორედ ამ უკანასკნელის არსებობის გამო შტატებმა საბჭოთა კავშირთან ომის საკითხი ჩანაცვლა ნატოს კოალიციური ომის მზადების საკითხით, რომელიც 1957 წლის 1 იანვარს უნდა დაწყებულიყო.

ამრიგად, სტალინის მოშორების მოტივები არსებობდა, როგორც საბჭოთა ნომენკლატურაში, ისე დასავლეთის ბურჟუაზიულ წრეებში. შეეძლო თუ არა საბჭოთა ნომენკლატურას მართო გადაენწყვიტა სტალინის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა დასავლეთის გარეშე? უაღბათესად არა. აი ამის რამდენიმე მიზეზი:

შეთქმულების სირთულე; 2) საბჭოთა კავშირში შესაბამისი სწრაფმოქმედი შხამების არ არსებობა (მაირანოვსკის – სხვათაშორის თბილისელი ებრაელის – შესაბამისი ლაბორატორია მაშინ იწყებდა ჩამოყალიბებას); 3) სხვადასხვა სოციალური ფენებიდან მონაწილეთა სიმრავლე; 4) იმ ნომენკლატურის ლაჩრობა და გონებაშეზღუდულობა, რომელსაც შეეძლო სტალინის წინააღმდეგ წასვლა. ეს კი ყველაზე მეტად ბულგანინი და ხრუშჩოვი; 5) ყველანაირი ფალსიფიცირების მოსაფიქრებლად საჭირო დეტალური ანალიზი და ორგანიზაცია.

ოთხეულთაგან არცერთს, ბერიას გარდა, არ შეეძლო ასეთი შეთქმულების მოწყობა, მაგრამ ბერია ამას არ გააკეთებდა.

დაუჯერებელია შესაბამისი ანალიზური თავისებურებები ჰქონოდა ხრუშჩოვს, ბულგანინსა და მალენკოვს. ისინი აუცილებლად გაიშიფრებოდნენ. ე.ი. ორგანიზატორი ნომენკლატურის გარეთაა საქმენი. როგორც დამტკიცდა, ყველაფერი მიდის ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან (ცსს). ვინ ეხმარებოდა ცსს-ს საბჭოთა ნომენკლატურის მხრიდან? დავიწყოთ ლავრენტი ბერიადან.

ბერიას მიერ სტალინის მოკვლის ერთ-ერთ მტკიცებულებად მიჩნეულია ვ. მოლოტოვის მიერ მწერალ ფ. ჩუევისადმი მონათხრობი, თითქოს 1953 წლის 1 მაისს ბერიას მოლოტოვისადმი ეთქვა: „მე თქვენ ყველანი გადაგარჩინეთ. ეს მე მოვიშორე სტალინი“. მოლოტოვის სიტყვებითვე: „ხრუშჩოვი ნამდვილად ვერ შესძლებდა ამის გაბედვას. მას შეეძლება მხოლოდ ცოდნოდა მონამვლის შესახებო. მალენკოვს შეეძლო კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონოდა, რომ ბერია მონაწილეა მკვლელობის. მან მკვლელობაში დიდი როლი ითამაშა“. ამ ვერსიას ადასტურებს მწერალი ვ. კარპოვიც.

მაგრამ უნდოდა კი მას ბელადის სიკვდილი? ის ხომ ბელადის სიკვდილით ვერაფერს მოიგებდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ ქვეყნის ხელმძღვანელობა გადავიდა მალენკოვისა და ბერიას ხელში. მაგრამ ისინი მანამდეც ხელმძღვანელობდნენ ქვეყანას. 1947 წლის შეიქმნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ბიურო, რომელსაც გააჩნდა ფართო უფლებამოსილება. ბიუროს თავმჯდომარედ დაინიშნა ლ. ბერია, ხოლო მოადგილეებად ნ. ვოზნესენსკი და ა. კოსიგინი. ბერია მეორე კაცი გახდა ქვეყანაში. მინისტრთა საბჭოდან მოსული ყველა დოკუმენტი ბერიას გავლით ხსენდებოდა სტალინს. სტალინი ხედავდა, რომ ბერია მშვენივრად უძღვებოდა ქვეყანას, პრაქტიკულად ჩამოშორდა მის ყოველდღიურ მმართველობას და ის თეორიულ მეცნიერულ კვლევებში ჩაერთო. სწორედ ამ პერიოდშია დაწერილი სტალინის ცნობილი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში“.

თუ ვისაუბრებთ ქვეყნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე სტალინის მემკვიდრეზე, მაშინ სტალინის გარემოცვაში ბერიას გარდა სხვა ფიგურა არც განიხილებოდა. არ იყო სხვა ადამიანი, რომელსაც გააჩნდა შედარებით ახალგაზრდა ასაკი (სულ 54 წლის), მუშაობის გამოცდილება (უზარმაზარი), მახვილი გონება და ჭკუა.

მის ერთადერთ ნაკლს წარმოადგენდა ეროვნება – ქართველი. სტალინის შემდეგ კიდეც ქართველს უზარმაზარი ქვეყნის სათავეში საზოგადოება ძნელად თუ შეეგუებოდა. მაგრამ ამ საკითხის მოგვარებაც შეიძლებოდა, თუ ქვეყანას ფორმალურად რუსი ჩაუდგებოდა სათავეში, როგორც ეს არაერთხელ გაკეთებულა ნაციონალურ რესპუბლიკაში: ფორმალურად ხელმძღვანელი იყო ამ რესპუბლიკის ძირითადი ეროვნების წარმომადგენელი, ხოლო ფაქტიურად კი მართავდა სხვა, ვთქვათ იგივე რუსი, ყოველ შემთხვევაში ის, ვისაც კარგად მუშაობა და ქვეყნის გაძლოა შეეძლო. ბერია სტალინის სიკვდილით ვერაფერს იგებდა, სამაგიეროდ ყველაფერს აგებდა, თვით სიცოცხლესაც კი.

აქ მიზანშეწონილია გავიხსენოთ ლ. ბერიას შვილის, სერგოს მონათხრობი წიგნიდან „მამაჩემი, ლავრენტი ბერია“: სტალინის სიკვდილის შემდეგ, სახლში დაბრუნებულმა მამამ დედას – ნინო გეგეჭკორს უთხრა: ნინო უნდა გადავდგე ისეთი მდგომარეობა შეიქმნაო. დედამ, რომელიც საკმაოდ ჭკვიანი და განათლებული ადამიანი იყო, ასე უპასუხა: ეს არ გააკეთო ლავრენტი, არ გიშველის, სადაც უნდა წახვიდე ისინი საფლავიდან ამოგიღებენო. ხომ იცი, დღეს არა ხარ ისე ძლიერი, როგორც ადრე. შენ თუ ძლიერი იყავი, სწორედ იმიტომ, რომ სტალინის მხრებზე იდექიო“. ამ ფაქტს ნინო ხვდებოდა და ათასინტრიგა გამოვლილი ლავრენტი ვერ მიხვდებოდა და გაანალიზებდა?

რაში ჭირდებოდა ბერიას შეთქმულება? მან ხომ ისედაც ყველას გაუხსნო. ის უბრალოდ სხვებზე ჭკვიანი იყო, ხალასი იდეების გენერატორი, ისე როგორც თვით ბელადი.

სტალინი მფარველობდა მას საქართველოში და მოსკოვში. ის მიღებული იყო ბელადის ოჯახში, თუმცა სტალინის ქალიშვილის სვეტლანასა და მისი ვაჟის – სერგოს ქორწინების წინააღმდეგ წავიდა.

ჰქონდა კი ბერიას შესაძლებლობა სტალინის მკვლელობა განეხორციელებინა იგნატიევის მონაწილეობის გარეშე? არა. გავიხსენოთ, რომ 1953 წლის სტალინისა და მისი კუნცევოს აგარაკის (სადაც ბელადი გარდაიცვალა) დაცვა ემორჩილებოდა არა ბერიას, არამედ სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ს.დ. იგნატიევს. ხრუშჩოვი იტყვილება, რომ ბერია მონაწილეობდა სტალინის მომსახურებისა და დაცვის შერჩევაში. თითქოს იყო დრო, როცა ბერიას ძალისხმევით სტალინს გარს მხოლოდ ქართველები ერტყა. სტალინმა ამას ყურადღება მიაქცია და ბერიას უსაყვედურა, რომ ის მხოლოდ ქართველებს ენდობა, მაშინ როცა რუსები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები არა ნაკლებ ერთგულებია მისი, ბერიას მოუხდა დაცვის გამოცვლა.

მთავრობის ხაზით ბერიას შეეძლო მხოლოდ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის დირექტივის მიღება, ე.ი. მისი ხელმძღვანელის კრუგლოვის დამუშავება. მაგრამ ამ უკანასკნელს მხოლოდ ბანაკები და პოლიცია ემორჩილებოდა, დაცვა კი იგნატიევის კომპეტენცია იყო. მართალია, ბერია კურირებდა საგარეო დაზვერვას, მაგრამ მხოლოდ მის იმ ნაწილს, რომელიც ეძებდა საიდუმლო პროექტებს ატომური იარაღისათვის. ეს კი არასაკმარისია ასეთი ფართე შეთქმულებისათვის.

ბოლოს, თუ ბერიამ მოაწყო სტალინის მკვლელობა, მაშინ რა ფაქტებს უნდა ჰქონდეს ადგილი?

სტალინის აგარაკის დაცვა უნდა ყოფილიყო ბერიას დაქვემდებარებაში. მაგრამ ეს ხომ ასე არ ყოფილა.

ბერია ყველაფერს გააკეთებდა უფრო მაღალ პროფესიულ დონეზე. ის ხომ მაღალი კლასის პროფესიონალი გახლდათ. ფალსიფიცირება ასეთი აშკარა არ იქნებოდა.

ბერიას რომ მოეწყო სტალინის მკვლელობა, მაშინ საკითხი აუცილებლად დადგებოდა მის ე.წ. სასამართლოზე და მის სხვა „დანაშაულობებს“ (ის ხომ საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტად მონათლეს) სტალინის სიკვდილის ორგანიზატორობასაც მიუმატებდნენ. რადგანაც ოფიციალურ დოკუმენტებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ე.ი. ხრუშჩოვებმა ამ მიმართულებით ვერაფერი დააბრალებს მსჯავრდებულ (უფრო ზუსტად უკვე მოკლულ) ლ. ბერიას.

ამრიგად, ფაქტების შედარება ცალსახად გვიჩვენებს, რომ სტალინის მოკვლის მოტივები ბერიას არ გააჩნდა, უფრო მეტიც, მას ყველაზე ნაკლები შესაძლებლობები ჰქონდა ამ მიმართულებით.

თვით ლ. ბერიას სიკვდილი 1953 წლის 26 ივნისს ყველაზე უფრო მიუთითებს სტალინის სიკვდილში მის უდანაშაულობაზე. რატომ მოკლეს ბერია? პასუხი მარტივია. მან დაიწყო სტალინის მკვლელობის გამოძიება. პირველად ბერია ეჭვობდა იგნატიევი, მაგრამ ის ხომ არარაობა იყო როგორც პიროვნება სხვებთან შედარებით და შეთქმულებას ვერ მოაწყოდა.

ბერია გაანადგურეს მაშინ, როცა მან დააპირა მსხვილი ფიგურების დაპატიმრება. 1953 წლის 25 ივნისს მან მოითხოვა პოლიტბიუროს სანქცია იგნატიევის დაპატიმრებაზე, ხოლო 26 ივნისს თვითონ ჩაცხრილეს საკუთარ სახლში. ბერიას მოკვლის შემდეგ უშიშროების ყველა მაღალი რანგის თანამშრომელი, რომელიც გარეული იყო სტალინის მკვლელობის გამოძიებაში დააპატიმრეს და დახვრიტეს. სწორედ ამიტომ, დიდი ხნის განმავლობაში, იყო გამოკეტილი ციხეში სტალინის უდანაშაულო შვილი (ვასილი), რომელიც საბოლოოდ ასევე მოკლეს. ამ მომენტში ძალოვან ორგანოებს კურირებდა ნ. ბულგანინი. ბერიას საქმე დაგვეხმარებოდა ამ ხალხის მკვლელობის ჭეშმარიტი მიზეზის დადგენაში. ვინც ის ნაიკითხა დარწმუნებულია, რომ იქ არ არსებობს ისეთი ბრალდება, რომლის გამოც აუცილებელი იყო ბერიასა და მისი ხალხის დახვრეტა.

ამრიგად, სერიოზული მტკიცებულების არ არსებობა იმის შესახებ, რომ ბერიამ განახორციელა სტალინის მკვლელობა, ასევე ბელადის ავადმყოფობისა და მისი სიკვდილის შემდეგ ბერიას ქცევა საერთოდ გამორიცხავს იმ დაშვებას, რომ ბერია ეხმარებოდა ოკეანისგალმელ სპეცსამსახურებს სტალინის მკვლელობაში. ბერიას მკვლელობა და მყისვე სტალინური სოციალიზმის რეფორმების შეწყვეტა გვარწმუნებს, რომ მას არ განუხორციელებია სტალინის მკვლელობა.

რა შეიძლება ითქვას სტალინის მკვლელობაში ნ. ხრუშჩოვის როლის შესახებ? რამდენადაც ყველა ამ მოვლენის შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობის სათავეში საბოლოოდ ხრუშჩოვი აღმოჩნდა, ამიტომ ის ყველაზე უფრო შესაფერი ფიგურაა მკვლელობის ორგანიზატორის როლში. გააჩნდა თუ არა ხრუშჩოვს შესაბამისი მოტივები ასეთი დანაშაულისათვის, არსებობს თუ არა მის ქცევებში სტალინის სიკვდილის შემდეგ ისეთი მტკიცებულებები, რომ სახელდობრ მან განახორციელა მკვლელობა.

ერთ-ერთი მოტივია რეპრესიებში მონაწილეობიდან თავის დაღწევა და შესაძლო პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. ის ხომ თავიდან ბოლომდე იყო გარეული რეპრესიებში. 1954 წლის აპრილში გ. მალენკოვისადმი ბერიას თანამებრძოლის ბ. ქობულაშვილის მიერ ბუტირკის ციხეში მიწერილ წერილში მოყვანილია ცნობები უკრაინაში განხორციელებული რეპრესიების უზარმაზარ მასშტაბებზე, რომლებიც უშუალოდ ნიკიტა ხრუშჩოვის მიერაა განხორციელებული.

მეორე შესაძლო მოტივია ხრუშჩოვის შვილის, ლეონიდის გამო შურისძიება, რომელიც დახვრიტეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით.

ხრუშჩოვის ანტისტალინურ შეთქმულებაში მონაწილეობის მესამე მოტივი შეიძლება იყოს გამანადგურებელი კრიტიკა აგროქალაქების იდეის შესახებ. 1951 წლის მარტში პრავდაში გამოქვეყნდა ხრუშჩოვის წერილი ე.წ. აგროქალაქების შექმნის შესახებ, კოლმეურნეობების

გამსხვილების აუცილებლობის თაობაზე. როგორც ცნობილია სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა ეს წერილი და ამის შემდეგ ხრუშჩოვმა მას მონაწილის წერილი მიწერა. ხრუშჩოვი XIX ყრილობაზე ამ იდეის გამო მკაცრად გააკრიტიკა გ. მალენკოვმა. თუმცა ამის გამო ის მკაცრად არავის დაუსჯია, უბრალოდ, პარტნომენკლატურის თვალში ის კიდევ ერთხელ წარმოჩინდა როგორც ცირკის ხუმარა.

ამასთან უნდა აღინიშნოს 1952 წლის 10 ნოემბერს ნიკიტა გაათავისუფლეს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან და დაავალეს მოსკოვის პარტიული ორგანიზაციისა – ცეკას ბიუროში კონსოლიდირება. ერთი სიტყვით იკვეთება ხრუშჩოვის დაქვეითების ტენდენცია.

ყველაზე საინტერესოა ის, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ მარტო ხრუშჩოვს არ მიმატებია ხელისუფლება. ის იგივე დარჩა ვინც მანამდე იყო. ოფიციალურ ცნობებში ხელმძღვანელობის თანმიმდევრობა ასე გამოიყურებოდა: გ. მალენკოვი, ვ. მოლოტოვი, ლ. ბერია, ლ. კაგანოვიჩი და ნ. ხრუშჩოვი. ისმის კითხვა ავტომატურად რატომ გახდა ხრუშჩოვი სტალინის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე? როგორც წესი საბჭოთა კავშირში ვინც ხელმძღვანელობდა გარდაცვლილი ბელადის დაკრძალვას, ის ხდებოდა ახალი ლიდერი. მაგრამ სტალინის დროს ასეთი წესი ყოველთვის არ იყო დაცული. სტალინი დაასაფლავა ხრუშჩოვმა, მაგრამ ვინ დაასაფლავა ჟდანოვი, შერბაკოვი, კალინინი? საფიქრებელია, რომ ხრუშჩოვი გახდა სტალინის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე იმის გამო, რომ მაშინ მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის პირველი მდივანი იყო. ისე კი ოფიციალურ ცერემონიაზე სტალინს სიტყვებით გამოეთხოვენ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები – მინსაბჭოს თავმჯდომარე მალენკოვი და მისი პირველი მოადგილეები – ბერია და მოლოტოვი.

ხრუშჩოვმა მხოლოდ 1957 წლის მეორე ნახევარში შეიძინა ერთპიროვნული ლიდერის როლი. მანამდე მან სტალინის გარდაცვალებიდან ლიდერობამდე მთელი ეტაპები განვლო: პირველი – 1953 წლის მარტ-ივნისი-ბერია-მალენკოვ-ხრუშჩოვის ეტაპი; 2) 1953 წლის ივნისი – 1955 წლის იანვარი – მალენკოვის ხანა; 3) 1955 წლის თებერვალი – 1957 წლის ივნისი (ბულგანინთან ერთად ლიდერობისათვის ბრძოლის ეტაპი; 4) 1957 წლის ოქტომბერი – 1964 წლის ოქტომბერი – ერთპიროვნული ლიდერობის პერიოდი. ამ ეტაპების გასავლელად ხრუშჩოვს აუცილებლად უნდა ჰქონოდა კარგი კავშირთა ბულგანინთან და მალენკოვთან. ასეთი ტრიუმფირატი მართლაც შეიკრა ბერიას ჩამოცილების პერიოდში და მის შემდეგ. ასეთი კავშირი არსებობდა ხრუშჩოვსა და ბულგანინს შორის სტალინის გარდაცვალების მომენტშიც. კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ხრუშჩოვსა და მალენკოვს სტალინის სიცოცხლეშიც. მალენკოვის შვილის მოგონების მიხედვით ხრუშჩოვმა რამდენიმეჯერ იხსნა მამამისი რთული სიტუაციიდან. ერთი სიტყვით ხრუშჩოვისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა სტალინის მოწამვლა და შეთქმულებაში არ მონაწილეობდა 1953 წლის მარტამდე მაინც. მითუმეტეს ის არ ყოფილა დასავლეთის სპეცსამსახურების ემისარი. ის უბრალოდ შეთქმულებაში ჩაითრია სხვა უფრო ძლიერმა ძალამ. რაც შეეხება ბერიას სიკვდილს აქ უკვე ხრუშჩოვმა ითამაშა გადამწყვეტი როლი და ის არც მალავს ამ ფაქტს თავის მოგონებებში.

რაც შეეხება მალენკოვს, აქაც ირკვევა, რომ მას სტალინის მოწამვლაში მონაწილეობა არ მიუღია. მით უმეტეს არ მონაწილეობდნენ ბელადის მოწამვლაში ვ. მოლოტოვი, კ. ვოროშილოვი, ლ. კაგანოვიჩი, ა. მიქოიანი (შეიძლება მას გაუხარდა სტალინის სიკვდილი მაგრამ მაინც) და სხვა პარტიული და საჭოთა ხელმძღვანელები, გარდა ნ. ბულგანინისა. შევეცდები ამ ვერსიის უფრო ფართედ წარმოგვჩინო.

ეს ვერსია მრავალმხრივ შუქს მოჰფენს საბჭოთა ლიდერების რამდენადმე უცნაურ ქცევას 1955 წლის იანვარში. რატომ შეცვალა ხრუშჩოვმა მალენკოვი ბულგანინით, რომელსაც ასევე გააჩნდა ამბიციები, ხოლო თვითონ არ გახდა პრემიერი? რატომ გახდა მან გ. ჟუკოვი თავდაცვის მინისტრი? საქმე ისაა, რომ 1955 წლის იანვარში მალენკოვმა განაცხადა, რომ გაასაჯაროებდა ბერიას მკვლელობას და ამიტომ მოხსნეს, თუმცა მას შემდეგ გადაათქმევინეს ბერიას მკვლელობის გასაჯაროება და ბოლოს, 1957 წელს ე.წ. ანტიპარტიული ჯგუფის განადგურების შემდეგ ყველაზე მკაცრად მოეპყრნენ მალენკოვს (თუმცა ხელმძღვანელობდა ვ. მოლოტოვი) – მას 10 წლით მოუხდა გადასახლებაში (შუა აზიაში სოფლის ელსადგურის დირექტორი იყო)

ყოფნა. ეს ირიბად ამტკიცებს, რომ მან რაღაც იცოდა. ერთ-ერთი, ვინც ყოველთვის მხარს უჭერდა მალენკოვს იყო ბერია. მინდა ვივარაუდო, რომ მალენკოვი იძულებული იყო დათანხმებულიყო, რომ 26 ივნისს შემდგარი ბერიას მკვლელობა დაპატიმრებით გასაღებელიყო.

როდესაც ეცნობი ლიტერატურას სტალინის სიკვდილის შესახებ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მკითხველის ყურადღება სპეციალურადაა ფოკუსირებული ბერიაზე და ხრუშჩოვზე, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა მალენკოვს, ხოლო ჩრდილში სპეციალურადაა დატოვებული ბულგანინი.

აი ტიპიური მსჯელობა: „ბულგანინი – ეს თავის თავზე შეყვარებული ადამიანია. ეს „ვაცისწვერა“ ბულგანინი აცდუნებდა მანდილოსნებს, ხოლო ასეთი მასშტაბური ინტრიგის მოსაწყობად ეს კაცი არ მოიაზრებოდა.

1950 წლის 7 აპრილს ნ. ბულგანინი დაინიშნა სტალინის პირველ მოადგილედ მინისტრთა საბჭოში და სახელმწიფოში ხდება მეორე კაცი. ბერია უკმაყოფილოა ამ დანიშვნით, რამდენად ბულგანინს თვლიდა სუსტად მომზადებულად და ამ თანამდებობისათვის შეუსაბამოდ. ერთი სიტყვით ამ მომენტში ბულგანინი ბერიაზე მალლა დგას.

1951 წლის 6 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულისადმი მიძღვნილ სხდომაზე მოხსენება ბულგანინმა გააკეთა. კორეის ომის დროს ბულგანინი საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ე.ი. უმაღლესი მთავარსარდალი გახლდათ. ამ თანამდებობებიდან ის 1951 წლის 16 თებერვალს გაანთავისუფლეს. მან ვერ გაამართლა ბელადის ნდობა. 1952 წლის 14 ოქტომბერს დასრულდა სკკპ-ის XIX ყრილობა. მისი პროგრამის გადამამუშავებელ კომისიაში, რომელიც შეიქმნა სტალინის თავმჯდომარეობით არ შესულა არც ხრუშჩოვი და არც ბულგანინი. XIX ყრილობის შემდეგ ბულგანინს არ უთავმჯდომარებია ქვეყნის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის არცერთი სხდომისათვის. მაშინ როცა ბერია თავმჯდომარედ აირჩიეს 8-ჯერ, საბუროვი 6-ჯერ, მალენკოვი – 1-ჯერ. ერთი სიტყვით ბულგანინი მეორე რიგში გადაანაცვლეს, რითაც სტალინისადმი გაანაწყენა და მისი მოკვლის მოტივები გაუჩინა. 1953 წლის 17 თებერვალს ბულგანინი საბოლოოდ ჩამოაშორეს ძალოვან სტრუქტურებს და ის ბერიათი ჩაანაცვლეს.

დავუმატოთ, რომ ბულგანინს გააჩნდა ისეთი ხასიათი, რომლის გამოყენება შეეძლო დასავლეთის სპეცსამსახურებს. ის იყო პატივმოყვარე, ფიცხი, უყვარდა ქალები. ის შეეძლოთ სპეცსამსახურებს სასიყვარულო უხერხულ სიტუაციებშიც დაეფიქსირებინათ და დაევერობოკებინათ.

უცნაურია ბულგანინის ქცევა ჯერ სტალინის, ხოლო შემდეგ ბერიას სიკვდილის შემდეგ. მაგალითად, გასაკვირია ის ფაქტი, რომ 1953 წლის 5 მარტს ბულგანინი მარტო დარჩა მომაკვდავ სტალინთან და არ წავიდა ცეკასა და მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, სადაც ხელმძღვანელი პოსტები გადაინაწილეს. რატომ დარჩა ის სტალინთან სამორიგეოდ იმის მაგივრად, რომ მონაწილეობა მიეღო პორთველების განაწილებაში. ალბათ მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო სტალინის სიკვდილის უზრუნველყოფა, რათა მკვლელობის სამხილები დაეფარა და არა სახელისუფლო დივიდენდები. როგორ განხორციელდა თვით მონამვლა?

1953 წლის 26 იანვარს შეიკრიბა სტალინისდროინდელი პრეზიდიუმის ბიუროს ბოლო სხდომა, რომელზეც განიხილეს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საკითხი. სტალინი შედეგებით შეძრწუნებული იყო. მან გამოიძახა მინისტრი იგნატიევი და მკაცრად დაემუქრა. ასე, რომ მინისტრის ბედი გადაწყვეტილი იყო, მას უცილობელი დაპატიმრება ელოდა. საჭირო იყო შეთქმულების სწრაფი მოქმედება. საქმე უფრო გაადვილდა სტალინისაგან მისი ერთგული თანამებრძოლების პოსტებიშევისა და ვლასიკის ჩამოშორების შემდეგ და სტალინთან მისასვლელი გზა ფაქტიურად გაიხსნა. შემდგომი ამოცანა – მონამვლის პროცესი ისე უნდა წარმართულიყო, რომ ბუნებრივ სიკვდილს დამსგავსებოდა. ამ მიზნით შეთქმულები არჩევენ რუს ექიმ-პროფესორებს, რომლებსაც რაღაც სამხილები აქვთ ბიოგრაფიაში ან კიდევ საბჭოთა წყობას ანტისიმპატიურად უყურებენ. მათ უმატებენ ისეთ მკურნალებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ტვინში სისხლჩაქცევასთან და მის მკურნალობასთან. თუ ასეთი ექიმი აკადემიკოსი ან პროფესორია და მან არ იცის საკითხი, მაშინ ისინი ჭკვიანი გამომეტყველებით თანხმდებიან და ხელს აწერენ ნებისმიერ დოკუმენტს, რომ მათი ცოდნის დონე არ გამ-

ჟღავნდეს. თუმცა ალბათ ყველა ექიმი არ დათანხმდა თანამშრომლობას შეთქმულებთან და ამ უკანასკნელებს კიდევ მოუხდათ წამუშავება, 1953 წელს უცნაურ ვითარებაში გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი რუსაკოვი და საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტიდან გააგდეს აკადემიკოსი ანიჩკოვი.

ამრიგად, შეთქმულებმა ნ. ბულგანინის დახმარებით თანმიმდევრობით ჩამოაშორეს სტალინის ნამდვილად ერთგული ადამიანები – აბაკუმოვი, პოსკრებიშევი, ვლასიკი და სხვები. შემდეგ შეარჩიეს ისეთი ექიმები, რომლებიც ვერ შეამჩნიებდნენ მონამვლის ნიშნებს და შეადგინეს მონამვლის კონკრეტული გეგმა.

მომწამვლელი ნივთიერებები დიკუმაროლი და ვარფარინი სტალინის მისცეს 1953 წლის 28 თებერვალს საღამოს საკვებში ან სასმელში შერეული სახით. ამის შემდეგ მცველებს დაალევინეს ძილის წამალი. 2 მარტს გვიან ღამით მათ გაეღვიძათ, შემოფოთდნენ და წავიდნენ სტალინის მოსანახულებლად და ის იპოვეს მწოლიარე უგონო მდგომარეობაში. მათ გამოაცხადეს განგაში, აცნობეს მომხდარის შესახებ იგნატიევს, მან კი შეატყობინა ბულგანინს.

მათ მიერ მოწვეულმა ექიმებმა გამოავლინეს ინსულტის კლინიკური სურათი. შემდეგ მათ ისე გააკეთეს ბევრი რამ შეუმჩნეველი ყოფილიყო. თუმცა დეკუმაროლის მოქმედების გამო შემცირდა შედეგების პროცესი და გაიზარდა ტრომბინის რაოდენობა. შემდეგ ჩაისთან ერთად ისევ დაალევინეს დეკუმაროლი, რაც სავსებით უსარგებლოა ასეთი ავადმყოფისათვის, რომლის შედეგადაც ისევ შემცირდა შედეგება, რამაც გამოიწვია კოლაპსი და კუჭში სისხლდენა, რაც დაფიქსირებულია კიდევ გაკვეთის ოქმში. ამის შემდეგ სტალინი გარდაიცვალა.

შემდეგ დაიწყო დანაშაულის კვალის წაშლა და სასწრაფოდ გაკვეთეს გვამი, თუმცა ბელადის სხეული ჯერ კიდევ არაა გაციებული. შედგა ყალბი აქტი. ცხელ კვალზე ვინმეს რომ სიმართლე არ წამოსცდენოდა მისი ხელმომწერი ჯანდაცვის მოქმედი მინისტრი ტრეტიაკოვი მალევე მოხსნეს და გამომამწყვდიეს შიდა პატიმრობაში. იგივე დამართეს კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს უფროსს – კუპერინს. მათი შემდგომი ბედი ბურუსითაა მოცული.

სანამ ბერია ძალას მოიკრებდა მანამდე მოხდა დანაშაულის კვალის სწრაფი წაშლა. ბულგანინისა და იგნატიევის გადაწყვეტილებითა და ხრუშჩოვის ხელშეწყობით სტალინის აგარაკიდან სასწრაფოდ გაიტანეს პირადი ნივთები. მაგრამ ყველაფერი მაინც ვერ მოასწრეს. ლიკვიდირებულია სტალინი, მაგრამ რჩება ბერია. სტალინის სიკვდილის შემდეგ წარმოიქმნა ლიდერთა ორეული: ბერია და მალენკოვი. მალე ხრუშჩოვი გახდა პარტიის ცეკას პირველი მდივანი, ხოლო მალენკოვი როგორც ცეკას მდივანი გაათავისუფლეს. რატომ არ წავიდა ბერია ხრუშჩოვის გაპირველმდინებლის წინააღმდეგი? ალბათ ის წყვეტდა თავის საკითხებს. ბერიამ დაიწყო სტალინის სიკვდილის, უფრო ზუსტად მკვლელობის გარემოების გამოკვლევა. 1953 წლის 5 აპრილს იგნატიევი გაათავისუფლეს თანამდებობიდან, 28 აპრილს ის გამოიყვანეს ცეკას შემადგენლობიდან „მისი არასწორი და უნესო ქცევის გამო, რომელმაც მთავრობას დაუმალა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტები“.

1953 წლის 26 ივნისს დილით პრეზიდენტი სხდომაზე ლავრენტი ბერიამ მოითხოვა იგნატიევის პარტიიდან გარიცხვა, რათა პატიმრობაში აეყვანათ იგი. ამავე სხდომაზე ბერიამ მიუთითა ბულგანინის შეთქმულებაში თანამონაწილეობაზე. ბულგანინი აცნობებს ამის შესახებ თავის პატრონებს, რომლებმაც გასცეს ბერიას მოკვლის ბრძანება და იგი ჩაცხრილეს თავის სახლში. ამის შემდეგ ბულგანინი და მისი კომპანია (ხრუშჩოვის ჩათვლით) ეუბნებიან პოლიტიბიუროს დარჩენილ წევრებს: ან ჩვენთან და, ან დაიხვრიტებით. მეტი დამაჯერებლობისათვის მისი, როგორც მინისტრის ბრძანებით, მოსკოვში შემოჰყავთ სატანკო ჯარები. ბულგანინი და ხრუშჩოვი არწმუნებენ მალენკოსა და პრეზიდენტი სხვა წევრებს წინააღმდეგობის უაზრობაში. ისინი გაანეიტრალეს.

შემდეგ დაიწყო სტალინიზმის ნელი დემონტაჟი. თანაც მის საფუძველზე მიყენებული დარტყმები იყო ძალიან ზუსტი. ვილაცამ კარგად იცოდა თუ როგორ ფუნქციონირებდა სტალინური სახელმწიფო და ეს ნამდვილად არ იყო პარტიული ნომენკლატურა. აქ აუცილებლად ერია დასავლეთის სახელმწიფოთა ხელი. ამის შემდეგ ხრუშჩოვმა შეავიწროვა მალენკოვი. ამაში მას მხარს უჭერდნენ კრუგლოვი და სეროვი – უშიშროებისა და მილიციის ხელმძღვანელები,

თუმცა მალე ისინიც მოიშორეს.

მას შემდეგ, რაც 1955 წელს მოიშორა მალენკოვი, ხრუშჩოვმა გააკეთა ეშმაკური სვლა. მას ესმოდა, რომ სანამ სტალინი რჩებოდა გენიად, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის მოკლეს, მომავალში შეარყევს მის ლიდერობას. ე.ი. მისი სახელი უნდა შეიბღალოს, ის უნდა წარმოჩინდეს ბოროტმოქმედად. ხრუშჩოვი ამაში არწმუნებს ბულგანინს და ისიც თანხმდება. ხრუშჩოვი გადაწყვეტს XX ყრილობაზე სტალინის კრიტიკით გამოვიდეს, რაც გააკეთა კიდეც. ამის შემდეგ უკვე ნაკლებად ეშინია სტალინის სანინააღმდეგო შეთქმულებაში გამოაშკარავების, მით უმეტეს ის მკვლელობაში უშუალოდ არ მონაწილეობდა. ბულგანინი მიხვდა, რომ ის მოატყვილა ნიკიტამ და გადაწყვიტა მხარი დაეჭირა მოლოტოვ-მალენკოვ-კაგანოვიჩის ე.წ. „ანტიპარტიული“ ჯგუფისათვის, მაგრამ დროზე დაიხია უკან. თუმცა უკან სვლამ ვერ უშველა და 1958 წელს ხრუშჩოვმა მოიშორა ბულგანინიც.

ასეთი ვერსია ლოგიკურად დაწყობილია. ის ფაქტებითაცაა განმტკიცებული. ერთ-ერთი რაც არსებობს, ეს ცენტრალური სადაზვერმო სამმართველოს გახსნილი საბუთებია. ეს და საბჭოთა უშიშროების ზოგიერთი საიდუმლო არქივი ჯერაც გაუხსნელია. მაგრამ დადგება დრო და ისინიც იხილავენ დღის სინათლეს.

ამ წერილის წერისას მახსენდებოდა ერთი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსკოვში თუ სხვაგან ანტისტალინელებთან კამათისას. ისინი ხშირად ჰყვებოდნენ ცნობილ ანეგდოტს: ერთი ქართველი – ცნობილი მხედარმთავარი (გულისხმობდნენ სტალინს); ორი ქართველი ერთად – სახელმწიფო ტერორი (ამით ხაზს უსვამდნენ სტალინის მკვლელობაში ბერიას მონაწილეობას); სამი ქართველი – მადლობა ღმერთს ჯერ არ შეკრებილანო“. რასაკვირველია ამ ანეგდოტის მეორე პუნქტის გასაბათილებლად მაშინ პასუხი არ გააჩნდათ. ისე კი ძალიან მწყინდა, რომ სტალინის მეოხებით წელგამართულმა და დიდ ასპარეზზე გამოსულმა ქართველმა ბერიამ უღალატა თავის აღმზრდელსა და კეთილისმსურველს, რომლის მხრებზეც ის იდგა და შეეკრა სამშობლოსა და სტალინის მოღალატეებს. ახლა ცოტა გულზე მომეშვა. ჯერ ერთი თითქოს სტალინის მკვლელობის საიდუმლოებას ბურუსი შემოეცალა და მეორე ამ ავადმოსაგონარ და საძრახის საქციელში ქართველი ბერია უდანაშაულოა.

საჭიროების შემთხვევაში ამ საკითხის გარშემო ძიების გაგრძელება შეიძლება.

საქართველო ქველი მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი

დედამიწის შუბლზე, მის სამხრეთ მხარეს გაშლილია ქვეყანა, რომელსაც ჰქვია საქართველო.

უმშვენიერესი და უჯანსაღესი ნაშობი ზეცისა და დედამიწისა.

დასავლეთით და აღმოსავლეთით მის ნოყიერ ცისგვამში ორი ზღვის სუნთქვა ერთვის ერთმანეთს – შავი ზღვისა და კასპიის ზღვის.

სამხრეთის საზღვრად – ანტიკავკასიონი, წინა აზიის შუა წელი, ანატოლია, სომხეთი, ირანი. თითქოს, სამყაროს დემიურგი საგულდაგულოდ აღზევებული სულით და ნატიფად დახვეწილი ხელით, საგანგებო თავდავიწყებით შესდგომოდეს ამ საოცარი ქვეყნის დახატვას.

მისი მცენარე, მისი ცხოველი, მისი წიაღი, მისი წყალი, მისი ნაყოფი – უხვი, მდიდარი, გემრიელი, მრავალფერი და მრავალსახე.

აქ ცხოვრობს ქართველი ხალხი – უძველესი ხალხთაგანი დღემდე მოღწეული კაცობრიულ მოდგმათა შორის.

ისე, როგორც უდიდესი ცივილიზაციის შემოქმედი ბერძენი ხალხი შექმნილია სამი ნათესაური გვარტომისაგან – იონიელთა, დორიელთა და ეოლიელთაგან, ასევე სრულიად ქართველი ხალხის შემოქმედიც შეიქმნა სამი მთავარი ნათესავი გვარტომის – ქართველების, მეგრელებისა და სვანებისგან.

მრავალ საუკუნეთა სარბიელზე ეს სამი დედა-გვარტომი იყო მომცველი-გამაერთიანებელი ყველა ქართული მოდგმისა, რომელსაც კი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახელდებით უცხოვრია საქართველოს მინა-წყალზე: იბერნი, კოლხნი, კახელნი, თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი, წანარნი, ჰერნი, მესხნი, ტაოელნი, კლარჯელნი, შავშელნი, ერუშელნი, ჯავახნი, სპერნისასპერნი, კარდუხნი, ეგრისნი, ლაზნი, ჭანნი, შკვითინები, ბეხირები, ბიძერები, მაკრონები, სანები, მოსინიკები, ხალიბები, ჰენიოხები, სანიკები, მისიმიელნი, ოდიშარნი, იმერნი, მარგველნი, გურულნი, თაკვერელნი, ლეჩხუმლნი, რაჭველნი (ტომობრივი და გეოგრაფიული ადგილსაცხოვრისის სახელთა მიხედვით).

დედამიწის სხვა შვილთა გვერდით ათასწლეულთა სარბიელზე გარებუნების დასამორჩილებლად და სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად ქართველ კაცს იარაღად უკეთებია – ქვაც, სპილენძიც, ბრინჯაოც, რკინაც, გამოუვლია პალეოლითიც, ნეოლითიც და ენეოლითიც.

გამოუვლია ორივე გვარიც დედისეულიც და მამისეულიც. პრეისტორიის უხანგრძლივესი და უმძიმესი დრამატიზმით ნაწრთობი სულით და სხეულით მოილტვოდა იგი მსოფლიო ცივილიზაციის კარიბჭეებისაკენ. ბოლოს ქართველმა კაცმა გონიერი ნაბიჯით შედგა ფეხი მსოფლიურ – მატთანში.

უხვი არქეოლოგიური მასალები სრული სიმტკიცით ადასტურებენ ქართველი ხალხის ძველთაძველობას და მისი კულტურული დონის სიმალლეს.

ქართველთა უძველესი წინაპრების შესახებ წერილობით მოგვითხრობენ ისევ ძველი ბერძნები. ეს არის თქმულებათა მთელი ციკლი „ოქროს სანმისზე“, ანუ არგონავტთა ლაშქრობაზე „ოქროთი მდიდარ“ კოლხეთში. იგი მოგვითხრობს სამიათას-სამასწლოვან ამბავზე.

დასავლეთში ყველაზე დიდი მბრძანებელია კრეტის მეფე, ზევსის ძე მინოსი, აღმოსავლეთში კი კოლხეთის მეფე, ჰელიოსის ძე აიეტი. ამ ორ ხელმწიფეს თანაბარი უფლებებით უჭირავთ „მსოფლიო წონასწორობის“ სასწორი, არიან მეგობრებიც და მოყვრებიც (მინოსს ცოლად ჰყავს აიეტის დაი პასიფაე).

ბერძნებს კოლხეთი წარმოუდგენიათ „ოქროს“ ქვეყნად, ვინაიდან კავკასიონის მთიდან დაქანებულ მდინარეებს მოაქვს ოქროს ქვიშა. კოლხები მდინარეთა ჩქერებს ცხვრის ტყავებს ჩაუგებენ და როცა ამოიღებენ, ოქროს ქვიშა ამოჰყვება ოქროს სანმისებს.

„ოქროს“ ქვეყანაა კოლხეთი და „მზე – ჰელიოსის“ ნაშიერებიც ოქროს სხივებს ისვრიან თვალთაგან.

მერე საბერძნეთიდან სიკვდილს გამოექცა ორქომენელი უფლისწული ფრიქსე. იგი ოქროს-

მატყლოვანი ვერძით მოვიდა კოლხეთის სატახტო ქალაქში და აიეტს თავშესაფარი სთხოვა. გულუხმა და გულმონყალე მეფემ ლტოლვილი უცხოელი კიდევაც შეივრდომა და სიძედ დაისვა, ცოლად მისცა თავისი უფროსი ასული ქალკიოპე, ხოლო ოქროს ვერძი აიეტის ბრძანებით კოლხმა ქურუმებმა ღრუბელთა ბატონს შესწირეს და მისი ტყავი ოქროს სანმისად წოდებული უმაღლეს მუხაზე დაჰკიდეს.

განვლო დღემ და კოლხეთს ისევ ეწვივნენ ბერძნები. ორმოცდაათი გმირი, თესალიელი უფლისწულის იასონის წინამძღოლობით. ისინი მოვიდნენ ხომალდით, რომელსაც ერქვა „არგო“ და მათი სახელიც აქედანვე (არგონავტები) შემორჩა ისტორიას.

ახლადმოსულნი მიზნად ისახავდნენ კოლხეთიდან საბერძნეთს წაეღოთ ოქროს სანმისი – სიმბოლო ქვეყნის სიმდიდრისა და მარადიული კეთილდღეობისა.

სანამ კოლხეთს მოატანდნენ არგონავტები, გზადაგზა სადაც კი ხმელეთზე გადავიდნოდნენ ხმლითა და მუშტით უსწორდებოდნენ ყველა დამხვდურს, ხოლო ახლა კოლხეთს რომ მოვიდნენ აქ ძალადობით ვერას გავხდებითო და გადაწყვიტეს ისევ თავიანთი თხოვნით ან სხვა რაიმე ხერხით აღესრულებინათ განზრახვა. ამიტომ იაზონმა „არგო“ ფაზისში (რიონში) შეაცურა, ლერწმინაში შემალა, თანამგზავრთაგან ორი კაცი (ტელამონი და ავგია) აიყოლია, დანარჩენები იქვე დატოვა და სატახტო ქალაქისაკენ გასწია.

კოლხთა სატახტო დიდი პატივითა და სტუმარმოყვარეობით შეხვდა უცხოელებს, აიეტ-მაც ტკბილად მიიღო სტუმრები. ჯერ საგანგებო ნადიმზე უმასპინძლა, მერე ისე შორეული მგზავრობის მიზეზიც გამოჰკითხა. იასონმა გაბედა და ოქროს სანმისი ითხოვა. აიეტი ჯერ განრისხდა, მაგრამ იასონის ხვეწნა-მუდარამ გული მოუღობო და ბოლოს ასე ბრძანა: ბერძენი უფლისწული მხოლოდ მაშინ მიიღებს ოქროს სანმისს, უკეთუ იგი შესძლებს შეასრულოს ყოველივე, რასაც თვითონ მეფე ასრულებს, ყოველთვის, როცა ის ამას მოისურვებს. სახელდობრ მან მძიმე გუთანსა და უღელში უნდა შეაბას ცეცხლისმფრქვეველი ხარები, ოთხდღიური მინა ნახევარ დღეში დახნას, თან ხნული დრაკონის კბილებით თესოს და მათგან აღმოცენებული გიგანტები მახვილით გაჟლიტოს.

ასეთი რამის აღსრულება იასონს არ შეეძლო, მაგრამ ანგარიშმიუცემლად დათანხმდა. საგონებელში ჩავარდნილ ბერძენ გმირსა და მის თანამგზავრებს მოულოდნელი მხსნელი გამოუჩნდათ. ეს იყო მედეა, მეფე აიეტის უმცროსი ასული, რომელსაც თავდავიწყებით შეჰყვარებოდა უცხოელი უფლისწული, მან საკუთარი ხელით დამზადებული წამალი მისცა იასონს, ხოლო ვინც მედეას ნახელავი ჯადო-წამლით სხეულს დაიხელდა, მას ვერც მახვილი გაჭრიდა და ვერც ცეცხლი დაწვავდა, მთელს სხეულში ღვთაებრივი ძალ-ღონე და სიმამაცე ჩაუსახლდებოდა. მედეა ასეთ წამალს პრომეთეს (იგივე ამირანს) სისხლით ნაპოხ მინაზე აღმოცენებულ ყვავილისაგან ამზადებდა.

და აი, კოლხთა და ბერძენთა საკრებულოს თვალწინ იასონმა ყველაფერი ბრწყინვალედ აღასრულა. ცეცხლისმფრქვეველი ხარები გუთანში შეაბა, ოთხდღიური მინაც ნახევარ დღეში დახნა-დათესა და ხნულიდან აღმოცენებული გიგანტებიც სულ ერთიანად ამოწყვიტა, მაგრამ, თვითონ გრძნეულებას ნაზიარევი აიეტი მიხვდა, რომ მხოლოდ მისი ქალიშვილის დახმარებით შესძლო ბერძენთა წინამძღოლმა ხიფათიდან თავის დაძვრენა, ამიტომ მან განიზრახა უცხოელთა გაჟლეტვა.

მედეამ ეს შეიტყო, ქალაქიდან იდუმალ გავიდა, არგონავტელთა ბანაკს მიადგა და იასონს ყველაფერი ამცნო. მერე იასონი მუხასთან მიიყვანა, სანმისის მცველი გველეშაპი წამლის შეფრქვევით და შელოცვით დააძინა და იასონს ოქროს სანმისი ჩამოახსნევინა. ამიერიდან მედეას კოლხეთში აღარ დაედგომებოდა და არც თვითონ სურდა დარჩენა. იგი სულით და ხორცილთა უცხოელს ეკუთვნოდა. იასონმაც მხურვალედ შეჰფიცა, რომ სიკვდილამდე მისი ერთგული იქნებოდა.

მეორე დღეს აიეტმა გაქცეულებს კოლხთა ფლოტი და ლაშქრი დაადევნა, თავისი ძმის (მედეას ძმა) უფლისწულ აფსირტეს სარდლობით, მაგრამ ბერძნებმა კვლავ იხსნეს თავი. აფსირტე ვითომდა მოსალაპარაკებლად მიიტყუეს და მუხანათურად მოჰკლეს, ჩასაფრებულმა იასონმა აძგერა ზურგიდან მახვილი.

ათი წელიწადი იცხოვრა მედეამ უცხოეთში. თავს ბედნიერად გრძნობდა, ვინაიდან ჰქონდა ოჯახი, ჰყავდა ორი ვაჟი და ესვა ერთგული ქმარი, მაგრამ ერთ დღეს საშინელი ამბავი

შეატყობინეს. იასონი თურმე ცოლად ირთავს სხვა ქალს, კორინთოს მეფის ერთადერთ ასულს სახელად კრეუსას. ნათელი იყო მოღალატე ქმრის განზრახვა, იგი კრეუსაზე დაქორწინებით მეფის გვირგვინს იდგამდა თავზე.

დიდხანს იტირა მედეამ მიტოვებული ქალის ტირილით და შემდეგ გადანყვიტა შურისძიება. მოღალატე ქმარს შენიღბული სიმშვიდით შეხვდა და დაარწმუნა, რომ იგი შეურიგდა თავის მწარე ხვედრს, მერე ერთი ძვირფასი ნამოსასხამი და ოქროს გვირგვინი იასონს ჩააბარა, ეს საჩუქრები შენს ახალ საცოლეს ძღვნად მიართვით.

იასონი თავისი ვაჟებით შინ მივიდა. კრეუსას საჩუქრები ბავშვებმა გადასცეს. აქაოდა, როგორც იასონი ფიქრობდა, კრეუსა უფრო ღმობიერად მიიღებსო გერებს. როგორც კი კრეუსა სადედოფლო ნამოსასხამით და გვირგვინით მოირთო მაშინვე ცეცხლი მოეკიდა და საშინელი წამებით დაინვა. ასევე დაემართა მეფესაც, როცა იგი ცეცხლმოდებულ შვილის სხეულს შეეხო. დაღუპულთა ნათესავები, კორინთელთა კარისკაცები, მედეას ბავშვებს მოუხდნენ მოსაკლავად. ბავშვები გაიქცნენ, ტაძარში შეასწრეს და საკურთხეველს შემოეხვივნენ. მათ იცოდნენ, რომ ტაძარში არამცთუ ადამიანის მოკვლა, უბრალოდ ხელის შემოკვრაც ღმერთთა წინაშე უდიდეს ცოდვად ითვლებოდა, მაგრამ კორინთელები ტაძარში შეცვივდნენ და ბავშვებს ზედ საკურთხეველზე ყელი გამოსჭრეს.

ამ ამბიდან მცირე დრომ განვლო, კორინთელებს ბავშვთმკვლელობის სისხლიანი სახელი დარჩათ, ხოლო მედეას უმაგალითოდ გვემული და ლახვარცემული სიცოცხლე. იგი ერთხანს ათენში ცხოვრობდა, მერე თითქოს კოლხეთს დაბრუნდა. თანამედროვეობამ აღარ იცის, თუ როგორ დაასრულა თავისი წამებული სიცოცხლე „მზის შვილიშვილმა“, ჩვენთვის ცნობილმა პირველმა ქართველმა ქალმა, ხოლო მისი დიადი მამის, მზიური ხელმწიფის, ჩვენთვის ცნობილი „პირველი ქართველი მეფის“ აღსასრულს გვამცნობს მისი საფლავის ქვაზე ამოტიფრული ეპიტაფია.

ამრიგად, ძვ.წ. V საუკუნეში გამოჩნდა დიდი მწერალი-ტრაგიკოსი ევრიპიდე, რომელმაც თავისი მხატვრული აზროვნების მრწამსად ქალის ბუნების გახსნა აირჩია და ასე გაჩნდა მსოფლიო ლიტერატურაში სახელგანთქმული ტრაგედია „მედია“, რომელშიც მეფე აიეტის ასული მოღალატე ქმრის მიმართ შურისძიების გაუგონარ შემადრწუნებელ ფორმას მიმართავს.

ევრიპიდე ჯერ ნამდვილ თქმულების ხაზს გაჰყვა და მედეას მისი მეტოქე კრეუსა და მამამისი კრეონი მოაკვლევინა, ხოლო ამის შემდგომ, მან სინამდვილეს გადაუხვია და მედეას შვილები დაახოცვინა.

მამ ევრიპიდემ პირველმა გამოიგონა შემაზრზენი ამბავი – თითქოს კოლხმა მედეამ ყელი გამოსჭრა საკუთარ შვილებს. ევრიპიდეს ამ „ცოდვის“ შესახებ ჩვენ გვატყობინებენ ძველი დროის მეცნიერები და მწერლები: კრეოფინე პინდაროსის სქოლიასტი, პარმენისკე, პავსანია, კლავდიუს ელაინუსი. ეს უკანასკნელი გვარწმუნებს, რომ კორინთელებმა ევრიპიდეს ხუთი ოქროს ტალანტი მისცეს ქრთამად, რათა ბავშვების დახოცვა დედისათვის დაებრალებინა, ხოლო მათ ქალაქისათვის ჩამოერეცხა ბავშვთმკვლელობის სისხლიანი ლაქა.

ეს დრამატული ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ქართველ ტომთა სწრაფ აღზევებას ქრისტეს წინარე მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან. ჩვენგან დაახლოებით 3300 წლის წინათ.

ეს ის დრო იყო, როცა მცირე აზიაში ზღვის ხალხების შემოტევებმა ჯერ დაასუსტეს და შემდეგ სავსებით დაანგრეს ოდესღაც მძლავრი ხალხების სახელმწიფო. ამით ისარგებლა კოლხური მოდგმის ძლიერმა ტომმა – მესხებმა, რომლებიც მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში შეიჭრნენ, მკვიდრად განსახლდნენ და საფუძველი მოუშადადეს მომავალში ძლიერი სახელმწიფოს შექმნას.

მერე ქრისტეს წინარე XIII საუკუნეში, ჩვენგან დაახლოებით 3300 წლის წინათ, დღევანდელი არზუმისა და მის სამხრეთ ტერიტორიაზე შეიქმნა ძლიერი ქართული ტომობრივ-სახელმწიფოებრივი გაერთიანება „დიაოხა“, ხოლო მოგვიანებით ძვ.წ. VIII საუკუნეში „კოლხა“.

ასე ჩაეყარა საფუძველი ორ უძლიერეს გაერთიანებებს „დიაოხასა“ და „კოლხას“, რომელთა ანაც მრავალი ისტორიული მოვლენებია დაკავშირებული.

სწორედ ძვ.წ. VIII საუკუნიდან ჩნდება შიდა კოლხეთის ტერიტორიაზე საქალაქო ტიპის დასახლებები, რომელიც ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში კიდევ უფრო განიცდის განვითარებას. ეს ის

პერიოდი, როდესაც მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ძლიერი სახელმწიფოებრივი ერთეული, მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფო.

ამ პერიოდს უკავშირდება დღევანდელი ვანის უძველესი ქალაქის ისტორიაც, რომელიც ლიტერატურაში „ვანის ნაქალაქარის სახელითაა ცნობილი.“

არქეოლოგიურ სამუშაოებს აქ, რომელსაც აწარმოებდა გამოჩენილი დიდი ქართველი მეცნიერი აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი XIX საუკუნის ბოლოს, შემდგომ XX საუკუნეში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პირველი არქეოლოგი ქალი ნინო ხოშტარია და აკადემიკოსმა ოთარ ლორთქიფანიძემ ისტორიისათვის აქამდე უცნობ მრავალ საიდუმლოს ახადეს ფარდა.

ვანში აღმოჩენილმა მასალებმა მსოფლიოში გაითქვეს სახელი. განსაკუთრებით გამოირჩევა ოქროს ნაკეთობათა მაღალი ოსტატობა და მისი სიმრავლე, რამაც კოლხურ ოქრომჭედლობას მსოფლიო ხუთეულში დაუმკვიდრა სამუდამო ადგილი. ის აღმოჩნდა იმ უძველესი ქვეყნების გვერდით, როგორცაა – ეგვიპტე, საბერძნეთი და რომი.

ხელოვნების ქმნილებათა ასეთი ოსტატობა მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს აფიქრებინებს 33-საუკუნის წინ მოსული არგონავტების ადგილად, ის, სადაც მეფე აიეტი და ოქროს საწმისი იყო. სწორედ ამ გარემოებით იყო დაინტერესებული ირლანდიელი მეცნიერი და მოგზაური ტიმ-სევერინი, რომელმაც მოაწყო იოლკოსიდან – კოლხეთში (ვანი) ძველი ხომალდ – არგოს მიხედვით აგებულ არგოთი მოგზაურობა. ის შეხვდა მაშინ ბატონ ოთარ ლორთქიფანიძეს, რომელიც საქართველოში არქეოლოგიური კვლევის ცენტრსა და ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი გახლდათ. ტიმ სევერინი ექსპედიციის მონაწილად კარგად გაეცნო ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის ნამუშევრებს, კოლხეთისა და საქართველოს ისტორიას და ექსპედიციის დასრულების შემდეგ აღიარა არგონავტების ჭეშმარიტება.

დღეისათვის, როდესაც მიმდინარეობს დისკუსია ოქრომრავალ კოლხეთზე, პირველ რიგში, თვალშისაცემი ხდება ვანი და აქ აღმოჩენილი უნიკალური ოქროს სამკაულები, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. იმის კითხვა თუ სად ვიგულისხმობთ არგონავტიკაში მოხსენიებული კოლხეთის ქალაქები „აია“ ან „კუტაიას“ ლოკალიზაცია, ან თუ შეიძლება რომელიმე ვანთან გავაიგივოთ, ამის დამაჯერებელი პასუხის გაცემა მეცნიერთათვის ჯერჯერობით ძნელია, რადგან მითი არგონავტების შესახებ ვანის ნაქალაქარის ასაკს დაახლოებით 5 საუკუნით უსწრებს, ანუ ძვ.წ. XIII საუკუნეში მოვიდნენ არგონავტები კოლხეთში, ხოლო ვანის ნაქალაქარზე ცხოვრების ყველაზე უძველესი კულტურული ფენები ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებითაა დათარიღებული და არ იძლევა საშუალებას მიუხედავად მისი სიმდიდრისა ვანი არგონავტების მოსვლის ადგილად მიიჩნიონ.

თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძველი ბერძენი მწერლების ცნობები არგონავტების მოგზაურობის თარიღს თუ სწორად ვერ გადმოსცემენ, ან ერთი მეცნიერის შეცდომას დაეყრდნო და გაიზიარა სხვა მწერალ-მემატიანეებმა, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ძველი ბერძენი მწერლების ცნობებში მოხსენიებული აიეტის სამშობლოდ დღევანდელი ვანის ნაქალაქარი.

ვანის ნაქალაქარისა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიების შესწავლა როგორც, აღვნიშნეთ XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო და ჯერ მის დამთავრებას მრავალი ათული წლები სჭირდება. არქეოლოგიური აღმოჩენები, რომელიც აქ მიმდინარეობს ყოველთვის ახალი იმედებითაა აღსავსე, რადგან აქ უხვად მოიპოვება საინტერესო არქეოლოგიური მასალები, რაც კიდევ ერთხელ საბოლოოდ ახდის ფარდას მის სინამდვილეს, საბოლოოდ გაახარებს ძველი ცივილიზაციით დაინტერესებულ მეცნიერებსა თუ მოყვარულ ადამიანებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოთ. ლორთქიფანიძე – „ძველი კოლხეთის კულტურა“ თბ.1972 წ.
2. ოთ. ლორთქიფანიძე – „ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი,“ თბ.1975 წ.
3. ოთ. ლორთქიფანიძე – „არგონავტიკა,“ თბ., 1985 წ.
4. ლ. სანიკიძე – „ფესვები,“ 1986 წ.
5. თ. ყაუხჩიშვილი – „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.“ 1969 წ.
6. ს. ყაუხჩიშვილი – „ანტიკური ლიტერატურის ისტორია.“ თბ.1971 წ.

ზედა გორას „მაცხოვრის შობის“ სახელობის ეკლესია

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნილი მაღალი და თავისებური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა.

წლების მანძილზე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად ჩვენი მეცნიერების მიერ გამოვლენილია ქართული ხუროთმოძღვრების საწყისები, მისი ხალხური ფესვები და კანონზომიერი, ორგანული განვითარების უწყვეტი სურათი. დადგენილი და შეფასებულია ქართველი ხალხის მხატვრული შემოქმედების თავისებურებანი და ის წვლილი, რომელიც მსოფლიო ხელოვნების საგანძურში იქნა შეტანილი.

საქართველო ბუნებრივი პირობების და ლანდშაფტის მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რამაც სხვადასხვა კუთხეში საცხოვრისის განსხვავებული ტიპების ფორმირება განაპირობა. საცხოვრისის გარდა განსხვავება საკულტო არქიტექტურის ძეგლებშიც აღინიშნება. თოთოეულ კუთხეში სხვადასხვაგვარი საშენი მასალის, და შესაბამისი სამშენებლო ხერხების არსებობა, განსხვავებული ისტორიულ-კულტურული ვითარება თავისებური ხუროთმოძღვრული ფორმების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ყოველივე ეს ქართული არქიტექტურის მრავალფეროვნებას და თვითმყოფადობას განაპირობებდა.

საქართველო დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ბიზანტიისა და მაჰმადიანური, უმთავრესად ირანული სამყაროს ისტორიულ-კულტურული გავლენის არეალში იყო მოქცეული. ამან გარკვეული სხვაობა წარმოშვა საქართველოს სხვადასხვა კუთხის არქიტექტურაში.

მაგალითად: დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, ბიზანტიასთან უფრო მჭიდრო კავშირის გამო, გავრცელებულია ბიზანტიისთვის სახასიათო ზოგიერთი ნიშანი – ქვისა და აგურის რიგების შერეული წყობა, რომელიც მონიტალო, მოთეთრო ფერების მონაცვლეობას იძლევა, შედარებით მცირე გუმბათის გამოყენება, ჩუქურთმების ნაკლებობა და სხვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა აკავშირებდა ბიზანტიასთან, რაც ხელს უწყობდა ქრისტიანულ სამყაროში არსებული კულტურული სიახლეების შეთვისებას, თუმცა საქართველო, როგორც დიდი ტრადიციების ქვეყანა, ყოველთვის ინარჩუნებდა საკუთარ თვითმყოფადობას. ეს კარგად ჩანს, როგორც ქართული ეკლესიების არქიტექტურულ ფორმებში და ფასადების მორთულობაში, ასევე კედლის მხატვრობაში, ხატწერასა და სხვა ნიმუშებში.

საქართველოში აგებული ეკლესიები გამოირჩევა, როგორც მაღალი დონის სამშენებლო ტექნიკით, ფასადების ბრწყინვალე მორთულობით, ასევე ინტერიერის გაფორმების მრავალფეროვნებით. გარკვეულ ეპოქებში განსაკუთრებით მაღალ დონეზე განვითარდა ქვაზე კვეთის ხელოვნება. ქართული ეკლესიების ფასადები იმკობოდა რელიეფური კომპოზიციებით, მაღალმხატვრული ჩუქურთმებით.

დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოში, გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე ირანული გავლენა აღინიშნება. ამის დასტურია ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიების რელიეფურ მორთულობაში ძველი ირანის ხელოვნებისთვის დამახასიათებელი მოტივების არსებობა.

კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციათა შესწავლისას, მონუმენტურ ნაგებობათა ძირითად სახეს საკულტო შენობები წარმოადგენენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებით აიხსნება, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში ქრისტიანული მოძღვრება იდეოლოგიის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა. ეკლესია კი, ხელისუფლების დასაყრდენი იყო, თუმცა სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ხანის კულტურა და ხელოვნება მხოლოდ რელიგიურ ხასიათს ატარებდა.

მრავალრიცხოვანი ძეგლები, რომლებიც ქრისტიანულმა არქიტექტურულმა ხელოვნებამ შექმნა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა გაფანტული. მუდმივი რბევა და აოხრება, რომელიც წილად ხვდა ჩვენს ქვეყანას საბედისწერო აღმოჩნდა ეკლესია-მონასტრებისათვის. ზოგი ძლიერ დაზიანდა, ზოგიც ნაკლებად, ხოლო ზოგიერთი კი საერთოდ განადგურდა. უკანასკნელი საუკუნის 60-70-იან წლებამდე უმეტესობა სავალალო მდგომარეობაში რჩებოდა და უპატრონოდ იყო მიტოვებული. ასეთი ბედი გაიზიარა ზედა გორას „მაცხოვრის შობის“ სახელობის ეკლესიამაც.

ზედა გორას „მაცხოვრის შობის“ სახელობის ეკლესია მდებარეობს სოფელ ზედა გორას ერთ ლამაზ უბანში, ტერიტორიაზე, სადაც, ამჟამად უძველესი სასაფლაოა. ადგილი შემალღებულია, ორი მხრიდან ხევებითაა შემოსაზღვრული, რომლებსაც მცირე ღელეები წარმოქმნიან. ეკლესია სტრატეგიულ ადგილზეა, მისი ეზოდან ხელისგულზე გადაშლილივით მოსჩანს კოლხეთის დაბლობი. დასავლეთის მხარეს, მის პირდაპირ- სოფელ გორას „წმინდა გიორგის“ სახელობის ეკლესიაა, ხოლო აღმოსავლეთით გარკვევით იკვეთება სოფელ ფერეთას ჯიხეთის ეკლესია.

ზოგადად, არქიტექტურა ორგანულადაა დაკავშირებული ადგილის რელიეფთან და ნაკვეთის პროფილთან. ეს ნათლად იგრძნობა ამ ტაძრის მდებარეობასა და შენების არქიტექტურაში.

ზედა გორას „მაცხოვრის შობის“ ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. ბაზილიკა სამეფო დარბაზს ნიშნავს. ასეთ ნაგებობებს გადახურულ ბაზრებად, ან საზოგადოებრივ სასამართლოებად იყენებდნენ და ისინი ჩვეულებრივ შედგებოდა დიდი, მოგრძო დარბაზისა და უფრო ვიწრო, დაბალი ნაწილებისაგან მისი სიგრძივი გვერდების გაყოლებით, რომელიც მთავარი დარბაზისაგან სვეტების მწკრივებით გამოიყოფოდა. ბოლოში ხშირად ნახევრად წრიულ უბეს (ანუ აფსიდას) ათავსებდნენ, სადაც შეიძლებოდა თავყრილობის თავკაცი, ან მსაჯული დაბრძანებულიყო.

იმპერატორ კონსტანტინეს დედამ ეკლესიად ამგვარი ბაზილიკა ააგო, ამიტომ ამ ტიპის ეკლესიებისთვის ეს ტერმინი თავისთავად დამკვიდრდა.

დიდ ნიშაში, ანუ აფსიდში იდგა მთავარი ტრაპეზი, რომლისკენაც მიმართული იყო მორწმუნეთა მზერა. შენობის იმ ადგილს, სადაც ტრაპეზი იდგა, საკურთხეველი ეწოდა. მთავარი, ცენტრალური ნაწილი, სადაც მრევლი იყრიდა თავს, მოგვიანებით „ნავის“ სახელით გახდა ცნობილი. გვერდით სათავსებს „გვერდითი ნავეები“, ანუ ფრთები დაერქვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ტაძარი ბაზილიკაა, შიგა სივრცე დაყოფილია ნავეებად. ცენტრალური ნაწილი მრგვალი ფორმის ბაზებიან, ოთხ ბურჯზეა დაყრდნობილი. შუა ნავი შედარებით დიდია, ხოლო ორი უფრო მომცრო. კედლის ორივე მხარეს ცრუ სვეტები ამკობს, საკურთხეველი გამოყოფილია სამი თაღებით. ეკლესიას გაჭრილი აქვს სამი კარი, რომელთა ზედა ნაწილი ნახევრადწრიული ფორმისაა და ფასადურ მხარეზე ქვიშაქვის ორნამენტირებული დეტალებითაა შემკობილი. სამივე კარის თავზე ჯვრის ფორმის გამოსახულებაა გამოკვეთილი ქვაში. ბაზილიკის სამივე ნავი დახურულია საერთო, ორკალთიანი სახურავით. მსგავსი სტილით, მასალით და არქიტექტურული მონაცემებით ვანში აგებულ ეკლესიათაგან ზედა გორის ეკლესიასთან ყველაზე ახლოს სოფელ ბზვანის და ლაბაჯაურის წმინდა გიორგის ეკლესია დგას.

შიგა სივრცეს რაც შეეხება, გამოიყოფა გუმბათქვეშა კვადრატი, პილასტრები სადაა და მომრგვალებული. საკურთხეველის თაღებიც ასევე სადაა და კუთხეები ცრუ კაპიტელებითაა გაფორმებული.

თავის დროზე ეკლესია მოხატულიც იყო, ამას ის მოხუცები ადასტურებენ, რომელთაც ახსოვთ შემორჩენილი ფრესკების ნაშთები და რომელთაც სამწუხაროდ ჩვენამდე აღარ მოუღწევია.

ეკლესია ნათდებოდა ცენტრალური ნაწილის ოთხი სარკმლით, მეხუთე სარკმელი საკურთხევლის ცენტრალურ ნაწილშია გაჭრილი. სარკმელის თავები ნალისებური მოხაზულობისაა.

ეკლესია ნაშენებია ღია ჩალისფერი ქვით, კირის ხსნარზე. კარ-სარკმლების წირთხლები და თალები ამოყვანილია ფოროვანი შირიმის (წყლის ტუფი) წესიერად გათლილი კვადრებით.

კედლის წყობისთვის იყენებდნენ კარგად გათლილ, წესიერი ფორმის კვადრებს. ასეთივე კვადრებითაა ამოყვანილი შენობის შიგა კედლებიც, ისე, რომ შესამოსი ფილები შეადგენენ ორმხრივ პერანგს, რომელიც კედლის ამოყვანის მანძილზე თანდათან ივსება დულაბით, ჩვენ შემთხვევაში ამოვსებულია ქვაყორით და ხსნარით. სანაპირე ქვები არ წარმოადგენენ კედლის მხოლოდ დეკორატიულ სამოსელს, ისინი უზრუნველყოფდნენ მის სიმტკიცეს და ამგვარად კონსტრუქციის ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ.

ეკლესიის სიგრძე – 15 მეტრია, განი – 8 მეტრი, სიმაღლე დაახლოებით 10 მეტრი. მისი აგების თარიღთან დაკავშირებით, მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეგვიძლია მსჯელობა. საქმე ისაა, რომ მონაცემები, თუ რაიმე წერილობითი ცნობა ეკლესიის აგებისა და შენების თარიღთან დაკავშირებით, ვერანაირ წერილობით წყაროში ვერ მოვიპოვეთ, იგი ნაკლებად შესწავლილი ძეგლია. ამდენად, მხოლოდ იმის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რაც ხელთ გავაჩნია. რამდენიმე მონაცემის შეჯერების საფუძველზე სავარაუდოდ ტაძარი მე-17 საუკუნეზე უფრო გვიანდელია. ეკლესიის ეზოში უხვადაა შემორჩენილი წარწერიანი საფლავის ქვები, რომლებზეც ძნელად, მაგრამ, მაინც იკითხება მე-17 საუკუნის თარიღები.

„ეს ეკლესია მე-16, საუკუნისაა“ – გვითხრა კერძო საუბრებში ბიზნესმენმა ავთანდილ იაშვილმა და თან დასძინა, რომ მონაცემები წერილობით წყაროზე დაყრდნობით გააჩნია. თუმცა, ამ წყაროს ჩვენთვის გაზიარება რატომღაც ვერ მოხერხდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისის ცნობილ მოვლენებს არც ამ ეკლესიისთვის ჩაუვლია უკვალოდ. ეკლესიის კედლები ჩამოიშალა, სახურავის ძირითადი ნაწილი დარბაზის შიდა სივრცეში ჩამოინგრა და ნაგვის გროვად დადგა, განადგურდა კარები, სარკმლები. გაქრა და სრულად დაზიანდა კედლების მოხატულობა, ამის შემდეგ ცხადია აღარც წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა.

ეკლესია ასეთ სავალალო მდგომარეობაში დიდხანს რჩებოდა, ვიდრე ამავე სოფლის მკვიდრმა, ბიზნესმენმა ავთანდილ იაშვილმა არ ითავა მისი აღდგენა-რესტავრაცია. მისი ფინანსური და მორალური მხარდაჭერით სოფლის მცხოვრებლებმა ეკლესიის ირგვლივ მოფანტული კვადრები თავიანთ ადგილზე დააბრუნეს, კედლები ამოიყვანეს, მოიხატა სატრაპეზო, გაკეთდა ნაბლის კარები, სარკმლები და შეიძლება ითქვას მას თავდაპირველი სახე დაუბრუნეს. ტაძარმა ახალი სიცოცხლე შეიძინა და 2000 წელს ილია II-ის ლოცვა კურთხევით მეორედ გაიხსნა.

პირველი მღვდელი რომელიც ღვთისმსახურებას შეუდგა იყო მამა ზურაბი (ბიბიჩაძე), ამაჟამად კი, ეკლესიის მრევლს მეშვიდე წელია მამა არსენი (ხუბუკელაშვილი) ემსახურება. ამ პერიოდში აშენდა სამრეკლო, გაკეთდა ეკლესიამდე მისასვლი გზა, განახლდა საეკლესიო მსახურებისთვის განკუთვნილი ინვენტარი, ავეჯი, ეკლესიის მიმდებარედ აშენდა სამღვდლო სახლიც.

ამ ეკლესიის ბედი ორგანულადაა დაკავშირებული ქვეყნის ბედთან, საქართველოს ისტორიასთან, მის წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართული საკულტო ხუროთმოძღვრება ერთ-ერთი უდახვეწილესი რამ, რაც კი ქართველ კაცს წინაპართაგან დარჩენია არქიტექტურის ისტორიაში ბიზანტიურ ტრადიციებს უკავშირდება, მაგრამ ამავე დროს რაოდენ თვითმყოფადი და დახვეწილია ქართული საკულტო არქიტექტურა და როგორ ძლიერ აისახა მასში ერის შინაგანი ღირსებაც, რწმენაც და ესთეტიკაც. შესაძლოა, იმიტომაც რომ დღევანდელ ხუროთმოძღვართა წინაპრები ჭეშმარიტი მორწმუნენი იყვნენ.

რამდენიმე მცდარი წარმოდგენის შესახებ

საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის. ამ ურთიერთობების ისტორიაში დადებითი მონახვაც შეიძლება და უარყოფითისაც. სამწუხაროდ, ბოლო 25 წლის მანძილზე, გარეშე ჭკვიანი მტრებისა თუ შინაური ბრიყვი მოკეთებების მონადინებით, აქცენტი კეთდება ყველაფერ ცუდზე, თუკი რამ მომხდარა ამ ურთიერთობებში. თუმცა ხშირ შემთხვევაში ესა თუ ის ფაქტი იმდენად არ შეიცავს უარყოფით მომენტებს, რამდენადაც მისი უარყოფითად წარმოჩენა, ინტერპრეტირება ხდება. სწორედ ასეთ რამდენიმე გავრცელებულ არასწორ ინტერპრეტაციასა და რეალობის დამახინჯებას ეძღვნება ეს წერილი, რომელშიც სავსებით შეგნებულად გამოვიყენეთ მოკლე და კონკრეტული განმარტებები, რათა უპირატესობა მიენიჭოს რეალურ ფაქტებს და არა მათ სუბიექტურ ინტერპრეტაციას. წერილს არა აქვს პრეტენზია რაიმე ახალი ისტორიული ფაქტების აღმოჩენაზე, არამედ ამ ფაქტებს შესაბამის კონტექსტში ახმოვანებს და შეახსენებს მათ ქართველ მკითხველს.

მაშ ასე, ზოგიერთი არასწორი წარმოდგენა (სტერეოტიპი) ქართულ-რუსული ურთიერთობების ისტორიიდან და ობიექტური რეალობა ამ წარმოდგენების წინააღმდეგ:

1. „რუსეთის იმპერიამ საქართველო დაიპყრო“

დაპყრობას ადგილი არ ჰქონია. ქართლ-კახეთის მეფემ (1798 წ. იანვარი – 1800 წ. დეკემბერი), გიორგი მეთორმეტე რუსეთის იმპერატორს ნებაყოფლობით დაუთმო სუვერენიტეტი, სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანი და სიმბოლო. ამასთან, ერთადერთი, რასაც გიორგი მეფე ითხოვდა იმპერატორ პავლე პირველისაგან, იყო ნომინალური მეფობის შენარჩუნება და გარდაცვალების შემდეგ თავისი შვილის, დავითის ტახტზე დამტკიცება.

ქართლ-კახეთის სამეფო კარი ჯერ კიდევ მეფე ერეკლეს სიცოცხლეში იქცა დიდი ინტრიგების ბუდედ, რასაც სათავე ერეკლეს მეუღლემ, დარეჯან დედოფალმა დაუდო. დარეჯანი ერეკლეს ძის, გიორგის დედინაცვალი იყო და, ბუნებრივია, საკუთარი შვილები სურდა ტახტზე ასასვლელად. იულონ და ალექსანდრე ბატონიშვილებიც არანაირ უკადრის საქციელზე არ იხევდნენ უკან, ოღონდ კი გიორგი შეევიწროებინათ და არ დაეშვათ ჯანმრთელობაშერყეული მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტს მისი შვილი დავითი დაპატრონებოდა. გიორგის არ ჰქონდა ის ავტორიტეტი და ძალა, რაც მის მამას ჰქონდა. ერეკლეს მიერ გაერთიანებული ქართლ-კახეთი ისევ დაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მე-19 საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი „გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში“ (გიორგი მეთორმეტე მათიანებში ზოგჯერ გიორგი მეცამეტედ მოიხსენიება) წერს: „თვესა მეოთხესა შემდგომად გამეფებისა მოხდა ამბოხი ძმათაგან მეფისა გიორგისა მეორისა დედიდან. იულონ, გამეფებულ ქართლსა, აღიარებდა უფლებასა თვისსა მეფობისა ტახტისათვის, ანდერძისა გამო მეფისა ირაკლისა, ვახტანგ ანუ ალმასხან (ორ სახელოვანი) არაგვისა განმგე, ჰგონებდა თავისა თვისსა არა დამოკიდებულად მიფისაგან, ვითარცა ბატონი და ერისთავი, ძველთა წესითა, არაგვისა. მირიან გაბატონდა მარტყოფსა და ფარნაოზ სურამსა. ალექსანდრე ილტვოდა სპარსეთსა და შეევედრა ყენსა, როცა მტერი რუსეთისა. ...ესრეთმან უგვანმან ანდერძმან, დაწერილმან ყორღანაშვილისა ოსეფასაგან, აღსძრა შფოთი ძმათა შორის. მეფე გიორგი იძულებული მოსვლადმდე რუსეთისა ჯარისა, მიელო ღონე დამშვიდებისათვის ქვეყნისა. ...მოითხოვა ავარიისა ხანიდამ 3.000 ლეკი ფასითა ნაქირავნი. ესენი დააყენა

მცველად ქალაქისა ავლაბარსა და მეტეხისა ხიდისა გარეთ. დღესა ერთსა ბელადი მათი მუ-რად, მარადის მეფესთან მყოფი და ერთგული, ეტყოდა მეფესა: „ბატონო მეფევ, თქვენი ძმები მეცადინეობენ მომისყიდონ მეცა და ჯარიცა და გილალატოთ თქვენ“ (პლატონ იოსელიანი: ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფილისი, 1936 წ., გვ.57-58). მეფეს დარეჯან დედოფლის დაპატიმრება უბრძანებია, მაგრამ შეშინებულ დედოფალს ბოდიში მოუხდია და გიორგი მეფეც დამცხრალა. ძმებმაც დროებით გადადეს მტრობა მეფესთან, თუმცა ხელსაყრელი ვითარების გამოჩენისთანავე ალექსანდრე ბატონიშვილი ომარ-ხან ავარელთან ერთად აღმოჩნდა, რომელიც 1785 წლიდან მოყოლებული, ხარკს ართმევდა დასუსტებულ ქართლ-კახეთს. ომარი 1899 წელს კვლავ დიდძალი ჯარით შემოიჭრა კახეთში, მაგრამ ივრის პირებთან გენერალ ლაზარევის მცირერიცხოვანმა რუსულმა რაზმმა, რომელსაც ქართული ლაშქარიც ეხმარებოდა, მისი ჯარი გაანადგურა.

დარეჯან დედოფალი და იულონ ბატონიშვილი ჯერ კიდევ გიორგის სიცოცხლეში, 1899 წლის ზაფხულში, რუსეთის იმპერატორ პავლეს უგზავნიდნენ წერილებს (აბელ კიკვიძე: საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, 1954 წ., გვ.21), რათა რუსეთს გიორგის სიკვდილის შემდეგ უზრუნველყო დარეჯანის მითითებით ოსეფა ყორღანაშვილის მიერ შეთითხნილი და ოჯახის წინების ქვეშ მოქცეული ერეკლეს მიერ ხელმოწერილი ანდერძის აღსრულება, რომლის თანახმადაც ტახტის მემკვიდრეობა არა გიორგის ვაჟს, დავითს, არამედ ერეკლეს ძეს, იულონს უნდა ჩაებარებინა. თავის მხრივ, არც გიორგი მეფე აკლებდა იმპერატორთან ჩივილებს და თავის ძმა ალექსანდრეს „სამშობლოს მოლაღატედ“ მოიხსენიებდა (Акты Кавказской археографической комиссии (АКАК), ტ. 1, ტიფლისი, 1866 წ., გვ. 178 - გიორგი მეთორმეტის 1800 წლის 17 ნოემბრის წერილი იმპერატორ პავლეს).

აი, ასეთი იყო ჩვენი „სახელმწიფოებრიობა“ – პრიმიტიული ფეოდალიზმი, აურაცხელ მტერთა გარემოცვაში მგმინავი ქვეყანა, რომელიც სამეფო კარის წევრებს ნაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, ვიდრე საკუთარი პოლიტიკური ამბიციები. ქვეყანა რომ ქაოსში არ ჩავარდნილიყო, მეფეს ისევ მაოხრებელი ლეკებისთვის უნდა ეხადა ფული და ლეკების ხელით შეეკავებინა თავაშვებული ქართველი ფეოდალები. საოცარია, მაგრამ ჩვენი ე. წ. სახელმწიფოებრიობა, რომელსაც ნიანგის ცრემლებით მისტირიან თანამედროვე „გრანტოსანი“ ისტორიკოსები, ლეკთა კეთილგანწყობაზე გახდა დამოკიდებული. ამ ვითარებას მეფე გიორგი, მიუხედავად ფიზიკური სნეულებისა და უძღურებისა, კარგად ხედავდა, ამიტომ მან ისევ რუსეთი არჩია. გიორგიმ, როგორც ქართლ-კახეთის ლეგიტიმურმა მეფემ უარი თქვა დამოუკიდებლობის თითქმის ყველა ნიშანზე და ქვეყანა გადაულოცა რუსეთის იმპერიას.

კერძოდ, სანკტ-პეტერბურგში ქართული ელჩობის 1800 წლის 23 ნოემბრის ნოტის თანახმად – და, ეს ნოტა შედგება გიორგი მეფის 16 სათხოვარი პუნქტისაგან რუსეთის იმპერატორისადმი (АКАК, ტ. 1, გვ.179-181) – ქართველები თავს აღიარებენ („ხელმწიფე, დიდგვაროვნები, სამღვდელოება და ერი“) რუსეთის იმპერიის „სამუდამო ქვეშევრდომებად“ და ვალდებულებას იღებენ, წმინდად შეასრულონ ყოველივე ის, რასაც ასრულებენ რუსეთის ქვეშევრდომები, მიიღონ და თავდაუზოგავად შეასრულონ ყოველი კანონი და ბრძანება, აღიარონ სრულიად რუსეთის იმპერატორი თავიანთ ბუნებრივ ხელმწიფედ და თვითმპყრობლად“ („... съ признанием Всероссийскаго Императора за своего природнаго Государя и Самодержца“).

როგორც ვხედავთ, საკმაოდ ცალსახა ფორმულირებაა. სხვა თუ არაფერი, ქართული მხარე თავს ვალდებულად აცხადებს, რუსული კანონები შეასრულოს, რაც სუვერენიტეტზე ნებაყოფლობით უარს ნიშნავს. გარდა ამისა, გიორგი სთხოვს იმპერატორს დაუნიშნოს ჯამაგირი და რუსეთში სოფლები დაუმტკიცოს, საქართველოში გამოგზავნოს დამხმარე ჯარი, ჩაიბაროს ყველა ციხესიმაგრე, მოავლინოს რუსი სპეციალისტები და აღადგინოს დახურული მადნების მოპოვება. იგი ასევე სთავაზობს იმპერატორს, მოჭრილი ფულის ერთ მხარეს გამოისახოს რუსეთის იმპერატორი რუსული წარწერით. დოკუმენტის პრეამბულაშიც ლაპარაკია ქართველ-

თა მხრიდან „სრულ მორჩილებაზე“ და „დამოკიდებულებაზე“. ვიმეორებთ, რომ ეს ფორმულირებები სხვადასხვა ინტერპრეტაციისთვის ძალიან მცირე მანევრის საშუალებას ტოვებს. ტყუილად ირჯებიან მარქსიზმის დროიდან „ანტიცარისტული“ იდეოლოგიით გაყენებული ისტორიკოსები, რომ აქ რაიმე სხვა აზრი გამოძებნონ. **მეფე გიორგი XII ცალსახად ამბობს უარს, თანამედროვე გაგებით, სუვერენიტეტზე.** ერთადერთი, რაც შემდგომში რუსეთმა დაპირების მიუხედავად არ შეასრულა, ეს არის გიორგის ვაჟი, დავითისთვის მეფობის დამტკიცება და სამეფო ტახტის შენარჩუნება.

მაგრამ არის თუ არა ამ თხოვნის შეუსრულებლობა ქვეყნის დაპყრობის ტოლფასი? და თან ქვეყნისათვის სახიფათო ინტრიგების და შუღლის ფონზე, რაც სამეფო კარზე ხდებოდა და ზემოთ ამ ინტრიგების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი აღვწერეთ! დასკვნის გაკეთება თავად მკითხველისთვის მიგვიანდია... ჩვენი სუბიექტური აზრით, ეს იყო არა დაპყრობა, არამედ არასუვერენული ქვეყნის ვასალიტეტის – ერთგავრი ავტონომიის გაუქმება.

აქვე იმასაც დავძენთ, ასევე სუბიექტური შეხედულებით, რომ ინტრიგანი დედოფალი დარეჯანის გაზულუქებულ შვილებზე უკეთესი არც დავით გიორგის ძე იყო. თუკი დარეჯან დადიანი და მისი შვილები არ თაკილობდნენ ახალციხის ფაშის, ირანის შაჰის, აზერბაიჯანელი ხანებისა და სომეხი მელიქების „დახმარებას“ (კიკვიძე, გვ.20), ოღონდ კი ძალაუფლება ეგდოთ ხელთ, ამ ჭკუათხელმა „ბატონიშვილებმა“ თავისი სამუშაო ოთახიდან მაცხოვრის ხატი გამოაძევა და მის მაგივრად ვოლტერის სურათი დაკიდა (კიკვიძე, გვ.21). გიორგი მეფე თავისი შვილის სირეგენეს ფრიად განიცდიდა, მაგრამ რაღას გააწყობდა. ასეთი მონარქიის დაკარგვით საქართველოს ბევრი არც არაფერი დაუკარგავს.

ყოველ შემთხვევაში, 1801 წლის 12 აგვისტოს ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების მანიფესტის გამოცხადებას არ მოჰყოლია სახალხო მღელვარება და აღშფოთება (1804 წლის მთიულეთისა და 1812 წლის კახეთის აჯანყებებს მთლიანად სოციალური საფუძველი ჰქონდა (რუსი მოხელეების კორუმპირებულობა, სავალუტო და ეკონომიკური კრიზისი, ახალი კანონების მიუღებლობა და მისთ.), რის გამოყენებასაც ცდილობდნენ მეფობას მოწყურებული „ბატონიშვილები“ და მათი მომხრე პროსპარსული და პროთურქული თავადები. „პატრიოტი“ ქართველი ისტორიკოსები ამ სოციალურ ბრძოლას აცხადებენ „ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლად, რაც მიაბიძგური პოზიციაა და ადვილად ბათილდება ისტორიული ფაქტებით, თუმცა ამ საკიხის გარჩევა წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს სცდება). ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დადო ფიცი. აღსანიშნავია ნეკრესის მთავარეპისკოპოსის ამბროსის მიმართვა ქართველი ხალხისადმი 1801 წ. მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც იმპერატორის ერთგულებისკენ მოუწოდებს: **„ნუ იტირებთ და ნუ იდარდებთ, რამეთუ საქართველო გადარჩა და გაათავისუფლდა ჩვენი მტრების, სპარსელებისაგან. გიხაროდენ!... როგორც მოძღვარი, მოვუწოდებ ჩემს მრევლს, დაემორჩილოს და სიყვარულით ემსახუროს ყოვლად მონყალე იმპერატორს რუსეთისა, რომელმაც შეისმინა ჩვენი ვედრება და გაათავისუფლა საქართველო მონობისაგან“** (რუსულიდან ქართულად უკუთარგმანი. რუსული ტექსტი: Еп. Кирион, Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие. Тифлис, 1901 г., გვ.15).

უფრო სხვაგვარად განვითარდა მოვლენები ლიხის ქედს დასავლეთით – იმერეთის სამეფოში. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებას უარყოფითად შეხვდა. სოლომონი ქართველების დაუძინებელი მტრებისგან – ოსმალეთის იმპერიისაგან ელოდა დახმარებას, რათა რუსეთის ჯარებს დასხმოდა თავს და გაეძევებინა. 1804 წლის 19 აპრილს რუსეთის ჯარების სარდალმა, გენერალმა პავლე ციციანოვმა (წარმოშობით ქართველმა ციციშვილმა) პირადად გააფრთხილა სოლომონ მეორე ომის გარდაუვალობის შესახებ: „სამწუხაროდ, აუცილებლად ვცნობ, რომ თქვენთან მექნეს სხვანაირი შეხვედრა“, ე.ი. ბრძოლის ველზე, – განუცხადებია ციციანოვს სოლომონისათვის (კიკვიძე, გვ.55). რამ-

დენიშე დღეში რუსეთის ჯარები გენერალ ტუჩკოვსა და პოლკოვნიკ ერისთავის მეთაურობით ქართლიდან იმერეთში გადავიდნენ. ახლა სოლომონი დათმობაზე წავიდა და 4 ივნისს სოფ. საჭილაოში ხელი მოაწერა რუსეთთან ტრაქტატს, რომელსაც სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანიც შეუერთდა.

თუმცა რუსები არ ენდობოდნენ სოლომონ მეორეს და ციციანოვმა დაიკავა ქუთაისი, ასევე იმერეთის ყველა ციხესიმაგრე, მეფის კარზე კი თავისი წარმომადგენელი ლიტვინოვი მიამაგრა, რომელიც სამოქალაქო საქმეებს განაგებდა. საბოლოო ჯამში, რუსებმა სოლომონის ნების საწინააღმდეგოდ და სამხედრო ძალაზე დაყრდნობით გააუქმეს იმერეთში მეფობა და იმერეთი რუსეთს შეუერთეს. ეს მოხდა 1810 წელს. როგორც იმჟამინდელი მემკვიდრე გვაუწყებს. „ქკს უჟ (ე.ი.1810 წელს) აქა რუსთა დაიპყრეს იმერეთი“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4-ე, თბილისი, 1973 წ., გვ. 865).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გურულებმა და მეგრელებმა, „გურიელმა და დადიანმა დიდი დახმარება გაუწიეს რუსთა ჯარებს იმერეთის დაპყრობაში“ (იქვე), თან ისიც ვიკითხოთ, რა პოლიტიკას აწარმოებდა სოლომონ მეორე და რა ელოდა ქვეყანას მისი პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში. არანაირი ვარაუდები, მხოლოდ ფაქტები!

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოლომი II ქართველების დაუძინებელ მტრებს – ოსმალებსა და სპარსელებს უხმობდა საშველად. ამასთან, იგი ატყუებდა ქვეშევრდომებს, რომ ხალხის ნების გარეშე უცხო ჯარებს არ შემოიყვანდა ქვეყნის ტერიტორიაზე (საბჭოეთის დროს ეროვნულ პატრიოტიზმს მონყურებული ქართველი ისტორიკოსები, ისევე, როგორც დღევანდელი, ამერიკის მეხოტბე ქართველი ისტორიკოსები, მიიჩნევდნენ, რომ სოლომონმა ეს იძულებით გააკეთა. შდრ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. 4-ე, გვ. 864). სოლომონის „სასახლოდ“ უნდა ითქვას, რომ მოგვიანებით, 1811 წელს, მან ნაპოლეონთანაც აფრინა წერილები, „ვითარცა უნივერსალურ არბიტრთან“ და მას მფარველობაში მიღებას სთხოვდა („ნარკვევები“, გვ.866). 1810 წლის ივნისში, სოლომონის პროკლამაციების და საკუთრივ კორუმპირებული რუსი მოხელეების თავგასულობის გამო იმერეთში აჯანყება მოხდა. ახალციხის საფაშოდან იმერეთში დაბრუნებული სოლომონი თავადებთან ერთად ჩაუდგა სათავეში ამ აჯანყებას. როგორც ხშირად ყოფილა, ამჯერადაც ისევ ქართველები მონაწილეობდნენ აქტიურად აჯანყებულ ქართველებთან ბრძოლებში. თავდაპირველად ინიციატივას აჯანყებულები ფლობდნენ. მათ დაამარცხეს მაიორ კალატოზიშვილის რაზმი, კალატოზიშვილი მოკლეს; ასევე დამარცხდა სიმონოვიჩის ქუთაისის გარნიზონის დასახმარებლად წამოსული ლევან დადიანი, ისევე, როგორც თბილისიდან გამოგზავნილი გენერალი დიმიტრი ორბელიანი. მის ნაცვლად დანიშნულ ბარონ როზენს ჭეშურას ხეობაში უკვე ახალციხელი თურქების და დაღესტნელების გაერთიანებულ ჯართან მოუწია ბრძოლების გადატანა, რომლებიც ტახტის დაბრუნებისთვის მებრძოლ სოლომონს ეხმარებოდნენ. ამჯერად რუსეთის ჯარებმა იმარჯვეს და თურქ-ლეკები გაანადგურეს. მალე როზენისა და სიმონოვიჩის ჯარებმა აჯანყებულები მთელ იმერეთში დაამარცხეს (ყოველივე ამის შესახებ იხ.: ა. კიკვიძე, გვ.75-76).

ცნობილი ისტორიკოსი აბელ კიკვიძე იმერეთის ამბებს და სოლომონ მეორის მოღვაწეობას ასე აფასებს: „ასეთი მარცხით დამთავრდა სოლომონ მეორის ბრძოლა. მან ისარგებლა ახალი ხელისუფლებისადმი დიდი უკმაყოფილებით და მსხვერპლად შეიწირა დიდძალი ადამიანის სიცოცხლე. ... სოლომონ II იბრძოდა თავისი ხელისუფლებისათვის და რუსეთის წინააღმდეგ იგი თურქეთის ძალებს ემყარებოდა. ამრიგად, ის დასავლეთ საქართველოს მოსპობის საფრთხის წინაშე აყენებდა“ (გვ. 77,-79). რაოდენ განსხვავდებოდა სოლომონ მეორე თავისი ბიძისაგან, თავმდაბალი, სპეტაკი პიროვნების – მეფე სოლომონ პირველისაგან, რომელიც სამარცხვინო „ტყვის სყიდვას“ ებრძოდა და მზად იყო, თავისი სამეფო ტახტი დაეთმო და რუსეთში გადასახლებულიყო, ოღონდაც სულთნისათვის წელიწადში რამდენიმე ათული ქალ-ვაჟი, „ქრისტიანის სული“, ხარკის სახით მონობაში არ გაეგზავნა!) იხ. სოლომონ I წერილი ყიზლარის

კომენდანტ გენერალ პოტაპოვს, 1766 წლის 20 ოქტომბერი – ვალერიან მაჭარაძე: მასალე-ბი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი I, თბილისი, 1988 წ., გვ. 225-226).

2. „ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება ანტიქართული და ანტიეკლესიური მოტივებით იყო ნაკარნახევი“.

საინტერესოა, რომ 1812 წელს რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების მიერ ქართული მართლ-მადიდებელი ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის გაუქმებას დღესდღეობით მეტწილად ლიბ-ერალური იდეოლოგიის, ანტირუსული და სულაც ანტიეკლესიური, ანტიმართლმადიდებლური ორიენტაციის ადამიანები მისტირიან და მომენტს არ უშვებენ ხელიდან, რომ საზოგადოებას ეს ფაქტი შეახსენონ. თანაც, ასეთ ახსნას უძებნიან ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას, რომ იგი ქართველი ხალხის ეროვნული და ეკლესიური ცნობიერების ამოძრკვის მიზნით გადაიდგა.

სინამდვილე შედარებით უფრო რთულია. რუსეთის პირველმა პროევროპელმა ომპერატორ-მა პეტრე დიდმა 1712 წელს საკუთრივ რუსეთში გააუქმა პატრიარქის წოდება და ეკლესია, ევროპული პროტესტანტული ქვეყნის მსგავსად, თავად, როგორც იმპერატორმა დაიქვემდებ-ბარა. ამ ნაბიჯს რუსეთში მრავალი მონინააღმდეგე ჰყავდა და დღესაც აკრიტიკებენ პეტრეს ეკლესიის ამგვარი „რეფორმის“ გამო (მაგ. იხ. ჰტტპს://რუსიდეა.ორგ/25020701), მაგრამ პე-ტრეს საეკლესიო რეფორმა აღიარეს უძველესი ტრადიციების მართლმადიდებელმა საპატრი-არქოებმა – იერუსალიმის, ანტიოქიის, კონსტანტინოპოლის. იმპერეტორმა თავისი გაიტანა და მომხრე სასულიერო პირების დახმარებით აღნიშნული გადაწყვეტილების სისწორის დასაბუთე-ბას უძველესი საეკლესიო ტრადიციების მოშველიებითაც შეეცადა. ასეა თუ ისე, პეტრე და მისი მომდევნო ყველა რუსი მონარქი გახდა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, პატრი-არქობის აღდგენა კი მხოლოდ 1917 წელს, იმპერეტორ ნიკოლოზ მეორის გადადგომის შემდეგ მოხდა (რუსეთშიც და საქართველოშიც).

გამომდინარე აქედან, რუსეთი ვერ დაუშვებდა ერთ სახელმწიფოში ეკლესიის მართვის ორ სხვადასხვა მოდელის თანაარსებობას. ასე და ამრიგად, 1812 წელს გაუქმდა ქართული ეკლე-სიის ავტოკეფალია (თუმცა არც ერთ რუსულ დოკუმენტში ავტოკეფალია და მისი გაუქმება არ არის ნახსენები, არამედ შეიქმნა საეგზარქოსო, რომელსაც გადაეცა ეკლესიის მმართველობი-თი უფლება-მოსილებანი (Антон Рываков: В „области Кесаря“: Проблема статуса и структуры Грузинской Православной Церкви после отмены автокефалии (Первая половина XIX века). „Ab Imperio“, 3/2010, გვ 15). ეს სულაც არ იყო დადებითი მოვლენა, მაგრამ მისი ახსნა ამგვარად შეიძლება. ასევე არ არის გასაკვირი, რომ რუსებმა სომხებს დაუტოვეს ეკლესიის დამოუკიდე-ბლობა კათალიკოსითურთ (სომეხთა კათალიკოსის წოდება მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს, პოლიტიკური მოტივებით გააუქმეს), რადგან სომხური ეკლესია არ არის მართლმადიდებლური და მონოფიზიტი სომხები არ იმყოფებიან ექვარისტულ კავშირში მართლმადიდებელ ხალხებთ-ან, მათ შორის, რუსებთან და ქართველებთან.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რეალურად რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ქარ-თული ეკლესიაც ორად იყო გაყოფილი – მცხეთაში იჯდა ეკლესიის მეთაური, კათოლიკოს-პატრიარქი, დასავლეთ საქართველოს კი გამუსლიმებული აფხაზეთიდან გელათში გადმოსული ბიჭვინთის (აფხაზეთის) კათოლიკოსი მართავდა. „XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის დასაწყისში ყოვლად გაუგონარი ამბავი მოხდა – ქართული ეკლესიის წიაღში წარმოიშვა სეპა-რატიზმი. საბედნიეროდ, ეს არ იყო სარწმუნოებრივი განხეთქილება. ერესი და სექტანტობა უცხო იყო ქართველი ქრისტიანებისათვის. სეპარატიზმი იმაში გამოიხატა, რომ საქართველოს ეკლესიის სამოციქულო საყდრისგან ადმინისტრაციული განდგომა დააპირა მესხეთის ეკლესი-ამ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ზოგიერთმა იერარქმა სამოციქულო ღირსების, მცხეთიდან – თავიანთ ეპარქიებში გადატანის სურვილი გამოამჟღავნა. ეკლესიის დაშლის შემდეგაც დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვა და ყოველგვარი

საეკლესიო ადათი და ჩვევა ძველებურადვე ქართული რჩებოდა. მხოლოდ ეს იყო, რომ წირვისა და ლოცვის დროს სრულიად საქართველოს მეფისა და კათალიკოს-პატრიარქის სახელებს აღარ მოიხსენიებდნენ“ (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია, <http://patriarchate.ge>), ამ გარემოებამ მესხეთის გამუსულმანება და დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის კიდევ უფრო მეტი დასუსტება გამოიწვია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ვასკვნით, რომ, როდესაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ერთიანი საეგზარქოსო დააწესა რუსეთმა, ამ გზით საეკლესიო ორხელისუფლებიანობა გააუქმა და სამომავლოდ ერთიანი ქართული ეკლესიის აღდგენის საფუძველი შექმნა, რაც მოხდა კიდევ 1917 წელს. ამიტომ, სხვა თუ არაფერი, რუსეთის მიერ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაში ანტიქართული მოტივების დანახვა არასერიოზულია ან მიზანმიმართულ პროვოკაციას წარმოადგენს, ხოლო თუ კი ლიბერალებს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება არ მოსწონთ, მაშ, რატომ არ იმეტებენ ერთ საქებარ სიტყვას მაინც სტალინის მისამართით, რომელმაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალია რუსეთის პატრიარქს 1943 წელს ისევ აღიარებინა?

გასათვალისწინებელია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სავალალო მდგომარეობაც, რომელშიც იგი იმყოფებოდა მთელი მე-18 საუკუნის მანძილზე. სწორედ დაკნინებული ქართული ეკლესია იხილეს რუსებმა, რომელთაც ჯერ კიდევ ერეკლე მეფე სთხოვდა, საქართველოში განათლებული სასულიერო პირები მოევიღნათ. ცნობილია, რომ დაახლოებით მე-16-17 საუკუნეებში „აღორძინება დაიწყო პრიმიტიული ხალხურმა რწმენებმა, რასაც დაერთო მთის მოსახლეობის მასობრივი ჩამონოლა, რომელმაც თან ჩამოიტანა მთის ქრისტიანიზებული წარმართობა“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ.10, თბილისი, 1986წ, გვ. 556). ქართულმა ავტოკეფალურმა ეკლესიამ ბევრად უფრო ადრე დაკარგა ყველა უძველესი მონასტერი ათონის მთაზე და პალესტინა-იერუსალიმში, ვიდრე საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა და რუსეთის ხელისუფლება აქ ავტოკეფალიასა და პატრიარქობას გააუქმებდა. ეს სავალალო ფაქტიც დალხენილი ცხოვრებისგან არ მომხდარა. ეკლესიის დაქვეითება ყველა მიმართულებით ღრმავდებოდა. განსაკუთრებით, კატასტროფული ვითარება დასავლეთ საქართველოში ოყო, სადაც საეკლესიო კათედრები და საეკლესიო ცხოვრება ბევრ, უნინ ძლიერ ქრისტიანულ ცენტრში საერთოდ მოიხსო (იქვე). მე-17 საუკუნის მიწურულიდან „ტყვის სყიდვაში“ თავადაზნაურობასა და გააბრაგებულ გლეხობასთან ერთად ცალკეული ეპისკოპოსებიც მონაწილეობდნენ(!) (ნიკო ბერძენიშვილი – საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, თბილისი 1973 წ., გვ. 274).

გარდა ამისა რუსეთთან ქართული სამეფო-სამთავროების შეერთებამდე სასულიერო პირების დიდი ნაწილი – მღვდლები და დიაკვნები ყმები იყვნენ, ისინი თავადების ყმებად იდგნენ და იხდიდნენ შესაბამის ბეგარასა და ღალას (Епископ Кирион: Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие. Тифлис, 1901 г., გვ. 262-264). ამ უცნაურობის შემხედვარე იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1808 წლის 7 ივლისს უბრძანა აღმოსავლეთ საქართველოს მთავარმართებელს, გრაფს, გენერალ ივან გუდოვიჩს, რომ ყმობის მდგომარეობიდან და საბატონო გადასახადებიდან სამუდამოდ გაეთავისუფლებინა სასულიერო წოდების წარმომადგენლები, ეს ღონისძიება ოდნავ მოგვიანებით იმერეთშიც განხორციელდა (იქვე).

რუსეთის ადმინისტრაცია საქართველოში 1802 წლის 12 აპრილს დამკვიდრდა, 9 აპრილს უმაღლესი მმართველობის უფროსად დანიშნული გენერალი კნორინგი ამაღლის თანხლებით დიდი ზეიმით შემოვიდა თბილისში. მათ წინ უძღოდა ქართველთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სინმინდე – წმინდა ნინოს ჯვარი, რომელიც „ოსმალისა“ და „ციზილიაში“ ხანაში ჯერ გადაუმაღლავთ, შემდგომ კი რუსეთში გაუტანიათ და მოსკოვში ვახტანგ მეექვსის შთამომავლის, ბაქარ ბაგრატიონის განკარგულებაში აღმოჩენილა. ბაქარის შვილიშვილმა, გიორგიმ, 1801 წელს ჯვარი გადასცა იმპერატორ ალექსანდრეს. იმპერატორმა საჭიროდ მიიჩნია, რომ საეკლესიო სინმინდე – ვაზის ჯვარი, საქართველოში დაბრუნებულიყო. ეს ჯვარი დღესაც თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარშია დასვენებული.

რუსეთის იმპერია ქართველთა რწმენას უპატივცემულოდ არასოდეს ეპყრობოდა, ქართველთა რწმენა რუსების რწმენაც არის. რუსეთის შემადგენლობაში ქართველობამ, დაკარ-

გული ავტოკეფალიის მიუხედავად შეინარჩუნა მთავარი – ქრისტიანობა. ეკლესიამ კი მე-19 საუკუნის მანძილზე და მე-20 საუკუნის დასაწყისში არაერთი ღირსეული ქართველი სასულიერო მოღვაწე აღზარდა. მათ შორის უდავოდ არის ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც 1917 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი გახდა კირიონ მეორის სახელით. თავისი ეპისკოპოსობის პერიოდში 1900-იან და 1910-იან წლებში კირიონს ბევრი უსიამოვნება აქვს გადატანილი იმპერიის ადმინისტრაციისაგან, რადგან ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის იღვწოდა. კირიონს ზედმეტ „რუსოფილობაში“ ბრალს ვერავინ დასდებს. საინტერესოა, რომ 1917 წელს პატრიარქად ზარ-ზეიმით აღსაყდრებული კირიონი 1918 წლის 27 ივნისს ე.ი. საქართველოს „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების შემდეგ ერთი თვის თავზე ტყვიით განგმირული იპოვეს. უკეთურნი პატრიარქის მკვლელობას არ დასჯერდნენ და მას ხმა გაუვრცელეს, თავი მოიკლაო (სერგო ვარდოსანიძე – სრულიად საქართველოს პატრიარქი კირიონ II 1917-1918 წწ. <http://patriarchate.ge>). პატრიარქ კირიონის მკვლელობა „დამოუკიდებელი“ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ საგულდაგულოდ მიჩქმალა და გამოუძიებელი დატოვა. ჩვენში ყველანაირი ბოროტების რუსებზე გადაბრალება ტრადიციად იქცა, მაგრამ წმინდა კირიონ მეორის მკვლელობის შემთხვევაში ხელს რუსეთისკენ ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ვერ გაიშვერს. ეჭვი ისევ ილია ჭავჭავაძის მკვლელებზე – „დამოუკიდებელი“ საქართველოს მმართველ მენშევიკებზეა.

და აი, რუსეთის ადმინისტრაციასთან დაპირისპირებული მომავალი პატრიარქი და წმინდანი, ჯერ კიდევ გორის ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი 1901 წელს გამოსცემს რუსულენოვან წიგნს, რომელშიც მე-19 საუკუნის საქართველოს ეკლესიისა და საეგზარქოსოს ისტორია აღწერილი. წიგნში მოყვანილი ფაქტები პირველწყაროებს ეფუძნება და მათი სანდოობა ეჭვს არ იწვევს. კირიონი მიუხედავად პრობლემებისა მეფის რუსეთთან ობიექტურად აღწერს ყველა იმ დადებით მხარეს, რაც რუსმა ეგზარქოსებმა თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე გამოავლინეს. ამის გაკეთებას კირიონს არავინ აძალებდა, იგი ამას გულწრფელად წერს (იხ. Епископ Кирион, დასახ. ნაშრ., გვ. 17-32).

ურაპატრიოტული პროპაგანდით გაჟღენთილ დღევანდელ ქართულ საზოგადოებას ეგზარქოსობის მოღვაწეობიდან მხოლოდ ეგზარქოს პავლეს მიერ ქართველი ერის „დაწყველასთან“ დაკავშირებული ამბავი გაუგონია და არაფერი იცის იმ დადებით მოვლენებზე, რომელთა შესახებ ეპისკოპოსი კირიონი წერს.

3. „რუსებმა ქართული ფრესკები ჩვენი რუსიფიკაციის მიზნით შეათეთრეს“.

პალესტინისა და ათონის მთის ქართული მონასტრების გამყიდველების სულიერი შთამომავლები ხშირად წუნუნებენ რუსების მიერ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რამდენიმე ტაძარში კირით შეთეთრებული ქართული ფრესკების გამო. სამწუხაროდ, ასეთივე პათოსით არის შედგენილი სვეტიცხოვლის ტაძრის ისტორია ერთ ქართულ მართლმადიდებლურ ვებგვერდზე, მაგრამ აქაც კი ავტორი, ფაქტობრივად აღიარებს, რომ ფრესკების კირით შეთეთრება მიზნად არ ისახავდა მათ გაფუჭებას, არამედ ფრესკები მათ შეთეთრებამდე, დროთა განმავლობაში ძლიერ დაზიანებული იყო და შეკეთებას საჭიროებდნენ (ვალერიან მამუკელაშვილი – სვეტიცხოველი – ნიჭის ღვთიური ქმნილება – <http://www.orthodoxy.ge>). შეიძლება გამოვთქვათ საყვედური რუსების მიმართ, რომ სარესტავრაციო სამუშაოები რიგ შემთხვევებში არასწორად წარმართეს, მაგრამ მათ ღვანლსაც ნუ დავივინყებთ ისტორიული ქართული ფრესკების რესტავრაციის საქმეში (მაგ. თუნდაც გრიგორი გაგარინის მიერ თბილისის სიონში დახატული ქართველი წმინდანების ფრესკები, მ. ნესტეროვის შემოქმედება აბასთუმანში, იმავე სვეტიცხოველში ი. პიჩის მიერ რესტავრირებული ფრესკები და სხვ.).

შეთეთრებულ ფრესკებზე „დამწუხრებულთ“ კი შევეკითხოთ: იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის უნიკალური ფრესკაც რუსებმა ხომ არ გაანადგურეს? თუ იქნებ, ჯვრის მონასტერი გაგვიყიდეს რუსებმა?

4. რუსებმა გააუქმა საქართველოს ცნება, იგი გაჰყო და ორ გუბერნიად აქცია“.

რუსეთის შემადგენლობაში მართლაც მოხდა საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა ტი-

ფლისის და ქუთაისის გუბერნიებად, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა ქართველების სამშობლოს – საქართველოს ცნების წაშლას. თვით რუსეთის იმპერატორის ტიტულატურის შემოკლებულ ვერსიაში ფიგურირებდა ცნება „საქართველო“. მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის ბოლო იმპერატორი ნიკოლოზ II ასე იწოდებოდა: „Император и Самодержец Всероссийской, Московский, Киевский, Владимирский, Новгородский; Царь Казанский, Царь Астраханский, Царь Польский, Царь Сибирский, Царь Херсониса Таврического, Царь Грузинский, Великий Князь Финляндский и прочая, и прочая, и прочая“ (ცნობა რუსული „ვიკიპედიაიდან“, უფრო ადრინდელი იმპერატორები, მაგ. ალექსანდრე I, „ივერიის და ქართლის მიწების თვითმპყრობელებად“ იწოდებოდნენ). ამის შემდეგ როგორ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ „საქართველო“ რუსებმა წაშალეს ჩვენი ერის ცნობიერებიდან?! უზარმაზარი იმპერიის მეთაური თავს „საქართველოს მეფეს“ უწოდებდა და საქართველო ფინეთზე წინ არის ჩამონათვალში! რუსმა კლასიკოსებმა, დიდმა პუშკინმა და ლერმონტოვმა საქართველოს სახელი კიდევ ერთხელ გაიტანეს მსოფლიოში, საქართველოს ახსენებენ და დიდი პატივით მოიხსენიებენ იმპერიის სამხედრო ისტორიკოსები: ფადეევი, დუბროვინი, პოტო და ბევრი სხვა. აი ასე „გააქრეს“ რუსებმა საქართველოს ხსენება.

რაც შეეხება ქვეყნის „გაყოფას“, ელემენტარულ დემაგოგიასთან გვაქვს საქმე, როდესაც ადმინისტრაციულ დაყოფას უტოლებენ ქვეყნის დანაწევრებას (აქვე დავძენთ, რომ ტიფლისის გუბერნია უზარმაზარ ტერიტორიებს მოიცავდა, რომლებიც შორს სცდებოდა ეთნიკური საქართველოს ფარგლებს). პირიქით, საქართველი „შეიკრიბა“ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. სამეფო-სამთავროებად დანაწევრებული საქართველო ორ გუბერნიაში გაერთიანდა, მათი ცენტრი ჩვენი ქვეყნის ისტორიული დედაქალაქები გახდა. რუსული ჯარის წყალობით საქართველოს დაუბრუნდა გათურქებული და გაუცხოებული სამცხე-ჯავახეთი, ასევე აჭარა (დროებით ტაო-კლარჯეთიც).

დიდი დაუკვირვებლობა ასევე, როდესაც მავანნი რუსეთის იმპერიას სდებდნენ ბრალს ვითომდა სამეგრელოს სეპარატიზმის გაღვივებაში. სამეგრელოს სამთავრო რუსეთმა შეიერთა და შემდგომ გააუქმა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. ის, რომ რუსი ჩინოვიკების დავთრებში სამეგრელოს მცხოვრებნი მეგრელებად აღირიცხებოდნენ და არა ქართველებად, სეპარატიზმის მხარდაჭერას არასგზით არ ნიშნავს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეგრელოს არ ჩართავდნენ ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში (ისევე როგორც აფხაზეთს, რომელზეც ქართველ მეფეებს უკვე რამდენიმე საუკუნის მანძილზე ჰქონდათ კონტროლი დაკარგული).

აი, ასეთი სურათი იხატება ანტირუსულ სტერეოტიპებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელოვნურად ინერგება და გამიზნულია ქართველ ადამიანს ხელი შეუშალოს თავისი სამშობლოს ისტორიის ობიექტურ გააზრებაში. მეფის რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის პერიოდთან დაკავშირებული სტერეოტიპები ამ სტატიაში წარმოდგენილი ფაქტებით არ ამოიწურება. დღემდე მოდაშია საბჭოთა დროის მარქსისტული თეზისი საქართველოს „კოლონიზაციის“ შესახებ, რომ მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი, რომელმაც აურაცხელი სიკეთე მოუტანა თბილისს „კოლონიალურ პოლიტიკას“ აწარმოებდა და ა.შ. (ვორონცოვის ძეგლი თბილისში 1922 წელს ბოლშევიკებმა დაანგრიეს) ასევე ლვივის არამარქსისტული, მაგრამ კიდევ უფრო აბსურდული ბრალდებები საქართველოს დიდი მოამაგის ალექსანდრე გრიბოედოვის მიმართ, თითქოს მას ჩვენი ქვეყნის „გასომხება“ ჰქონდა გადაწყვეტილი (არადა, თვით ერეკლე მეფე ასახლებდა აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ გაუკაცრიელებულ ადგილზე სომხებს, რათა ვაჭრობა გამოეცოცხლებინა), ზოგი იქამდეც მიდის, რომ გრიბოედოვს წინო ჭავჭავაძის გაუპატიურებას აბრალებს... რას ვიზამთ, დემოკრატიაა და ვერ დავუშლით „ამერიკათუმი“ პროპაგანდისტებს, იყბედონ და წერონ თავიანთი სისულელები, მაგრამ ჩვენ, ხალხმა, სიმართლე უნდა ვიცოდეთ ჩვენი ისტორიის შესახებ და თუნდაც მწარე სიმართლის აღიარება მოვახერხოთ. მხილოდ ამ შემთხვევაში აქვს საქართველოს უკეთესი მომავლის შანსი.

2018 წლის მაისში შესრულდება 100 წელი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან.

ეს აქტი განახორციელა საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ და ამით დიდებული საქმეც გააკეთა. თუმცა, არა მარტო გარეძალების ზენოლის, არამედ საკუთარი შეცდომების გამო ბოლომდე მისი დაცვა ვერ შესძლო.

მიუხედავად ყველაფრისა, გავლელულ კვალს ჰქონდა უაღესად დიდი მნიშვნელობა.

„ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ და კრებული „მატიანე“ მკითხველს სთავაზობს წინასიტყვაობას გენერალ გიორგი კვინიტაძის მოგონებებიდან „საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921 წ.წ.“ გამოცემულია ორ ტომად. „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების“ მიერ 1998 წელს.

ნაშრომი, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის თბილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის, ვერმახტის გენერლის შალვა მაღლაკელიძის მოგონებებთან და მენშევიკური ხელისუფლების ნაფიცი ექსპერტის პროფესორ ზურაბ ავალიშვილის შრომებთან ერთად, რომლებიც იმ დროს იყვნენ არა უბრალო გარემამყურებლები, არამედ უმაღლესი რანგის ხელისუფლების წარმომადგენლები იძლევა მყარ, ობიექტურ ისტორიულ მასალასა და შეფასებებს 1918-1921 წლებში განვითარებულ მოვლენებზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს არა მარტო მითითებული პერიოდის შემსწავლელთათვის, არამედ აღნიშნული პერიოდით დაინტერესებულ პირთათვის.

მოგონებების ავტორი ცნობილი ქართველი გენერალი გიორგი კვინიტაძე მენშევიკური ხელისუფლების დროს სარდლობდა ქართულ ჯარს და ხელმძღვანელობდა რუსეთის არმიების წინააღმდეგ ქართველთა საბრძოლო ოპერაციებს. დავესესხებით თავად თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელის შეფასებებს, სადაც იგი აღნიშნავს: „გენერალი გიორგი კვინიტაძე რუსეთის საიმპერიო არმიის ისტორიაში შევა როგორც შემდგარი მთავარსარდალი, სააქართველოს ისტორიაში კი როგორც ქვეშაირი პატრიოტი. ეს სტრიქონები დართული აქვს ბატონი გიორგი კვინიტაძის მოგონებებს.“

გენერალი გიორგი კვინიტაძე

საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921 წ.წ.

წინასიტყვაობა

ჩემი მოგონებები მოგიტხრობთ საქართველოში მომხდარ მოვლენებზე 1917 წლის რევოლუციის დღიდან იმ დღემდე, როცა ნოე ჟორდანიას მთავრობამ 1921 წლის 16 მარტს დამპყრობელთან ზავს მოაწერა ხელი სამტრედიისში.

ამ დროის განვალბობაში არაერთხელ დამნიშნეს ქართული ჯარის მეთაურად.

ვინაიდან ეს მოვლენები ტენდენციურად და არასწორადაა აღწერილი როგორც უცხოურ, ისე ქართულ პრესაში, თავი მოვალედ მივიჩნე, პარიზში ჩასულს, 1922 წელს, დამეწერა ეს მოგონებები.

ვინც ყურადღებით წაიკითხავს მოგონებებს, თვალწინ წარმოუდგება ჩვენს ხელისუფალთა მოღვაწეობა. ალბათ მათ კეთილი ზრახვები ამოძრავებდათ, მაგრამ მხოლოდ მეოცნებენი იყვნენ და ჭაბუკური გატაცებით ბაძავდნენ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციას, ისიც მხოლოდ გარეგნულად.

ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ, რის შედეგადაც იოლად ჩაიგდეს ხელთ ნამდვილი ძალაუფლება მუშებისა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოში – ჯერ ამიერკავკასიაში, მერე ამიერკავკასიის რესპუბლიკასა და ბოლოს, საქართველოში.

1918 წლის გაზაფხულზე, გერმანელების მიერ რუსი ბოლშევიკებისთვის თავსმოხვეული

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებისას ჩვენი ხელისუფალნიც მიიწვიეს ბრესტ-ლიტოვსკში, მაგრამ მათ გამგზავრებაზე უარი განაცხადეს იმ საბაბით, ამიერკავკასია რუსეთის განუყოფელი ნაწილიაო. არადა, თითქოს სწორედ ამ საბაბით უნდა მიეღოთ მიწვევა, თუ საქართველოს ინტერესებზე საუბარი სურდათ.

საბაბი მცდარი იყო, ვინაიდან უკრაინა და პოლონეთი უკვე გამოყოფილიყო რუსეთისაგან, აქ ძალას იკრებდა სამოქალაქო ომი, რომელიც მხოლოდ 1920 წელს დასრულდა ბოლშევიკების გამარჯვებით.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიხედვით ამიერკავკასიამ დაკარგა ყარსი, არდაგანი და ბათუმი, ისინი თურქეთს გადაეცა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკას სურდა ამ ოლქების შენარჩუნება და მოლაპარაკება წამოიწყო თურქებთან – ჯერ ტრაპიზონში, შემდეგ ბათუმში.

1918 წლის 24 მაისს თურქებმა ჩვენს მთავრობას ულტიმატუმი წაუყენეს და დაემუქრნენ, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობებს თუ არ აღიარებთ, საბრძოლო მოქმედებას დაიწყებთ.

ამ ულტიმატუმის შედეგად ჩვენი მთავრობა იძულებული გახდა მოლაპარაკების გასაგრძელებლად, ახალი ფაქტორის შესაქმნელად 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოეცხადებინა (იხ. ავალიშვილი, „საქართველოს დამოუკიდებლობა“, გვ.57).

თურქებთან შემდგომი მოლაპარაკებისას ჩვენი მთავრობა იძულებული გახდა დაედო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით თურქებს ახალციხე და ახალქალაქი დაუთმო. 1918 წლის 4 ივნისს ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს მთავრობის პირველმა თავმჯდომარემ ნ. რამიშვილმა, გ. გვაზამ, გ. რცხილაძემ, გენერალმა – ი. ოდიშელიძემ (თურქეთთან სამეგობრო და სამშვიდობო ხელშეკრულება).

1917 წლიდან, რევოლუციის დღიდან, ჩვენი მთავრობა სომხეთის წარმომადგენლებს პირდებოდა იმ ოლქების გადაცემას, სადაც მოსახლეობის უმეტესობა სომხები იყვნენ, ე.ი. ბორჩალოსა და ახალქალაქს.

ამ პირობის შესრულებაზე ჩვენმა მთავრობამ უარი რომ თქვა, სომხები თავს დაგვესხნენ და ხელისუფალნი იძულებული გახდნენ ომი დაეწყოთ. თავდასხმის მოგერიებაც მოვახერხეთ და სომხურ ჯარს შევუტით კიდეც, როცა ჩაერივნენ უცხოელები (ორი კაპიტანი) და მოითხოვეს საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა.

სომხებმა 1918 წლის 8 დეკემბერს შემოგვიტიეს. ამჯერად უცხოელები არ ჩარეულან და არ შეუჩერებიათ სომხები, როცა ისინი თავს დაგვესხნენ. მაგრამ თვის ბოლოს, როცა არამარტო მოვიგერიეთ სომხები, არამედ შეტევაზეც გადავედით, ჩაერივნენ და შეაჩერეს საომარი მოქმედებები. რასაკვირველია, საჭირო იყო საომარი მოქმედებების გაგრძელება.

საინტერესოა ამ ომის შედეგი. მთავრობამ, ჩვენი წარმატების მიუხედავად, ჩვენი ბორჩალოს ოლქი სადავო ზოლად აღიარა.

ეს ოლქი ოდითგან საქართველოს ეკუთვნოდა; ამ ოლქის მიწები ეკუთვნოდა (ოდა) ქართველ მემამულეებს – ორბელიანებს, ბარათაშვილებს, მელიქიშვილებს, საგინაშვილებს, მაღალაშვილებს და სხვებს.

სომხები ამ ოლქში უმრავლესობას შეადგენდნენ, რადგან ისინი თურქეთიდან იყვნენ ლტოლვილები. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ თურქეთიდან ლტოლვილი სომხები რუსთა ხელისუფლებამ ჩამოსახლა არა მარტო ამ ოლქში, არამედ ქართლსა და კახეთშიც. 1853-1855 წლების ყირიმის ომის შემდეგ 90 000 სომეხი ლტოლვილი ჩამოგვისახლეს.¹

¹ ცნობისათვის: XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედშიც სომხების საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკის სულის ჩამდგმელი და განმახორციელებელი იყო ივ.ხატისოვი, რომელიც 1865 წლიდან 1875 წლამდე ამიერკავკასიის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს გავლენიან პირად ითვლებოდა, ხოლო 1885-1893 წლებში სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა, რომლის დახმარებითაც ბევრი სომეხი ჩამოსახლდა საქართველოში, ბორჩალოში, ჯავახეთში და შავი ზღვის სანაპირო რაიონებში (რედ. შენიშვნა).

რაკი სომხეთი ყალიბდებოდა, თავისუფლად შეიძლება მათთვის შეგვეთავაზებინა, რომ სომხები ამ ოლქიდან საკუთარ ქვეყანაში გადაესახლებინათ; ქართველთა კუთვნილი მიწა არ უნდა გაგვეცა და სადავო არ უნდა გაგვეხადა.

საერთოდ, ჩვენი მთავრობა ძალიან თავქარიანად ექცეოდა ძველთაძველ ქართულ მიწას. ზაქათალა აზერბაიჯანს გადასცეს; არდაგანი – ძველი ქართული მიწა, რომელიც 1919 წელს ახალციხე-ახალქალაქის აჯანყების შემდეგ დავუბრუნეთ საქართველოს — სომხებს; არდაგანი გახლდათ მაჰმადიანი ქართველებითა და რუსებით დასახლებული ოლქი და სომხებს არავითარი უფლება არ გააჩნდათ ამ მიწაზე. იქ სულ რამდენიმე სომხური ფარდული ედგათ.

მკითხველი თვალნათლივ დაინახავს, რომ ჩვენი მთავრობა სახელმწიფო ინტერესებს არად დაგიდევდათ და ისე არიგებდა ჩვენს ოლქებს, როგორც არიგებს თავის ქონებას კაცი, რომელმაც მოულოდნელად უზარმაზარი მემკვიდრეობა მიიღო და ყველას უნანილებს, ვინც მარჯვედ სთხოვს საჩუქარს.

1920 წელს მოვახერხეთ ბოლშევიკების პირველი თავდასხმის მოგერიება, შეტევაზე გადავიდით და უკვე აღსტაფამდე ვიყავით მისულები, როცა მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ ომი შეწყვიტა და ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას შეუდგა.

ეს გახლდათ ერთადერთი, გამორჩეულად ხელსაყრელი შემთხვევა, რომ გაგვეთავისუფლებინა აზერბაიჯანი და სომხეთი მათი დამპყრობლებისაგან – ბოლშევიკებისაგან, შეგვეძლო, მთელი ამიერკავკასია და იქნებ დაღესტანიც გაგვეწმინდა, 1920 წელი იდგა, პოლონეთი რუსეთს ეომებოდა და ვრანგელი ყირიმიდან გამოვიდა.

გამაოგნებელი და გაუგებარია ჩვენი მთავრობის საქციელი. როგორ შეიძლება, სახელმწიფოს მართავდე და ასეთი შეცდომები მოგდიოდეს? თუმცა, ვინ იცის, ვითომ შეცდომები იყო?

საშინაო პოლიტიკაში მმართველთა მთავრი საზრუნავი გახლდათ: ხალხში სოციალიზმის დანერგვა, არარსებული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ზომების მიღება და ეგრეთ წოდებული რევოლუციის მონაპოვარის დაცვა.

მკითხველი აქაც დაინახავს სასაცილო ღონისძიებებს, როგორც იყო, მაგალითად, „მუშათა სასახლე“ თბილისის მთავარ ქუჩაზე; ამ ღონისძიებაზე არც ერთი მუშა არ მოსულა. ან პურის ფასი მუშებისთვის – გირვანქა ხუთ მანეთად, როცა ობივატელი ასორმოცდაათ მანეთს იხდიდა.

რასაკვირველია, არ შეიძლება მხარი არ დაუჭიროო სოციალიზმის ზოგიერთ დებულებას. როგორცაა, მაგალითად, მუშათა და გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, მაგრამ ეს გონივრული ღონისძიებები უფროა, ვიდრე სპეციალურად სოციალისტური ხასიათის ცვლილებები. არ შეიძლება სოციალიზმი დასწამო ჰენრი IV -ს, ან ყველა მემამულეს, ვინც თავისი გლეხების ყოფის გაუმჯობესებაზე ზრუნავს.

არარსებული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად მოღვაწეობამ შეაქმნევინა მმართველებს ანომალური შეიარაღებული ორგანიზაცია: გვარდია – ჯერ წითელი, მერე სახალხო.

საქართველოში აზრადაც არავის მოსვლია რევოლუციისა და მის მონაპოვართა წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან ეროვნული ქართული ერთეულის შექმნა ყოველი ქართველის სანუკვარი ნატურის აღსრულება იყო. გრძნობა, რომლის გამოც თავადაზნაურობამ (ბანკმა) თავისი ქონება ეროვნულ საკრებულოს გადასცა, მმართველებმა ვერ გაიგეს, რადგან მეტისმეტად იყვნენ გამსჭვალულნი მატერიალისტური მოძღვრებით. თვითონ ნ. ჟორდანიაც ამბობს მოგონებების წიგნში „ჩემი წარსული“, რომ აქ არასოდეს არ მდგარა ეროვნული საკითხი.

კონტრრევოლუციისა და რევოლუციის მონაპოვართა დაკარგვის შიშმა იქამდე მიიყვანა მთავრობა, რომ გვარდიის შემადგენლობა, მიღებული კანონის სანააღმდეგოდ, 24 ბატალიონამდე გაზარდეს, რაც საზიანო იყო სამხედრო ორგანიზაციისათვის.

აქ ერთი-ორი სიტყვა უნდა დავამატო ზოგიერთი რესპუბლიკური ჩვეულების მიბაძვაზეც.

მაშინ, როცა მეზობელ ამიერკავკასიურ სახელმწიფოებში სამხედრო ორგანიზაციას მეთაუ-
რებდნენ: აზერბაიჯანში გენერლები – მეხმანდუროვი და შიხლისნსკი, სომხეთში – გენერალი
ნაზარბეგოვი, ჩვენი მთავრობა სამხედრო მინისტრად ნიშნავდა ხან სახალხო მასწავლებლებს,
ხან საერო მოღვაწეს, ხან ექიმს, ოღონდ მეთაური სოციალ-დემოკრატი ყოფილიყო. ერთ-ერთი
მათგანის თანაშემწე გახლდით; ერთხელ, ბატალიონის გასტუმრებისას, მეთაურს ვუთხარი, ორი
ქვემეხი წაიღე-მეთქი და სამხედრო მინისტრმა მკითხა: „ბატონო გიორგი, ორი ქვემეხი რამდენი
ზარბაზანია?“ – ეგეც თქვენი ჯარის „აღმშენებელი“ და „მეთაური“.

გვარდიის, როგორც სამხედრო ორგანიზაციის შექმნა იყო უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი
მთავარი მიზეზი ჩვენი კატასტროფისა. ბრძოლის ველზე გვარდია ან უარს ამბობდა ომზე, ან
იქაურობას ტოვებდა, მაშინაც კი, თუ ბრძოლას ვიგებდით. ასე მოხდა 1918 წელს – სომხურ-
ქართული ომის დროს, 1919 წლის ახალციხის ლაშქრობაში, 1920 წელს, პირველ ომში, ბოლ-
შევიკების წინააღმდეგ – ხაშურის ბრძოლაში, როცა ჩვენი წარმატებული შეტევის მიუხედავად,
გვარდია თვითნებურად აიყარა ბრძოლის ველიდან და სურამის ქედის გადაღმა, წიფას მიაშურა.

გვარდია პრივილეგირებული ორგანიზაციიდან სწრაფად გადაიქცა პრეტორიანულ ორგა-
ნიზაციად, რომელიც ქვეყანას ზიანს აყენებდა. აი, რა მოსდევს საკუთარი გატაცებების ბრმად
აღსრულებას.

**ახლაც კი, 1961 წელს, 40-წლიანი ემიგრაციის შემდეგ, სოციალ-დემოკრატია კვლავაც ტრამ-
პაობს, დამფუძნებელ კრებაზე 90% შევადგინეთ და ხალხი ჩვენ გვიჭერდა მხარსო. ვითომ ასეა?**

**1914 წელს რუსეთის მთავრობამ 155.000 ქართველი გაიწვია ჯარში. სად იყო ეს 155.000 ქართვე-
ლი 1921 წელს, როცა რუსებს ვეომებოდით?**

**დამფუძნებელ კრებაში სოციალისტთა 90%-ის მიუხედავად, ხალხი უკვე აღარ მოჰყვებოდა ჩვენს
ხელისუფალთ, რადგან მიხვდა, რომ მათ მმართველობას ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა.**

მთელ ქვეყანაში ენციობოდა გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ – სამეგრელოში, დუშეთში,
ოსეთში, ხევში, ახალციხეში, აჭარაში. ამ გამოსვლებს სამხედრო ძალით აშოშმინებდნენ და მთავ-
რობა მათ ბოლშევიკურ გამოსვლებს არქმევდა. არადა, საეჭვოა, რომ მოსახლეობას სცოდნოდა
საერთოდ ბოლშევიზმის ან მენშევიზმის რაობა და მათ შორის განსხვავება.

ხალხმა გაიგო ამ მთავრობის ამბავი და გაეცალა, ვინაიდან 1920 წლის 7 მაისს ჩვენს ყოფილ
და მომავალ დამპყრობთან, საქართველოში რუსიფიკაციის დამნერგავთან სამეგობრო ხელშეკ-
რულების დადებას შეუძლებელია მოსახლეობისთვის თვალი არ აეხილა.

მინის რეფორმა არ აკმაყოფილებდა გლეხებს, ეკონომიკურად და ფინანსურად კი უფსკრუ-
ლისკენ მივექანებოდით.

**მთავრობას არც ერთ ფენაში აღარ შემორჩა არც ავტორიტეტი და არც, რასაკვირველია, პოპუ-
ლარობა. ჩვენს ხელისუფალთ არ სურდათ არმიის შექმნა, რაც საკმაოდ იოლი იყო – საქარ-
თველოში გვყავდა ბრწყინვალე და მრავალრიცხოვანი ოფიცრობა, რომელსაც რუსთა ჯარში
ჰქონდა გავლილი სამხედრო სამსახური. მმართველები – „მშვიდობის ადეპტები“ – სამი წლის
განმავლობაში ეწეოდნენ ომს შინ და გარეთ. ვებრძოდით ოსებს, ახალციხის მოსახლეობას,
აჭარლებს, აგრეთვე სომხებს, დენიკინელებს, თურქებს, ორჯერ – რუსებს. ყოველთვის მოუ-
ლოდნელად გვესხმოდნენ თავს და მხოლოდ ბრწყინვალე, სამშობლოსთვის უანგაროდ თავ-
დადებული ოფიცრობა და მოსახლეობის პატრიოტიზმი გვშველოდა. მკითხველი დაინახავს,
თუ როგორ „დაუფასეს“ ღვანლი მმართველებმა ჩვენს ოფიცრობას. რაც შეეხება მოსახლეო-
ბას, 1921 წლის 16 მარტს ბოლშევიკებთან ხელშეკრულების დადებით ნ. ჟორდანიამ ხალხს ულა-
ლატა და ბოლშევიკებისა და მათი საშინელი ოპერაციების ხელში ჩააგდო. ასეთია საქართველოში
მენშევიკთა მმართველობის პირქუში ფურცელი.**

გარკვეულმა სიძნელეებმა შესაძლებლობა არ მომცა, დროულად გამომეცა ჩემი მოგონე-
ბები. ტროცკი თავის მემუარებში გულახდილად ამბობს, რევოლუციის მოსახდენად უნდა
იცრუოო. საქართველოში მომხდარი მოვლენების აღწერისას მხოლოდ სიმართლეს ვიტყვი
და ეს იქნება უკანასკნელი სამსახური ჩემი ხალხისადმი, რომელმაც თავად იწვინა მენშევიკი
რევოლუციონერები.

სტატია ეხება გამოჩენილ მეცნიერსა და მკვლევარს, პატრიოტს, ფესტოსის დისკოს, კოლხური ოქრო-დამწერლობის ნიმუშის გამშიფრავს, პროფესორს ბატონ გია კვაშილავას, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს კრებულ „მატიანესთან“, რისთვისაც „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ უზარმაზარ მადლიერებას გამოხატავს ბატონი გიას მისამართით.

გოგი ფაცაცია
სიმონ ზაქარაია

საერთაშორისო კონფერენცია კემბრიჯის უნივერსიტეტში და ქართველი მეცნიერის მორიგი წარმატება

მცირე ცნობები კემბრიჯის უნივერსიტეტის შესახებ:

უნივერსიტეტი მდებარეობს დიდ ბრიტანეთში, ლონდონიდან 80 კმ-ის დაშორებით, ის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი უნივერსიტეტებს შორის, დაარსებულია 1209 წელს. 2017 წელს აქ სხვადასხვა სპეციალობაზე სწავლობდა 19 600 სტუდენტი, სწავლა ფასიანია. წლიური დამოუკიდებელი ბიუჯეტი 2015-16 წ.წ. 2 მილიარდ დოლარს აღწევდა. უნივერსიტეტი შედგება 31 კოლეჯისაგან, შენობების უმრავლესობა ძველია 2-3-4- სართულიანები, გარდა ერთეულებისა. აქ, ტრადიციულად ყოველგვარი ოპტიმალური პირობებია შექმნილი სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის. მან არსებობის 800 წლის მანძილზე მრავალი საერთაშორისო მნიშვნელობის წარმატებებით გაითქვა სახელი. აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ ფრენსის ბეკონი (1561-1626); ისაკ ნიუტონი (1642-1727); ჩარლზ დარვინი (1809-1882); ჯეიმს მაქსველი (1831-1879); ერნესტ რეზერფორდი (1871-1937) და სხვ. უნივერსიტეტმა მსოფლიო საზოგადოებას მისცა 91-ზე მეტი ნობელის პრემიის ლაურეატი.

უნივერსიტეტში ტრადიციულად ისწავლება ბიბლია და მათემატიკა, რა თქმა უნდა, მსოფლიოს მეცნიერული სამყარო, ასეთი პრესტიჟული ყოველმხრივ უზრუნველყოფილი დაწესებულებისაგან, როგორც კემბრიჯის უნივერსიტეტი, მუდმივად ელის ახალ მნიშვნელოვან აკადემიურ წარმატებებს.

გია კვაშილავას მონაწილეობა კემბრიჯის საერთაშორისო კონფერენციაზე: კონფერენციის სამუშაო პროგრამაში, ბატონი გია კვაშილავა იყო მომხსენებელი და ერთ-ერთი სამეცნიერო სექციის თავმჯდომარე, რაზედაც ორი სერთიფიკატით იქნა დაჯილდოებული.

გ. კვაშილავას მოწვევა და წარმატებები მოულოდნელი არ ყოფილა კონფერენციის ორგანიზატორებისა და დარგის სპეციალისტებისათვის, რადგან იგი უკანასკნელ წლებში აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე, რომელიც ეხება უძველესი წარწერების ამოკითხვის პრობლემებს. სწორედ მან ათი წლის წინათ 2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ლონდონის ბერლინგტონის სასახლეში (ბრიტანეთის სამეფო აკადემია) სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოების დარბაზში სადაც ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიედგვნა მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი დოკუმენტის ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავს. გია კვაშილავამ წაიკითხა მოხსენება „ფესტოსის დისკო – კოლხური ოქრო-დამწერლობის ნიმუში“. თუ ვინმართ ქართულ ხატოვან გამოთქმას ეს გავდა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას... ასი წლის ოცნება დარგის მეცნიერებისათვის გადანყვეტილი იქნა, ამის საწინდარი გახლდათ ის 20 წუთიანი, ნათელი, ლოგიკური არგუმენტებით დატვირთული მოხსენება, რომელიც თითქმის გამორიცხავდა მცირედი ეჭვის შეტანის შესაძლებლობას.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ეს ის დარბაზია, სადაც თვეების განმავლობაში ინახებოდა „როზეტის ქვა“, რომელიც 1822 წელს გამოიფრა ჟან-შამპოლიონმა და ამით საფუძველი ჩაუყარა ეგვიპტურ იეროგლიფურ დამწერლობის შესწავლას. ამავე დარბაზში ინგლისელმა მეცნიერმა მაიკლ ვენტისმა ნაიკითხა მოხსენება B კლასის ხაზოვანი დამწერლობის თაობაზე.

ჭეშმარიტად ნიშანდობლივია, რომ ამავე დარბაზში წარსდგა გია კვაშილავა მოხსენებით – „ფესტოსის დისკო – კოლხური ოქრო-დამწერლობის ნიმუში“. ეს პატარა ჩანართი აქ იმიტომ გავაკეთე, რომ ფესტოსის დისკოს გამოიფვრამ ნათელი მოჰფინა იმ ქართველური ტომების რეალურად არსებობას, რომლებმაც ადრე ბრინჯაოს ხანაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში დააფუძნა პირველი ევროპული კულტურა და ცივილიზაცია, მეორე ის არის, რომ მან გზა მისცა A კლასისა და მისი მონათესავე დამწერლობის ამოკითხვის შესაძლებლობას.

უდაოდ აღსანიშნავია ის ჭეშმარიტი ფაქტი, რომ კვაშილავას საერთაშორისო მნიშვნელობის გამოკვლევის ბრწყინვალე შედეგებს, ერთ-ერთი პირველი გამოცხადება კემბრიჯის სწავლულთა გამომცემლობა, რომელმაც 2010 წელს გამოსცა 400 გვერდიანი წიგნი – „ქვები, რომლებიც მეტყველებენ“. ამ წიგნში 170 გვერდი აქვს დათმობილი კვაშილავას მტკიცებულებებს ფესტოსის დისკოს გამოიფვრასთან დაკავშირებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გია კვაშილავას მონვევა კემბრიჯის უნივერსიტეტის კონფერენციაზე სრულიად კანონზომიერი მოვლენა გახლდათ, იგი დარგის საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში წარმატებული მეცნიერია.

კონფერენციის მსვლელობა და გია კვაშილავას მონაწილეობა კემბრიჯის უნივერსიტეტში.

კონფერენციაზე გ. კვაშილავას მოხსენების თემა იყო „A კლასის ხაზოვანი წარწერების გამოიფვრა საერთო ქართველურ ენაზე“.

ცნობილია, რომ კუნძული კრეტა და ეგეოსის ზღვის აუზის სხვა კუნძულებიც წარმოადგენდნენ უძველეს ცივილიზაციის კერას, რომელიც ისტორიული წყაროების გარდა, მთლიანად დაადასტურა არქეოლოგიურმა ძიებებმა. აქ, სხვადასხვა არქეოლოგების მიერ მოპოვებული იქნა მრავალი უძვირფასესი არტეფაქტები, რომელთა შესწავლამ, სიცხადე შეიტანა მანამდე სრულიად უცნობი ხალხის აღმოჩენაში, რომლებსაც ადრე ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ევროპის განვითარების ისტორიაში – მათ შორის უპირატესობას ქართველურ ტომებს ანიჭებენ.

ისტორიკოსებისათვის ცნობილია, რომ 1900-1909 წწ ცნობილია არქეოლოგმა სერ ართურ ევანსმა კუნძულ კრეტაზე გათხრების ჩატარებისას აღმოაჩინა ბრინჯაოს ხანის A კლასის ხაზოვანი წარწერები. ეს წარწერები ძვ. წ. 1950-1450 წწ დათარიღებული. ესენი შესრულებულია თიხის ფირფიტებზე, საბეჭდავებზე, დოქებზე, ვაზებზე, ძვირფასი მეტალების სამკაულებსა და სხვ. მათი რაოდენობა დღეისათვის 1500 აღწევს. ყველა ესენი ინახება ძირითადად კრეტის მუზეუმში. გია კვაშილავამ აღნიშნული წარწერების ამოკითხვის შემდეგ დაადგინა, რომ ამ უძველესი დოკუმენტების უმრავლესობა სამეურნეო-ადმინისტრაციული ტიპის ტექსტებია. ამ წარწერებში წარმოდგენილია პელაზგურ-კოლხური თეონიმები, ანთროპონიმები, ტოპონიმები „აია“, „კუტაი“, „ფაითო“, „ლასითი“, „იდა“ და სხვ. ეთნონიმები „მაკარიტი“, „კუკუდარა“ და სხვ. ასევე გამოიფრულია საოჯახო რელიგიური და საკულტო დანიშნულების ჭურჭლები – „კატი“, „კადი“, „კაპაი“, „ასამუნე“ და სხვ. სასოფლო სამეურნეო პროდუქტები – ლეღვი, სელი, ზეითუნის ზეთი, ღვინო, ზეთისხილი და სანებლები, მარცვლეული – ხორბალი, ქერი, პურეული, რომლის უძველესი სახელწოდებაც „დიარი“, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქორნილს დღესაც მეგრელები დიარას უწოდებენ, რაც პურის ერთობლივ ჭამას გულისხმობს, რა თქმა უნდა ღვინოსთან ერთად. წარწერებში ფიქსირდება აგრეთვე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი – ცხვარი, თხა, ღორი, ხარი, ძროხა, ცხენი. ასევე წარმოდგენილია თვლის ათობითი სისტემები, არითმეტიკული ოპერაციების აღმნიშვნელი ტერმინები „შეკრება“, „გამოკლება“ და წილადი რიცხვები და სხვა.

„A კლასის ხაზოვანი წარწერები უძველეს გადმოცემებს მითოლოგიურ საბურველს აცლის და მოვლენებს რეალურ სახეს ანიჭებს“ (გ.კვაშილავა)

ლუკა დვალისვილი – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ქალის დანიშნვის ტრადიცია ძველ საქართველოსა და ფერადნაქართველებში

ყოველი მაღალგანვითარებული თუ კულტურული დონით შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის ყველაზე გამორჩეულ და მნიშვნელოვან ტრადიციათა შორისაც კი, ვფიქრობთ, უდავოდ გამორჩეული და პირველია ქორწინების, მეუღლეობის, ახალი ოჯახის, ახალი კერის შექმნისა და დაფუძნების ტრადიცია. შეიძლება ითქვას, სხვა ყოველი დაწერილი თუ დაუწერილი ჩვეულება, რიტუალი, წესი და ადათი, კანონი თუ სამართალი სწორედ განუხრელად ეფუძნება და ეყრდნობა წყვილების შეერთების, ახალი ოჯახის შექმნისა და სამყაროში ყველაზე საიდუმლო, საკრალურ და საესავ ფაქტს, ახალი სიცოცხლის გაჩენას. ქვეყნის მოსახლეობის აღმავალი ხაზით კვლავწარმოება, ადამიანური რესურსების თანდათანობითი ზრდა უპირველესი გარანტია, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება. ხშირად, მიუხედავად იმისა რომ მრავალრიცხოვანი, ჭარბი მოსახლეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების ნამყოფი და ანმყოფი დროების სიდუხჭირის, სხვადასხვა სიძნელებებისა და პრობლემის მიზეზი ხდება, მაინც დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთ ქვეყნებს მომავალში აუცილებლად დარიანი ტაროსი დაუდგება და მყოფადი უცილობლად კარგი ექნება. ამის უამრავი მაგალითია დღევანდელი თუ წარსული ეპოქების ისტორიაში. თუნდაც ჩინეთის ან ინდოეთის სახელმწიფოების განვითარების ტემპები და სამომავლო პერსპექტივებიც ადასტურებს ზემოთქმულის ჭეშმარიტებას.

მოსახლეობის სწრაფი რიცხოზობრივი ზრდა არცთუ იშვიათად განუვითარებელი და პირველყოფილი საზოგადოებისთვისაც ნიშანდობლივი და დამახასიათებელი იყო, მაგრამ ველური და მოუწესრიგებელი ცხოვრების პირობებში, როცა ახალშობილის სიცოცხლის უსაფრთხოებაზე და აღზრდა-განვითარებაზე პასუხისმგებლობას არავინ იღებდა, შესაბამისად არ არსებობდა არავითარი დამზღვევი მექანიზმები, ასეთი საზოგადოება არცთუ იშვიათად, შემთხვევითი შესაბამის გარემო პირობებში სწრაფად გამრავლდებოდა კიდევ, მაგრამ ასევე ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფებისა და კატაკლიზმების შემთხვევაში ასევე მალე გადაშენდებოდა კიდევ. აქედან გამომდინარე, ქორწინება თავისთავად გახლავთ მაღალგანვითარებული საზოგადოებისა და ქვეყნების ტრადიცია, რომელიც აწესრიგებს და არეგულირებს ამქვეყნური ყველაზე უზენაესი არსის – სიცოცხლისა და მომავლის საწყისის დაცულობას, ბავშვების მონესრიგებულ გარემოში გაზრდასა და აღზრდას. ჰუმანურ საფუძველზე დამყარებული ორი თანაბარუფლებიანი სუბიექტის თანხმობითი კავშირი – ქორწინება, სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან მხარდაჭერილი, გახლავთ მოსახლეობის ხანდაზმული ასაკის მქონე ადამიანთა ბედნიერი და უშფოთველი სიბერის გარანტი. ამდენად, ქორწინების მონესრიგებული სისტემა ყოველი სახელმწიფოს, ყველა სოციალური ფენის ადამიანის უპირველეს ინტერესებში შედიოდა და შედის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესოა ქორწინების როგორი წესი და ტრადიცია არსებობდა ძველ საქართველოში. ყოველივე ამის კვლევა უპრიანია დავიწყოთ იმით, თუ როგორი იყო მექორწინე წყვილების უფლებრივი მდგომარეობა ადრეფეოდალურ საზოგადოებაში, რადგან დიფერენცირებული უფლებრივი მდგომარეობის პირობებში ახალი კერიის საფუძველჩამყრელებს თუ საზოგადოებაში არათანაბარი უფლებები და მოვალეობები ექნებოდათ, ეს თავისთავად არაპოზიტიურ შედეგებს გამოიწვევდა მომავალი თაობის აღზრდასა და განვითარებაში. ფაქტია, რომ ქორწინების სიმტკიცე სახელმწიფოსა და რელიგიური თემების ინტერესის სფეროშია. „სახელმწიფოსთვის ქორწინება წარმოადგენს საშუალებას ადამიანთა

წარმოებისათვის. გასაგებია, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქორწინების სიმყარეს. სახელმწიფო თავისი იძულებითი აპარატით საკანონმდებლო ბაზაზე იცავს ქორწინების სიმტკიცეს... ამავე მიმართულებით მუშაობს ქრისტიანული ეკლესიაც.“ („ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი 1. თბილისი. 1973 წელი. გვ: 301.). შემოთქმულიდან გამომდინარე ბუნებრივია, რომ სახელმწიფო და რელიგიური თემები ხშირ შემთხვევაში მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ ქორწინების დარღვევას, რაც იწვევდა არასასურველ შედეგს არა მარტო მექორწინე მხარეების, შთამომავლობისა და შესაბამისად სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხებში. ამიტომ წინაფეოდალურ და ადრეფეოდალურ საქართველოში, სადაც ხშირ შემთხვევაში არ არსებობდა თავისუფალი ქორწინების უფლება, შესაბამისად ასევე არ არსებობდა თავისუფალი განქორწინებაც. თუმცა, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში და სხვადასხვა ხალხებში, ჩვენს წელთაღრიცხვამდეც კი, გარკვეული მიზეზების გამო ქორწინება და განქორწინება შედარებით თავისუფალი იყო. მაგალითად, ძველი რომის მაღალ საზოგადოებაში საკმარისი იყო ერთი მხარის, თუნდაც ქალბატონის სურვილი მეორე მხარესთან ქორწინების შეწყვეტის შესახებ, რაც საზოგადოების მიერ უარყოფითად არ აღიქმებოდა და კმაყოფილდებოდა კიდევ. ძველ რომში ქორწინება ხშირად ეფუძნებოდა კომერციულ ინტერესებს. ბევრი იყო განქორწინების შემთხვევა, რომელიც არ იყო დაფუძნებული მორალურ პრინციპებზე და ეკონომიურ სარგებლიანობას ეფუძნებოდა. მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ ციცერონმა მეუღლე ტერენცია მხოლოდ იმიტომ გააგდო, რომ ახალი ცოლის მზითევით ვალები გაისტუმრა. რომელი ფილოსოფოსისა და დრამატურგის, სენეკას თქმით ხშირად ქალები თავიანთ ასაკს ითვლიდნენ არა კონსულების, არამედ გამოცვლილი ქმრების რიცხვით. წმინდა იერონიმე მოგვითხრობს, რომ ის ესწრებოდა ქალის დასაფლავებას, რომელმაც 22 ქმარი გამოიცვალა, ხოლო მის ერთ-ერთ ბოლო ქმარს 24 ცოლი ჰყავდა. საოჯახო ზნეობის დეგრადაცია, ჩვენი აზრით, გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მაღალგანვითარებული რომაული სახელმწიფოს კატასტროფისა. თუმცა ზოგი ისტორიკოსის საპირისპირო მტკიცებით რომის სახელმწიფოს დაღუპვაში საოჯახო ზნეობის გახრწნას ნაკლები მიზეზი აქვს. მაგალითად, ისტორიკოსი ი. პოკროვსკი თვლის, რომ „ძნელად მოინახება ისტორიკოსები, რომლებიც ანტიკური სამყაროს დაღუპვას მისი საოჯახო ურთიერთობების სისუსტეს მიაწერდეს.“ უცნაური ფაქტია, მაგრამ ციცერონის ანტიკური რომის ქალის დანინდვის ტრადიციას ძალიან ჰგავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში დავით კლდიაშვილის მიერ აღწერილი ქორწინების რიტუალი, ქალბატონების დანინდვისა და გამზითების ტრადიცია. „ქამუშაძის გაჭირვება“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „სოლომან მორბელაძე“, და ბევრ სხვა მოთხრობებსა და დრამატულ თხზულებებში აღწერილია ის კომიკური, მაგრამ რეალური და დოკუმენტალური ამბები, რომლის სამწუხარო ტრადიცია არსებობდა იმდროის საქართველოში. თავის დროზე ეროვნული საქორწინო ზნეობის გადაგვარება და გახრწნა ტკივილიანი, კომიკური და ირონიულ-პაროდიული პასაჟებით წარმოაჩინა ილია ჭავჭავაძემ მოთხრობაში „კაცია ადამიანი?“ ლუარსაბ თათქარიძის ოჯახი, რომელიც სამწუხაროდ ტიპიური იყო იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის, ქორწინების დროს საპატარძლოს ფიზიკურ და მორალურზნეობრივ თვისებებზე კი არ ამახვილებს მნიშვნელოვან ყურადღებას, არამედ მატერიალურ სარგებელზე. მოთხრობის მიხედვით, იმდროის საქართველოში ქორწინება ქცეული იყო სარფიან, კომერციულ საქმედ და ნაკლები ყურადღება მახვილდება დასაქორწინებელ სუბიექტზე, წყვილებზე, რომლებსაც ჯიშინი და ჯანმრთელი შთამომავლობის კვლავწარმოებით უნდა გაეკეთილშობილებინა ჯიში, გვარი და შესაბამისად საზოგადოება და ქვეყანა.

ილიას შემდეგ, როგორც ირკვევა, დავით კლდიაშვილის ეპოქამდე, ეს გაუკუღმართებული საქორწინო ტრადიცია, კიდევ უფრო დეგრადირებული და უკიდურესი ფორმით განვითარდა. ქალის გაჩენა ოჯახში ლამის უკვე ტრაგედიად აღიქმებოდა, მით უფრო ზრდასრული, გასათხოვარი ქალიშვილის ყოლა. მნიშვნელობა არ ჰქონდა დასაქორწინებელი ასულის გარეგ-

ნულ სილამაზეს. სარდიონ ქველიძის ოჯახის ტრაგედიაა მზითვის ის რაოდენობა, რომელიც გათხოვების შემდეგ საპატარძლოს უნდა გაატანონ. მომავალი ცოლ-ქმრის, ერთმანეთზე შეყვარებული წყვილების დაქორწინების დიდი სურვილის მიუხედავად, გაუკუღმართებული საქორწინო ტრადიცია, მზითვის განსაზღვრული რაოდენობის მიცემის წესი, ხშირად ხდებოდა მიზეზი ქორწინების ჩაშლისა, და უდანაშაულო შეყვარებული წყვილების დაუსრულებელი ტრაგედიისა. მაგალითად: მოთხრობაში „სოლომან მორბელაძე“, სასიძოს მამა ქაიხოსრო ქათამაძე უფრო იმიტომაც წინააღმდეგი ოჯახში ნაკლებმზითვიანი საპატარძლო შეუვიდეს, რადგან მაშინდელი ქართული საზოგადოება ოჯახის პრესტიჟსა და ავტორიტეტს ზომავს იმით, თუ რამდენად დიდი მზითევი შეიტანა საპატარძლომ საქმროს ოჯახში. შესაბამისად მათთვის მეორეხარისხოვნად ქცეულა ყველაზე მთავარი, ახალი სიცოცხლის საწყისი, მომავალი დედა რამდენად გამორჩეული ფიზიკური და ზნეობრივი თვისებებითაა შემკული.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურული თხზულება „თავსაფრიანი დედაკაცი“ წარმოადგენს ერთგვარ მატერიალურ დოკუმენტს თუ რა ვალდებულება ეკისრებოდა საპატარძლოს ოჯახს შვილის გათხოვების შემთხვევაში. ტექსტიდან ირკვევა, რომ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად ქალის ოჯახი და კეთილისმყოფელები ვალდებულები იყვნენ ფულითაც დახმარებოდნენ ახლადშექმნილ ოჯახს. გაუკუღმართებული საქორწინო ტრადიციები და ქალის დანიშვნის დროს ფაქტიურად ორივე მხარისთვის აუცილებელი გადასახადის გადახდის საჭიროება, ხშირად მიზეზი ხდებოდა ხელმოკლე შეყვარებული ქალ-ვაჟის სასიყვარული სამომავლო იმედების გაცრუებისა და ერთმანეთის შესაფერისი ღირსეული წყვილების დაშორებისა.

ალექსანდრე ყაზბეგის მოხრობებსა და რომანებში მხატვრული ნარატივის სახით წარმორჩენილი ქალის დანიშვნის წესი ფაქტობრივად დოკუმენტური სიზუსტით წარმოსახავს ამ კუთხეში არსებულ რეალურ ამბებსა და ტრადიციებს. როგორც ჩანს რუსეთის იმპერიის ბრჭყალებში მოქცეული საქართველოსთვის, განსაკუთრებით ქვეყნის მთიანეთში მცხოვრები ქართველებსთვის, საგლეხო რეფორმის შემდეგ, მანამდე არსებული მეტწილად ნატურალური მეურნეობის შემდეგ საზოგადოებაში, ფული განსაკუთრებულად საჭირო შეიქნა. თუ წინა საუკუნეებში „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით ქალის დანიშვნისა და გათხოვების ტრადიცია უფრო საპატარძლოს საოჯახო უნარ-ჩვევებს, ფიზიკურ და ზნეობრივ სილამაზეს აქცევდა მთავარ ყურადღებას და მატერიალურ-ნივთიერს ქორწინების დროს უფრო სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, მწერლის თანადროულ ეპოქაში დაოჯახების, პატარძლის დანიშვნის წესში მოჭარბებულია მატერიალურ-ფინანსური ინტერესი.

გვიანდელი ეპოქის საქართველოში არსებულ საქორწინო ტრადიციასა და საპატარძლოს დანიშვნის წესისგან მეტნაკლებად განსხვავებული იყო ანტიკური და გვიანფეოდალური საქართველოს საოჯახო და საქორწინო ტრადიციები. ადრეფეოდალურ საქართველოში, ქრისტიანული საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ქორწინება წყდებოდა მხოლოდ წყვილებიდან ერთერთის ფიზიკური სიკვდილის შემთხვევაში. მოგვიანებით, სახარების მოძღვრების თანახმად, განქორწინება შესაძლებელი იყო მხოლოდ ცოლის მრუშობის შემთხვევაში. მხატვრული ლიტერატურის ძეგლებისა და ისტორიული დოკუმენტების მიხედვით მაშინდელ საქართველოში ქალი ამკარად უფლებრივად შეზღუდულია მეუღლესთან შედარებით. „შუშანიკის წამების“ მიხედვით ვარსკენი შუშანიკს ვირზე შესმასა და ჩორდს გაგზავნას უპირებს. ეს ტრადიცია ერეკლე მეორის დროსაც ყოფილა შემორჩენილი საქართველოში. სახელგატეხილ ქალს ვირზე შესვამდნენ. გიორგი ლეონიძის დიდებული ლიტერატურული ძეგლი, „ნატვრის ხეც“ დასტურია იმისა, რომ მრუშობაში ეჭვმიტანილი ქალის ვირზე შესმის წესი ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებული იყო მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ცალკეულ კუთხეებშიც. ქალის უფლებრივი მდგომარეობა უგულველყოფილია გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაის“ ერთ ეპიზოდში. ადარნასე კურაპალატმა სხვისი შესმენით ცოლი გააგდო და აფხაზეთში ძმის ოჯახში დააბრუნა. მოგვიანებით, მე-17 საუკუნის საქართველოში ადგილი

ჰქონდა მსგავს ფაქტს. მაგ. არქანჯელო ლამბერტი აღწერს, რომ სამეგრელოს მთავარმა შესმენით აფხაზეთიდან მოყვანილ მეუღლეს ცხვირი მოაჭრა და მისი სამშობლოც მოარბია.

ბექა-აბულას კანონებზე დართული ბაგრატ კურაპალატის „სამართლის წიგნი“ განქორწინების უფლებას რთავდა იმ შემთხვევაში თუ ცოლი დასნეულდებოდა. დავით აღმაშენებლის რუის-ურბნისის კრების გადაწყვეტილებით სასტიკად ისჯებოდა და შესაბამისად განქორწინდებოდა სოლომური ცოდვის მიმდევარნი. თამარის ანონიმი ისტორიკოსის ცნობით, თამარის ეპოქაში ქვრივ ქალებს გათხოვების უფლება არ ჰქონდათ. ამის უფლება მათ თამარმა მიანიჭათ. ასევე იმ დროის საქართველოში განქორწინების ერთ-ერთი ლეგალურ მიზეზი იყო, თუ ერთ-ერთი მეუღლე საქორწინო თანაცხოვრებისთვის უვარგისი იყო. განქორწინების მიზეზი იყო ასევე, თუ წყვილებიდან ერთ-ერთი მონაზვნად აღიკვეცებოდა. უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში უმაღლესი არისტოკრატია და ზოგიერთი მონარქი ბოროტად იყენებდა ამ წესს. გიორგი ბრწყინვალის „სამართლის წიგნი“, რომელიც მთის საქართველოსთვისაა დაწერილი არის მსგავსი წესები. თუმცა აქვე მითითებულია, რომ უმიზეზოდ ცოლის მიტოვების შემთხვევაში კაცმა გარკვეული საზღაური უნდა გადაიხადოს.

ზემოთ წარმოდგენილი მასალები, ადრეფეოდალურ საქართველოში მექორწინე სუბიექტების დაოჯახებამდე და შემდეგი პერიოდის უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის გარეშე, ვერ მოხერხდებოდა გაგვესაზღვრა ქალის დანიშნვისა და სხვა საქორწინო წესისა და ტრადიციის თავისებურება, რომელიც მრავალ სხვა ფაქტორებთან ერთად ეთნოსის ფსიქო-ფიზიკურ, რელიგიურ და გეოგრაფიულ ფაქტორებს აირეკლავს.

საპატარძლოს დანიშნვის ტრადიციებთან დაკავშირებით ვფიქრობთ განსაკუთრებით საინტერესოა ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილები და გამორჩევით „ხევსურული ქორწილი“, საიდანაც ჩანს, რომ ქალიშვილს საქმროს ოჯახი ურჩევს. ზოგჯერ აკვანშიც დანიშნავდნენ მომავალ ცოლ-ქმარს. „უჯიშო გვარიდან გამოსულ კარგ კაცს ქალს არ მიათხოვებდნენ. ქალი და ვაჟი აუცილებლად სხვადასხვა თემის უნდა იყვნენ. საქმეს აუცილებლად „წინამძღვარი“, იგივე მაჭანკალი იწყებს. ვაჟის მხარე იტყვის: „თუ თქვენი ღირსი ვიყვნეთავ“. ქალის მამა პასუხობს: „ჰღირხართ თქვენის თესლ-ჯილაგისანი სკამზე დასასხდომად“. საქმე რაკი თანხმობით გათავდება სანეფოს ოჯახი საპატარძლოს ნიშნად მისცემს ერთ აბაზს. დანიშნულს ხევსური ერთ წელზე ადრე სახლში ვერ წაიყვანს. „ქალის თხოვის“ დროს ვაჟის ოჯახი ქალის ოჯახში მოიტანს არანაკლებ ოთხ თუნგზე არაყს. ვაჟის მამა და ძმა სადედოფლოს მოართმევენ წითელ შილას. ახალ წელს ვაჟის მამა და ძმა მოვალეა საპატარძლოს ოჯახს მიართვას ერთი ტიკჭორა არაყი და ბედისკვერი.“ საპატარძლოს მოყვანის დროს ვაჟის ოჯახი პატარძალთან გააგზავნის ორ „ენაპირიან“ კაცს. წაიღებენ სასმელს და სამ ცხვარს. სამივე ცხვარი უნდა დაიკლას. ერთი ღვთისთვის, მეორე იმ სოფლის თემის ხატისთვის, მესამე პატარძლის მამის „ხელმხარის განათლების“ ანდა წყვილთა შევედრებისა უფალზე და ხატებზე. პატარძლის მშობლები ყოველ კომლზე ქალსა და კაცს ატანენ მაყრებად, რომლებიც თავისი საგზლით მგზავრობენ. პატარძლის ოჯახი მათ ატანს მხოლოდ ორ ქადას გზაზე საჭმელად. საქორწილოდ სამი ქვაბი ლუდია ნადუღარი: პირველი – ღვთის სადიდებელი, მეორე – შესანდობარი, მესამე – ნეფე-პატარძლის. საქორწილო ხარჯებს მთელი თემი იწიწილებს. მერე მაყრებს გადაინანილებენ და გაიპატიჟებენ. მეორე დღეს და ღამეს მაყრები სოფელში ატარებენ და მესამე დღეს მოვლენ „მექორწილეთას“. მეოთხე დღეს მეფის ნათესავები გაიპატიჟებენ პატარძალს და დაასაჩუქრებენ. შემდეგ ხუცესი ჯვარს დანერს. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა წყვილს ნება ერთად დაწოლისა. ხევსური ერთ წელს წვება ქალთან, მაგრამ „სამვილოდ არა“. ერთ წელს თვალ-ყურს ადევნებს. თუ მოენონა დაიტოვებს, თუ არა განუტევეს.

გიორგი გოცირიძის მიერ ფერეიდნიდან საქართველოში „რეპატრირებულიებთან“ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ფერეიდნელ ქართველებში, უმეტეს შემთხვევაში ქალი 16-18 წლის ასაკში თხოვდებოდა. ვაჟი კი 20-25 წლის უნდა ყოფილიყო. (გ. გოცი-

რიძე. „ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში“. 1987 წელი). ქალის დანიშენიდან ქორწილამდე ერთი წელი მაინც გადიოდა, რაც როგორც ხედავთ, მსგავსია ხევსურთა საქორწინო წესისა. გ. გოცირიძე მიუთითებს, რომ ფერეიდნელ ქართველებში მოქმედი „საქორწინო ასაკის ნორმა ძველი ქართული ჩვეულებითი ქორწინების კვალი უნდა იყოს და არა ირანული გარემოს შედეგი“. (გვ: 31.). ზემოთ დასახელებული ფერეიდნელ ქართველებში გავრცელებული ქალის საქორწინო ასაკი საქართველოს სხვა რეგიონებშიც თითქმის ანალოგიური იყო იყო, 17-20 წელი. ფერეიდნელ ქართველებში, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, არ იყო მრავალცოლიანობა. იშვიათად ზედაფენის წარმომადგენელი ცაკეული ფერეიდნელი ქართველის მრავალცოლიანობა, ჩვენი აზრით, სავარაუდოდ სპარსეთის ხელისუფლებასთან ერთგულების გარეგნული დადსტურების მცდელობა უფრო იყო, ვიდრე ფერეიდნელთა ტრადიცია. მსგავსს საქციელს არცთუ იშვიათად მიმართავდა ცალკეული ქართველი კონდოტიერი, მაგ. შეიძლება გავიხსენოთ ვარსკენ პიტიახში.

ფერეიდნელ ქართველთა პატარძლის დანიშენის წესი ძალიან ჰგავს ხევსურთა ანალოგიურ ტრადიციას. „ბაღის მიტანის ჩვეულება, რომელსაც ფერეიდნელები ნათხოვანის თხოვნას უწოდებენ, ქალის დანიშენის, ანუ „დანიშენის“ საფეხურია. (ტერმინი „ბაღა“ ქართული „ბელგას“ შესატყვისია და უნდა ნიშნავდეს ბეს. გ. გოცირიძე). „ბელგას ნაიღებენ ვაჟის მამა, ბიძა, ბიძაშვილი ან „მარჯიკალი“, „ვინაც საქმე გაარიგა“. ბაღაში მიაქვთ, ვისაც რა შეუძლია: ფული, თავსაბური ან საკაბე ან მძივები. ვაჟის მამა როცა ქსოვილს დადებს იტყვის: „მიიღეთ ეს მწვანე ფოთოლიო“. ქალის მამაც ეთანხმება: „კეთილი იყოსო“. ფერეიდნელ ქართველებში გავრცელებული ყოფილა აკვანში „დაბელგვის“ ტრადიცია. ამ დროს ვაჟის დედა ქალის დედას ქსოვილს მიუტანდა და აკვანში სასთუმლის ქვეშ ამოვებდა. ასეთი წესი, როგორც მოგესხენებათ, გავრცელებული იყო საქართველოს მთიანეთში. (იხ. ქ. იოვაშვილი. ი. ჭყონია. „ქორწინების ინსტიტუტი მთიულეებში. თბილისი. 1955. ასევე თ. სახოკიას „ეთნოგრაფიული წერილები და ს. მაკალათიას „ხევსურეთი“. თბ. 1935 წელი, და სხვ.). ფერეიდნელ ქართველებში აკვანში დანიშენის გარდა გავრცელებული ყოფილა მცირეწლოვანთა დანიშენაც. ფერეიდნელები უცხო ტომის კაცზე ქალს არ გაათხოვებდნენ, მოიყვანდნენ კი. როგორც ცნობილია საქართველოშიც რუის-ურბნისის კრებამ აკრძალა მცირეწლოვანთა ქორწინება. როგორც მკვლევარი გ. გოცირიძე მიუთითებს დანიშენის წესთან დაკავშირებით: „ფერეიდნელ ქართველებთან ზოგად ქართული წესის მოქმედებასთან უნდა გვექონდეს საქმე და არა ირანულთან“.

ფერეიდნელ ქართველებში საპატარძლოს დანიშენის შემდეგ ვაჟის ოჯახი ვალდებული იყო ქალის ოჯახში ქორწილისთვის გაეგზავნა 7 ან 9 სული ცხვარი, 9 ლიტრა ბრინჯი, 9 ჩარეჩი ყანდი (შაქარი), 9 შეკვრა ჩაი, 9 კილოგრამი ფქვილი, 9 თუმანი ფული. თუ მექორწილეებს ეს ხარჯი არ ეყოფოდათ, მაშინ ქალის მამა უმატებდა. საქართველოს ზოგ რაიონშიც „კახეთში, კერძოდ ქიზიყში საქორწინო ხარჯის დიდი ნაწილი ვაჟის ოჯახს უნდა გაეღო“. მსგავსი ტრადიცია საქართველოს სხვა რეგიონებშიც არსებობდა. ისევე, როგორც ხევსურული საქორწინო ტრადიცია, ფერეიდნელ ქართველებშიც ვაჟის ოჯახი ვალდებული იყო დანიშნული ქალისთვის გაეგზავნა მოსაკითხი. განსაკუთრებით ახალი წლის დღეებში. „ქალის მშობლების ნებართვით ვაჟის ოჯახიც იწვევდა საპატარძლოს თავისთან. ასეთ შემთხვევაში ქალი შეიძლებოდა ერთი თვეც დარჩენილიყო მომავალი ქმრის ოჯახში“. (გ. გოცირიძე). ამ დროს საპატარძლო ეხმარებოდა საქმროს ოჯახს სამეურნეო საქმიანობაში და როცა მოისურვებდა ქალის მამა შვილს სახლში გაიწვევდა. საცოლესა და საქმროს შორის ინტიმური ურთიერთობა საპატარძლოს სტუმრობის დროს გამოიციხული იყო და ეს წესი ასევე მსგავსია ხევსურული ტრადიციისა.

ბოლო ხანებში ფერეიდნელი ქართველების ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ საინტერესო მასალები და საყურადღებო დასკვნები გამოაქვეყნა პროფესორმა როლანდ თოფჩიშვილმა ნიგნში: „საქართველს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები“ 2017 წელი“. ის ფერეიდნელ ქართველებზე დაწერილი წერილის დასაწყისში წარმოაჩენს ლადო აღნიაშვილის მოგონებებს,

რომელმაც 1894 წელს იმოგზაურა ფერეიდანში. „ჩინებულად ლაპარაკობენ ნამეტნავად რამდენიმე სოფელში. როგორც წუნი არ დაედვის ჩვენ მიერ ქართულ ლაპარაკს ხევსურისას, ქიზიყელი გლეხისას ანუ რომელიმე ტეცია სოფელისას ქართლ-კახეთის სოფელისას“. როლანდ თოფჩიშვილის თქმით: „საინტერესოდ გამოიყურება ფერეიდნელების მიერ შენარჩუნებული მთელი რიგი რიტუალები (პატარძლის წყალზე გაყვანა, საოჯახო კერიასთან ზიარება...). რაშიც აშკარად ჩანს ძველქართული ტრადიციული წეს-ჩვეულებების კვალი“. გვ: 415. მართლაც უდავო ფაქტია, რომ ძველქართულ საქორწინო ტრადიციებსა და ფერეიდნელ ქართველთა საქორწინო-საოჯახო წესებს შორის, მიუხედავად იძულებითი სივცითი და დროითი დაშორებისა ბევრი საერთო ეთნოკულტურული ტრადიცია არსებობს და მომავალი კვლევა-ძიება ბევრ საინტერესო ფაქტს გამოავლენს.

რეზიუმე

ყოველი მაღალგანვითარებული თუ კულტურული დონით შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის ყველაზე გამორჩეულ და მნიშვნელოვან ტრადიციათა შორისაც კი, ვფიქრობთ, უდავოდ გამორჩეული და პირველია ქორწინების, მეუღლეობის, ახალი ოჯახის, ახალი კერის შექმნისა და დაფუძნების ტრადიცია. შეიძლება ითქვას, სხვა ყოველი დანერგილი თუ დაუნერგელი ჩვეულება, რიტუალი, წესი და ადათი, კანონი თუ სამართალი სწორედ განუხრელად ეფუძნება და ეყრდნობა წყვილების შეერთების, ახალი ოჯახის შექმნისა და სამყაროში ყველაზე საიდუმლო, საკრალურ და საესავ ფაქტს, ახალი სიცოცხლის გაჩენას.

ანტიკური და გვიანფეოდალური საქართველოს საოჯახო და საქორწინო ტრადიციები, საპატარძლოს დანიშვნის წესები ძალიან ჰგავს ფერეიდნელ ქართველთა პატარძლის დანიშვნის ანალოგიურ ტრადიციებსა და ჩვეულებებს. „ბაღის მიტანის ჩვეულება, რომელსაც ფერეიდნელები ნათხოვანის თხოვნას უწოდებენ, ქალის დანიშვნის, ანუ „დანიდვნის“ საფეხურია. საპატარძლოს დანიშვნის წესთან დაკავშირებით, როგორც მკვლევარი გ. გოცირიძე მიუთითებს: „ფერეიდნელ ქართველებთან ზოგად ქართული წესის მოქმედებასთან უნდა გვკონდეს საქმე და არა ირანულთან“. მართლაც უდავო ფაქტია, რომ ძველქართულ საქორწინო ტრადიციებსა და ფერეიდნელ ქართველთა საქორწინო-საოჯახო წესებს შორის, მიუხედავად იძულებითი სივცითი და დროითი დაშორებისა ბევრი საერთო ეთნოკულტურული ტრადიცია არსებობს და მომავალი კვლევა-ძიება ბევრ საინტერესო ახალ ფაქტს გამოავლენს.

ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, (გერონტი ქიქოძის წინასიტყვეობით), თბ. 1937 წ.
2. „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი I. თბილისი. 1973 წელი.
3. გიორგი გოცირიძე, ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში. თბ. 1987 წელი.
4. როლანდ თოფჩიშვილი, საქართველს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბ. 2017 წელი.
5. როლანდ თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოლოგია, თბ. 2008 წელი.

ქალთა ემიგრაცია და დედის ინსტიტუტი

არავინ დაობს, რომ დედა მომავალი სიცოცხლის, ოჯახის, როგორც საზოგადოებრივი საწყისი უჯრედის და ეროვნული თვითმყოფადობის მარადიული საფუძველია.

ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში დედის ფენომენი განსაკუთრებულია. აღიარებული და გამოირჩეულია ქართველი ქალის სულისკვეთება, ნებისყოფა და თავგანწირვა სამშობლოსათვის, ოჯახისათვის, სარწმუნოებისათვის.

ნიმანდობლივია ქართველთა მიერ წმინდა მარიამის ღვთისმშობლად აღიარება. წმინდა იოანე დამასკელის ნაშრომში ვკითხულობთ: „საკუთრივად და ჭეშმარიტად ღვთისმშობლად ვქადაგებთ წმინდა ქალწულს, რადგან ისევე, როგორც ჭეშმარიტი ღმერთია მისგან შობილი, ასევე ჭეშმარიტი ღვთისმშობელია ის, რომელმაც შვა თავისი თავისგან ხორცშესხმული ჭეშმარიტი ღმერთი.“¹

წმინდა წერილის არსიდან გამომდინარე ქორწინება ღმერთის ნაკურთხია „და შექმნა ღმერთთან კაცი სახედ თვისა და ხატად ღმერთისად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად და აკურთხა „...აღორძინდით და გამრავლდით.“ (დაბ.1, 27, 28).

საეკლესიო თვალსაზრისით ოჯახი მცირე ეკლესიად აღიქმება. ქორწინების საიდუმლოში ეკლესია ღმერთს სთხოვს შემწეობას მომავალ მეუღლეთათვის, რათა მათ შეიგნონ, გადაწყვიტონ და აღასრულონ სამომავლოდ დასახული ამოცანები.

ოჯახი, როგორც საზოგადოების საწყისი უჯრედი, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძირითადი ფენომენია, რომელიც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით, ერთობით წარმოიქმნება, სადაც ქალს მამაკაცთან ერთად უდიდესი როლი და ფუნქცია გააჩნია, მაგრამ განსაკუთრებულია ქალის როლი, რადგან იგი თანადროულად ოჯახის დედაა. დედობა და მისი ფუძე დედაშვილობა, როგორც ადამიანური სიცოცხლის შენარჩუნებისა და მისი გაგრძელების პირობათა პირობა იმ დროიდან არსებობს რაც ცოცხალ არსებათა სამყაროში ჩვენმა გვარმა მოაზროვნე ადამიანის სახე მიიღო და თავისი შინაგანი სიცოცხლე ააღორძინა.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით დედაშვილობა უკვდავი და მარადგანვითარებადი ბუნების მქონე ცოცხალი ორგანიზმია და ამ სახით იჭერს იგი ადამიანური სიცოცხლის გულში მხოლოდ და მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ადგილს. ბავშვის დაბადება და მოვლინება ამ ქვეყანაზე – ეს მისი ფუძეა. ბავშვის განკაცება სიცოცხლის გზაზე – ეს კი მისი აზრი და გულია და რადგან ცხოვრება ჩვენ ადამიანებს ჩვენი ერის, ოჯახის, გარემოსა და სახელმწიფოს წიადაგზე და წიაღში გვეძლევა.²

დიდმა იაკობ გოგებაშვილმა დედაშვილობის ახლადაღორძინებულ განანესად განავრცო საქართველოს მთასა და ბარში მადლიანი „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. ქართულ სკოლებში ერთიანი დედაენის დაფუძნებისათვის მედგარი და თავდადებული შრომით.³

ვაჟა-ფშაველას აზრით დედაშვილობას უბინო და უსათუთესი საერთო მნიშვნელი აქვს და მისი ხელყოფა ყველაზე დიდი ცოდვაა კაცთა საზოგადოების მიმართ, დედაშვილობა მისთვის ბუნების წიაღისათვის დანესებული უმაღლესი ნიჭია და მისი სამსახური უზენაესი მოვალეობაა კაცთა გვარისა მას შემდეგ, რაც იგი ცივილიზებულობის გზაზე გამოვიდა.⁴

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ბრძოლებით აღსავსე ისტორიულ წარსულში ქართველ

¹ წმ. იოანე დამასკელი მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევიტად გამოცემა თბ.2012. გვ.166.168.

² ქალი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში გვ.101

³ იქვე გვ.103

⁴ ქალი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში გვ.105

ქალს უდიდესი როლი მიუძღვის ეროვნული თვითმყოფადობისა და სიცოცხლის კვლავნარმოების პროცესში.

დღევანდელ გლობალიზებად მსოფლიოში მნიშვნელოვანი მატების ტენდენციით განისაზღვრება მოსახლეობის მიგრაციული პროცესი, ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს.

ქართული მიგრაციული პროცესი თავისი არსით არსებითად განსხვავდება სხვა ქვეყნებში არსებული მიგრაციული პროცესისაგან, რომელმაც მნიშვნელოვნად მასშტაბური ხასიათი 1990-იანი წლებიდან მიიღო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდომ საქართველო საზოგადოებრივ ფორმაციათა გარდამავალი პერიოდისათვის თანმდევ მძიმე პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უმძიმესი ხვედრით გამორჩეულობას განაპირობებდა სახეცვლილების შედეგად შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის არაჯეროვნად გაანალიზება, სათანადო პოლიტიკურ ქმედებათა გატარების არარსებობა, სამოქალაქო ომი, ყოველივე საქართველოს ეკონომიკის სრული დეგრადაცია განაპირობა. არსებულიდან გამომდინარე საქართველოდან დაიწყო მოსახლეობის გადინება, რომელმაც წლების განმავლობაში მზარდი ხასიათი მიიღო. მიგრაციის სპეციფიკური ხასიათი საერთაშორისო შრომით ბაზარზე ქალთა შრომის მნიშვნელოვანი მოთხოვნის საფუძვლით განისაზღვრა, რამაც თავის მხრივ ემიგრანტთა შორის ქალთა ხვედრითი წილი საგრძნობლად გაზარდა.

დღევანდელ საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ქალთა დიდ რაოდენობას, ისტორიულად ტრადიციული როლისა და სურვილის მიუხედავად, ოჯახის რჩენისა და გამოკვების მძიმე ტვირთი აწევს.

არსებული ეკონომიკური ვითარება მკვეთრად ართულებს დედის მარადიული და უმნიშვნელოვანესი ფუნქციის განხორციელებას – მომავლის აღზრდას. ბავშვთა აღზრდისა და განათლების მიღებასთან დაკავშირებული საჭირო თანხები დღითიდღე იზრდება, რაც თავის მხრივ ქალისგან მეტ ფიზიკურ და სულიერ ენერჯიას მოითხოვს, მზარდია მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნილებაც, განსაკუთრებით ოჯახში ბავშვთა სიმრავლის შემთხვევაში.

ისტორიულად ფორმაციათა ცვლილების გარდამავალი პერიოდი ზოგადად ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სირთულით ხასიათდება. საქართველოს მაგალითზე ჩვენს წინაშე დგას სოციალისტური სისტემის დაშლის შედეგად ახლადჩამოყალიბებულ დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სფეციფიკური შემთხვევა, როდესაც გარდაუვალ საჭიროებად დგას სოციალ-პოლიტიკური და სავაჭო-ეკონომიკური სისტემის სახეცვლილება.

აღნიშნული რეფორმის განხორციელების საჭიროება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყანას შეეხო, რაც თავის მხრივ შესაბამისი პოლიტიკური სახელმწიფოებრივი ქმედებით იყო შესაძლებელი.

სამწუხაროდ, აღნიშნულ გამოწვევას საქართველომ, სახელმწიფოებრივად არასათანადო ხედვის გამო, შესაბამისად ვერ უპასუხა, მითუმეტეს, როდესაც ეს პროცესი მართლზომიერი ქმედებითაც კი სწრაფად არ დაიძლევა, რადგან მას ეტაპობრივი განვითარების პრინციპი გააჩნია. დღევანდელი მსოფლიოს მიგრაციული ვითარება გლობალიზაციის ფონზე არსებული კანონზომიერი და შეუქცევადი პროცესით განისაზღვრება.

XXI საუკუნის დამდეგს ყოველი 35-ე ადამიანი საერთაშორისო მიგრანტი გახლდათ. 2002 წელს გაეროს მონაცემებით მსოფლიოს საერთაშორისო მიგრანტთა რიცხვი 175 მილიონით განისაზღვრა, აქ წარმოდგენილია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა. ოფიციალური აღრიცხვის მიღმა დარჩა არარეგალურ მიგრანტთა რაოდენობა.

2000 წელს მსოფლიო მოსახლეობამ 6,057 მილიარდს მიაღწია, ხოლო საერთაშორისო მიგრანტთა მაჩვენებელი 2,9% განისაზღვრა.

სავარაუდო დემოგრაფიული პროგნოზით 2050 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობა 9 მლრდ-

მდე გაიზრდება, ხოლო საერთაშორისო მიგრანტთა საერთო რაოდენობა 230 მილიონს მიაღწევს.

1989 წლის აღწერით საქართველოში მცხოვრები მუდმივი მოსახლეობის რიცხვი 5 700 000 ადამიანით განისაზღვრა, 2002 წლის აღწერამ კი მხოლოდ 4 მილიონ 372 ათასი ადამიანი დააფიქსირა.

1989-2002 წლებში საქართველოს მოსახლეობამ ყოველწლიურად დემოგრაფიული გენოფონდის სახით 120 000 კაცი დაკარგა.

2002 წელს შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტების სხვაობის შედეგად მიღებული ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა 0% შეადგინა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს მოსახლეობა აღარ იზრდება, რასაც ემატება გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოც.

ერთ კონკრეტულ მაგალითზე, ვანის მუნიციპალიტეტში შემავალი გადიდის ადმინისტრაციული ერთეულიდან უცხოეთში იმყოფება 18 ადამიანი, აქედან 8 ქალბატონია. მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის საზღვარგარეთ გასულთა რიცხვი ჯერ კიდევ დაუდგენელია.

საქართველოში არსებულ მნიშვნელოვან შიდამიგრაციულ პროცესზე მიუთითებს, რომ შედარებით მცირე ადამიანური რესურსის მქონე ზემოთ აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულიდან საცხოვრებელი სხვაგან შეიძინა დაახლოებით 15 მოქმედა კომლმა, რაც მათ გადიდში სეზონურ მაცხოვრებლად ქცევაზე მიგვანიშნებს.

2001 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველო გარე მიგრაციის შედეგად 995 ათასმა ადამიანმა დატოვა; აქედან რუსეთში წავიდა 670 ათასი, უკრაინაში 40 ათასი, ყოფილ საბჭოთა კავშირის დანარჩენ ნაწილში 50 ათასი, საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში – 235 ათასი კაცი, აქედან: საბერძნეთში – 100, გერმანიაში – 30, ჰოლანდიაში – 30, თურქეთში – 20, აშშ-ში 15 ათასი კაცი.¹

2002 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით გარე მიგრაციის სალდომ 998,5 ათასი კაცი შეადგინა, სხვა მონაცემებით (იმავე დროისათვის) საქართველოდან გასულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი 1,5 მლნ-ს აღწევს. მათ შორის უმეტესობა შრომითი მიგრანტია. გამოკვლევებით შრომით მიგრანტთა მთელი ნაკადის 40% მდებარეობთი სექსის წარმომადგენელია.

სამწუხროდ, ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობა რეციპიენტ ქვეყანაში არარეგალურად იმყოფება, აქედან გამომდინარე, მათ უმეტესწილად ჯანმრთელობისათვის საზიანო, დამამცირებელი და დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება უწევთ. აღნიშნული პროცესის რეგულირება სახლმწიფოს მიერ გარე შრომითი მიგრაციის რეგულირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბებითაა შესაძლებელი.

არალეგალურ მიგრანტთა თანმდევი საფრთხე ტრეფიკინგია. გაეროს განმარტების მიხედვით „ადამიანთა ტრეფიკინგი ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, თავშესაფრის მიცემას, ძალდატანებას, მიტაცებას, თაღლითობას მოტყუების გზით. ექსპლუატაციაში შედის პროსტიტუცია, სექსუალური ძალადობა, იძულებითი შრომა, შინაგანი ორგანოებით ვაჭრობა.“

მსო-ს მონაცემებით, ტრეფიკინგის მსხვერპლ რესპოდენტთა 93,5%-მა აღნიშნა, რომ გამგზავრებამდე არ იცოდნენ, რომ შესაძლო იყო დაქვემდებარებოდნენ შრომით ექსპლუატაციას, იძულებით სექსს ან სხვა სახის დამამცირებელ პირობებში მუშაობას.

ქართველი ემიგრანტი ქალბატონები ძირითადად ძიხად, მომვლელად, მიმტანად ან მოსამსახურედ მუშაობენ, მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს თავისი სპეციფიკით დასაქმებას.

ზემოთ განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, ქალბატონთა ხვედრი საკმაოდ რთული და დაუცველი ემიგრანტული ცხოვრებით განისაზღვრება. არსებული ვითარების გაანალიზე-

¹ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კონტროლის დეპარტამენტის მასალები.

ბით ფასდაუდებელია 2006 წელს ნუნუ ლურჭუმელიძის მიერ კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაცია „საბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირის“ შექმნა, რომელიც თანადროულად გამოსცემს საინფორმაციო-შემოქმედებით ჟურნალს „ემიგრანტი ქალი“. ნუნუ ლურჭუმელიძე მათემატიკოსი, ვანის პირველი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, ძლიერი პედაგოგი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და ეფექტური აქტიური პიროვნებაა, იგი საბერძნეთში მყოფ ქართველ თანამოაზრეებთან ერთად ემიგრაციაშიც ახერხებს ეროვნული იდენტობის შენარჩუნებით ქართული კულტურის განვითარება-პოპულარიზაციას.

ქალის (დედის) გარეშე ოჯახის ინსტიტუტის ფენომენი მნიშვნელოვან სახეცვლილებას განიცდის, ირღვევა ოჯახის ნორმალური ფუნქციონირება, რთულია ქალის, როგორც მეუღლისა და დედის გარეშე ოჯახის სრულფასოვანი მართვა. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს, როდესაც დედა მცირეწლოვან ბავშვს ტოვებს. ბავშვის ქვეცნობიერებაში აისახება მხოლოდ დედის ღვთაებრივი სილუეტის ანარეკლი, დედის ღვთითკურთხეული სიტბოს გარეშე აღზრდილს რჩება მნიშვნელოვანი სიცარიელე და ნაკლოვანება სულიერ სამყაროში, რომელიც მნიშვნელოვან მორალურ ზიანს აყენებს მას. ბავშვის აღზრდისა და პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში დედის როლი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

რთულია თუნდაც სკოლის და შემდგომი პერიოდის მქონე ასაკის მოზარდისათვის დედის ემიგრაციაში ყოფნა.

აქ მახსენდება ჩემს ბავშვობაში არსებული გარემოება, რომელიც ჩემი დედის ნანი ქარციძის ემიგრაციას უკავშირდება.

1989 წელს, როცა მე 11 წლის ვიყავი, დედაჩემი მძიმედ დაავადდა, საქართველოში მას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. იმ დროისათვის საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის მიუხედავად ოჯახმა დიდი ძალისხმევით, ჩემი ანგარდაცვლილი ბიძის ნუგზარ ქარციძის თანადგომით, შესძლო დედაჩემის ქ. მოსკოვში, საკავშირო სამედიცინო ცენტრში გაგზავნა, სადაც მას ახალი დიაგნოზი დაუდგინდა და ხანგრძლივი მკურნალობით სიცოცხლე შეუნარჩუნდა. ჩემს მეხსიერებაში დღესაც ცოცხლობს ამ გარემოების შედეგად გამოწვეული ტკივილი. დედის გარეშე ჩვენი ოჯახი ფერმკრთალი და ცარიელი ჩანდა.

სკოლა და საზოგადოება, რომელშიც ვიზრდებოდი ყოველმხრივ ხელს მიწყობდა შექმნილი ცხოვრებისეული წინააღმდეგობიდან გამოსასვლელად, მაგრამ ჩემ სულიერ საფეხურებს დედის სახით პირველი საფეხური აკლდა.

განსაკუთრებულია ის დედობრივი სიტბო, რომელიც ამ გაჭირვებისას ჩემ მიმართ, უახლოესი მეზობლის რენო სანადირაძის მეუღლემ, ქალბატონმა ანა მამფორიამ გამოამყვანა, არასოდეს დამავინწყდება მისი სიტყვები „შემოდი უნდა გაბანავო ნუ გერიდება შვილო“.

რთულია, როდესაც ქალი ტოვებს ოჯახს, სამშობლოს, საზოგადოებას, რომელშიც აღიზარდა, იგი უნდა ეზიაროს უცხო ქვეყნის განსხვავებულ წესსა და ყოფაცხოვრების კულტურულ მემკვიდრეობას.

ამ მხრივ სიანტერესოა ქალბატონ ნანა ივანიშვილის „ნიუპრესტთან“ საუბარი, რომელიც გამოუვალმა მდგომარეობამ აიძულა ემიგრაციაში წასულიყო. პროფესიით პედაგოგის შრომითი ანაზღაურება ამ დროს 23 ლარს შეადგენდა, რაც, ბუნებრივია 3 შვილის მოვლა-პატრონობისათვის არასაკმარისი იყო. ის საუბრობს იმ სირთულეებსა და პრობლემებზე, რაც უცხოეთში ემიგრაციის სტატუსით ცხოვრებისას შეხვდა. „შესაძლოა ეს გარედან მარტივად ჩანდეს, მიდის ადამიანი იმისათვის, რომ უკეთესი მდგომარეობა შეუქმნას ოჯახს და წლებთან ერთად შედეგს აღწევს კიდევ, აგზავნის თანხას და შინ დატოვებული ოჯახის წევრების ეკონომიურ მდგომარეობას აუმჯობესებს, სინამდვილეში, ეს ყველაფერი გაუსაძლისი შრომისა და ხშირად შელახული თავმოყვარეობის ფასად ხდება. კარგავ საკუთარ „მეს“, ტოვებ საკუთარ შვილებს და უფლი სხვისას, ცხოვრობ სხვისი ცხოვრებით.“

ფასდაუდებელია იმ ემიგრანტ ქალბატონთა გმირობა, რომლებმაც გამოუვალი მდგომარეო-

ბიდან გამომდინარე თავიანთი ფიზიკური და სულიერი ენერგია ზვარაკად შესწირეს საქართველოს მომავალს.

ოფიციალური სტატისტიკით და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს დაბლა ცხოვრობს. უმუშევრობის მაღალი პროცენტი, სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულე განაპირობებს მასშტაბურ გარე მიგრაციულ პროცესს. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით კიდევ უფრო საგანგაშოა, რომ პოტენციურ მიგრანტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ახალგაზრდაა, რომლებიც ყველაზე აქტიურ, შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში იმყოფება.

მათ რიცხვს ემატება ის ახალგაზრდები, რომლებიც სასწავლებლად მიდიან უცხოეთში. საინტერესოა ილია II ნააზრვევი ემიგრაციაში მყოფ ახალგაზრდა ქართველთა მიმართ.

„სამწუხაროდ დღეს ხშირი შემთხვევაა, როცა ახალგაზრდები მიემგზავრებიან სასწავლებლად უცხოეთში და მიდიან ისეთ სულიერ მდგომარეობაში, როცა მყარად არ დგანან თავის ეროვნულ ნიადაგზე, არ იცნობენ კარგად საკუთარი ერის კულტურას, წარსულს, ტრადიციებს, რწმენას, ისტორიას და იქ, თითქმის, ყველაფერს ეროვნულს ადვილად ივიწყებენ.

უკან მობრუნებულებს კი უცხოეთიდან ჩამოაქვთ იქაური ფსევდოკულტურა.

ჩვენ გვმართებს დიდი სიბრძნე და მოთმინება, რათა შევამეცნებინოთ და განვუმარტოთ ჩვენს ახალგაზრდებს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული, ზნეობრივი და სულიერი ფასეულობანი უნდა იყოს ჩვენი არსებობის საფუძველი.“

*საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი
უნმინდესი და უნატარესი ილია II*

უარყოფით შედეგებთან ერთად შრომითი ემიგრაციამ საქართველოსთვის დადებითი შედეგიც გამოიღო. კერძოდ, შემცირდა ზენოლა ეროვნულ შრომის ბაზარზე, კლება განიცადა უმუშევრობის მასშტაბმა და მისთვის დამახასიათებელმა ნეგატიურმა სოციალურმა შედეგებმა. საზღვარგარეთ ნასული კონტინგენტის დიდმა ნაწილმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დადებითად იმოქმედა ქვეყნის სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაზე.¹ მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით აქ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციულ პროცესში უარყოფითი შედეგი სჭარბობს.

თ. გუგუშვილის გაანგარიშებით შრომითი ემიგრაციიდან საქართველოში ყოველწლიურად 720 მლნ აშშ დოლარი², ხოლო რ. გაჩეჩილაძის გამოთვლით მინიმუმ 400 მლნ აშშ დოლარი³ შემოდის.

ემიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, საქართველოს წარმომადგენლობისა და ეკონომიკური განათლების ასოციაციის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით საქართველოში საზღვარგარეთიდან წლიურად შემოდის 480-500 მლნ აშშ დოლარი⁴. ყოველივე ზემოაღნიშნულს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

ემიგრაციის კვლევის საკითხზე სავსებით სამართლიანად მიუთითებს თსუ შრომის ეკონომიკის კათედრის გამგე, ემიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერ-ხელმძღვანელი, პროფესორი მირიან ტუხაშვილი: „სამწუხაროა, რომ ჩვენში ემიგრაციის კვლევა ნაკლებად შეესაბამება პრობლემის მნიშვნელობას, ჯერჯერობით ეპიზოდური ხასიათისაა და ვერ ქმნის პროცესის რეგულირებისათვის საკმარის საფუძველს“.⁵

ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებაში ისტორიულად დიდი როლი მიუძღვის ქართველ ქალს.

¹ მანანა კოპაშვილი შრომითი ემიგრაციის სოციალ-ეკონომიკური ასპექტები საქართველოში.
² თ. გუგუშვილი - საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოკრატიული პრობლემები, თბ. 1998, გვ. 128.
³ რ. გაჩეჩილაძე - მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, თბ.1998, გვ. 60.
⁴ შრომითი მიგრაცია საქართველოში, თბ. 2003, გვ. 61.
⁵ მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში, თბ. 2005.

„ქართლის ცხოვრებისავე“ ცნობით დაკარგული თავისუფლების აღსადგენად აქტიურად მოქმედებენ დედა და დანი საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზისა.

ფასდაუდებელია სამცხის მთავრის ქვრივის სამძივარის ხელშეწყობა ანდრია პირველწოდებულისადმი ქრისტიანობის გავრცელების საქმეში.

ნიშანდობლივია მირიან მეფის მეუღლე ნანა დედოფლის მიერ ქრისტიანობის მიღება და საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად მოსულ წმინდა ნინოსთან მისი ურთიერთობა, წმინდა ნინოს და 12 მოწაფე ქალს მხარს უჭერდა და ყოველმხრივ ეხმარებოდა ნანა დედოფალთან ერთად სალომე უჯარმელი და სხვა.

ბატონიშვილის რევის ცოლს უკავშირდება წმინდა ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა, რამაც საფუძველი დაუდო ქრისტიანული მნიგნობრობის გავრცელებას.

საქართველომ მფარველად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარიამი მიიღო, სარწმუნოებრივ დოგმატად აღიარა, რომ დედაკაცი მარიამი არის ქვეყნის პატრონი და სამოქალაქო ცხოვრების მცველი, როგორც მკვლევარი დიმიტრი ჯანაშვილი აღნიშნავს: „უეჭველია, რომ თუ დედაკაცს წინათვე ასე არ უყურებდნენ ქართველები, ახლა წმინდა ნინოს ქადაგებით ქართველი ხალხი ასე მალე არ შეიცვლიდა აზრს, საზოგადოდ, დედაკაცზე და მას არ მიიღებდა თავის სალოცავ ხატად.“²

ქართველ მეფეთა აღზრდაში დიდი როლი მიუძღვით ქალბატონებს. მაგალითისთვის – მეფე გიორგი III აღზარდა დავით აღმაშენებლის ასულმა თამარმა. თამარ მეფე კი მამიდა რუსუდანმა და ა.შ.

ქართველი ქალის როლზე მიუთითებს ხვაშაქ-ცოქალის და კრავაი-ჯაყელის გაგზავნა თამარ მეფის მიერ ყუთლუ-არსლანის მომხრე აჯანყებულებთან მოლაპარაკების მიზნით.

მნიშვნელოვანია რელიგიის მიმართ ქართველ ქალთა დამოკიდებულების, თავგანწირული სულისკვეთების გამოვლენის არაერთი მაგალითი.³

ქართველი ერის ცხოვრებაში ქალს ყოველთვის გააჩნდა უმნიშვნელოვანესი როლი და ფუნქცია. იგი აღიქმებოდა როგორც განსაკუთრებული ფენომენი, ეროვნული თვითმყოფადობის მყარი ფუნდამენტი.

ქალის ისტორიული როლი და ფუნქცია მარადიული აქსიომაა ქართულ და არამარტო ქართულ ოჯახში, რომელიც თავის მხრივ მსოფლიო საზოგადოების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სანყის ნარმოადგენს.

ოჯახი ეს არის განვითარებული და მონესრიგებული საზოგადოების აუცილებელი, მყარი უჯრედი, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩაეყარა.⁴ ოჯახს თავისი ფუნქცია ჩამოყალიბების დროიდან დღემდე არ დაუკარგავს და არც შეიძლება დაკარგოს.

ქალის გარეშე ოჯახის ფენომენი იმსხვრევა. ამ შემთხვევაში ზარალდება არა მარტო ქალი და მამაკაცი, არამედ შვილებიც. აღნიშნული გარემოებით გამოწვეულ მორალურ ზიანს ვერავითარი მატერიალური ფასეულობა ვერ აანაზღაურებს, რასაც ემიგრირებული დედა უგზავნის ოჯახს. ოჯახი კარგავს ბუნებრიობის ობიექტურ საფუძველს, გზავნილი სახსრებით მონესრიგებული „ყველაფერი“ ხშირ შემთხვევაში შემქმნელის გარეშე არარაობად იქცევა ხოლმე.

¹ დ. ჯანაშვილი – ისტორიული სურათები, ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან და ქართველი ქალი, 1914.

² იქვე

³ მაგ. არჩილ მეფის ასულის შუშანასა და ლუარსაბ მეფის დედის თავგანწირვა, მათ თავიანთი სიცოცხლე ზვარაკად შესწირეს ქრისტიანობას.

⁴ დაახლოებით ძვ.წ. IV ათასწლილი.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ ქალთა ემიგრაციის პროცესში ერთეულ მოვლენებს. გადაუდებელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მანდილოსანი მიდის უცხოეთში ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, როდესაც იგი იღვწის კულტურულ ცხოვრებაში თავისი შესაძლებლობების წარმოჩენისათვის, მეცნიერებისა და ხელოვნების მიმდინარეობათა გასაუმჯობესებლად, როდესაც ის საკუთარ ქვეყანაში ვერ ახერხებს იმ შემოქმედების რეალიზებას, რომელიც უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ და კულტურულ ფასეულობას წარმოადგენს მსოფლიო კულტურისათვის.

მიგრაციული პროცესები პირდაპირ გავლენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკის ყველა სფეროზე და ეხება პრაქტიკულად მოქალაქეთა ყველა კატეგორიას.

ზემოთ განხილული გარემოებებიდან გამომდინარე რეალობა სერიოზულ სიღრმისეულ დაფიქრებასა და მსჯელობას მოითხოვს. საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან მნიშვნელოვნად გარდაუალთა სახელმწიფოს ქმედითი როლი არსებული და მოსალოდნელი მიგრაციული პროცესის რეგულირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ქართლის ცხოვრება“.
2. ნმინდა იოანე დამასკელის მართმადიდებლური საწმენოების ზედმინევენით გადმოცემა, თბ. 2012.
3. მიხეილ პომპანსკი – „დოგმატური ღვთისმეტყველება“, თბ., 2012 წ.
4. საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია.
5. თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის კრებული „მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში, თბ. 2005 წ.
6. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კონტროლის დეპარტამენტის მასალები.
7. მანანა ჭიპაშვილი – „შრომითი ემიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები საქართველოში“.
8. თ. გუგუშვილი – „საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები, თბ., 1998 წ.
9. რ. გაჩეჩილაძე – „მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები“, თბ., 1998 წ.
10. შრომითი მიგრაცია საქართველოში, მსო, თბ. 2003, გვ. 61.
11. დ. ჯანაშვილი – „ისტორიული სურათები, ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან და ქართველი ქალი,“ გორი, 1914 წ.

**ქალის ფანოქის ბაზრება ვანელ
ავტორითქელთა შიმოქმედაზი**

„რომელი იყო პოეტი ნრფელი, რომ სიყვარულზე არ დაემდეროს?! (გალაკტიონი). ქალის მშვენიებით ვინ არ მოხიბლულა, ვისი გულის სიმები არ შერხეულა ამურის უნაზესი ისრების შეხებით. ღმერთს რომ ადამისათვის ევა არ გაეჩინა – პოეტები მაინც შექმნიდნენ ქალის მომჯადოებელ სახეს (ტიციანი).

არ შემიძლია – არ დავეთანხმო ხალხური მელექსის ბორის თუთაშვილის (დიხაშხო) ფრიად შთამბეჭდავ ნააზრევს:

„ქალი უნდა ქალი იყოს, მოკლე ენა, საქმე სრული,
ქალმა შექმნა სამყაროში – სიცოცხლე და სიყვარული.
ფრთხილად, ფრთხილად, რომ ცხოვრებამ, ნაფოტივით არ გაგრიყოს,
ღმერთო, იმ დღეს მოგვასწარი – ყველა ქალი დედა იყოს.“

ქალის ყველაზე დიდი დანიშნულება ამქვეყნად, დიხაშხო, ახალი სიცოცხლის გაჩენა, ერის გამრავლებაა. ნათქვამია უშილო ქალი უნაყოფო ხესა ჰგავსო. რატომ უნდა გადაეგოს ქალი ან კაცი უშილოძიროდ? მყარი, თბილი ოჯახის შექმნა ყოველგვარი ბედნიერებისა და სიხარულის წყაროა.

ქალი – დედა, ქალი – სატრფო..... მინდა ამ თემაზე გავამახვილო ყურადღება აღნიშნულ წერილში. ჩემს შემდგომ წერილში სხვა რაკურსით გაშუქდება ქალთა სახეები.

დედაზე იმდენი რამ დანერილა და შექმნილა მთელ მსოფლიოში, მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. ქართული მწერლობა, ქართული ფოლკლორი ძალზედ მდიდარია დედისადმი მიძღვნილი ლექსებით, ნაწარმოებებით. ყველაზე ძვირფასს და საყვარელს ქართველი კაცი დედის სახელს უკავშირებს, ამიტომ ვამბობთ: დედასამშობლო, დედაქალაქი, დედაენა, დედამინა, დედაბუნება, დედამდინარე, დედაბურჯი და ა.შ. „თვით ანგელოზიც ვერ მოიგონებს დედაზე უფრო უნაზეს სახელს“ (ედგარ პო). სიცოცხლეში საწყალ დედებს სათანადოდ ვერ ვაფასებთ, ალბათ, და ამან მისცა საბაბი ხალხურ მელექსეს გულისტკივილით ეთქვა:

„დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა,
მიტომაც გვტანჯავს უფალი, სულ მუდამ გვაცოდვილებსა.“

ყველა შვილს, რა თქმა უნდა, უყვარს თავისი დედა, მაგრამ მათ შორისაც გამოერევიან ისეთებიც, რომლებიც სათანადოდ არ უფასებენ დამსახურებას, ღვანლსა და ამაგს. ღირსეული დედა, „ლამაზად შვილის აღმზრდელი“ (ვაჟა), მართლაც რომ გმირადაა ჩასათვლელი. ქართველმა ქალმა (დედამ) გადაარჩინა საქართველო მინის პირისაგან ალგვას. რა ხატოვნად წერს უბრწყინვალესი პოეტი ირაკლი აბაშიძე:

„გმირი კვდებოდა, მაგრამ მარადის
დედამ აკვანი დღემდე არწია.“

ათასი ჯურის მტერი გვესეოდა, სულ ბრძოლაში ვიყავით, მაგრამ დედა მაინც აჩენდა ერთს კი არა – ხუთ, ცხრა (ცხრა ძმა ხერხეულიძე) და მეტ შვილს, რათა ქვეყანას, მამულს დამცველი არ შემოკლებოდა.

გავიხსენოთ გ.ლეონიძის ეს ჟრუანტელის მომგვრელი სტრიქონები, რომელიც ქართველის დედას ეხება:

„დედაო, დაო, სატრფოვ ძვირფასო,
შენი წარსული მწარე წყლულია,
ყოველი ტანჯვა საქართველოსი
შენი ცრემლებით გამოწყულია.
მშვენიერება ტურფა შენებრი
სამშობლოს ედემს არა ჰყოლია,

თავისუფლების ვეფხვთა დედაო,
 წინ შენი სახე მათ ნასძლოლია.
 გულმდულარებით დამღერდი აკვანს
 და ხან ცხრა კუბოს დაჰქვითინებდი,
 მაგრამ შენს ამაყ, არწიველ სახეს
 მონათებდა დახსნის იმედი.“

(„ქართველ ქალს“)

თავის დროზე მწარედ ვალალებდა ბარათაშვილი:

„ჰოი, დედანო! მარად ნეტარნო,
 კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო,
 რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
 სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?!“

პოეტის ეს პესიმისტური განწყობილება სრულებით არ არის საფუძველს მოკლებული. მე
 თუ მკითხავთ – თანამედროვე დედების პატრიოტული შემართება, თავდადება ქვეყნისადმი
 – დროის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ასე მგონია – ერის გამრავლებაზე ძალიან ცოტა
 ფიქრობს, თუმცა ეკონომიკური პირობებიც ბევრს განსაზღვრავს.

ქალის (დედის) სახე, მისი როლი ჩვენს ცხოვრებაში, ვანელ ხალხურ მთქმელთა, ავტორ-
 მთქმელთა შემოქმედებაში მეტად საინტერესოა და ასახული და მხატვრულად გააზრებული.
 ხალხური მელექსე შოთა არველაძე (ზეინდარი) გულწრფელად გვიმჟღავნებს დედისადმი უაღ-
 რესად თბილ დამოკიდებულებას:

„დედავ, შენი ფიქრი მე ვარ და მარადი სიყვარული,
 შენ გიმღერის, შემოგხარის ჩემი ლექსი, ჩემი გული;
 რომ იფერებ ცისკრის ღიმილს, შვილით ცოცხლობ, შვილით ხარობ,
 სულ მზე ადგეს შენსას ბუდეს და შენს ტურფა საბაღნაროს.
 უკვდავების წყაროს გვასმევ – მინიერიც, ზეციერიც,
 დედავ, ერის დედაბოძო, სიამაყე მთელი ერის.“

დედისადმი მიძღვნილი ნაწარმოებებიდან მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას უთუ-
 ოდ იქცევს ხალხური მელექსის ალექსანდრე მგელაძის (ტობანიერი) ლექსი თავისი აზრობრივი
 სიღრმითა და მხატვრული ოსტატობით. მას სამართლიანად მიაჩნია, რომ ის კაცი, რომელსაც
 დედა არ ახსოვს – სიცოცხლეშივე მკვდარია:

„დედა არ გახსოვს? – არ მჯერა, თუ გნებავთ დღესვე მომკალით,
 დედა არ გახსოვს? – მკვდარი ხარ, რად გინდა თავი ცოცხალი.
 ლაპარაკს „დედას“ თქმით ვინყებთ და ის გვყავს სულ საფიცარი,
 თვალები რომ გავახილეთ – პირველად დედა ვიცანით.
 გვიჭირს რამე და ვიძახით: „ვაი, მიშველე, დედაო!“,
 ვინმეს ნახვა თუ გვახარებს, „დედა, ამას ვის ვხედავო.“
 ქართველმა დედას მიუძღვნა ბევრი სიმღერა და ლექსი,
 შვილთა სიყვარულს ვკითხულობთ დედის გადაღლილ თვალებში.
 წიგნს „დედა ენა“ ვუნოდეთ და დედა კერპად ვინამეთ,
 არცერთ ერს უწოდებია დედა საკუთარ მიწაზე.
 არ დაღამდება ისე დღე-შვილი რომ არ გაიხსენოს,
 ღმერთს ევედრება: შვილები განსაცდელისგან მიხსენო.
 შვილებზე ფიქრით რამდენი ღამე აქვს თეთრად ნათევი
 და იღვენთება თანდათან, ისე ვით წმინდა სანთელი.
 დედამ გეშობა და გაგვზარდა, მის გამჩენს ვენაცვალები,
 ცუდსა ნურას ვიქმთ, ცრემლებით არ დაფუნამოთ თვალები.
 თუ გვინდა წუთისოფელმა არ გვტანჯოს, გვაცოდვილოსა,
 უკვდავი დედა გვიყვარდეს, დედა გვახსოვდეს, შვილოსა.“

სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიების მიერ საუკუნეების განმავლობაში დაპყრობილი, მიტაცებული, ქართული რეგიონებიდან ტყვეებად წასხმულმა ადამიანებმა თუ დღემდე ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნეს მშობლიური ენა, ეროვნული ხასიათი, უნარ-ჩვევები და სხვა, ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ქალის – დედის დამსახურება გახლავთ.

სამასი წელი თურქთა ბატონობამ საქართველოს ერთ-ერთ ძირძველ, ულამაზეს კუთხეს აჭარას, (1878 წელს შემოუერთდა საქართველოს – ა.თ) მძიმე დალი დაამჩნია. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მუსლიმანობა მიიღო, ნაწილი კი ისევ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დადგა მყარად. „პატარა საქართველოა პატარა ფერეიდან, ვწერთ და ვწერთ ნისლის წერილებს აქეთ მე, იქეთ მხრიდან ის“ – უნებურად მახსენდება შესანიშნავი პოეტის ლადო სულაბერიძის სტრიქონები, როცა ფერეიდნელ ქართველებზე ვფიქრობ. ახლაც ჩამესმის თითქოს ყურში მათი გულმომწყვლელი ხმა, ვგრძნობ ისტორიული სამშობლოს მონატრებით გამონვეულ მძაფრ ნოსტალგიას, ესოდენ გულის შემძვრელ მათი სულის ლაღადის:

„ყველა სიმაგრე დაიმსხვრა და გამძლეობის ურდული,
რალა ვარ მიწით, ვენახით, მზითა და ცით გაქურდული?!
დარდი აყვავდა, ტიალი, სულში, ვით ბუჩქი ძახველის,
ბრალია ქართველის სიკვდილი სამშობლოს დაუნახველი.“

(ა. თევზაძე)

ხულოელი მელექსე ალექსანდრე მგელაძე (ტობანიერში ჩამომოსახლებული) მთელი სიმძაფრით გადმოგვცემს რა აჭარელ ხალხზე თურქთა ბატონობის სამასწლოვან ტრაგედიას, მკვეთრად უსვამს ხაზს ქართველი დედის როლს, ძალისხმევას სარწმუნოებისა და ენის შენარჩუნების საქმეში:

„სამას წელიწადს ჯიჯგნიდნენ, სამას წელიწადს თელავდნენ,
დარდი, ვარამი ხალხს ჰქონდა თავზე საყრელი ყელამდე,
აჩეხეს ვაზი, გადასწვეს ნაშენ-ნაგები წვალებით,
აკრძალეს სიტყვა ქართული, ჩადრში გახვიეს ქალები.
„ქრისტეს მცნებით ვერ იცხოვრებთ, თუ გსურთ მხრებს შეგრჩეთ თავები!“ –
იმუქრებოდნენ ნიადაგ რისხვით გულგანაავები.
თავი რით გადაერჩინათ – ამ ფიქრით იყვნენ გართულნი,
რწმენა თუ შეაცვლევინეს – არ დაივიწყეს ქართული.
დედებმა შემოგვინახეს ენა თამარის, შოთასი,
მაღულად მჭადზე ჯვარს სვამდნენ ლარიბულ ქართულ ოდაში.“

დედაშვილობის მაღლი განუზომელია. დედის სიტბოს, დედის ალერსს, ნუგეშს მოკლებული ადამიანი ყველაზე მეტად შესაბრალისია. დედას შვილისთვის უდიდესი მსხვერპლის გაღება შეუძლია, თვით სიცოცხლის შეწირვაც, ოღონდ ის იყოს ბედნიერი და დღეკეთილი. ვის არ სმენია ლეგენდა თუ თქმულება „დედის გული“. შეყვარებულ ვაჟს სატრფომ რომ დედის გული მოსთხოვა ცოლად გაყოლის სანაცვლოდ, დედამ უყოყმანოდ ამოიგლიჯა გული და დაუდო შვილს ხელის გულზე. მიდის, მიიჩქარის შეყვარებულისკენ ვაჟი, გზად ქვას ნამოჰკრა ფეხი, წაიბორძიკა და აქაც დედის გულმა შეაფხიზლა, ფრთხილად, შვილო, არაფერი იტკინოო. გონებადაბინდულმა, უმადურმა შვილმა, დედა გაიმეტა შეყვარებული ქალისთვის, რომლისგანაც საკადრისი პასუხიც მიიღო: შენ საკუთარი დედა არ გყვარებია და მე როგორ გეყვარებო.

ავტორმთქმელ ლილი ბელთაძის (ზედა ვანი) ლექსი „ვედრბა შვილისადმი“ სწორედ მსგავსი განწყობილებითაა გამსჭვალული. ლექსის ადრესატი შეიძლება სრულებითაც არ გახლავთ საკუთარი შვილი, ლექსში ზოგადსაკაცობრიო დილემაა ასახული. შვილები დედის (მშობლის) ამაგს ვერასოდეს გადაიხდიან, ასე ყოფილა ოდითგან და ასე იქნება მომავალშიც, გულსაკლავად ჟღერს სარეცელს მიჯაჭვული დედის ვედრება შვილისადმი, რომელსაც წლების განმავლობაში არ უნახავს იგი:

„აზრზე მოდი, სანამ დროა, სანამ პირში მიდგას სული,
სანამ კიდევ ოდნავ მიძგერს გული-შენგან გაბზარული.
შემდეგ გვიან რომ არ იქნეს, არ დაგდინდეს ცრემლის ღვარი, –

თითებით რომ მინა ფხოჭნო – ველარ გავცოცხლდები მკვდარი.
 მოდი, იქნებ გავხალისდე, ყელი ისევ მოიღერე,
 მკერდში თბილად ჩამეკარი და თუ გინდა მოვკვდე მერე.
 გელი, სანამ ცოცხალი ვარ, პატიების შემწვევს ძალი,
 მოდი, დედა გენაცვალოს, შემბრალებ მე სანყალი“.
 („ვედრება შვილისადმი“)

ხალხური მელექსე გიგლა ოჩხიკიძე (ტობანიერი) ფერებს არ იშურებს, რათა სრულყოფილად დაგვიხატოს დედის პორტრეტი, მარადის ღმერთივით სანუკველის და სალოცავის:

„მზესავით საფიცარია
 დედა – გზის მანათობელი,
 დედა – ამ ქვეყნად ღმერთია,
 დედა – თვით უფლის მშობელი.
 „სამშობლო – დედის ძუძუი,“
 დედაა მთაც და ბარიცა,
 დედა – მარადჟამს უკვდავი, –
 ცოცხალიცა და მკვდარიცა.

 დედა ყველაზე ძლიერი,
 არვის არ უდებს ტოლსაო,
 „ჯერ დედას გადავეხვევი,
 მერე შვილსა და ცოლსაო!“
 დედა – მრწამსია ცხოვრების,
 იგი წკრიალა ზარია,
 ცოცხალი დედა შვილისთვის
 მუდამ მზიანი დარია.“

დედის იმედი, მზრუნველობა, სითბო და სიყვარული ღმერთმა ძალიან დიდხანს, დიდხანს ნუ მოგვიშალოს. რა მშვენივრად წერს ავტორმეტემელი მამია დვალიშვილი (ვანი):

„თუ სასოებით შევყურებ ცარგვალს,
 როგორც მორწმუნე ტაძრის გუმბათებს,
 დღესაც ჩემს ფიქრებს შენი თილისმა,
 წინ მიუძღვება და გზას უნათებს.“

დედაა ცნობილი მელექსის რუსუდან ადგიშვილის (დიხაშხო) სიცოცხლის აღმაფრენისა და პოეტური შთაგონების წყარო, ამიტომ მიმართავს მას ასე მოკრძალებით:

„შენი წმინდა ხატება, მუდამ გულით დამაქვს,
 რა ანონის, ნეტავ, შენს ზრუნვას და ამაგს.
 შენი სითბო, ალერსი და ნუგეში გვზრდიდა...
 ნახვედი და ღიმილს კვლავ გვაფრქვევ მწველი მზიდან.“

დიდი სიყვარულითაა გაჯერებული მეუღლისადმი – მართლაც საამაყო ქალისადმი – მიძღვნილი მამია დვალიშვილის (ვანი) ლექსი, რომელმაც საკუთარი შვილებივით აღზარდა გერები:

„თავს ევლებოდი სხვის შვილებს, ვითარც საკუთარ შვილებსა,
 არ გაგინბილეს იმედი, სიცოცხლე გაგიტკბილესა.
 შენ ის ქალი ხარ – აკვანთან ვინც ღამეები ათია,
 დააფრთიანე: მირანდა, ბაია, სოსო, ნათია.
 შემოგღიმილებთ ამაგდარს, გული ხალისით იესება,
 მრავალ თაობას განვდება შენი ქალური ღირსება.
 დავბერდი, ვნუხვარ, შენსავით ოჯახს მხარში ვერ ვუდგევარ...
 არასდროს არ მოგაკლდება უფლის ლოცვა და კურთხევა.“

ვანელ ხალხურ მელექსეთაგან თავისი ხალისი ნიჭითა და შემოქმედებითი მიღწევებით

უთუოდ გამოირჩევა დიხაშხოელი ავტორმთქმელი ბორის თუთაშვილი. მისი შემოქმედება საკმაოდ მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. 2008 წელს გამოსცა ლექსების კრებული „სიკეთის გზა“, სადაც ქალისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები მრავლად გვხვდება, „ტრადიციების შემომნახველი ოჯახი ჩვენთვის ყველაფერია“ – ამაყად ჟღერს ბორისის ეს სტრიქონები. ის ერთი მუხლჩაუხრელი მშრომელი კაცია, დიდებული ქართული ოჯახის პატრონი. ოჯახის თითქმის ყველა წევრზე აქვს ლექსი დაწერილი, განსაკუთრებით ქალბატონებზე, რომლებიც მუდამ ცხოველ ინტერესს იჩენენ მისი ლექსებისადმი და ხშირადაც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ. ამაზე ნათლად მეტყველებს იუმორის გრძნობით გაჯერებული ლექსი „ვინ ვარ?“:

„ტიტულოვანი არა ვარ, არც ვარ რუსთველი, გოეთე,
მაგრამ ცოლი და შვილები ნამდვილად გავაპოეტე.
რძლები ჩემს ლექსებს კითხულობს, „შეცდომებს“ ჩუმად ხაზავენ,
შვილიშვილებიც მალულად ლექსის წერაში მბაძავენ.
ლექსმა გამაცნო ქვეყანა, მომრავლდა ჩემზე სალამი,
უფროსმა შვილმა, მაქსიმემ, ლექსში მოსინჯა კალამი.
მეც ვფრთხილობ, არსაკადრისი, ლექსში რომ არა წამომცდეს,
ჩემი ლექსი და მე თვითონ ცოლთან გავდივართ გამოცდებს.
ღამე გავტეხე, დაწვწერე ლექსი ცრემლებით ნაპკური,
ცოლმა კრიტიკის ქარცეცხლში გამომწვა, როგორც აგური:
– შეუჩერებლივ მუშაობს, როგორც ელექტრომრიცხველი,
აუგის მთქმელი ბევრია, ცოტა გყავს კარგი მკითხველი.
ვინ დაგბეჭდავს, მითხარი, იუმორებს და სატირებს?
ხომ არ ჯობდა რომ ბოსელში, თხებს უღობავდე საპირეს?
– და მაინც მინდა ოჯახში ერთი მოლექსე გვყოლოდე
ცხოვრება ჩვენი ბრძოლაა, მიდი, იბრძოლე ბოლომდე!“

ხალხური მელექსის სათუთი გრძნობები, უფაქიზესი განცდები მუდამ მასავით შრომაში გამოჯანდრულ მეუღლეს დასტრიალებს თავს, ვისთან ერთადაც ქედუხრელად ზიდა ცხოვრების ჭაპანი, ღირსეული შვილები აღუზარდა ქვეყანას, ძალზედ სევდიანია ლექსის ფინალი, მხოლოდ მუხთალ სიკვდილს თუ შეუძლია მათი დაშორება:

„ეს აღრენილი დროის ქარები,
სიცოცხლის ღამპარს გვიქრობს,
შემოგვიმტვრია თითქმის კარები,
ჩვენს გადათელვას ფიქრობს.
არ გვინდა ვიყოთ სულგაძარცული,
დრო რომ უსაქმოდ დავყოთ,
ის არ მოკვდება, ვისაც წარსული,
ექნება საამაყო.
რა ძნელი გზებით ვიარეთ ერთად,
ვერ გამომითქვამს ენით,
ასე მგონია, სიცოცხლე ქვეყნად
დაიწყო მხოლოდ ჩვენით.
შრომა და ბრძოლა ნუ მოგვწყინდება,
წარსულს ვუსწოროთ თვალი,
არის ღირსება, ჩვენი დიდება, —
შვილი და მომავალი
ქვაზე დაწერენ, — მაყვალა, ბორის...
და ჩაგვიხუტებს ღმერთი!
სამწუხაროა, მაგრამ ჩვენს შრომის,
ბოლოს დარჩება ერთი!“

სატრფიალო ლირიკის მშვენიერი ნიმუშია ბორის თუთაშვილის ლექსი „გავხდი სიყვარულის მონა,“, ხალხურ მოტივზე შექმნილი.

„არ შეგხედო, მენატრები, გიმზირო და მრცხვენიაო,
 მე შენს გარდა, გენაცვალე, ქვეყნად ვინ დამრჩენიაო?
 „მაგი შენი კაბა – კოფთა, ვინ შეკერა მასე კობტა?
 მაგის შემკერავი მოკვდა – იმან ჩემი გული მოკლა.“
 მაკარონა წვივებს ვხედავ, წნევამ თითქმის ამინია,
 ვაი მოდას! – ქვედანელმა მუხლებს ზევით აიწია.
 შეხსნილიყო საკინძე და დაგინახე მკერდმეხსნილი,
 დამეკარგა მოსვენება, დამეკარგა მშვიდი ძილი.
 დაგინახე, ბროლის ყელს რომ ირემივით აღერებდი
 და შაირებს ბულბულის ხმით, ფანდურზე რომ ამღერებდი.
 არ მინდა სხვა „ამორძალი,“ არ მინდა სხვა დეზდემონა,
 სიყვარულის ზღვაში ვცურაც, გავხდი სიყვარულის მონა.“

ავტორმთქმელ ბორის თუთაშვილს ხელენიფება სათქმელის სადა, ნათელ ფერებში გად-
 მოცემა. მისი სტრიქონები ნაკადულივით ლაღად მორაკრაკებს, გვხიბლავს განუმეორებელი
 სურნელითა და გულწრფელობით. ქალი – პოეზიაა მისთვის, დაუშრეტელი შთაგონების წყარო,
 სიყვარულის მარადიული სიმბოლო:

„შენი გულის ფეთქვა მესმის და ვკრთი ცეცხლის ალთან...
 მომანათე სასოება ღიმილიან თვალთა.
 უშენობით სიცოცხლესაც აღარა აქვს ეშხი,
 ნეტავ სადმე დაიკარგო – და გიპოვო ლექსში.
 ვინვი ვნებადაუმცხრალი, დღეს შევხარი მზიანს...
 პოეზიამ შექმნა ქალი, ქალმა – პოეზია.
 შენთან ყოფნა განმიქარვებს უჩვეულო დარდებს,
 ხარ მსუბუქი დილის სიო ლაღად მონავარდე.
 მწველ გულისთქმას, გრძნობით მთვრალი
 ვანდობ სიტყვას ფრთიანს...
 ხარ ოცნების ტურფა ქალი, ქალი – პოეზია!“
 („ქალი – პოეზია“)

მისთვის ქალი წმინდა სალოცავს ჰგავს, რომლის საკურთხეველზეც ძალუძს უყოყმანოდ
 დაიფერფლოს და დადნეს, როგორც სანთელი:

„მხატვარი რომ ვყოფილიყავ, ამ სტრიქონებს არ დავწერდი...
 მოსვენებას აღარ მაძლევს, გოგოვ, შენი სავსე მკერდი.
 ალბათ გახსოვს, რომ შენს გარდა სხვას არავის ვალმერთებდი...
 დაგხატავდი ისე კარგად, ნამდვილ გაგაქალმერთებდი.
 მე არ მინდა სხვა ედემი, არ მინდა სხვა სამოსახლო,
 აწი დროა, რომ ავბარგდე და შენს გულში ჩავესახლო.
 შენ მოგიძღვნი ყველა სტრიქონს, ავამღერებ ლერწმის ღეროს,
 ოლონდ შენმა მოფერებამ სიყვარულში დამაბეროს.“

(ლექსი „ოლონდ შენმა სიყვარულმა“)

მას ერთი წუთითაც არ დასცდება სამღურავი სიტყვა უფლის მიმართ, არც რამეზე ინაღვ-
 ლებს, ოლონდ ბოლომდე დაინწვას მიჯნურის ტრფიალების ალმურში. ლექსი „ნატვრა“ სწორედ
 ამ განწყობილებებით სუნთქავს:

„შენი ბუჩქის ჩრდილში დამსვა, ვარდის კოკრებს რომ ვწვდებოდე,
 არ ვინაღვლებ, შენთან ერთად, სიყვარულში მოგვკვდებოდე.
 შენი გულის ხმა მესმოდეს, შენი სუნთქვის გახშირება,
 ყველაფერი გავაკეთოთ, სანამ ვიქცეთ ნახშირებად.“

მზის სიტურფით გამილიმე ჩემი გულის გასახარად,
ხელი ვერვინ ვერ აღმართოს, ჩვენი გზების გასაყარად.
ჩვენი ფუძე, ჩვენი ჭერი სიყვარულში შენდებოდეს,
ღვთის წყალობა, — მომავალი იზრდებოდეს, მშვენდებოდეს.
ჭიშკარი სულ ღიად გვქონდეს, ქვევრი მუდამ თავმოხდილი,
ამ ქვეყნიდან როცა გავალთ, ორთავ ვიყოთ ვალმოხდილი.“

ბ. თუთაშვილს, დიდებულ ხალხურ მელექსეს, როგორც მრავალ ჩვენთაგანს, ღრმად განუცდია პირველი სიყვარულის ელდა, ამ უკეთილშობილესი გრძნობით გამოწვეული სისხლის დუღილი და დამდაგველი ჟრუანტელი. პირველი სიყვარულის გახსენება გარკვეულ ტკივილებთან ერთად, დადებით ემოციებსაც აღძრავს მკითხველში, როცა მის ქვემორე მოტანილ ლექსს გაეცნობა:

„მე მაგონდება ის გაზაფხული
ატმის კვირტები, ყვავილთა თოვა,
საგანძურივით შემონახული
გრძნობა, რომელმაც მე არ დამტოვა.
ვერ მოერია წლების სიმძიმე,
ნექტარში ჩაფლულ გრძნობას და რწმენას,
ჩემს სამყაროში ისევ ციმციმებ,
შენთვის ავიდგამ ბუღბუღის ენას.
ისევ ის ხე ხარ, წალკოტის გულში
გადაპენტილი მფეთქავ კვირტებად,
გახსენებული სიყვარულია
და, გთხოვთ, ნურავის გაგიკვირდებათ.
მაშინ სხვა იყო ის სილამაზე,
სახის ფერი და თვალების ეშხი,
და... მომეჩვენა ვარდი კი არა,
თითქოს სამყარო გეჭირა ხელში.“

(ლექსი „მე მაგონდება...“)

სხვების სატრფიალო ლექსებზე არანაკლებ საინტერესოა და ინტიმურია მამია დვალიშვილის სატრფიალო ლირიკა. განსაკუთრებული კეთილხმოვანებით, მუსიკალობით გამოირჩევა ლექსი „ნატული“.

„ამკობს ხიბლი ქალური – რაღაც იდეალური,
გალიმება ღვთიური, არაამქვეყნიური.
თან დაჰყვება სულ წელი, გაზაფხულის სურნელი,
სიყვარულის შეჰყროდეს სენი განუკურნელი.
დადის, როგორც სიზმარი, თვალწარბგადახატული,
ჩვენი სოფლის მშვენება – ქალბატონი ნატული.“

„ხან ბრიალა მაისი, ხან უჟმური მარტი ვარ, კარგი ქალის სიყვარულს არ აქვს ალტერნატივა“ – წერს იგი და ღრმა ოპტიმიზმით აღსავსე მიმართავს საყვარელ არსებას:

„მთაში უნდა ამიყვანო, დამანაფო მაყვლიანებს...
შენ თუ გვერდში მეყოლები – რაღა დამანაღვლიანებს?!“

პოეტს ორიოდე შტრიხით შეუძლია ბრწყინვალედ დაგვიხატოს ქვრივი ქალის პორტრეტი:

„ლამის ჩრდილებს ეფერება მთვარე,
ქვაფენილზე მოაბიჯებს ქვრივი,
თეთრი სახე, ჩამოშლილი თმები,
ძუძუ-მკერდი მაღალი და მკვრივი.“

(ლექსი „ქვრივი“)

ავტორმთქმელი ოთარ ჭოხონელიძე ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოს მცხოვრებია, ფრიად განსწავლული, გონიერი პიროვნება, რომელსაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი რაიონის კულტურული, სამეურნეო, საგანმანათლებლო ცხოვრების სფეროებში.

ბატონი ოთარი 80 წელს გადაცილებული კაცია, მაგრამ საკმაოდ ყოჩაღად გამოიყურება. ამ ბოლო წლებში თავისი ლექსებისა და მოგონებების მშვენიერი ნიგნები გამოსცა. რედაქტორობს გაზეთ „ჯვარისერს“, არის ფაზისის აკადემიის წევრი. ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და სიბრძნეს უშურველად უზიარებს ნაცნობ-მეგობრებს, თავის აღსაზრდელებს თუ აღზრდილებს.

ბავშვობიდანვე წერდა პატარ-პატარა ლექსებს. პირველი სიყვარული სკოლის მერხზე ეწვია, ჯგუფში ერთი გოგონა მოსწონდა, მაგრამ სიმორცხვის გამო გრძნობას ვერ უმხელდა, ისიც ადგა და დიდი დასვენების დროს დაწერა ლექსი და ფურცელი მალულად დაუდო იმ გოგონას მერხზე. საკლასო ოთახში დაბრუნებულმა გოგონამ მერხზე ფურცელი მყისვე შეამჩნია და კითხვა დაიწყო.

ეს ნაწარმოები აშკარად მოგვაგონებს კ. გამსახურდიას ლექსს „ზღვისფერი გაქვს თვალები...“ თუმცა ხალხურობით ნამდვილად გამოირჩევა:

„გოგოვ, ჩემკენ მოიხედე, რატომ არ მცემ ხმას,
შენ გგონია დაგივინყებ, შევიყვარებ სხვას?
გეფიცები მზეს და მთვარეს, ვარსკვლავებს და ცას,
აგატირებ მწარე ცრემლით, არ ვიცოცხლებ თავს.“

ის სიყვარულისთვის გაჩენილი კაცია და ამიტომაც გვიცხადებს გულწრფელად თავის გულისნადებს:

„მე პატიებას ვითხოვ ყველასგან –
თუ ვინმეს ოდნავ ვატკინე გული,
ვინაც ვერ იგრძნო ჩემგანაც სითბო
და ვერ ვაჩვენე ღრმა სიყვარული.
.....
მე პატიებას ვთხოვდი მწყურვალებს,
თუ ვერ შევძელი წყლის მიწოდება
და თუ ჩემს გულთან არ მივიტანე
სხვისი ოხვრა და სხვისი გოდება.
მე პატიებას იმიტომ ვითხოვ –
გავწმინდო ჩემი ცოდვილი სული
და კიდევ უფრო გავიძლიერო
უფლის რწმენა და ღრმა სიყვარული.“

(„გთხოვ მაპატიო“)

„მეტი შეგრძნება სიცოცხლისა და სიყვარულისა ასულდგმულებს მის პოეტურ ფანტაზიას აღფრთოვანებას ვერ დამალავთ, როცა ლექსის „ერთი მითხარი“, უგულწრფელეს სტრიქონებს გაეცნობით:

„ერთი მითხარი – დამნაშავე რაში ვარ, რაში?!
ან რად ვიხრჩვები სიყვარულის ცრემლების ზღვაში.
თუკი ამქვეყნად სიყვარული ცოდვაა დიდი,
მაშინ მითხარი – ჩემს გრძნობებში რად შემოფრინდი?
ან რად მარგუნე ამოდენა დარდი-წუხილი?
რად დამარისხე ზეციური ჭექა-ქუხილი?!
ნეტავ, სად გაქრა ის ფერები, გრძნობა ეული,
იქნებ ამიხდეს ოცნებები ცრემლმორეული“.

ბატონ ოთარს ღრმად სწამს, რომ „უბრალოებაშია ადამიანის სილამაზე. სიმშვიდე და სათნოება კიდევ უფრო ალამაზებს მას... უსიყვარულო კაცი მკვდარია სულიერად და ფიზიკურად“.

„მე ყოველ დილით შენზე ვლოცულობ,
 გულზე ტრფიალის ცეცხლის მოდებით?
 რაგინდ შორს უნდა ნახვიდე ჩემგან,
 იცოდე – მაინც დაგელოდები.
 ასე მგონია ცისკრის ნათებას
 გათენებისას კვლავ ამოჰყვები,
 გთხოვ დამანახო შენი სახება
 და სადაც გინდა იქ გამოგყვები.
 დაგელოდები, დაგელოდები,
 იცოდე – დიდხანს დაგელოდები.“

(„დაგელოდები“)

სიყვარულით სუნთქავს შუამთელი ხალხური მთქმელის გერმანე დვალიშვილის არაერთი ლირიკული ლექსი, მათ შორის საამოდ იკითხება სატრფიალო ლექსი „მე სიმღერით უნდა მოვკვდე“:

„მე სიმღერით უნდა მოვკვდე ასეთია ჩემი ბედი,
 შენს სიყვარულს ვუგალობო, თუმც კეთილო, ქე დავბერდი.
 მიმატოვე, შენი სახე თვალწინ მიდგას ღვთაებრივი,
 თავს ამითი ვინუგებ – გულში ძველი ცეცხლი ღვივის.
 მომანოდე ჩემი ჩანგი, მწველ გრძნობების შევსვა ბანგი,
 რა ყოფილა სიყვარული, სულის მახე და ხაფანგი“.

არც ამ მეორე ლექსშია ურიგოდ ასახული, გამჟღავნებული მისი სატრფიალო განწყობილება:

„საუკუნის ფრთებზე ვზივარ ბერიკაცი ხანდაზმული,
 სიყვარულით დათუთქული კიდევ ფეთქავს ჩემი გული,
 მაგონდება სიყმანვილე, ბავშვობა და ჩემი ყრმობა
 კეკლუცებში საუბარი, გართობა და მეგობრობა

.....

ძალზედ ტკბილად მახსენდება ქალის კოცნა და ფერება...
 სიყვარულით, სიხარულით გერმანუშკეს დაბერება“.

დინამიკური ირინა ხურციძე, ცნობილი პოეტი და ხალხური მეღეჟე, სატრფიალო ლირიკის მშვენიერ ნიმუშებს გვთავაზობს. განზილებული სიყვარულით გამოწვეული სევდა ბრწყინვალედ აქვს ასახული ლექსში „დღემდე ჩემად მეგულვი“, მოგვაქვს ნაწყვეტები ამ ნაწარმოებიდან:

„... მდუმარებით გავლიე წლები სიჭაბუკისა,
 მდულარებით ვაფრქვით ცრემლი სინანულისა,

.....

უსაშველოდ მიყვარდი, თქმა კი ვერ გაგიბედე,
 დღემდე ჩემად მეგულვი, სხვისთვის ვერ გაგიმეტე“.

აზრობრივი სიღრმით, უშუალოდობითა და ღრმა ემოციურობით გვხიბლავს ლექსები:

„ოცნებად მექცა ხილვა პირველი,
 წამით დაგმორდი – გული ატირდა,
 მოლოდინს მაინც ვერ გადავურჩი
 და მეღანდები კვლავ იმ ნატვრიდან“.

„იმ გაზაფხულის ქრიზანთემები
 კარგახანია უკვე გადახმა
 მოხვალ? – არ ვიცი,
 მაგრამ დაგიცდი,
 მაინც დაგიცდი ამ გზის გადაღმა“.

„სხვა რამ სამოთხე არ მინატრია,
 ჩემი სავანე შენი გულია
 და დღემდე ისევ მივტირი იმას,
 რაც უშენობით დაკარგულია“.

ღირიკული სინაზე, სიფაქიზე, გულწრფელობა შეიგრძნობა ავტორმთქმელ ფატი ბოლქვა-
 დის (შუამთა) სატრფიალო ლექსებში:

„სიცოცხლე ნუ გამიწყალე,
 დილით მზე ხარ, ღამით მთვარე,
 რად არ ისმენ ჩემს ვედრებას? –
 მიყვარხარ და შემეყვარე!
 ბიჭო, შენი გულგრილობა
 არის ჩემი გულის მკვლეელი,
 უღმერთოდ რომ ვიტანჯები –
 ვინა ამის გამკითხველი?!“

ბუნებრივი სილალით, სისადავით და უშუალოებით შეუძლებელია არ დავტკბეთ ნეტარად
 სახსენებელი ქალბატონის ამ შთამბეჭდავი სტრიქონებით:

„მომხიბლა შენმა შავმა თვალებმა,
 გულს ემატება ბოღმა და დარდი,
 უშენოდ ყოფნა არ შემეძლია,
 ნეტავი – ასე რად შემეყვარდი?!“

არც ქვემოთ მოტანილ სტრიქონებს აკლიათ პოეტური არომატი:

„სადაც უნდა ნახვიდე —
 ვერსად დამემალები,
 მისამართად დამრჩება
 შენი შავი თვალები.“

„სულაც არ მინდა შენზე ვწერო
 თითქოს არც რა მენაღვლების,
 მაგრამ რა ვქნა – გულს რომ ფიქრით
 შენთან ყოფნა ეამების“.

ან კიდევ:

„ჩემი გული ისე ცვდება,
 ვით სამოსი ტანზე ცმული,
 მაგრამ ხსოვნა სიყვარულის
 სათუთად მაქვს შენახული“.

სიყვარულის უიშვიათესი გრძნობა რომ ამაღლებს ადამიანს სულიერად, ზნეობრივად,
 აკეთილშობილებს მის გულსა და ხასიათს – ამაზე ორი სხვადასხვა აზრი არ არსებობს, „სი-
 ყვარული აგვამალლებს“ – ღალადებს დიდი რუსთაველი; „სიყვარულო ძალსა შენსა, ვინ არს

რომე არ ჰმონებდეს?“ – წერს ალ. ჭავჭავაძე. იმის ნეტარების ბურანში ნებით თუ უნებლიედ ყველა ექცევა, „გინდა იყოს დანიის პრინცი, გინდა – მონაკოს, ძალუძს ტურფას თავისი ყურ-მოჭრილი მონა-ჰყოს“(ა. თევზაძე). სიყვარული სიცოცხლის ძალისა და აღმაფრენის მომნიჭებელია. რა შეედრება ერთგულებაზე დაფუძნებულ უღალატო სიყვარულს, უიმედოდ შეყვარებულ ადამიანზე შესაბრალისი არავინაა ამ ქვეყანაზე.

ავტორმთქმელი ლილი ბელთაძე (დაბა ვანი) ქალ-ვაჟს შორის ნდობასა და ურთიერთპატივისცემას ყველაზე მაღლა აყენებს, განზილებული სიყვარულით გამონვეული ტკივილი სულს მარადის ცხოვლად აჩნდება, ამიტომ აფრთხილებს ის საყვარელ არსებას (ვაჟს) გული არ დაუზიანოს:

„ჩემთვის ყოველთვის ლამეა, შენთვის ყველა დღე მზიანობს,
ფრთხილად იყავი, ვაჟკაცო, გული არ დამიზიანო.
შენი ლამაზი ფიქრები, აქ, ამ ჩემს გულში ზიანო,
შენმა თვალებმა, მგონია, ლალატი არ იციანო.
შენ კარგად იცი – ეს გული ბევრთან არ იჩენს ნდობასა,
ვარდიც კი, კარგო, უმზეოდ უმაღ დაინყებს ჭკნობასა.;
ვინძლო, არ დაიგვიანო, დამენყო გულის ფრიალი,
მხოლოდ შენ გეტრფი ამ ქვეყნად, თუნდ შხამი მასვა ფიალით.“

სიყვარულის მოტივზეა შექმნილი შუამთელი ავტორმთქმელის ლევან ადვიშვილის არაერთი ლექსი, მათ შორის მინდა გამოვარჩიო რამდენიმე, რომლებშიც იგი შესანიშნავად გამოგვცემს თავის გულისნადებს, სურვილსა და სულიერ ექსტაზს:

„გუშინ რომ გზაზე შემომხვდი ოქროს საკინძი გეკეთა,
შვლის ნუკრის დანაფეთები თვალები შემომეფეთა.
მე, შენი ეშხით დამწვარმა, ვერა ვქმენ რამე მეკეთა, –
ნახველ, უსიტყვოდ გამშორდი მხარ-მკლავი ჩამომეკვეთა.“

ურიგოდ არც ეს ლექსი ჟღერს, ხორციელ სამოსელში გახვეული ზემთაგონება „შიშველ ვნებას“ ამზეურებს:

„წყალსაც ნაუღია ყველაფერი:
სახლი, კარი, ეზო და ქონება, –
ოლონდ შენ მაღირსე შემოგვევლე,
მაგ ტკბილ ტუჩ-ბაგეზე დაკონება.“

სიყვარულით შეჭირვებული კაცის განცდები ბრწყინვალედაა ასახული ამ პატარა ლექსშიც:

„ნახვა დამიძვირე, თავი მომანატრე,
მოდი, ეგ თვალები მზისებრ მომანათე.
ლამით ვერ ვისვენებ, ძილშიც მეღანდები,
ლამის შევიშალო – ისე მენატრები.
ზამთარში – სიცხეები, ზაფხულში – შემცივნება,
ასე სცოდნებია სიყვარულს შეჭირვება.“

ხალხურ კილოზეა დაწერილი და ძალუძად ვგრძნობთ განსაკუთრებულ სატრფიალო ექსპრესიას ნიჭიერი ავტორმთქმელის ელენე ქიმუცაძის (გადიდი) ლექსში „შემომხედე ხანდახანო“. ეს ნაწარმოები საკმაოდ მდიდარია შედარებებითა და ეპითეტებით:

„ჩამოჰკარი ჩანგის სიმებს, შემომხედე ხანდახანო,
გიშრისფერი კულულები სურნელს აფრქვევს ქარდაქარო.
ნეტავ ვისთვის იფურჩქნები? ნეტავ ვისთვის ყვავილობო?!.
მინდა ერთი ჭერი გვქონდეს, მინდა ერთი ღობე ვღობოთ.
ცისფერ თვალთა სასოება მომაშუქე შვების მგვრელი,
რომ როგორმე გავინელო გულის ცეცხლი დამდაგველი.
უკვდავების წყარო მასვი მწყაზარო და ტანტატანო,
ჩამოჰკარი ჩანგის სიმებს, შემომხედე ხანდახანო!“

ხალხურობის ბეჭედი აზის ელენე ქიმუცაძის სხვა ლექსებსაც, მათში მომეტებულად იგრძნობა ფიქრისა და აზრის სილალე, ქართული სიტყვის შნო და ლაზათი:

„რა გვარისა ხარ, ნეტავი? სახელს რას გეძახიანო?! –
ნაზო ფერიავე, სიტურფით „მზის დასადარო, მზიანო.“
თუ ასეთ ცეცხლს დამინთებდა მაგ წარბ-წამწამთა მარაო, –
საბედისწეროდ გზაზედა სულ არ შემეყროდი, არაო!“

სიყვარულის ამაღლებულ და კეთილშობილურ გრძნობას, ქალის მშვენიერებას მიუძღვნა იორამ ჩხაიძემ (ბზვანი) ეს მშვენიერი სტრიქონები:

„პირიმზევე, შენი დანახვა ტანში ჟრუანტელს მგვრისაო,
ამ გულს აღმური ედება აგვისტოს ცხელი მზისაო.
ედემ-სამოთხედ მეგულვის შენი სიტურფის ჩეროო,
ენა ვერ დავიმორჩილე, რომ შენთვის დავიმღეროო.
ირმისფეხებას ფარულად აგავლ-ჩაგავლებ თვალსაო,
ნუ გენყინება, გეთაყვა, თვალს ვალევიანებ წყალსაო.“

ახლა ავტორმთქელ მარგალიტა ადეიშვილის (მიქელეფონი) ერთი სატრფიალო ლექსიც დავაჭაშნიკოთ:

„ქალო, ტკბილად მოუბარო, ლამაზო და ხალიანო,
გულში ცეცხლის დამნთებლო შემეყვარდი ძალიანო.
მომეც შეება – სიხარულის ცრემლებმა რომ იღვარღვაროს,
თუ სხვის გულში გედო ბინა, რად შემფიცე – „მიყვარხარო?!“

გულწფელად უნდა განვაცხადო, რომ მთისძირელი ხალხური მელექსის კლადია ბუბუ-ტივიშვილის სატრფიალო ლექსებსაც არ აკლია მარილი, სილალე და სიმსუბუქე:

„სანამ დავგითოვდაო, თებრო გაგვითხოვდაო,
მოკლე კაბა ჩაიცვა, თუმცა გრძელიც ჰქონდაო.
კარის მეზობლებშიაც ასე დადიოდაო,
ქელეხშიაც ქე ვნახეთ, არც არაფერს ვცოდაო,
ჭრელაჭრულა იმ კაბით აქაც კეკლუცობდაო,
მკერდმოხატულ შველს ჰგავდა სამი შვილის დედაო,
ბარეორჯერ მეც დამრჩა თვალი იმაზედაო.“

(გაგრძელება იქნება)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. კოტეტიშვილი – „ხალხური პოეზია“
2. გიორგი ლეონიძე – თხზულებათა კრებული, ტ. II, გამ. „საბჭოთა საქართველო.“ თბ., 1963 წელი.
3. შ. არველაძე – „სიბერის პოეტური ჰანგები“, ქუთაისი, 2015.
4. ა. მგელაძე – პოეზია (ხელნაწერები)
5. ლ. ბელთაძე – ხელნაწერები.
6. გ. ოჩხიკიძე – „ბერიკაცული“, გამ. „სავანე“, 1017 წელი, კრებული „წყაროსთვალი“, ქუთაისი, გამ. „მბმ“ პოლიგრაფი, 2007 წელი.
7. მ. დვალიშვილი – „დანყება უნდა სიმღერას“, ქუთაისი 2010 წ.
8. ბ. თუთაშვილი – „სიკეთის გზა“, გამ „სავანე“, 2008 წელი.
9. ო. ჭოხონელიძე – „მე პატიებას ვთხოვდი მწვერვალებს“, ქუთაისი, 2015 წელი.
10. ო. ჭოხონელიძე – „მე 80 ფოთოლცვენა დავთვალე“, ქუთაისი, 2015 წელი.
11. გ. დვალიშვილი – ხელნაწერები.
12. ი. ხურციძე – „მაჯისცემამდე გამხელილი სიყვარული“, ქუთაისი, 2007 წ.
13. ფ. ბოლქვაძე – ხელნაწერები.

„ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ აგრძელებს ვანის სოფლების მოკლე ისტორიების გამოქვეყნებას, რითაც ჩვენი აზრით, კეთდება ღირსეული საქმე, რომ ისტორიაში რჩება ამ სოფელთა ირგვლივ დროთა დინებაში განვითარებული მოვლენების მოკლე აღწერილობა.

ამჟამად, ვსაუბრობთ სოფელ უხუთზე, რომლის ავტორია **ივანე სურციძე** — ისტორიკოსი, ყოფილი სკოლის დირექტორი, შემდეგში უხუთის აგრარული ორგანიზაციის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ღირსეული და ცნობილი პიროვნება. ბატონი ივანე კარგა ხნის გარდაცვლილია, მაგრამ რედაქციამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაყრდნობოდა მის ნაამბობს. ამდენად, კონკრეტულ ადგილებში რედაქციული ჩარევის კვალობაზე გთავაზობთ ამ ნაშრომს.

რუბრიკას, როგორც ყოველთვის უძღვება „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ პასუხისმგებელი მდივანი — **თამილა მუჟაანაძე**.

სოფელი უხუთი

შუა იმერეთის სამხრეთ ნაწილში ქ. ქუთაისიდან 30 კმ-ზე მდებარეობს სოფელი „უხუთი“. იგი მთაგორიანია და განფენილია სამხრეთ მთიანეთის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ დაქანებაზე. დასავლეთით მას ესაზღვრება სოფელი საპრასია, რომელიც ადრე უხუთის თემსაზოგადოების შემადგენლობაში შედიოდა, ჩრდილოეთით – გორა, აღმოსავლეთით სოფელი სალომინაო, ხოლო სამხრეთით ალპური საძოვრები აკრავს.

სოფლის სამხრეთის მთიან ნაწილში სათავეს იღებს მდ. კვინისწყალი, მისი შენაკადები: ფერეთა და დურბეშა. სოფელი მდიდარია ანკარა წყაროებითა და ნაკადულებით, ჰაერი ზომიერია, მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს ზეგნებს, რომელსაც მოსახლეობა სახნავ-სათესად იყენებს. ასეთებია: მოსაყარა, ნაბელღავა, ვაჩოური, სახახია, ბუზოურა, ბელესნარი, შუაგორი, გვერდა, ბზვარე, ქობიბოლო და სხვა.

დღევანდელი უხუთის ტერიტორია 1018 ჰა ფართობს მოიცავს, აქედან კერძო მფლობელობაშია 282, სახელმწიფო მფლობელობაში – 736, სახნავი – 31, საძოვარი – 732 ჰექტარი. მეტნაკლები ამპლიტუდით, სავარაუდოდ, ფართობთა იგივე რაოდენობა უნდა ყოფილიყო საუკუნეთა მიღმა, იმ განსხვავებით, რომ 1918 წლიდან მენშევიკების ხელისუფლებიდან მოყოლებით მიწისსარგებლობისა და საკუთრების ფორმები შეიცვალა ორჯერ. რელიეფური განლაგებით უხუთი დასახლებული ადგილების ჩათვლით ეკუთვნის რაიონისათვის დამახასიათებელ II ლანშაფტურ ზონას. ზღვის დონიდან სოფელი განლაგებულია 440 მეტრზე.¹

დასავლეთ საქართველოს დასახლებულ პუნქტებს შორის უხუთი ფეოდალური ხანის წმინდა გლეხურ სოფელს წარმოადგენდა. ადრე მცირედი დასახლების გამო (25-მდე კომლი) იგი ამაღლების განაპირა ჩამორჩენილი უბანი იყო და მებატონე ერისთავებს² ეკუთვნოდათ. სოფლის ძველი მოსახლეობა ჩალითა და ისლით დახურულ, კვარით განათებულ და გაჭვარტლულ ქოხებში ცხოვრობდა. უგზოობა და უტრანსპორტობა აძნელებდა ქალაქთან და ბარის სოფლებთან კავშირს. ტრანსპორტის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა: ადამიანის ზურგი, ცხენი, პატარა ურემი (თუმცა ასეთი ყველას არ გააჩნდა). სოფელი მოკლებული იყო ყოველგვარ კულტურულ, საგამანათლებლო და სამედიცინო მომსახურეობას, გავლენით სარგებლობდნენ მორწმუნე ქალები, რომლებიც მკითხაობით, შელოცვით, შინ დამზადებული წამლებით მკურნალობდნენ ხალხს, (მაგ. ედუსი ქაქუჩას ას. ხურციძე-ქიმუცაძისა).

¹ როგორც ჩანს ოფიციალურ წყაროებშიც არასწორადაა დაფიქსირებული, რადგანაც უხუთი ვანის მაღალმთიან სოფელთა შორის თითქმის ყველაზე მაღალია. (რედ).

² მხედველობაშია ბარის ერისთავები, რომლებიც XVIII საუკუნეში ალექსანდრე იმერეთის მეფის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგად ჩამოსახლეს დღევანდელი ვანის ტერიტორიაზე, კონკრეტულად ამაღლება-სალომინაოს ზონაში (რედ).

სოფლის სახელწოდების შესახებ რაიმე ისტორიული წყარო არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ზეპირი გადმოცემები.

ერთი გადმოცემით – აქ მოდიოდა ხილისა და ყურძნის უხვი მოსავალი (მაღლარი ვენახი „კაპისტონი“). ის სოფლის ტერიტორიაზე მრავლად ყოფილა გაშენებული, რომლისგანაც ამზადებდნენ მაღალხარისხოვან ღვინოს და გათვალისწინებული ყოფილა მებატონეთა ღალის გასასტუმრებლად და სუფრის მშვენებას წარმოადგენდა თურმე და ნადიმის დროს იტყოდნენ „უხვი მთის“ მოსავალიო. ვარაუდობენ სოფლის სახელი „უხუთი“ წარმომდგარი იყოს „უხვი მთისაგან“.

მეორე გადმოცემით – დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ქალაქ ქუთაისზე თურქთა თავდასხმა იმ დროს ძირითადად წარმოებდა სამი მიმართულებიდან: ზეკარის გადასასვლელით ბაღდათის ციხე-სიმაგრის აღებით, მეორე – უხუთის გამოვლით გორასა (საკანდელოძეების უბანი) და ვარციხის სიმაგრეების დალაშქვრით და მესამე – ძულუხ-სულორის გზით მელოურის, დიხაშხოსა და ვანის ციხე-სიმაგრეების აღებით. ხანდაზმულთა გადმოცემით (ნესტორ გეგენავა, აფრასიონ დიაკონიძე, გიგო ხურციძე, ილარიონ ხურციძე, აბესალომ ბიბიჩაძე და სხვა.) ციხე-სიმაგრეთა ახლო მისადგომების დაცვა და პირველი დაბრკოლების შექმნა მტრის თავდასხმის დროს დავალებული ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთაგანაც სპეციალური მებრძოლი რაზმები დგებოდა. ასეთი რაზმი შექმნილი ყოფილა ამ უბანშიც, რომელსაც თავი უსახელებია ერთ-ერთ ბრძოლაში, მთლიანად გაუწყვეტია თურქთა მოწინავე რაზმი და არ დაუშვია მტრის თავდასხმა ქუთაისის სამხრეთის უკანასკნელ სიმაგრე-გორას ციხეზე. როცა მეციხოვნეებს უკითხავთ, როგორ შეასრულეს დავალება, გამარჯვებით აღტაცებულ რაზმელებს უთქვამთ „უ“ თქმა არ უნდა და უჩვენებიათ მაღლა აწეული ხუთი თითი. ვარაუდობენ აქედანაა წარმომდგარი სოფლის სახელი „უ-ხუთი“. რა თქმა უნდა, სოფლის სახელწოდების დადგენა ჯერ კიდევ ბევრ დაზუსტებას მოითხოვს, მაგრამ ფაქტია, რომ სოფლის ძველ მოსახლეობას დიდი ღვაწლი მიუძღვის შემოსეული მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში. ამას მოწმობს ადგილმდებარეობის სახელებიც: „წყალშავა“, „ლეკინაკლავი“, „შავი სერი“, „ომარაგეთი“, „დურბეშა“ და მრავალი სხვა, ეს სახელები უშუალოდ ბრძოლებთანაა დაკავშირებული.

ხალხში შემონახულია თქმულება ვინმე ყმა „ხახუტას“ შესახებ, რომელმაც თურქ მძარცველებს, როცა მათ სოფლის უძვირფასესი ნადავლი – ბავშვები და ქალები მიჰყავდთ, გზა გადაუჭრა, ამოწყვიტა ისინი და ტყვეები გაათავისუფლა, ამ გმირობით აღტაცებულ ხალხს შეუძახნიათ „ვაშა ყმას“. ვარაუდობენ, რომ მის შთამომავლობას აქედან მიუღიათ გვარი „ვაშაყმაძე“.

ტანჯვა და წამება, მძიმე ფეოდალური ბეგარა, უუფლებობა, სიღატაკე, უცოდინარობა, სიბერეზე იყო უხუთელი გლეხობის ხვედრი, ამიტომ იყო, რომ აქაური მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდა მებატონეთა წინააღმდეგ ბრძოლებში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1856-1857 წელს სამეგრელოს ცნობილი აჯანყება გახდა ბიძგი იმერეთის გლეხთა გამოსვლების, რომელმაც უხუთიც მოიცვა და მასში აქტიურად მონაწილეობდნენ აქაური ყმა-გლეხები: ტატუელა და მიქელა ვაშაყმაძეები, ძმები – ჯაშინა და მურზაყან ხურციძეები, თედორე როხვაძე, გლახუა და ქველია ვაშაყმაძეები, ეგნატე ოქროპილაშვილი და სხვა.¹

¹ შენიშვნა: „ჩვენი საჭიროება და შენუხება ფრიად დაუთვლელ არს-აცნობებენ ისინი გუბერნიის ხელმძღვანელობას — თითოეული ჩვენგანი ვალდებულია მებატონეს შინა-მოსამსახურე მისცეს. თუ ეს უკანასკნელი ავად გახდება ნამეტური სარჯელისაგან, მაშინ იგი მეორით ან ფულადი გადასახადით უნდა შეიცვალოს. გლეხს აკრძალული აქვს ქალიშვილის გათხოვება. ნებართვის მისაღებად (ე.ი. მებატონემ, რომ დართოს უფლება — რედ.) აუცილებელია 12-15 მანეთის გადახდა.“

იმავე პროცესებთან დაკავშირებით საბატონო გლეხთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის პასუხისმგებში მიცემული უხუთელი გლეხი ჯაშინიკა ხურციძე გამოძიებას უჩვენებს: „შევიწროებანი, რომელთაცა ვითმენდი მე ძმებითურთ..... მებატონისაგან ჩვენისა კნიაზის გიორგი ლორთქიფანიძისაგან იყვნენ შემდეგნი: გადაგვქონდა ქუთაისიდან პრავიანტი, რისთვისაც მებატონემან ჩვენმა აილო 25 მანეთი და ფულები ესე არ მოგვცა ჩვენ. იმავე დროს კნიაზმა გიორგი ლორთქიფანიძემ წაიყვანა საბალახოდამ ცხენი და თუმცა ამაზეც შევიტანეთ საჩივარი ვერა მივიღეთ ვერავითარი დაკმაყოფილება..... 1851 წელს გიორგი ლორთქიფანიძემ გარდამახდევინა მე 16 მანეთი გარდასახადი საქორწილოდ, სრულიად ჩვენთვის ახალი მოგონილი. მე, ერთად გიორგი ლორთქიფანიძესთანა ვიმყოფებოდი

მილიციამი თერთმეტს თვეს და დანესებულის ხაზინისაგან თვეში ხუთს მანეთსა და ხუთს შაურს იღებდა იგი საკუთრივ, არ მძღვედა მე არაფერს. წასვლისა დროს ჩემისა პახოდში 1853 წელს მეზატონემან ჩემმან წამართვა ერთი საპალნე ოტკა (დაახლოებით 10 ფუთი) ღირებული მაშინ 60 მანეთად..... მეზატონე ჩვენი გვაძიძიებს ჩვენ უჩვეულოს ვალდებულებით. დროსა საშინელსა ძვირანობისასა და შიშობისასა მოვიდა იგი სოფელს უხუთს და თითო თვეს ცხოვრობდა ხარჯსა ზედა აქაურის მისთა ყმებითა უმრავლესობის მისის სახლურობით და მოსამსახურეებით სრულად 30 სული. გვაძიძულებდა ჩვენ რჩენად მათისა, რომელნიც უიმისოდაც ვიყავით უკიდურეს მდგომარეობაში“ და ა.შ. როგორც აღინიშნა იგივეს ადასტურებენ პასუხისგებში მიცემული სხვა გლეხებიც და საინტერესოა კიდევ ერთი ეპიზოდიც, თავადი ერისთავის ყმა მურზაყან ხურციძე აცხადებს: — „საჩივარი ჩემი არის შემდგომი, მეზატონემ ჩემმა კნიაზ ერისთავმა ვალისათვის მართებულისა მის მიერ მეგრელისადმი, აძლევდა მამასა ჩემსა ცოლშვილიანად (ე.ი. ვალის საფასურად, რადგან გადახდა ვერ შესძლო გაასხვიხსა ოჯახი) გარნა მცხოვრებთა სოფლის უხუთისა დაიხსნეს იგი. შემდეგ კნიაზმა ერისთავმა დაიწყო თხოვა ყმური სამსახურისა ამა ყმობისაგან მამამან ჩემმან კვლავ დაიხსნა თავი. ამის შემდგომ დასძენს იგი, როდესაც ბატონმა თავისი ასული მისცა (ე.ი. მიათხოვა). კნიაზ მანუჩარ ჩიჯავაძეს — „მისცა მამაჩემი ცოლშვილიანად მზითვად ასულსა თვისსა. კნიაზმა ოტია ერისთავმა წაგვიყვანა ჩვენ უკანვე. გვაძიძულა კვლავ მიცემად მისადმი თავისუფლებისათვის ფულისა. არა მიხედა ამას კნიაზმა ერისთავმა (ე.ი. მხედველობაში არ მიიღო, რომ ერთხელ უკვე გვექონდა ფული გადახდილი ყმობიდან განთავისუფლებისათვის) არ გაგვიშვა ყმობიდან მისისა... წაგვართვა ჩვენ ყოველი მოძრავი მამული და საცხოვრებელი“ ...

ეს მღელვარება და მოძრაობა დაიწყო კონკრეტული საბაბით სოფელ დიშში და გავრცელდა ახლომდებარე სოფლებშიც. გლეხები 1857 წლის 17 ნოემბერს თავის შეკრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას ამაღლების უბნის სოფლებში წარმომადგენელთა გაგზავნის შესახებ თხოვნით — მხარდაჭერის მოპოვებისათვის, რომელსაც გამოსმაურება და პრაქტიკული მხარდაჭერა აღუთქვა გადიდის, ონჯოხეთის, დვალისშვილების, უხუთის, ზენობნის, ციხისუბნისა და ზოგი სხვა სოფლების გლეხობამ. ამას მოჰყვა ამაღლების უბნის 400-მდე გლეხის შეიარაღება და ახლომდებარე უხუთის ტყეში დაბანაკება. გააცნობიერა რა ბაღდათი-ამაღლების უბნების მოსახლეობის გაერთიანების საფრთხე გუბერნიის ხელმძღვანელობამ, სადამსჯელო ექსპედიცია დასძრა მღელვარების ჩასაქრობად, რომელსაც შეუერთდა ადგილობრივ თავადაზნაურთა 300 კაცის შეიარაღებული რაზმიც. პროცესი წარიმართა რთულად. (რედ).

აჯანყების მონაწილეებიდან პირველი ოთხი კავკასიის მეფის ნაცვლისა და რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის „ლანსკის“ განკარგულებით გადასახლებული იქნენ ქ. ტამბოვში, როგორც მღელვარების მოთავენი, არც ერთი მათგანი უკან არ დაბრუნებულა.

ამრიგად, 50-იანი წლების გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა საქართველოში და კერძოდ, იმერეთში, იმ დროისათვის რუსეთის იმპერიაში და საქართველოშიც შექმნილი რთული სიტუაციის შემადგენელი ნაწილი იყო.

რუსეთში ბატონყმობის გაუქმებამ (1861წ.) საქართველოს სოფლებში, მათ შორის უხუთშიც, ანტიბატონყმური მოძრაობის გააქტიურებას შეუწყო ხელი.

მეფის მთავრობა იძულებული გახდა საგლეხო რეფორმა საქართველოშიც გაეტარებია, მაგრამ ის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს გატარდა. მაგ. აღმოსავლეთ საქართველოში – 1864 წელს იმერეთში (ქუთაისის გუბერნიაში) – 1865 წელს სამეგრელოში – 1867 წელს აფხაზეთში – 1870 წელს, ხოლო სვანეთში – 1871 წელს გლეხებს დაუტოვეს მიწის მცირე ნაკვეთი, ე.წ. „ნადელი“, ისიც გამოსყიდვით. მიუხედავად ამისა რეფორმას მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამის შედეგად გლეხობამ არა მარტო პირადი თავისუფლება, არამედ კერძო საკუთრების შეძენა-გადიდების უფლებაც მოიპოვა. ზოგიერთებმა სოფელში სავაჭრო დუქნები (ნესტორ გეგენავა, პეტრე ბაჯაძე, ერმილე ხუბლავა, ბესარიონ ჭურაძე, სილიბისტრო ქარჩხაძე) და სახელოსნოები (ვლადიმერ ლომიძე, დომენტი ჩუბინიძე, კალისტრატე ბაჯაძე, არჩილ ბაჯაძე, სიმონ დიაკონიძე, ნიკოლოზ გოგიბერიძე, დიმიტრი და სევერიან ჩუბინიძეები) გახსნეს. მოსახლეობა სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში ჩაება.

რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წ.წ.) ომის დროს საქართველოში ჩამოყალიბდა მოხალისეთა რაზმები. ამ რაზმში ერთ-ერთი იყო უხუთელი ნიკოლოზ დავითის-ძე ჩუბინიძე, რომელმაც დიდი მამაცობა გამოიჩინა და „წმინდა გიორგის ჯვრის“ სამი ორდენითა და ყელის დიდი მედლით დაჯილდოებული დაბრუნდა ოჯახში.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან უხუთში დაიწყო გლეხთა დიფერენციაციის პროცესი. გაჩნდნენ შეძლებული ბობოლა გლეხები, რომლებიც თავიანთ ქონებას თანასოფლელთა ექსპლოატაციის ხარჯზე ზრდიდნენ.

სოფლის მოსახლეობა მისდევდა და ახლაც მისდევს მარცვლეულის, მეცხოველეობის, მევენახეობა-მებაღეობის საქონელწარმოებას. სოფელში განთქმული მევენახეები იყვნენ: პეტრე, პავლე, გერესიმე, იორდანე ბაჯაძეები; პორფილე, ილარიონ, ქრისტეფორე, გიორგი ხურციძეები; გიორგი ჭურაძე; ლუკა, სიპიტო და ქრისტეფორე ბიბიჩაძეები; თეიმურაზ ენუქიძე;

სოლომონ და ეზეკი ვაშაყმაძეები; ნიკო რაზმაძე; ლუკა, სილიბისტრო და ალექსანდრე ქარჩხაძეები; რაჟდენ ლომიძე. სოლომონ ბაღდავაძე (მან შემოიტანა სოფელში ამერიკულ საძირეზე დამყნის ვაზის პირველი პარტია)¹.

რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში სოფელი ერთსულოვნად იდგა თვითმპყრობელობისა და მემამულეთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მხარეზე. ამის გამო სოფელს არ ასცდა ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის რისხვა, რომლებმაც აანიოკეს მოსახლეობა. დაბანაკდნენ მდ. კვინისწყლის პირას და ხალხს დაავალეს მათი უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით. ერთი კვირის შემდეგ სოფლიდან გავიდნენ და გადაინაცვლეს ქუთაისის მიმართულეებით.²

ადრე უხუთი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პატარა სოფელთა ჯგუფს ეკუთვნოდა. მოსახლეობის რიცხოვნობა ზრდა XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო, როცა სოფელში თავშესაფარის მიზნით ყმობისაგან გამოქცეული ადამიანების დასახლება მოხდა.³

სოფლის ძირძველ მოსახლეობას შეადგენენ: ხურციძეები, ვაშაყმაძეები, ლომიძეები, ჯანელიძეები, როხვაძეები, შემდეგ სოფელში ჩამოსახლდნენ ზემო იმერეთიდან მხეიძეები. სამეგრელოს რეგიონებიდან: პაპავეები, გეგენავეები, ქანთარიები, გაბუნები. შუა იმერეთიდან: რაზმაძეები, ჭურაძეები, ჩუბინიძეები, ქარჩხაძეთა საგვარეულოს ნაწილი, ბაჯაძეები და სხვა.

1917 წლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როცა დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული პარტია ნ. ჟორდანიას მეთაურობით, უხუთშიც ჩამოყალიბდა მისი მხარდამჭერი ჯგუფი. ამ ჯგუფის წევრები: კ.ნ რაზმაძე, ი.ლ. ქარჩხაძე, მიხეილ და შალვა როხვაძეები, ს. ბიბიჩაძე და სხვ. აქტიურად მონაწილეობდნენ 1924 წლის აგვისტოს ცნობილ გამოსვლებშიც. ამ ბრალდებით ისინი 30-იან წლებში გასახლებული იყვნენ ციმბირში, ხოლო კ.ნ.რაზმაძე ჟორდანიას მთავრობას გაჰყვა საფრანგეთში.

ამჟამად, სოფელში 25-ზე მეტი გვარი ცხოვრობს 344-მდე კომლით. აქედან პრაქტიკულად მოქმედია 214, მათ შორის სილატაკის ზღვარს ქვემოთ 30 ოჯახია, რომელიც იღებს სოციალურ დახმარებას (შენიშვნა – ინფორმაცია მოგვანოდა ვიტალი ოქროპილაშვილმა).

სოფელში ღვთისმსახურებას ეწეოდა სამი ეკლესია: წმინდა გიორგის – ნაძვებსა და კობელაურზე და წმინდა კვირიკეს – იმერუხუთში, რომლებსაც უძღვებოდნენ: საბა თვარაძე, იოვანე თვარაძე,⁴ სპირიდონ ჩაჩუა, ეგნატე და იასონ გაბუნები. ეკლესიებში სრულდებოდა წირვა-ლოცვა, ბავშვთა განათვა, ჯვრის წერა და რიტუალები, აღიარებული იყო და ხალხი ზეიმობდა დღესასწაულებს: აღდგომა, ახალი კვირა, გიორგობა, კვირიკობა, ელიობა, მთავარანგელოზობა და სხვა. ამჟამად აღდგენილია და ფუნქციონირებს ერთი ეკლესია.

სოფელი მთლიანად უნიგნური იყო. ხანდაზმულთა გადმოცემით XIX საუკუნის ბოლო ხანებშიც მამუკა ჩუბინიძემ და პორფილე ხურციძემ იცოდნენ ჩათვლით კითხვა წერის გარეშე.

XIX საუკუნის 80-იან წლებამდე სოფელში არ იყო არც ერთი სკოლა, კულტსაგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულება. სწავლა-განათლების საქმეს აქ საფუძველი ჩაუყარა სოფელ ლაილაშიდან ჩამოსახლებული მღვდლის საბა თვარაძის სანახავად ჩამოსულმა, სემინარია დამ-

¹ შესაბამისი წყაროებით ჩანს, რომ ვანის სოფლის ტერიტორიაზე ვენახი (ვაზი) თითქმის მასიურად გაანადგურა ფილოქსერამ, ამიტომაც მეფისა და გუბერნიის ხელისუფლება იძულებული გახდა შეეძინა და შემოეტანა ამერიკული საძირე, რომელზეც მოხდებოდა ვაზის შესაბამისი ჯიშის დამყნა და განხორციელდა კიდევაც ეს ღონისძიება (რედ).

² კაზაკთა რაზმი ამ ტერიტორიაზე გადაადგილდა ვანიდან, რომლებმაც აქ აჩეხეს ვენახები და გაანადგურეს მოსავალი (რედ).

³ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (ქუთაისის გუბერნიაში 1865 წლიდან) ქუთაისის მაზრის სოფლებში, რომელშიდაც დღევანდელი ვანის სოფლებიც შედიოდა, ჩამოყალიბდა გლეხთა თვითმმართველობითი ორგანო სასოფლო-თემსაზოგადოებები, 1880-იანი წლებიდან მოხდა ამ ორგანიზაციების რეორგანიზაცია და შეიქმნა „უხუთის თემსაზოგადოება“, რომელშიდაც შევიდა სოფლები: უხუთი, საპრასია, რომანეთი. უხუთი გახდა თემსაზოგადოების ცენტრი, რომლის მოსახლეობა 1873 წელს ქუთაისის გუბერნიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერილობის საფუძველზე ცხოვრობდა 310 კომლი (ზემო მითითებულ სამივე სოფელში) 1249 კაცით. 1925 წლის აღწერით 268 კომლი, 1930 წლის აღწერით სოფელ უხუთში და არათემსაზოგადოებაში დაფიქსირებულია 290 კომლი 1407 მაცხოვრებელი (რედ. შენიშვნა).

⁴ პროფესორ რევაზ თვარაძის წინაპრები წარმოშობით ლაილაშიდან არიან. სოფელში არსებობს მათი გვარის მატარებელი წყარო. იოვანე თვარაძე მრავალშვილიანი ყოფილა, მისი ერთ-ერთი შვილი ექიმი მოღვაწეობდა ლელინგრადში, დღევანდელ პეტერბურგში.

თავრებულმა შვილმა იოვანე თვარაძემ, რომელმაც ქუთაისის სამაზრო-სასწავლო კომიტეტის ნებართვით 1886 წლის 8 იანვარს წმინდა გიორგის ეკლესიასთან გახსნა ოთხგანყოფილებიანი სამრევლო სკოლა. შენობის უქონლობის გამო მეცადინეობა ტარდებოდა ჯერ ეკლესიის შენობაში, შემდეგ კი იოვანე თვარაძის სახლში (ეს ბინა შედგებოდა ორი ოთახისაგან, ერთში სკოლა იყო, ხოლო მეორეში თვით ცხოვრობდა ოჯახით). სწავლა წარმოებდა უფასოდ.

ამ სკოლის პირველი მასწავლებელი და ზედამხედველი იყო თვით იოვანე თვარაძე 1899 წლამდე, ამის შემდეგ მასწავლებლად დაინიშნა უხუთელი ელისე ქარჩხაძე, ხოლო იოვანე თვარაძე დარჩა სკოლის ზედამხედველად და საღვთო სჯულის მასწავლებლად.

1909 წელს ხალხის საშუალებით სკოლისათვის შეძენილი და აგებული იქნა შენობა. მისი პირველი ინვეტარი იყო: მერხი 20 ცალი, მაგიდა 2 ცალი და სკამი 6 ცალი, რომელიც დაამზადა და სკოლას უსასყიდლოდ გადასცა სოფლის მკვიდრმა, ხელოსანმა თეიმურაზ ენუქიძემ.

1911 წელს იმერეთის ეპარქიის სამასწავლებლო საბჭოს მიერ სკოლის მეორე მასწავლებლად დაინიშნა სერგო დარისპანის-ძე ჩუბინიძე, რომელმაც ამ სკოლაში იმუშავა პენსიაზე გასვლამდე – 1956 წლამდე.

1920-იან წლებში აღნიშნული სკოლა გადაკეთდა ოთხნობიანი შრომის სკოლად, რომელშიც დამატებით მასწავლებლად დაინიშნენ ამავე სოფლის მკვიდრნი გიორგი და ილარიონ ბიბიჩაძეები.

1927-1928 წლებში სოფლის ტერიტორიაზე, იმერუხუთსა და კობელაურზე დამატებით გაიხსნა არასრული საშუალო, ხოლო მოგვიანებით 1980-იან წლებში საშუალო სკოლა.

სოციალისტურ პერიოდში შეიქმნა და მოსახლეობის კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის სამსახურში ჩაყენებული იყო კლუბ-სამკითხველო, ფოსტა-ტელეგრაფი, სავაჭრო მაღაზიები, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების ობიექტები, როგორც ითქვა აიგო რვანლიანი და შემდეგ საშუალო სკოლები, ბაგა-ბაღი, გაყვანილი იქნა ცენტრალური და საუბნო გზები.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ უხუთში ხელისუფლების ორგანოს სათავეში ჩაუდგა ვლადიმერ თეიმურაზის-ძე ხურციძე, რომელიც 1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყების დროს მოკლეს ჭოკიანის აბანოზე.

ღრმა ჭრილობად დააჩნდა უხუთსა და უხუთელებს მეორე მსოფლიო ომი და მისი შედეგები. უხუთიდან ომში განვეული იქნა 700-მდე კაცი. აქედან ოჯახს ვერ დაუბრუნდა 300-მდე. გმირული სიკვდილით დაეცნენ ძმები: ვარლამ, ალექსანდრე, იოველ ხურციძეები; არჩილ, გერვასი, გიორგი ქარჩხაძეები; გიორგი და აკაკი ლომიძეები; მამა-შვილი გიორგი და შალვა დიაკონიძეები; ბარნაბა და ვარლამ ვაშაყმაძეები. პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომის მონაწილე ევგენი ლომიძე, ალექსანდრე ბიბიჩაძე, კოლია ილარიონის-ძე ხურციძე (რომელიც დასაფლავებულია იტალიის ქ. მილანში, მის საფლავზე დადგმულია ბიუსტი წარწერით იტალიელებისაგან).

1930-იანი წლებიდან უხუთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო დანაყოფი კოლმეურნეობის სახით. იგი მრავალდარგოვანი იყო, ძირითადი მიმართულება იყო მემარცვლეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გაშენებული იქნა ჩაის პლანტაცია 19 ჰა-ზე. აქვე დასაქმდა კოლმეურნე გლეხობის დიდი ნაწილი, უხუთის ჩაი კლიმატური პირობების გავლენითაც გამოირჩეოდა თავისი მაღალი ხარისხით, გაიზარდა შრომის ანაზღაურება, რამაც ხელი შეუწყო გლეხური ოჯახების შემოსავლიანობის ზრდას. ვაზის კულტურასთან, მეხილეობასა და მემარცვლეობა-მეცხოველეობასთან ერთად თავისი შემოსავლიანობით უხუთი მონიწივე სოფლად ითვლებოდა. სოფლის სამეურნეო დანაყოფი უზრუნველყოფილი იყო შრომის ტექნიკური საშუალებებით, გამართულად მუშაობდა დამზარე სამეურნეო საწარმოები, აგურის ქარხანა და გრანიტის ქვის დამამუშავებელი საამქრო, რომელთა პროდუქციის მომხმარებელიც იყო ვანის სამშენებლო ორგანიზაციები და კერძო მოსახლეობა. დასაქმებული იყო ხალხი და წარმოადგენდა დამატებითი შემოსავლის წყაროს სოფლისა და მის მაცხოვრებლებისათვის, ხოლო გრანიტის ნაწარმი ფილების სახით მომხმარე-

ბელთათვის სარეალიზაციოდ გადიოდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებშიც. სოფლის ახალგაზრდობის დასაქმების კერად იქცა სქემური კაბელების საქსოვი საამქროს ფილიალის გახსნა (რომლის სათაო ორგანიზაციაც განთავსებული იყო სოფელ შუამთაში), სადაც ოჯახისგან მოუწყვეტლად საქმიანობდა 60-მდე ახალგაზრდა ნორმალური ანაზღაურებით. მოგვარდა შიგა სასოფლო და რაიონთან, ქალაქებთან საკომუნიკაციო საშუალებანი. XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარებულ მოვლენებს ემსხვერპლა სოფელში განთავსებული დასაქმების ყველა კერა.

1990-იანი წლებიდან განვითარებული ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებიდან გამომდინარე, სოფელი ამჟამად დემოგრაფიული დაბერების წინაშე დგას. დიდია სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდობის გადინება სოფლიდან, რის გამოც სოფელი თანდათანობით იცლება მწარმოებლური ძალებისაგან, რომელიც გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე. უხუთის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა კონტინგენტი დავიდა 60 მოსწავლემდე. ბევრია მიტოვებული და იმ ოჯახთა რიცხვი, რომელთა სახლის კარიც მხოლოდ ზაფხულობით და ისიც დროებით იღება. ამჟამინდელ საჯარო სკოლაში კონტინგენტის არ არსებობის გამო საჯარო სკოლაში ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს პირველი კლასი. შეიძლება იმედის მომცემად ჩაითვალოს, რომ მოქმედ საბავშვო ბაღში მოსწავლეთა კონტინგენტი მიაღწია 60 ბავშვამდე. აქედან საჯარო სკოლის პირველი კლასის კონტინგენტი 10 ბავშვი.

უხუთიდან 1970-იან წლებში ალპური საძოვრების მიმართულებით რაიონული ხელმძღვანელობის ძალისხმევით, რომელსაც ხელმძღვანელობდა მაშინდელი პირველი მდივანი გივი ყიფიანი, ადგილობრივი (რაიონული) ფინანსებით და ტექნიკური საშუალებებით გაყვანილი იქნა სამანქანო გზა, რომელიც მომსახურებას უწევდა არამარტო ვანის, არამედ მეზობელი რაიონების მოსახლეობასაც, რის ბაზაზეც შესაძლებელი გახდა ალპური საძოვრების, ტყის მასივების ეფექტიანი გამოყენება და სოციალისტურ პერიოდში აქვე გარკვეული ტერიტორიის ათვისების შემდეგ კომბოსტოს საადრეო ჩითილების გამოყვანაც, რომელიც აღნიშნულ პროდუქციაზე აკმაყოფილებდა რაიონის აგრარულ სექტორს და ნაწილობრივ მეზობელი რაიონების მოთხოვნასაც. უნდა აღინიშნოს ხსენებული გზის მშენებლობაში უხუთელი მოსახლეობის გაღებული შრომითი წვლილის შესახებაც.

უხუთში აღიზარდნენ მეცნიერ-მუშაკები: ი.ს. ბაჯაძე, დ.რ. ენუქიძე, ა.ა. ბიბიჩაძე, გ.ს. ჩუბუნიძე, რ.ა. თვარაძე, ე.ა. თვარაძე, ი.ი. ქარჩხაძე. ექიმები: ა.ი. თვარაძე, ი.კ. ბიბიჩაძე, ს.ი. ხურციძე, ე.ა.ბიბიჩაძე, ე.ი. ვაშაყმაძე, ა.ე. ბიბიჩაძე, ლ.გ. ვაშაყმაძე, ნ.ი. ხურციძე. არქიტექტორი: მ.გ. ვაშაყმაძე, ცნობილი ჟურნალისტი დ. ჩუბუნიძე, მრავალი ინჟინერი, აგრონომი, პედაგოგი, კულტ-მუშაკი და სხვა.

თავისი წვლილი შეიტანეს უხუთელებმა XX საუკუნის ბოლოს გაშლილ ეროვნულ მოძრაობაში და ერთხმად ხმა მისცეს ეროვნული მოძრაობის ძალების ქვეყნის სათავეში მოსვლას, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. ხელისუფლებმა და პარტიებმა ხალხთან საერთო ენა ვერ გამონახეს, რასაც მოჰყვა სამოქალაქო ომი. ამ პერიოდში, როგორც მთელს ქვეყანაში, ასევე უხუთშიც ადგილი ჰქონდა კრიმინოგენური სიტუაციების გამძაფრებას, ეკონომიკურ კრიზისსა და თანმდევ მომენტებს.

XXI საუკუნის 10-იანი წლებიდან იწყება მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესება. სოფელში გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი, წესრიგდება მიმოსვლის საშუალებანი, შედარებით კეთილმოწყობილი ხდება გზები, მიმდინარეობს სოფელში მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფელი ელექტროფიცირებულია მთლიანად, თითქმის ყველა ოჯახში დგას ტელევიზორი, რამდენადმე მომძლავრდნენ ოჯახები, ძირითადად ისეთები, რომელთა შემადგენლობის ნაწილი გასულია სოფლიდან და დასაქმებულია ან საზღვარგარეთის ქვეყნებში, ან ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, რაც დადებითი მომენტი, მაგრამ, როგორც ითქვა, უმკაცრესად აისახება სოფლის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე და სასურველი იქნება ადგილზე იქნას დაძიებული და მოქმედებაში შეყვანილი ახალგაზრდობის დასაქმების წყაროები.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“

მადლობას უხდის:

– ბიზნესმენსა და ქველმოქმედს, კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრს ბატონ ბაქან ნაქაძეს „მატიანის“ მე-12 ნომრის გამოცემაზე დახმარებისა და გვერდით დგომისათვის.

– „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.

– „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.

– ვანის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს. სახელოვნებო, განათლებისა და ტურ-იზმის განვითარების ცენტრს.

– მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი – ომარ კაპანაძე (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

რედაქტორ-გამომცემელი – ბეჟან ნაქაძე
ზაურ თათვიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

თეიმურაზ სურგულაძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

ომარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ურია დვალიშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ლუკა დვალიშვილი – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

ოლეგ ალავიძე – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

პასუხისმგებელი მდივნები: **აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე**

კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე**

კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძე**

კრებულში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი